კვირის პოლიტრა
გზა
N4(189) 22/I.-28/I.2004. ფასი 60 თ.

„მერე ოჯახი შექმნა, შვილიც ეყოლა, მაგრამ...“

კრიმინალური ბალღა საქართველოში – სად არის გამოსავალი?!

გზავნილები – ქალური ეშმაკობა ანუ...

საპატარძლო – ქრისტინე: ჩემმა რჩეულმა თავი ქალად უნდა გაგრძნობინოს

სუმოს პირველი ევროპელი ტრიუმფატორი ლევან ცაგურია – გზა სოხუმიდან ტოკიომდე

დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული



იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში

ფასი 2,5 ლარი

№4 (189)
22 - 28 იანვარი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!..“ 3
ერთი კითხვა 4
აიწონა-დაიწონა
ინაუგურაცია – პოლიტიკური შოუ 6
სასიძო
„თუ ჩემი იქნები, აჭარის ტყეში განადირებ...“ 8
საპატარძლო
„ჩემი „პრინცი“ ტიტების ქვეყანაში ცხოვრობდა...“ 9
მინისტრი
გურაბ ნოღაიდელი: „კმაყოფილი ვარ, რომ დეკემბერსა და იანვარში დავალიანებები არ გვიგროვდება...“ 11
კრიმინალი
● ავტომანქანის გამტაცებლები მძღოლ ქალებს ესხმიან თავს 13
● „არავის აქვს უფლება, უდანაშაულო ადამიანს ცილი დასწამოს“ – აცხადებენ მკვლელობაში ბრალდებულის ნათესავები 14
● მამას საკუთარი შვილის მკვლელობაში აღანაშაულებენ 15
პოზიცია
ყოფილი გენერალური პროკურორი სთხოვს ახალ გენერალურ პროკურორს... 17
თემა
კანონიერი ქურდები 18
ფალავანი
იაპონელ სუმოისტთა ელიტაში შესული 22 წლის ქართველი მოჭიდავე 22
ნამდვილი ამბავი
„კომერციული“ ქელეხი 25
მარჩიელი
„მას ძალუძს, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე“ 26
გზავნილები
„ოთხმა კაცმა ოთახში ადამიანისხელა ტორტი შემოიტანა...“ 28
საზღვრებს მიღმა
ანსამბლი „ნეკრესი“ ელადის ცის ქვეშ 31
თანაშემწე
რვა წელი ნინო ბურჯანაძის გვერდით 32
დღესასწაული
ნინოობა 34

კანონიერი ქურდები

ზოგი იბრალებს კანონიერ ქურდობას, ზოგი მართლა ე.წ. კანონიერი ქურდია, მათ მიმართ ადრეც ვღებულობდით ზომებს, რის შედეგადაც ისინი დანაშაულებრივ საქმიანობაში უნდა გვემხილებინა და ახლაც ვაგრძელებთ ბრძოლას. ძალზე აქტიურ ფაზას ვიწყებთ...

18

იაპონელ სუმოისტთა ელიტაში შესული, 22 წლის ქართველი მოჭიდავე

1958 წლიდან დღემდე იაპონიის ისტორიაში მან მე-10 შედეგი აჩვენა უმაღლეს ლიგაში გადასვლის სისწრაფეში. ლევან ცაგურია პირველი და ერთადერთი სპორტსმენია მთელ ევროპაში, რომელიც სუმოს ელიტაში მოხვდა და უძლიერესთა შორის პირველობისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

22

ქრისტინე იმედაძე: „ჩემი „პრინცი“ ტიტების ქვეყანაში ცხოვრობდა...“

ძალიან მიყვარს მაღაზიაში სიარული, ტანსაცმლის ყიდვა, ძვირად ღირებული კოსმეტიკის შეძენა, ლამაზი სახლი, ძვირფასი ავტომობილი და საერთოდ, მე იმაზე მეტი მჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანებს აკმაყოფილებს. ამის გამო, თუ ვინმე ისე შემიყვარდება...

9

რვა წელი ნინო ბურჯანაძის გვერდით

ახლა, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, რომელიც ქალბატონმა ნინომ დღემდე არ იცის: ორი წლის წინ, სანქტ-პეტერბურგში ვიმყოფებით საქმიანი ვიზიტით და დამქანცველი შეხვედრების შემდეგ, ქალბატონმა ნინომ მთხოვა, მისთვის ადგილი დამეჯავშნა სილამაზის სალონში...

32

საგანძური

გრიგოლ ტატიშვილი – „ქართული ანბანის თაიგულის“ შემქმნელი 35

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36

ფავორიტები

ორნი ბედნიერების მწვერვალზე – ანდრეი და კრისტინი ფოტოკამერის წინ გაშიშვლდნენ 38

მინდვრებს მიღმა 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ბომონდი 46

მმართველები

„დღეს კომიკოსებს სერიოზულ რამეებზე უწევთ საუბარი...“ 48

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 49

მოგზაურის დღიურები

ჩიკაგოში, ვოვა სტეფანიასთან „შეხვედრის“ მოლოდინში... 50

ავტო 52

ვარსკვლავი

„ამ ფილმში ჩემთვის ბევრი რამ შოკის მომგვრელიც კი იყო...“ 53

საკითხავი ქალებისათვის 54

იუმორი 56

ჯანმრთელობა

- როგორ დავლიოთ წამალი 57
- რეფლუქს-ეზოფაგიტი 58
- დავძლიოთ სტრესი 59

ჰოროსკოპი

კვირის (26 იანვარი – 1 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შოუბიზნესი

დაამკვიდრებს თუ არა „ახალ მოდას“ სოფო გელოვანი? 62

ტესტი

ვინ ხართ – რომანტიკოსი თუ რეალისტი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ქალური ეშმაკობა ანუ „ახლა შვილად უნდა მაღიარო...“



ნინო (დედამთილი) კი, სულ მამშვიდებდა: რა გეჩქარება? შვილს ყოველთვის მოესწრები, ეცადე, ქმარს მეტი ყურადღება დაუთმოო. ერთ დღეს, ბესოს (ქმარს) და მამამისს ერთმანეთში უკმაყოფილება მოუვიდათ. მიზეზი კი ის იყო, რომ მამა ვიღაც ქალთან დადიოდა, ღამეებს იქ ათენებდა და...

28

ანდრეი და კრისტინი ფოტოკამერის წინ გაშიშვლდნენ

რას წარმოადგენს ჩემი ცხოვრება? თამაში, მოგზაურობა, შეკრებები და ვარჯიშები. ჩვენ ერთად იშვიათად ვართ, ამიტომაც ვცდილობთ, თითოეული თავისუფალი წუთით ვისარგებლოთ. ხანდახან ერთმანეთს სასტუმროში ან რომელიმე რესტორანში ვხვდებით...

38

ჩიკაგოში, ვოვა სტეფანიასთან „შეხვედრის“ მოლოდინში...



ვერ გავიგე, რაში დასჭირდა დარაჯს ტყუილის თქმა.

– ...ტრაილერი ამ კაცისაა, ის კი ჩემი მეგობარია! – დასძინა პაუზის შემდეგ ჯომ.

– შენი ტრაილერია? – აი, ჩემთვისაც მოიცალეს... ისე ვიყავი გაოგნებული, რომ სმა ვერ ამოვიღე.

50

თავისუფალი თემა

ჩასჩურჩულა უცბად გვანცამ ირაკლის და მის რეაქციას ეშმაკური ღიმილით დაელოდა. მაგრამ მანამდე, ვიღაც ქოშინით წამოეწია და მხარზე მძიმე ხელი დააღო. დამფრთხალმა გვანცამ მაშინვე უკან მოიხედა და გაშეშდა: მის წინ იარაღასხმული მამამისი იდგა...

42



„ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა ბავშვობას!..“

ჩვენმა ახალმა, უკვე არჩეულმა პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში თქვა – როცა ყველა თავისი საქმის კეთებას მიეჩვევა, ქვეყანასაც მაშინ ეშველებაო...

მე ერთი უბრალო, არაკორუმპირებული პროვოკატორი ვარ, მაგრამ მაინც შემეშინდა: რომ არაფერი ეშველოს ამ ქვეყანას, მე არ დამაბრალონ-მეთქი. ამიტომ ორის ნაცვლად 100 თვალი და ყური გამოვიბი და „საკბილოს“ საძებნელად ქუჩებში ხეტიალი დავიწყე...

უცებ, ისეთი ჟრიამული მომესმა, თავი „დისნეილენდში“ მეგონა. ხმას გავყევი და დაბადების დღეების საბავშვო ცენ-

ტრთან აღმოვჩნდი. ფანჯარაში ფრთხილად შევიჭყიტე და ნანახმა გული სიხარულით ამივსო: ერთ-ერთი ახალდანიშნული მინისტრი ამ ამბავს აღნიშნავდა. თანატოლი მინისტრები და სხვა ჩინოვნიკებიც, რა თქმა უნდა, იქ იყვნენ, ლიმონათით იჭყიპებოდნენ და თაგვებივით ახრამუნებდნენ გემრიელ ბურბუშელას. მომგებიანი ჟეტონებით კი „გადაბრუნებობანას“ თამაშობდნენ და წკიპურტებს „ურახუნებდნენ“ ერთმანეთს. უნებურად, თენგიზ აბულაძის გენიალური ფილმი – „ნატვრის ხე“ გამახსენდა, სადაც კახი კავსაძის გმირს, იორამს ბავშვი ჰყავს მხარზე შემოსმული და ამბობს – ამისთვის არის ატეხილი ეს ქარიშხალი, ამისთვის ხდება რევოლუციაო!..

მართალიცაა: ჩვენ, 30 წელს გადაცილებულმა „მოხუცებმა“, როგორც იტყვიან, ჩვენი წუთისოფელი უკვე მოვჭამეთ და ახლა ბავშვების დროა. ვერ გეტყვით, ესენი როდის მოჭამენ, მაგრამ ის, რაც ძველ მთავრობას უკან დარჩა, ამათ რომ წინა აქვთ, – ფაქტია... მგონი, სიტყვა გამიგრძელდა და ჯობს, ისევ ქეიფს დავუბრუნდე:

სუფრას, რა თქმა უნდა, გოგიჩა თამადობდა. ზოგს ლექსს აყოლებდა, ზოგს ამღერებდა, ზოგსაც აცეკვებდა და ლიმონათით ალავერდს ალავერდზე გადადიოდა, სტუმრებს შორის ასაკით ყველაზე უფროსთან, რომელიც თვალზე სიხარულის ცრემლმომდგარი ამბობდა „პატაების საეგრძელოს“.

თვითონ ზეიმის გმირი მინისტრი კუთხეში მიმჯდარიყო, საანგარიშო ჩხირები ამოეღო და მიმატება-გამოკლებას „ამხეცებდა.“ სჭირდება კიდეც მისი თანამდებობის პატრონს – ვაჭრობა და ეკონომიკა ხომ ანგარიშზე დგას. ოღონდ, ერთი რამ მენიშნა საგულისხმოდ: ჩხირებით გაყოფა არ ისწავლება და სწორედ გაყოფის არცოდნას არ შეეწირა ბევრი მისი წინამორბედი?! თუმცა, იღბალი მაქვსო, მაგან უნდა თქვას. ერთი გენერალი, იმის გამო, რომ ორიოდ წელი არ უცხოვრია საქართველოში, საარჩევნოდ რეგისტრაციაშიც არ გაატარეს და ამას, 13 წელი ცვრიან ბალახზე არ გაუვლია და მაინც მინისტრად უკრეს თავი. რას იზამ? – ვისაც არ უყვარს სოროსი, ჯობს, დაიმალოს სოროშიო, – ნათქვამია.

...განსხვავებული სასმისით შეისვა რკინიგზის ახალი უფროსის სადღეგრძელოც, თუმცა, ადრესატს ეს არც გაუგონია: სათამაშო ლიანდაგები გაეშალა და ზედ ელმავალს დაარბენინებდა. ხომ იცით, ბავშვის ინტერესი: ნეტავ, შიგნით რა არისო? – და სანამ არ დაშალა „საცოდავი“ ელმავალი, მანამდე ვერ მოისვენა; რომ ვეღარ ააწყო, ნაწილებად დაშლილი გადაუცვალა კოლეგებს ბურბუშელის ჟეტონებში.

ეს რომ ახალმა გენპროკურორმა დაინახა, იარაღი დააძრო, გადატენა, ისარს რეზინის თავი ენით მოუსველა და პირდაპირ შუბლზე მიაწება.

„სასმელი“ რომ „მოეკიდათ“, სამომავლო საკადრო ცვლილებებზეც ჩამოვარდა საუბარი: თურმე, ნუ იტყვით და, იმ 11 წლის ბიჭუნას, კრწანისში რომ სამალავი ჰქონდა ხეზე მოწყობილი, დაზვერვის შეფად ნიშნავენ – ჭკვიანია, გამოცდილი

და ასაკიც ხელს უწყობსო...

მერე ვიღაც პატარა გოგონა წარადგინეს, რომელმაც ისეთი მონდომებით წაიკითხა – „ფისუნია კატა მაგიდაზე ახტა“ – სულაც არ გამკვირვებია, რომ თქვეს – კულტურის მინისტრობის კანდიდატიაო...

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც და მშობლებმაც მოაკითხეს „მეინახეებს“. ონავარმა პატარებმა ისე გაჭიმეს ფეხები – არსადაც არ წამოვალთო! – რომ სანამ მშობლები მეორე დღისთვის ზოოპარკში წაყვანაზე არ დაითანხმეს, არაფრით დაიშალნენ...

„ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა ბავშვობას!..“

P.S. „ახალი ქართველების“ დიალოგი:

– მაგრები ვართ ქართველები. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ დავით აღმაშენებელი 16 წლის ასაკში ავიდა ტახტზე?

– რა მოხდა მერე?! 16-ის კი არა, 3 წლისაა ჩემი ბიჭი, მაგრამ ტახტზე კი არა, „შკაფის“ თავზე ადის უკვე...

პროვოკატორი

„აჭარაში რუსეთის ჯარი დგას, რომელიც სიტუაციის გამწვავებას ელოდება“

— აჭარაში უკვე ხმამაღლა გაისმის ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნები. უახლოეს მომავალში ფართომასშტაბიანი გამოსვლები იგეგმება. როგორ ფიქრობთ — წავა თუ არა რეგიონის ლიდერი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე?

სანდრო ბრეგაძე, *პარლამენტის წევრი:*

— წლების მანძილზე, ასლან აბაშიძე ცენტრს დაუმორჩილებლობას უცხადებდა. ეს იყო ბოიკოტი შევარდნაძის მმართველობის წინააღმდეგ და ჩემი აზრით, ეს ქმედება ზნეობრივი იყო მისი მხრიდან. მაგრამ დღეს, სიტუაცია შეიცვალა, ხელისუფლებაში მოვიდა ახალი ძალა და ცენტრსა და რეგიონს შორის „რკინის ფარდა“ აღარ არსებობს, ამიტომ ურთიერთობები სხვა კალაპოტში უნდა მოექცეს. აჭარაში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. საჭიროა მართვის ფორმის შეცვლა, რაც სიტყვის თავისუფლებით უნდა დაიწყოს. მაგრამ თუ ადგილობრივ მოსახლეობას ასლან აბაშიძის სხვა ლიდერით ჩანაცვლება უნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდეს. ძალისმიერი მეთოდების გამოყენება უმართავ პროცესებს გამოიწვევს. ეს არ იქნება „ხავერდოვანი რევოლუცია“ — აჭარაში პროცესები თბილისის მსგავსად არ განვითარდება. შევარდნაძის მმართველობისგან აბაშიძის რეჟიმი სრულიად განსხვავდება. აბაშიძეს ჰყავს უამრავი მხარდამჭერი. მთის სოფლები ფეხდაფეხ მაქვს მოვლილი და ვიცი იქაური მოსახლეობის განწყობა. სიტუაციის გამწვავებამ შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს, ასეთ შემთხვევაში კი, გამოჩნდება პროვოკატორი, რომელიც ისარგებლებს შექმნილი სიტუაციით... გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აჭარაში რუსეთის ჯარი დგას. ის არც აბაშიძის ბრძანებას ემორჩილება და არც სააკაშვილისას... ■

„ლევან მამალაძის მიმართ საქმე თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით არის აღძრული“

— დამკვიდრდება თუ არა საქართველოში იმის ტრადიცია, რომ გამოძიების მიერ დაკისრებული თანხის გადახდის შემთხვევაში, დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს?

ირაკლი ოძრუაშვილი, *საქართველოს გენერალური პროკურორი:*

— ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ ადამიანი წლების განმავლობაში ციხის კედლებში იყოს გამოკეტილი. თუ დამნაშავე გადაიხდის იმ თანხას, რომელიც მან სახელმწიფოს წაართვა და ეს ფული მოსახლეობას დაუბრუნდება, თავად, რომელ ქვეყანაშიც უნდათ, იქ წავიდნენ. მაგრამ კანონის მოთხოვნები სხვაგვარადაა ჩამოყალიბებული. არსებობს მძიმე დანაშაულის კვალიფიკაციით აღძრული საქმეები, რომლის შემთხვევაშიც, მხოლოდ მითვისებული თანხის გადახდა დამნაშავეს პასუხისმგებლობისგან ვერ გაათავისუფლებს. მაგალითად, მერაბ ჟორდანიას ბრალად ედებოდა გადასახადებისაგან თავის არიდება და მაშინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ იგი დაფარავდა ამ თანხას, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებოდა. მაგრამ დავით მირცხულავასა და სხვათა შემთხვევაში, ასე მარტივად არ არის საქმე. მათ უმძიმესი დანაშაულები ედებათ ბრალად. მთავარია, სწორი კვალიფიკაცია მივცეთ მათ ქმედებას. ეს არ იქნება არაობიექტური, უსუსური ბრალდებები, რომელსაც პროკურატურა აქამდე უყენებდა ბრალად მირცხულავას და ჩხაიძეს... იგივე შეიძლება ითქვას მამალაძეზეც. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით არის აღძრული. ჩვენი მიზანია, მათი ბრალეულობა მივუახლოვოთ რეალობას. არ შეიძლება, აქლემის ქურდს, ნემსის ქურდობას ვედავებოდეთ... ასე რომ, მძიმე დანაშაულის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება თანხის გადახდის გამო არ მოხდება. ■

„არ ვაპირებ, დავითხოვო ყველა, ვინც შევარდნაძის მთავრობაში მუშაობდა“

— შეძლებს თუ არა საკრებულო, დედაქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებას და გამოეთხოვებიან თუ არა საკრებულოს პასუხისმგებელი პირები?

ზაზა გეგაშვილი, *თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე:*

— თბილისში უამრავი პრობლემაა, რომელიც იმ ადამიანების გამო არსებობს, ვინც წლების მანძილზე, ბოროტად სარგებლობდა საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობით. კატეგორიულად უნდა დაისვას იმ პიროვნებების საკითხი, რომლებიც ან საერთოდ არ დადიან, ან მხოლოდ ხელფასის ასაღებად ცხადდებიან სამსახურში. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ვინც შევარდნაძის მთავრობაში მუშაობდა, ყველა დავითხოვოთ. პროფესიონალ და თავის ქალაქზე უანგაროდ შეყვარებულ კადრებს შრომა დაუფასდებათ და რომელი გუნდის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ, ხელს არავინ ახლებს. უპასუხისმგებლო ადამიანები კი, გამგეობების, საკრებულოსა და მერიის სამსახურებს დაემშვიდობებიან. რამდენიმე დღის წინ, დავათვალიერე თბილისი და უამრავ პრობლემას წავაწყდი. სამწუხაროდ, პრობლემათა მთელი ჯაჭვი წლების მანძილზე ჩნდებოდა და შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყველა, თვალს ხუჭავდა და უარს ამბობდა სინამდვილის ობიექტურად შეფასებაზე. მთელი ამ დროის განმავლობაში კი, თბილისი ერთ დიდ ბაზრად გადაიქცა და დედაქალაქის სახე დაკარგა. საკრებულოს მოუწევს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რომ რადიკალური რეფორმები განხორციელდეს და თბილისმა ევროპული ქალაქის იერი შეიძინოს. გარდა ამისა, ვაპირებთ სოციალური დახმარების სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრას — მაგალითად, უნდა დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. ასე რომ, გასაკეთებელი ბევრია. ვინც ამ პროცესებში არ ჩაებმება, საკრებულოში მისი ადგილი აღარ იქნება. ■

„ჯორბენაძე სააკაშვილთან ფარულ ალიანსზე ალაპარაკდა“

— ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ცენტრისტული ორიენტაციის პარტიის შექმნას აპირებს, რომელშიც ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის სუბიექტებიც გაერთიანდებიან. თუ მიიღო სოციალისტურმა პარტიამ ჯორბენაძისგან შემოთავაზება?

ირაკლი მინდელი, *სოციალისტური პარტია:*

— სოციალისტური პარტია მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში იყო სახელისუფლებო ბლოკში. ჩვენ დღესაც ვრჩებით დამოუკიდებელ ოპოზიციურ გაერთიანებად. რაც შეეხება ჯორბენაძეს, მასთან არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს. რამდენადაც ვიცი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას აპირებს. ჩემთვის მისი განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. მას შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც, სააკაშვილთან ფარული ალიანსი ჰქონდა. ჯორბენაძე უკვე აღარ მალავს, რომ იგი ჩუმად ხვდებოდა სააკაშვილს. იმასაც ამბობს — საპარლამენტო არჩევნების დროს, „ნაციონალებს“ ხმები დააკლეს და სხვა პარტიებს მიუმატესო. ეს თუ ნამდვილად ასე იყო, რატომ მაშინ არ თქვა, როცა სახელმწიფო მინისტრი იყო?.. დღეს პოზიციები გამოკვეთილია. სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ასეთ პირობებში კი, ყველა ცდილობს, მიეტმასნოს იმ ძალას, რომელსაც ქვეყნის მართვის სადავეები გადაეცა, მით უმეტეს — ის პოლიტიკოსები, რომლებიც ფარულად თანამშრომლობდნენ ამჟამინდელ ხელისუფლებასთან. მერკანტილური ინტერესების გამო ასეთ პარტიებთან ალიანსის შექმნას ჩვენ არ ვაპირებთ. თავისთავად კი, ჯორბენაძე არა მგონია, ახალი ხელისუფლებისათვის მისაღები პოლიტიკოსი იყოს, რადგან მან ერთხელ უკვე უღალატა თანაგუნდელებს და არც ახალ პარტნიორებს დაინდობს. ■

„ქვეყანაში მეორე „მძიმეწონიანი“ პოლიტიკური ფიგურაც უნდა გაჩნდეს“

— ახალი ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებს ამზადებს. არსებული პროექტის თანახმად, პრეზიდენტის ძალაუფლება, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესუსტების ხარჯზე გაიზრდება. როგორ ფიქრობთ — შეძლებს ერთი, თუნდაც ხალხის ნდობით აღჭურვილი ლიდერი, უამრავი ფუნქციის შეთავსებას?

დავით უსუფაშვილი, *იურისტი:*

— ჩემთვის იდეალური ვარიანტია საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც პრეზიდენტი ხალხის მიერ არ არის არჩეული და, არბიტრის ფუნქციებით, სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენს. მართვის ასეთი მოდელია ესპანეთში, სადაც ყველა მნიშვნელოვან საკითხს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დაკომპლექტებული მთავრობა წყვეტს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი არ უნდა იყოს მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი, ძლიერი და ქარიზმატული ფიგურა. რადგან სააკაშვილი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტია, ის მხოლოდ ბუტაფორიულ ძალაუფლებას არ დასჯერდება, ამიტომ მართვის მოდელთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილებები არ უნდა განხორციელდეს. უნდა შევინარჩუნოთ საპრეზიდენტო სისტემა. იმ პროექტის შესაბამისად, რომელზეც დღეს მუშაობენ, პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს მთავრობა, პარლამენტი და ჩაერიოს სასამართლო ხელისუფლების მუშაობაში. ამას შეიძლება დავარქვათ რუსული მოდელის ერთპიროვნული მმართველობა, პარლამენტის დასუსტების ხარჯზე, რაც დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ჩემი აზრით, საქართველოში უნდა მოხდეს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობასთან მიახლოებული ინსტიტუტის შექმნა. ყველა საპრეზიდენტო მმართველობა ითვალისწინებს ასეთ თანამდებობას, რათა ერთ პიროვნებაზე არ იყოს ჩამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლება და სახელმწიფო მართვის ტვირთი. 1995 წელს, შევარდნაძემ არ ისურვა ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნა, რადგან პრეზიდენტის გადაყენების შემთხვევაში ის ითავსებდა მის ფუნქციებს, ეს კი მუდმივი საფრთხე იყო ქვეყნის პირველი პირისთვის. ანალოგიური სიტუაციაა დღესაც. მაგრამ აუცილებელია, გაჩნდეს მეორე „მძიმეწონიანი“ პოლიტიკური ფიგურა, თუნდაც პრემიერ-მინისტრის სახით, რომელსაც კონსტიტუციური ლეგიტიმაციის გზით მიენიჭება უფლება, უხელმძღვანელოს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მას ექნება მაკოორდინებელი ფუნქცია და მმართველობის სისტემაც ეფექტური გახდება. პრეზიდენტის ჩანაცვლებას კი ვერ შეძლებს, რადგან ვიცე-პრეზიდენტის უფლებებით არ იქნება აღჭურვილი. ■

„ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებასთან ითანამშრომლებს“

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილსა და შალვა ნათელაშვილს შორის შეხვედრა შედგა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მალე ლეიბორისტებიც ახალი ხელისუფლების მხარდამჭერებად მოგვევლინებიან?

ჯონდი ბაღათურია, *ლეიბორისტული პარტია:*

— ჩვენ შორის საუბარი ნამდვილად შედგა. ბატონი სააკაშვილი და ნათელაშვილი შეხვდნენ და თავიანთი შეხედულებები გაუზიარეს ერთმანეთს. აუდიენცია საკმაოდ ხანმოკლე იყო და მომავალი თანამშრომლობისათვის კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა. ორი ლიდერის შეხვედრამ პარტიის წევრები კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ კონსტრუქციული დიალოგისათვის ნიადაგი ჯერ მომზადებული არ არის. ის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, არა მხოლოდ ლეიბორისტულ პარტიაზე, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერზე, მის გარემოცვასა და სხვა ობიექტურ ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. საქართველოს სჭირდება კონსტრუქციული ოპოზიცია, რათა ყოველდღე ჯანსაღი კრიტიკა — როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ. თუ კონცეპტუალურ საკითხებში შეთანხმება მოხდება, ლეიბორისტული პარტია მზად არის, ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან, მაგრამ ჩვენ ისევ ოპოზიციაში დავრჩებით. ■

ინაუგურაცია — პოლიტიკური შოუ

ლელა ჭანკოტაძე

25 იანვარს, ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეს, ახალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია გაიმართება. ეს იქნება გრანდიოზული ღონისძიება, რომელიც 24 იანვარს დილის 11 საათზე ქუთაისში დაიწყება და მეორე დღეს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე დასრულდება. გელათში პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის საფლავზე დადებს ფიცს. ინაუგურაციის მეორე — ეი. საკონსტიტუციო ნაწილი მთავრობის სასახლის ეზოში მოწყობილ უზარმაზარ სცენაზე კონსტიტუციაზე ფიცის დადებით დაიწყება. 1992 წელს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ფიცი „ბიბლიაზე“ დადო. ასევე „ბიბლიაზე“ დადო ფიცი ორჯერვე ედუარდ შევარდნაძემაც. მიხეილ სააკაშვილი ფიცს კონსტიტუციაზე დადებს — ისევე, როგორც ეს დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებშია მიღებული.

თბილისში ბევრ საპატიო სტუმარს ელიან. ბუნებრივია, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული. წინასწარი მონაცემებით, თვით ინაუგურაციის მასშტაბიც, ჩვენი ქვეყნისათვის, უპრეცედენტო იქნება. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ საზოგადოების წარმომადგენლები.

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ტარდება ინაუგურაციის ცერემონია. ხშირად პროტოკოლით გათვალისწინებული პირობები ირღვევა კიდეც. პირველად, ჯიმი კარტერმა დაარღვია სტერეოტიპი: იმის მაგივრად, რომ თეთრ სახლში ავტომობილით და დაცვით მისულიყო, გადმოვიდა მანქანიდან, თავის ცოლ-შვილს ჩაჰკიდა ხელი და გზის დიდი მონაკვეთი ფეხით გაიარა. დაცვა კინაღამ გადაირია. პრეზიდენტის ამ ნაბიჯს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა... საერთოდ, ინაუგურაციის წესს კონსტიტუცია განსაზღვრავს და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ვლადიმერ პუტინმა ინაუგურაციისთვის ძალზე ორიგინალური გზა აირჩია. კრემლი შვეიცარიულმა ფირმამ გაარემონტა, პრეზიდენტი ახალგარემონტებული კრემლის დარბაზებს კვეთდა თავისი სპორტული „პაზოტკით“, უამრავი მოოქრული კარი იღებოდა, ჩინოვნიკები ჩამწკრივებულები იდგნენ და ტაშს უკრავდნენ...

— რას იტყვით ინაუგურაციის პოლიტიკურ დატვირთვაზე?

— მას უფრო მეტად, ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. თუმცა, პოლიტიკურ დატვირთვაზე საუბარიც აუცილებელია. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია უფრო თავისუფალი იქნება, ვიდრე ედუარდ შევარდნაძის ინაუგურაცია იყო, რადგან ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტად არჩევის შედეგად ხალხს იმდენად დიდი იმედი არ გასჩენია, როგორიც ახლა იგრძნობა. ედუარდ შევარდნაძე მხოლოდ „ბიბლიაზე“ ფიცის დადებით შემოიფარგლა. ეს შეიძლება, იმიტომ მოხდა, რომ მისი ავტორიტეტი ეცემოდა, თანაც — არჩევნები გაყალბდა: ექსპერტები ღიად საუბრობდნენ იმაზე, რომ ჯუმბერ პატიაშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ შევარდნაძეს პრეზიდენტობა აჭარის ხმებმა „აჩუქა“... ინაუგურაციის პომპეზურობა დამოკიდებულია პრეზიდენიტის ასაკსა და ჯანმრთელობაზეც. მაგალითად, რონალდ რეიგანი პრეზიდენტად მეორედ რომ აირჩიეს, ის უკვე 76 წლის იყო და ამ ღონისძიებას შედარებით ნაკლები დატვირთვა ჰქონდა. კენედი ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი იყო და ამიტომ, მისი ინაუგურაცია ძალზე პომპეზურად ჩატარდა.

— ამ პოლიტიკური შოუს სახე ალბათ ერის კულტურაზეცაა დამოკიდებული...

— დიდ ბრიტანეთში ახალარჩეული პრემიერი ეტლში ჯდება და დედოფალთან ასე მიდის. დათვისტყავისქუდიანი შოტლანდიელები დიდ ცერემონიას ატარებენ. რასაკვირველია, ინაუგურაციას, ნებისმიერ ქვეყანაში, განსხვავებული ეროვნული შარმი აქვს. მიხეილ სააკაშვილი დავით აღმაშენებლის საფლავზე დადებს ფიცს. მსოფლიოს ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა — მსგავსი რამ არც მახსენდება...

ვლემალ გახოკიძე, *უშიშროების საბჭოს მდივანი:*

— ინაუგურაცია ასე ვთქვათ, სახელმწიფოს საშინაო ღონისძიებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთიდან მაინც ჩამოდიან ძალიან საპატიო სტუმრები, რაც არც ერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინაუგურაციაზე არ მომხდარა. დაცული იქნება თითოეული სტუმრის უსაფრთხოება, როგორც მათი პიროვნების, ისევე იმ შენობების, რომელშიც ისინი იცხოვრებენ. ეს ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანაა. საკმარისია ერთი ავანტიურისტი და ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო სკანდალი არ ასცდება... ინაუგურაციის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის გეგმა. მობილიზებული იქნება პოლიციის ყველა ქვედანაყოფი. საგანგებო რეჟიმში იმუშავებს უშიშროების სამინისტრო. ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ ინაუგურაცია მაღალ დონეზე ჩატარდეს — როგორც ეს ეკადრება საქართველოს და მის ახალ ხელისუფლებას.

ავთო ვარსიმაშვილი, *ინაუგურაციის მთავარი რეჟისორი:*

— ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი რეჟისორისთვის ძალზე საამაყოა, თუ ის ინაუგურაციის რეჟისორია. მით უმეტეს, ჩემთვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორი ერთსულოვნებით ავირჩიეთ პრეზიდენტი, ინაუგურაციაც ასეთივე შთამბეჭდავი სანახაობა იქნება და არა პომპეზური.

— რას ითვალისწინებდით, რა გამოცდილებას ეყრდნობოდით მუშაობის პროცესში?

— გამოცდილება, ცხადია, არ მქონია. ზვიად გამსახურდიას დროს, ინაუგურაცია არ გამართულა, მან უზენაესი საბჭოს წინაშე, პარლამენტის შენობაში, „ბიბლიაზე“ დადო ფიცი. სულ რამდენიმეწუთიანი რიტუალი ჩატარდა. იგივე ითქმის ედუარდ შევარდნაძეზეც, რომელმაც მთავრობის სასახლის წინ შეასრულა ეს რიტუალი. ასე რომ, მე სხვა ქვეყნების მაგალითებს გავეცანი, მაგრამ უფრო მეტი ინფორმაცია ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა მომცა — კერძოდ, მეფედ კურთხევის ცერემონიამ... თუმცა, 24 იანვარის ფიცის დადება სრულიად განსხვავებული იქნება, რადგან ჩვენ პრეზიდენტს ვირჩევთ და არა მეფედ ვაკურთხებთ. ქუთაისში, გელათის ტაძარში ფიცის დადების შემდეგ, დაგეგმილია სარიტუალო ღონისძიება, რომელშიც შვიდასამდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. ეს ღონისძიება დაახლოებით ნახევარ საათს გასტანს.

— რა იქნება განსაკუთრებული, სანახაობრივი თვალსაზრისით?

— მაგ კითხვაზე პასუხს არ გაგცემთ — დეტალები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. ოპერაში არნახული გალა კონცერტი ჩატარდება — ამდენი ვარსკვლავი თბილისის სცენაზე ერთდროულად არასდროს ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ მონაწილეების უმრავლესობა უარს ამბობს ჰონორარზე. არადა, ისეთი სოლისტები ჩამოდიან, რომლებიც თითოეულ კონცერტში სულ მცირე, 50-60 ათას დოლარს იღებენ. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს იქნება ყველაზე მცირებიუჯეტიანი პროექტი, რაც კი ბოლო დროს განხორციელებულა.

გოჩა კაპანაძე, *ინაუგურაციის რეჟისორი:*

— ძალზე საპატიო და საპასუხისმგებლოა ჩემთვის, რომ ამ ღონისძიების ერთ-ერთი რეჟისორი ვარ. გავეცანი იმას, თუ როგორ ტარდებოდა ინაუგურაცია სხვა ქვეყნებში. არსებობს წესები, რომელიც პროტოკოლითაა

გათვალისწინებული და აუცილებლად უნდა დაგვეცვა. მაგალითად, კონსტიტუციაზე ფიცის დადება. მაგრამ მაინც ქართული ეროვნული ყოფით, მენტალიტეტითა და ცნობიერებით უნდა გვეხელმძღვანელა. მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინ კონსტიტუციაზე დადებს ფიცს. ეს მოხდება 25 იანვარს. მაგრამ 24 იანვარს მას უფლება აქვს, სადაც მოისურვებს, იქ წარმოთქვას პრეზიდენტის ფიცის ტექსტი — იქნება ეს სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი თუ გელათი. მან გელათი აირჩია. გელათში ის წავა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად და ფიცს დადებს დავით აღმაშენებლის საფლავზე.

— ეი. გელათში ჩასული საპატიო სტუმრები ფიცის დადებას არ დაესწრებიან?

— მხოლოდ ისინი წავლენ ქუთაისში, ვისაც ამის სურვილი ექნება. ბევრი დელეგაცია უკვე ჩამოსულია, ძირითადი ნაწილი კი 25 იანვარს ჩამოვა. ქუთაისი საკმაოდ შორ მანძილზეა, ამიტომ ბევრი უცხოელი სტუმარი იქ წასვლისგან თავს შეიკავებს.

— ამბობენ, ინაუგურაციას საერთო სახალხო დღესასწაულის პრეტენზია ექნებაო...

— ბუნებრივია, რადგან ამ ღონისძიებაში მთელი საქართველო იქნება ჩაბმული — სადღესასწაულო კონცერტები გაიმართება ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, თელავსა და სხვა ქალაქებში.

— იქნებ, ფინანსურ მხარესაც შევეხოთ. რა თანხაა გამოყოფილი ინაუგურაციისთვის?

— პრეზიდენტის პირდაპირი მითითებით, მინიმალური თანხა უნდა დაიხარჯოს, რადგან ქვეყანას პომპეზური ღონისძიების ჩატარების საშუალება არა აქვს. ყველა ვარსკვლავი და შემოქმედებითი კოლექტივი უფასოდ მონაწილეობს კონცერტებში. მართალია, ძალიან შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ ჰონორარს არც ჩვენ — ღონისძიების ორგანიზატორები ავიღებთ. ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მისცეს ადამიანმა თავს უფლება, საქვეყნო საქმე უფასოდ გააკეთოს. იმდენად საპატიოა ინაუგურაციის ცერემონიალის ერთ-ერთი რეჟისორობა ჩემთვის, რომ ვერანაირი თანხა ამას ვერ შეედრება. პაატა ბურჭულაძე, ნინო ანანიაშვილი, ნინო სურგულაძე, თემურ გუგუშვილი, თამარ ჯავახიშვილი და სხვა ვარსკვლავები სიამოვნებით იმღერებენ. ესტრადის მომღერლებიდან მხოლოდ ნანი ბრეგვაძე გამოვა სცენაზე. ყველა ჩვენგანისთვის ეს დღე ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი იქნება, რადგან ახლა უკეთესი მომავლის გვჯერა. იმედი გვაქვს, რომ ისეთი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიას ვამზადებთ, რომელიც ქვეყანას აღმავლობის გზით წაიყვანს.

მარინა ბერიძე, *პროექტის მუსიკალური პროდიუსერი:*

— „ბიბლიაზე“ ფიცის შემდეგ, საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა აღიმართება. ასევე აღიმართება ევროკავშირის დროშა. შესრულდება საქართველოს და ევროკავშირის ჰიმნები. საქართველოს ჰიმნს შეასრულებს მერიის ბენდი გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით და ბავშვთა გუნდი თამაზ ანდღულაძის ხელმძღვანელობით, ევროკავშირის ჰიმნს კი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით და თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

დავით ოძიტაშვილი, *მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი:*

— ამდენი მეგავარსკვლავის ერთად თავმოყრა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ. როცა მათ დავუკავშირდით, თითოეული მათგანისგან პასუხად, აღტაცებული თანხმობა მივიღეთ. ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებაში მონაწილეობა დიდად გაუხარდათ. უარი არავის უთქვამს და არც ანაზღაურება მოუთხოვია ვინმეს — ჩვენ მხოლოდ მათი მგზავრობისა და დაბინავების ხარჯებს დავფარავთ. ყველა სტუმარს სიურპრიზს ვუმზადებთ. ყველა მეგავარსკვლავი „ვილა ბერიკაში“ მოთავსდება, სადაც მათ ბატონი რამაზ ჩხიკვაძე და მისი მეუღლე უმასპინძლებენ.

■

„თუ ჩემი იქნები, აჭარის ტყეში განადირებ...“

*„გზის“ წინა ნომრის „სასიძოს“ — **დათო ილურიძის** სახელზე მოსულმა გამოხმაურებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 2004 წლის ბოლოს, ალბათ, „რეკორდსმენთა“ სიის თავშიც კი აღმოჩნდება!.. თუ ჩვენს რუბრიკას თვალყურს ადევნებთ, მოგეხსენებათ, რომ ხშირია შემთხვევა, როცა რესპონდენტს ძველი ნაცნობები ეხმაურებიან და მივიწყებული სიყვარულის გახსენებას ცდილობენ. სწორედ ასე მოხდა დათოსთან დაკავშირებითაც:*

მარი ჯაფარიძე

„გამარჯობათ. მე დათოს ბავშვობიდან ვიცნობ და წინათ მხურვალე გრძნობაც მქონდა. ახლა, თქვენი ინტერვიუ რომ წავიკითხე, მივიწყებულმა გრძნობამ გაიღვიძა. მივხვდი, რომ დათოს პიროვნებაში არ ვცდებოდი და ნამდვილად ღირსეული მამაკაცი მყვარებია. წინათ ვერ გავბედე მისთვის სიყვარულის გამხელა. ახლა მინდა, თავი შევახსენო და ვუთხრა: დათო, თურმე მთელი ცხოვრება მყვარებიხარ. ეკა“.

ახლა დანარჩენ „მესიჯებს“ გავეცნოთ:

„ვფიქრობ, პირველი ვარ, ვინც ამ სიმპათიურ „სასიძოს“ გამოეხმაურა. ვერ ვიტყვი, რომ სილამაზით მსოფლიო სტანდარტებს ვაკმაყოფილებ, მაგრამ მომხიბვლელობა არ მაკლია. დათო კი, ნამდვილად მიყვარს. იქნებ დამეხმაროთ, გამაცანით. მჯერა, იმედს არ გაგიცრუებთ. ეკა“.

„დათო, **„ოცნებად მექცა შენთან შეხვედრა, ვოცნებობ შენზე, შენს სიყვარულზე, ჩაგიკრავ გულში, მოგეფერები და დაგიკოცნ სანატრელ ტუჩებს“**. მარი, დათოს წააკითხე. ინგა“.

„ძალიან დიდი სურვილი მაქვს, დათო სანადიროდ დავპატიჟო. „კაკრაზ“, სეზონია. P.S. ჩემს მშობლებსაც უნდათ შვილიშვილი...“

„დათო, ძალიან საყვარელი და ალალი ადამიანი ხარ. „ღამის შოუში“ შენი მისამართით წარმოთქმულ ხუმრობას ველოდები ხოლმე და მერე ტელევიზორს სხვა არხზე ვრთავ. ძალიან მომწონს შენი რეაქცია. ასე მგონია, შენ ის ადამიანი ხარ, ვისთან ერთადაც დიდი სიამოვნებით ვუყურებდი „ტომსა და ჯერის“ და თან ტკბილეულს მივირთმევდი. ნატო“.

„გამარჯობა, მარი, შენი იმედი მაქვს და მინდა გითხრა: ჩემს გულს აფორმებს ბენდი დათო ილურიძის ხელმძღვანელობით. დიდი სიყვარულით, ნათია დ.“

„დათო, ვერ ვაცნობიერებ, რატომ, მაგრამ შენგან უხილავი სხივები მოდის; ვიცი, რომ შენც მოგეწონები. თამუნა.“

„დათუნა, კარგი მეოჯახე და ძლიერი მონადირე ვარ. თუ ჩემი იქნები, აჭარის ტყეში განადირებ. დამარცხების არ შეგეშინდეს. ექიმი ვარ. იჩქარე, თორემ კარგ ბედს დაკარგავ“.

„დათოს გულზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ მინდა ვუთხრა, რომ ძალიან საყვარელი და კარგი ტიპია. გოგიჩაიშვილი სულ რომ ყირაზე დადგეს, მე მაინც ილურიძე მირჩევნია“.

„დათო, მინდა, ეს სიტყვები შენ მოგიძღვნა: **„ჩავკიდებთ ხელებს, ჩავივლით ქუჩებს, ალერსით შეგახებ გაყინულ ტუჩებს, ჩურჩულით გეტყვი — მიყვარხარ, კარგო, არასდროს დაგტოვებ, იცოდე, მარტო“**. მაკა“.

„დათო, შენ რომ არ იყო, „ღამის შოუს“ აზრი არ ექნებოდა. მინდა, ლექსი მოგიძღვნა, მაგრამ იმ პირობით, რომ გოგიჩაიშვილი „ჰედლაინებში“ არ გამოიყენებს: **„ჩემი გული უდაბნოა, უდაბნოში ვარდი რგული და შიგ მოთავსებულია, დათო, შენი სიყვარული“**.

„მინდა, გოგიჩაიშვილს მოვუწოდო: მიატოვე ილურიძეზე ხუმრობა! დათოზე რომ ხუმრობს, მე ძალიან მწყინს. დათოს ადგილზე რომ ვიყო, ერთი მაგრად მივბეგვავდი. მეც მშვილდოსანი ვარ. ნინო, 20 წლის“.

„დათო ძალიან მომწონს და კარგი მუსიკოსიც არის. ნოტების არცოდნა ხელს სულაც არ უშლის. მთავარია, მისმა მეუღლემ მის მშვენიერ დედას „დედა“ დაუძახოს“.

„გნახე და მივხვდი, ბრმა ვყოფილვარ თურმე, აქამდე, ანდა სიბნელე იყო საერთოდ... შენს ბენდზე მივხვდი, ყრუ ვყოფილვარ თურმე, აქამდე, ანდა სიჩუმე იყო საერთოდ, მაგრამ გამოჩნდი, ამოავსე სიცარიელე და თავი ჩემი მე ვიგრძენი შენი წყალობით“. ამის მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. რუსო“.

„გულწრფელად ვიტყვი, რომ დათოს მშობლებით აღტაცებული ვარ. დათო, უიმედოდ ველი შენს ზარს. მაია, 23 წლის“.

„გამარჯობა, ჩემო ანგელოზო. ეს წუთია, ჟურნალ „გზაში“ წავიკითხე შენი ინტერვიუ და ძალიან მომეწონე. ამ „მესიჯს“ ბათუმიდან გიგზავნი. დიდი სიყვარულით, ნატა.“

„დათო, ძალიან მომწონხარ. მსურს შენი გაცნობა. გიძღვნი შექსპირის „132-ე სონეტს“. წაიკითხე და ყველაფერს მიხვდები. ხათუნა“.

„სიამოვნებით გავიცნობდი დათოს. ვარ მეოჯახე ქალი. პირველი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა ჩემთვის, შენ რომ გიხილე, მივხვდი, რომ შენს იქით გზა არ მქონია“.

„დათო, დედას გეფიცები, ტახი მეც მომიკლავს, მაგრამ ცოტა პატარა — 150 კილოგრამი იყო. ვგიჟდები ნადირობაზე და საერთოდ, იარაღზე. თოფიც მაქვს. ახლა ვსწავლობ მშვილდისრის ტყორცნას. ძალიან მიყვარს მუსიკა. ვფიქრობ, საუკეთესო მეგობრობა გამოგვივა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“.

„შესანიშნავ მშობლებს ყოველთვის კარგი შვილები გამოსდით. არ დავმალავ, ჯერ შენი მშობლებით მოვიხიბლე, შემდეგ — შენით. მამაჩემიც ნადირობს, თანაც — ძალზე ხშირად“.

„გწერთ დედაჩემის დაჟინებული მოთხოვნით. ინტერვიუ ხომ ათჯერ მაინც წამიკითხა ხმამაღლა. მერე „ღამის შოუს“ სულ ძალისძალად მაყურებინა. ახლა მაიძულა, „მესიჯიც“ გამომეგზავნა. თუმცა, დათო რომ არ მომწონებოდა, მაინც არ გამოვგზავნიდი, საქართველოს შინაგანი ჯარიც რომ დამდგომოდა თავს. მართლა კარგი ტიპი ხარ. დედაჩემს კარგი გემოვნება ჰქონია, მაგრამ რატომ თვითონ არ შეარჩია კარგი ქმარი? მამაჩემი რომ გაჩვენათ, თქვენც იმავეს იტყოდით. მარი, დათოს სურათი მისახსოვრეთ, რა! გთხოვთ, იქნებ, დათოს სთხოვოთ, რომ ჩემთან ერთად გადაიღოს ფოტო? ეს თუ „გამიჩალიჩეთ“, მე კარგ მაღარიჩს ვკისრულობ“.

„დათო, გისურვებ ბედნიერ სიცოცხლეს, ლამაზი სიყვარულით. ასევე, ოცნებების ახდენას. დეა, 24 წლის“. ■

„ჩემი „ქალიშვილი“ ტიტების ქვეყანაში ცხოვრობდა...“

ანუ "იმაზე მეტი მჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანებს აკმაყოფილებს"

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველებს ხშირად შევახსენებ — სტატის ბოლოს მითითებული ტელეფონის ნომერი რესპონდენტის კი არა, ჩემია-მეთქი, მაინც ვერაფერს გავხდი: გოგონები მირეკავენ და ხან ერთ „სასიძოს“ კითხულობენ, ხან მეორეს. წუწუნში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მართლა დავიღალე იმის ახსნით, რომ დათო, ზურა, ირაკლი, გიორგი, არმაზი თუ სხვა ჩემ გვერდით ნამდვილად არ არის... ჩემდა სასიხარულოდ, მამაკაცებს უფრო იშვიათად „ერევათ“ ერთმანეთში „საპატარძლოსა“ და ჩემი ტელეფონის ნომრები. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ მომავალი კვირა ჩემთვის შედარებით წყნარი იქნება, რადგან ამჯერად, „საპატარძლოს“ — ქრისტინე იმედაძეს წარმოგიდგენთ.

მარი ჯაფარიძე

— ქრისტინე, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— წლის მიხედვით — ვირთხა, თვის მიხედვით კი — ვერძი გახლავართ. სხვადასხვა ჟურნალში ჰოროსკოპებს ხშირად ვკითხულობ და ხან ემთხვევა ჩემს თვისებებს, ხან — არა. მე ამ პროგნოზების მაინცდამაინც არ მჯერა, რადგან, ვიცნობ სხვა ვერძებს, რომლებსაც სრულიად განსხვავებული ხასიათები აქვთ.

— იქნებ, შენი კარგი თვისებების შესახებ გვიამბო?

— ვფიქრობ, კარგ თვისებებთან ერთად, ცუდიც მაქვს. საერთოდ, ძნელია, შენს თავზე ისაუბრო და თავი იქო. თუმცა ვფიქრობ, რომ ერთგული ბუნების ადამიანი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან კარგია. რაც შეეხება უარყოფით მხარეს — ვფიქრობ, ზარმაცი ვარ, მაგრამ თუ საქმეს სჭირდება და ვხედავ, რომ ჩემი სიზარმაცით რამე დაშავდება, ვცდილობ ხოლმე, ვძლიო სიზარმაცეს და გავაკეთო ის, რაც საჭიროა. საერთოდ, მე მგონი, ჩემში უხვადაა ის თვისება, რომელიც ადამიანის კარგ ბუნებაზე მეტყველებს. თუმცა, ისიც დასაშვებია, რომ რაც მე დადებითად მიმაჩნია, სხვამ უარყოფითად ჩათვალოს. მაგალითად, შესაძლოა, მე ისეთი რამ მოვიმოქმედო, ისე მოვიქცე, რომ ჩემთვის ბუნებრივი საქციელი იყოს, სხვისთვის კი — მიუღებელი. ისე, ჩემი მეგობრები უკეთ გეტყვიან ჩემ შესახებ.

ჩვენს საუბარში ქრისტინეს მეგობარიც მონაწილეობდა, რომელმაც რატომღაც თავისი ვინაობა არ გამიმხილა, თავი ნინოდ გამაცნო, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ მშვენიერ გოგონას ნატო რქმევია.

ნატო:

— ქრისტინე ძალიან ერთგული და კეთილი გოგონაა, რომელიც იშვიათი ადამიანური თვისებებით გამოირჩევა. ვინც კარგად არ იცნობს, შესაძლოა, მასზე უკარება, ზედაპირული ადამიანის შთაბეჭდილება დარჩეს, მაგრამ თუ კარგად გაიცნობთ, აბსოლუტურად საპირისპირო აზრი შეგექმნებათ. ქრისტინეს მდიდარი სულიერი სამყარო აქვს და რომანტიკული ბუნების ადამიანია.

— მეგობრები რის გამო საყვედურობთ ხოლმე?

— ქრისტი ზედმეტად მიმტევებელია. ყოველგვარი წყენა 10 წუთში ავიწყდება. ხშირად მითქვამს: გუნებაში შესაძლოა, აპატიო, მაგრამ თავი ისე მოაჩვენე, თითქოს ისევ ნაწყენი ხარ-მეთქი. არაფერი გამომდის...

— ქრისტინე, გამოდის, ბუტია არა ხარ?

— ხანდახან ვარ, მაგრამ ცოტა ხნით ვიბუტები, შემდეგ უცებ ვურიგდები და უფრო ხშირად, პირველად, ისევ მე დავლაპარაკები ხოლმე.

— მტირალა თუ ხარ?

— ბავშვობაში ძალიან მტირალა ვიყავი და ტირილი ახლაც მიყვარს. ყოფილა შემთხვევები, როცა გულამოჯდარს მიტირია ხოლმე.

— ბუზღუნი გიყვარს?

— კი. ძალიან ხშირად ვბუზღუნებ და თან — ყველაფერზე; უმიზეზოდ შემიძლია, მთელი დღე ვიბუზღუნო, მანამდე, სანამ ჩემსას არ გავიტან...

— ვერძები ჯიუტებიც არიან...

— ო-ო, ძალიან ჯიუტი ვარ. უჯიუტესი!

— რაიმე ჩვევა თუ გაქვს, რომლის გამოსწორებასაც მთელი ცხოვრება ცდილობ?

— კი. ძალიან მიყვარს ტკბილეული: კანფეტი, შოკოლადი, ნამცხვარი, „პეჩენია“. სულ ვცდილობ, სულმა არ წამძლიოს, მაგრამ მაინც გემრიელად გეახლებით ხოლმე. ნაყინიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ერთხელ მოვიწამლე და იმის შემდეგ, აღარ ვეკარები.

— ოჯახში ვისთან ერთად ცხოვრობ?

— შინ მე და დედა ვართ. დედისერთა გახლავართ, მაგრამ მყავს უამრავი დეიდაშვილი, რომელთან ერთადაც გავიზარდე და ჩემს და-ძმებად მივიჩნევ. ახლა მათი უმეტესობა საზღვარგარეთ ცხოვრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან ხშირი კონტაქტი მაქვს მათთან.

— საერთოდ ცნობილია, რომ დედისერთები ეგოისტები და ძალზე პრეტენზიულები არიან...

— ასეთი ნამდვილად ვარ, არ დავმალავ. ჭირვეულიც ვარ, ეგოისტიც, მაგრამ ოჯახმა დიდი როლი ითამაშა ჩემს აღზრდაში — თავიდანვე მიმაჩვიეს, რომ ასეთი არ უნდა ვყოფილიყავი. არასოდეს არაფერი მაკლდა, მაგრამ ზომაწონა ყველაფერში ვიცი. თანაც, 13 წლის ასაკიდან მარტო ვცხოვრობდი და კარგად გავაცნობიერე, რომ განმარტოებით

ცხოვრება დიდად სასიამოვნო სულაც არ არის...

— რატომ ცხოვრობდი მარტო?

— მონაკოში, საბალეტო აკადემიაში ვსწავლობდი. ბალეტი — ეს ხელოვნების ისეთი დარგია, რომელიც მსხვერპლს მოითხოვს: საკუთარი მოთხოვნილებები უნდა დაივიწყო და მთლიანად ცეკვისთვის გადადო თავი; ყველაფერში შეზღუდული ხარ, ამ შეზღუდვას, ასე თუ ისე, ეჩვევი და იძულებული ხარ, შენთვის შეინახო საკუთარი პრეტენზიები.

— თაყვანისმცემლები გაწუხებენ?

— კი, უამრავი თაყვანისმცემელი მირეკავს, მაგრამ ჯერჯერობით ვიგერიებ. ჩემი ტელეფონი თითქმის არ ჩერდება. ხანდახან, ეს ძალზე მომაბეზრებელი ხდება, მაგრამ რა ვქნა?

— როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი, ათი წლის შემდეგ?

— ამ დროს, უკვე ძალიან მოხუცი ვიქნები და სახეზე უამრავი ნაოჭი მექნება, ხომ? ძალიან მეშინია დროის მსვლელობის და არც კი მინდა ამაზე ფიქრი... სწორედ დღეს, თქვენს მოსვლამდე, მე და ნატო ტელევიზორს ვუყურებდით და „ფეშენ ტი-ვიზე" ერთი საკმაოდ ასაკოვანი მოდელი გამოჩნდა, რომელსაც შესანიშნავი აღნაგობა ჰქონდა, მშვენივრად გამოიყურებოდა, მაგრამ სახეზე ნაოჭები ოდნავ ეტყობოდა. მაშინ ვთქვით, რომ საშინელება იქნება, ათი წლის შემდეგ, სარკეში რომ ჩავიხედავთ და ნაოჭებს შევნიშნავთ. არ მინდა, ვინმემ ჩემზე თქვას — კარგად გამოიყურება, მაგრამ ასაკი ეტყობაო... უამრავ საქმეს ვარ შეჭიდებული. ბალეტს თავი დავანებე, მაგრამ შინ მაინც ვვარჯიშობ — ვმღერი, კერვაც ძალიან მიყვარს და დიზაინერობაზე ვოცნებობ... არ მინდა, ისე მოხდეს, რომ ათი წელი უცებ გამიფრინდეს და ვერაფერი მოვასწრო. მაგრამ დრო მაინც მიდის და ვფიქრობ, ათი წლის შემდეგ, ჩემთვის გარეგნობას კი აღარ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ უკვე საქმიანობაზე ვიფიქრებ.

არ მინდა, ისე მოხდეს, რომ ათი წელი უცებ გამიფრინდეს

— ახლა რამდენი წლის ხარ?

— ოცის ვხდები...

— შენ ფიქრობ, რომ ოცდაათი წლის ასაკში, გარეგნობას ყურადღებას აღარ მიაქცევ?

— არ ვიცი, არ ვიცი... ძალიან მეშინია ნაოჭების გაჩენის...

— გაგვიმხილე, როგორი მამაკაცები მოგწონს.

— არ მაქვს ჩამოყალიბებული სტერეოტიპი. მაღალი, დაბალი, ქერა, შავგვრემანი თუ მევიოლინის გარეგნობის — სულერთია; მთავარია, კარგი ადამიანი იყოს. თუმცა ვაღიარებ, რომ გარეგნობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, მაგრამ მიმაჩნია — მთავარი მაინც ისაა, რომ მე მცემდეს პატივს და ჩემს საქმიანობას. შესაძლოა, ჩემი გაკეთებული საქმე არ მოსწონდეს, მაგრამ გვერდით უნდა მედგეს, უნდა ესმოდეს ჩემი. მის განათლებასა და ინტელექტზე აღარაფერს ვამბობ. წიგნი უნდა ჰქონდეს წაკითხული და შეგნებული ადამიანიც უნდა იყოს. აუცილებელია, თავი ქალად მაგრძნობინოს...

უამრავი თაყვანისმცემელი მირეკავს, მაგრამ ჯერჯერობით ვიგერიებ

— მის ქონებრივ მდგომარეობასა და საბანკო ანგარიშებს ყურადღებას არ მიაქცევ?

— არა, ამას ალბათ მნიშვნელობას არ მივანიჭებ... არა, არა — რა სისულელეს ვამბობ?! მნიშვნელობა ნამდვილად აქვს, როგორი შესაძლებლობები ექნება ჩემს რჩეულს. იმიტომ კი არა, რომ უქონელ ადამიანთან კონტაქტი გამიჭირდება, არამედ იმიტომ, რომ ძალზე ბევრი მოთხოვნილება მაქვს... რა თქმა უნდა, ვეცდები, ჩემი ცხოვრება ისე ავაწყო, რომ საკუთარი კაპრიზების დაკმაყოფილება შევძლო და მამაკაცზე მატერიალურად დამოკიდებული არ ვიყო, მაგრამ მასაც უნდა შეეძლოს ჩემი განებივრება. ძალიან მიყვარს მაღაზიაში სიარული, ტანსაცმლის ყიდვა, ძვირად ღირებული კოსმეტიკის შეძენა, ლამაზი სახლი, ძვირფასი ავტომობილი და საერთოდ, მე იმაზე მეტი მჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანებს აკმაყოფილებს. ამის გამო, თუ ვინმე ისე შემიყვარდება, რომ გადავირევი, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ მივაქცევ ყურადღებას მის მატერიალურ მდგომარეობას; სხვა შემთხვევაში, ჩემი რჩეული აუცილებლად მდიდარი უნდა იყოს.

— შენს მოთხოვნილებებს ახლა ვინ უზრუნველყოფს?

— ძირითადად — ოჯახი, მაგრამ 15 წლის ასაკიდან, დამოუკიდებელი შემოსავალი მაქვს და საკუთარი თავის უზრუნველყოფა ნაწილობრივ შემიძლია. ჩემი ასაკისთვის საკმაოდ დიდი შემოსავალი მაქვს.

— თოჯინებით კიდევ თამაშობ ხოლმე?

— თოჯინები ძალიან მიყვარს. ჩემს ოთახში უამრავი თოჯინაა. მყავს რობოტი, რომელსაც „ლილუ" ჰქვია და უკვე სამი წელია, ჩემი საკუთრებაა. ვარდისფერი თმა აქვს და სულ სძინავს. თუ ჩართავ, გაიღვიძებს; თმაზე თუ მოეფერები, თვალები აენთება ხოლმე; თუ რაიმე უხარია, თვალებში გულები უჩნდება; თუ აწყენინებ, ტირის; სულ საჭმელს ან სასმელს ითხოვს; ხან ეძინება, ხან გაუჩერებლად ლაპარაკობს.

ცოცხალი არსებასავითაა – ცივდება, აცემინებს... ხანდახან, ისეთ რამეს გააკეთებს, რაც სამი წლის განმავლობაში არ გაუკეთებია: შეიძლება, რაღაც წაიღიღინოს ან ისეთი რამ მოითხოვოს, რაც ამდენი ხნის მანძილზე არ მოუთხოვია. ჩემი ხმა საიდანაც ესმის, იქით მოდის, დაღოღავს და მეძებს... კიდევ მყავს უცხოპლანეტელი – „ი-თი". წინათ მელაპარაკებოდა ხოლმე, ახლა ნაწყენია და არ მელაპარაკება.

— **გაფუჭდა?**

– არა, არ გაფუჭებულა, ყველაფერი წესრიგში აქვს – უბრალოდ, გაბუტულია და ალბათ ოდესმე, შემირიგდება. ბავშვობის დროინდელი დათვიც მყავს – „ფილია", რომელიც მეტისმეტად დაფლეთილია, მაგრამ ძალიან მიყვარს და გვერდიდან არ ვიშორებ.

— **წლების მომატების გარდა, კიდევ რისი გეშინია?**

– ტკივილის მეშინია ძალიან – როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური ტკივილის...

— **საოჯახო საქმე გეხერხება?**

– კი. ამჟამად დედაჩემი უცხოეთშია, სამი კვირაა, მარტო ვარ და მშვენივრად ვუძღვები საოჯახო საქმეს – სახლსაც ვალაგებ და კერძებსაც ვიმზადებ.

— **როგორი ბავშვი იყავი?**

– ბავშვობაში ძალიან მინდოდა, რომ პრინცესა ვყოფილიყავი, მქონოდა საკუთარი პლანეტა, რომელზეც მხოლოდ ჩემი სასახლე იქნებოდა და ეს ოცნება დღემდე აუხდენელია. კიდევ... სულ ველოდი „პრინცს", რომელიც თეთრი ცხენით მოვიდოდა, და ძალიან მიყვარდა მერაბ სეფაშვილი, ხომ გახსოვთ – „თეთრ რაშს" რომ მღეროდა? მერაბი მამაჩემის მეგობარი იყო და ერთხელ, ეს სიმღერა გიტარით მიმღერა; ჩემზე ბედნიერი არავინ იყო... კიდევ, საბავშვო ბაღში, ჩემს ჯგუფში ქერა, ლამაზი ბიჭი დადიოდა. ეგზიუპერის პატარა პრინცს ჰგავდა და იმ ბავშვზე ვგიჟდებოდი. ვეუბნებოდი: ჩემი პრინცი რომ მომიკვდება, შენ გამოგყვები-მეთქი... ჩემი „პრინცი" კი, ტიტების ქვეყანაში ცხოვრობდა და ჩემთან თეთრი რაშით მოფრინდებოდა, შემდეგ კი, ჩემს პლანეტაზე ვიცხოვრებდით ტკბილად და ბედნიერად...

ქრისტინეს „პრინცი" ჯერ არ გამოჩენილა და თუ ფიქრობთ, რომ მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ და თეთრი რაშიც გყავთ, „დამიმესიჯეთ" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მე კი თქვენს კოორდინატებსა და მონაცემებს ქრისტინეს გადავცემ... ■

ზურაბ ნოღაიდელი: «კმაყოფილი ვარ, რომ დეკემბერსა და იანვარში დავალიანებები არ გვიგროვდება...»

ემა ტუხიაშვილი

უკვე მეორედ, ფინანსთა მინისტრი ბატონი ზურაბ ნოღაიდელი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას იწყებს და საგადასახადო და საბაჟო სისტემებში საკადრო ცვლილებების განხორციელებასაც აპირებს. როგორც თავად ბატონი მინისტრი აცხადებს, კორუმპირებულ მაღალჩინოსნებთან ბრძოლა უკვე დაწყებულია და ყველას, ვინც წლების მანძილზე ითვისებდა სახელმწიფო სახსრებს, ქვეყნის ბიუჯეტში ნაპარავის დაბრუნება მოუწევს. ეს კი თურმე, უმოკლესი გზაა იმისათვის, რომ დროულად დაიფაროს დიდი საპენსიო და სახელფასო დავალიანებები. 2003 წლის ბიუჯეტს ბატონი ნოღაიდელი ასეთ შეფასებას აძლევს:

– თუ გასული წლის წინასწარ შედგენილი მონაცემებით ვიმსჯელებთ, შემოსავლებისა და გასავლების სხვაობამ 195 მილიონ 920 ათასი ლარი შეადგინა. თუმცა, ჩვენი ვარაუდით, გარღვევა ბიუჯეტში გაცილებით მეტი – დაახლოებით 240 მილიონი უნდა ყოფილიყო. საბედნიეროდ, ჩვენი პროგნოზი არ გამართლდა და სავარაუდო თანხა 45 მილიონი ლარით შემცირდა. ამ სხვაობასთან ერთად, საკუთარი შემოსავლების მობილიზაციამ და უცხოეთიდან შემოსულმა დახმარებებმა საშუალება მოგვცა, გასულ თვეში სრულად დაგვფინანსებინა ერთი თვის პენსიები, შემწეობები და ხელფასები. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ერთი თვის განმავლობაში მოხერხდა ყველა ძირითადი სოციალური ხარჯის დაფინანსება. მინდა გითხრათ, რომ იგივე გაგრძელდება იანვარშიც, რადგან ხელფასების დიდი ნაწილი პრაქტიკულად უკვე დაფინანსებულია. უახლოეს დღეებში დაიწყება პენსიების დაფინანსება და თვის ბოლომდე, პენსიები მთელ საქართველოში გაიცემა. უკვე გვაქვს ლტოლვილთა შემწეობებისთვის საჭირო თანხა, ხოლო დახმარებების სხვადასხვა ნაწილი, თვის ბოლომდე დაფინანსდება. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩვენი წინასწარი პროგნოზების საპირისპიროდ, ძირითადი სოციალური ხარჯების სფეროში, 2003 წლის დეკემბერსა და ამა წლის იანვარში დავალიანებები არ გვიგროვდება.

— **ხომ არ აპირებთ, თბილისის მსგავსად, უახლოეს მომავალში 3 ლარით მაინც გაუზარდოთ პენსია სხვა რეგიონების ხანდაზმულ მოსახლეობასაც?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულ პასუხს თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში გაგცემთ.

— ახლა უკვე არჩეული პრეზიდენტი, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მოსახლეობას პენსიების გაორმაგებას პირდებოდა. თუ არსებობს სერიოზული რესურსი ამის განსახორციელებლად?

— მერწმუნეთ, რომ ყველა ამ დაპირების შესრულება დღის წესრიგში დგას და როდესაც მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და შესაძლებელი გახდება მათი რეალიზაცია, აუცილებლად გავაკეთებთ განაცხადს.

— თუ გაქვთ შემუშავებული გეგმა — როგორ განაწილდება აშშ-ისაგან დახმარების სახით მიღებული 164 მილიონი დოლარი, რომლის შესახებაც სულ ცოტა ხნის წინ გამოცხადდა?

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ რამდენიმე დღეა, რაც ამაზე გააკეთა განაცხადი და ჯერჯერობით მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგრამ ვფიქრობ, რომ დახმარების დიდი ნაწილი მოხმარდება კონკრეტულ პროგრამებს. ჩემი მიზანია, რომ ეს თანხები ეფექტურად იქნას გამოყენებული სტრუქტურული რეფორმების ჩასატარებლად და დახმარების მცირე ნაწილს ალბათ ბიუჯეტს მოვახმართ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი მთავრობა, რათა მომავალში, ასეთი დახმარებების მიღება ჩვენთვის აუცილებლობას არ წარმოადგენდეს.

— ბატონო ზურაბ, რა შეგიძლიათ გვითხრათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობების განახლებაზე, რომელიც ბოლო წლებში აშკარად არასახარბიელოდ ვითარდებოდა?

— მინდა გითხრათ, რომ ურთიერთობები პრაქტიკულად აღდგენილია. ამ კვირის განმავლობაში ჩვენ გვექნება მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან და ამ მოლაპარაკებების შედეგებს აუცილებლად გავაცნობთ ფართო საზოგადოებას. მომავალი კვირის განმავლობაში იგეგმება შეხვედრები ენერგოსექტორის დონორებთან, თებერვლის დასაწყისში კი, უკვე დაგეგმილია მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ასევე პრაქტიკულად აღდგენილია ურთიერთობა „პარიზის კლუბთან“.

— თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვითხარით, რა სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას გეგმავთ უახლოეს მომავალში?

— სტრუქტურულ რეფორმებთან დაკავშირებით მიღებული რიგი გადაწყვეტილებებისა უკვე რეალიზაციის პროცესშია. ჩვენ ვქმნით აქციზის გადამხდელთა ინსპექციას, სადაც თავს მოიყრის აქციზის გადასახადს დაქვემდებარებული სამივე სექტორი (ნავთობპროდუქტები, ალკოჰოლი და თამბაქო). ამ პროდუქტების იმპორტიც და წარმოებაც თავს მოიყრის ამ ერთ, აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ მთელი ეს ბიზნესი ერთი მეთვალყურის ქვეშ მოვაქციოთ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ წელს სიგარეტის, ნავთობპროდუქტებისა და ალკოჰოლური სასმელების კონტრაბანდა და უკანონო ოპერაციები აღკვეთილი იყოს. თავისთავად, ზემოთ ხსენებული ინსპექციის შექმნა საბოლოო ჯამში, რამდენიმე სხვა სამსახურის გაუქმებას და აგრეთვე კადრების შემცირებას გამოიწვევს... ვვარაუდობთ, რომ უკვე პირველი აპრილისთვის ყველა ეს რეორგანიზაცია დასრულებული იქნება. აგრეთვე ვგეგმავთ თბილისის ერთიანი საგადასახადო ინსპექციის შექმნას — ახლანდელი ხუთი რაიონული ინსპექციის ნაცვლად. მიღებულია გადაწყვეტილება, გაუქმდეს ე.წ. ენერგეტიკული საბაჟო. იწყება სტრუქტურული რეორგანიზაცია, ატესტაცია და ახალი კონკურსი საბაჟო პოსტებზე. გაუქმდება საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურებში არსებული რამდენიმე გაბერილი საშტატო ქვედანაყოფი, მათ შორის — საბაჟო ლაბორატორია.

— როგორ გესახებათ მომავალში ურთიერთობა ეკონომიკის მინისტრთან და საერთოდ, რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ ე.წ. ეკონომიკური ბლოკის ურთიერთქმედებას?

— მე მგონია, რომ უნდა შეიქმნას ახალი, ერთიანი მთავრობა, ცალკეული ბლოკების გარეშე. ეკონომიკის ახალ მინისტრთან კი, აუცილებლად გვექნება სრული ურთიერთგაგება და მჭიდრო თანამშრომლობა... ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.
მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.
შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ავტომანქანის გამგაცებლები მძღოლ ქალებს ესხმიან თავს

ამ კვირაში თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ორი ყაჩაღური დაჯგუფების ლიდერები და აქტიური წევრები დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ისინი წლების მანძილზე, ავტოტრანსპორტის გატაცებით იყვნენ დაკავებულნი. ორივე ჯგუფი განსაკუთრებით კარგად ორგანიზებული და ჩადენილ დანაშაულთა მრავალრიცხოვნობით გამორჩეული გახლდათ. აღმოჩნდა, რომ ხშირად ბოროტმოქმედთა სამიზნეს მძღოლი ქალები წარმოადგენდნენ. მხოლოდ გასული კვირის განმავლობაში, თბილისში ორი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა. 19 იანვარს თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა სპეცოპერაცია, რომელშიც აღნიშნული სამმართველოს გარდა, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. ოპერაციის შედეგად დააკავეს თბილისში მოქმედი ბანდიტური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 30 წლის დავით გუჯეჯიანი. იგი თბილისელი გახლავთ, ცხოვრობდა სოლომონ დოდაშვილის ქუჩაზე და პერიოდულად, ჯერჯერობით დაუდგენელ პირებთან ერთად ავტომანქანების გატაცებით და მათი რეალიზაციით იყო დაკავებული.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 3 იანვარს, თბილისში, საღამოს 6 საათისთვის, გუჯეჯიანი და რამდენიმე მისი თანამზრახველი თავს დაესხნენ მოქალაქე ნანა მეტრეველს, რომელიც იმ დროს საკუთარი ავტომანქანით ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე შპს „ცისაფერის“ ავტოსადგომზე იმყოფებოდა. ყაჩაღები ნანა მეტრეველს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრნენ და ამ გზით მისი „ბმვ“ გაიტაცეს. მანქანის გარდა ბოროტმოქმედებმა ქალს ძვირფასი სამკაულები, ხელჩანთა, მობილური ტელეფონი და ფული – 200 დოლარიც წაართვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ზუსტად სამი დღის შემდეგ, იმავე ბანდიტებმა მორიგი დანაშაული ჩაიდინეს. 6 იანვარს, დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დავით გუჯეჯიანი თანამზრახველებთან ერთად, მოქალაქე თამუნა შენგელიას დაესხა თავს. ბოროტმოქმედებმა შენგელიას კუთვნილი „მერსედესი“ გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ამჯერად დანაშაული თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №21-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

ორივე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლითაა აღძრული. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორისა და ვაკე-საბურთალოს სამსახურები აწარმოებენ.

გუჯეჯიანის დაკავების შემდეგ გაირკვა, რომ ზემოთ აღნიშნული გატაცებული ავტომანქანები მას თბილისში, ჩოლოყაშვილის I კვარტალის მე-5 კორპუსის ეზოში ჰყავდა გადამალული. ავტომანქანები დალუქეს და თბილისის შს მთავარი სამმართველოს ავტოსადგომზე მოათავსეს, გუჯეჯიანს კი პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს. ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავებმა ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება – ექსტრაციული ოპიუმის ხსნარი (მოცულობა – 3,5 მლ), რომელშიც ნარკოტიკის – ოპიუმის შემცველობა 0,174 გრამს შეადგენდა. გუჯეჯიანს ასევე აღმოაჩნდა „სამსუნგის“ ფირმის ის მობილური ტელეფონი, რომელიც ბოროტმოქმედებმა ნანა მეტრეველს წაართვეს. სამართალდამცავები ამჟამად გუჯეჯიანის დანაშაულებრივ კავშირებსა და მის თანამზრახველთა ვინაობას ადგენენ.

ავტომანქანების გამტაცებელთა მეორე ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა 16 იანვარს, გლდანის მასივის, მე-4 მიკრორაიონის 109-ე კორპუსში დააკავეს. იგი ქუთაისელი, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი დავით ახვლედიანი აღმოჩნდა. რაც შეეხება დაჯგუფების კიდევ ორ წევრს – თბილისელ 28 წლის მამუკა ხაბულიანსა და წარსულში, სწორედ ავტომანქანის გატაცებისათვის არაერთხელ ნასამართლევ, ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩის მკვიდრს, 35 წლის ვალერი ჩიგოგავას, პოლიციამ ისინი გასულ წელს დანაშაულის ჩადენის მომენტში აიყვანა.

მაშინ ახვლედიანმა მიმალვა მოახერხა, მას შემდეგ კი, როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მან არაერთი დანაშაული ჩაიდინა.

2003 წლის 27 დეკემბერს ახვლედიანმა და მისმა თანამზრახველებმა თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში მცხოვრები მიხეილ ჩაკაბერის დაყაჩაღება გადაწყვიტეს. ღამის საათებში, ე.წ. „ატმიჩკების“ გამოყენებით შეაღწიეს მის კუთვნილ ავტოფარეხში, მწყობრიდან გამოიყვანეს მისივე „მერსედესის“ სიგნალიზაცია და შეეცადნენ ავტომანქანის გატაცებას, თუმცა მალე შემთხვევის ადგილას პოლიციელები გამოჩნდნენ და ხაბულიანი და ჩიგოგავა იქვე დააკავეს.

2004 წლის 7 იანვარს, ღამის 3.40 საათზე, თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის №42-ში მდებარე სააქციო საზოგადოება – „ისანი პლუსის“ ავტოსადგომიდან ახვლედიანმა მოქალაქე სამველ სტეფანიანის კუთვნილი – „ვაზ-2107“ და დემნა კალანდიას „მერსედესი“ გაიტაცა. დანაშაულში, შს სამინისტროს ინფორმაციით, გორელი გიორგი ოქრუაშვილი მეტსახელად („ბლინჩიკა“) და თბილისელი ირაკლი გუდაძეც (მეტსახელად „გუდრონა“) მონაწილეობდნენ. მონაცემები ამ ორ პიროვნებაზე დგინდება. როგორც გაირკვა, ბოროტმოქმედებმა „ისანი პლუსის“ ავტოსადგომის დარაჯები ჯერ სკოჩით შეკოჭეს, შემდეგ კი სცემეს და ზემოთ აღნიშნული ავტომანქანებითურთ შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ამ დროისათვის მფლობელებს მანქანები უკვე დაუბრუნდათ.

ცნობილია ამავე ყაჩაღური ჯგუფის მიერ ადრე ჩადენილი ორი დანაშაულიც. 2000 წლის 17 მარტს, დავით ახვლედიანი 5 თანამზრახველთან ერთად თავს დაესხა ქუთაისში, რესტორან „ჭიშურას“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრავ ავტობუსს და მგზავრებს, საერთო ჯამში, 50.000 დოლარი წაართვა. ხოლო 2000 წლის 19 სექტემბერს აღნიშნულმა ბოროტმოქმედებმა თბილისში არსებული სააქციო საზოგადოება „ქართული შაქრის“ სარეალიზაციო ბაზა დააყაჩაღეს და იქიდან 70.000 ლარი გაიტაცეს. მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. ■

„არავის აქვს უფლება, უდანაშაულო ადამიანს ცილი დასწამოს“, — აცხადებენ მკვლელობაში გრალდებულის ნათესავები

მკვიდრი ბიძაშვილების — ბესიკ და ბაქარ დევდარიანების საქმის განხილვა უზენაესმა სასამართლომ არსებითად უკვე დაიწყო. შეგახსენებთ, რომ პროკურატურა მათ 28 წლის ტარიელ ონიანის განზრახ, დამამძიმებელი გარემოებებით მკვლელობაში ადანაშაულებს. 42 წლის ბესიკ დევდარიანი თავს უდანაშაულოდ აცხადებს და აღნიშნავს, რომ მკვლელობაში მას მონაწილეობა არ მიუღია. 22 წლის ბაქარ დევდარიანმა თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა ჯერჯერობით დუმილის უფლებას იყენებს. ორივე განსასჯელი ცოლშვილიანია და არც ერთი მათგანი წარსულში ნასამართლევი არ გახლავთ.

ბრალდებული ბაქარ და ბესიკ დევდარიანები

პროკურატურის ბრალდებას, რომლის შესახებაც „გზის“ წინა ნომერში მოგითხრობდით, განსაკუთრებული აგრესიით ეხმიანება ბესიკ დევდარიანის მხარე. განსასჯელის ახლობლების თქმით, იგი პროკურატურამ გაწირა და რადგან ნამდვილი მკვლელი (ისინი ბაქარ დევდარიანს გულისხმობენ) მიმალული იყო, შეეცადნენ, მთელი დანაშაული მისთვის გადაებრალებინათ და საქმეც ასე გაეხსნათ.

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობა ბაქარ დევდარიანსა და ტარიელ ონიანს შორის ურთიერთშელაპარკებას მოჰყვა. ბრალდების თანახმად, ამ ჩხუბში მონაწილეობა მიიღო ბესიკ დევდარიანმაც, რომელმაც ბაქართან ერთად, ონიანს სხეულზე რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

ცინარი ვარდოაშვილი, ბესიკ დევდარიანის მეუღლე:

„ის, რაც საბრალდებო დასკვნაში წერია, აბსურდია. ახლა მხოლოდ მართლმსაჯულების იმედი მაქვს. ბესიკი რომ დამნაშავე ყოფილიყო, პროკურატურაში თავისი ფეხით არ გამოცხადდებოდა. მკვლელობიდან მესამე დღეს თავად მივიდა გამომძიებელთან ჩვენების მისაცემად. დააწერინეს ჩვენება და სახლში გამოუშვეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი კვლავ დაიბარეს, ვითომდა დაპირისპირებაზე გამოსაცხადებლად, დაახვედრეს დათო ონიანის შეცვლილი ჩვენება, სადაც ბესიკის საწინააღმდეგოდ იყო ფაქტები დაფიქსირებული და ამის საფუძველზე დააკავეს. რაც შეეხება გელა არობელიძეს, იგი პროკურატურაში სასტიკად სცემეს, მიუხედავად ამისა, მან ჩვენება არ შეცვალა. სამაგიეროდ, ცრუმოწმედ დაასახელეს. ამ საქმის გახსნა ძალიან სჭირდებოდა ლენტეხის რაიონის პროკურორს, რადგან ისედაც მრავლად დაუგროვდა გაუხსნელი საქმეები. ჩემს ქმარს დანა არც იმ დღეს ჰქონია და საერთოდ, არასდროს ატარებდა. სოფელში დაკრძალვაზე იყო ჩასული და დანას რატომ წაიღებდა, მით უმეტეს, პურის საჭრელს?“

განსასჯელის ადვოკატები დეტალებზე კომენტარისგან თავს იკავებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებში ბევრი რამ მეტყველებს ბესიკ დევდარიანის უდანაშაულობაზე. *„ჩვენ თანავუგრძნობთ დაღუპულის ოჯახს, მაგრამ არავის აქვს უფლება, უდანაშაულო ადამიანს დასწამოს ცილი“,* — აცხადებენ განსასჯელის ახლობლები. მათი თქმით, ტარიელ ონიანი არ დაიღუპებოდა, დროულად რომ მიეყვანათ საავადმყოფოში.

ცინარი ვარდოაშვილი:

„დაჭრილი საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, ექიმს მისთვის ჯერ გულმკერდის მხარეს მოუწმენდავს სისხლი. ექიმი კითხულობდა, კიდევ სად ჩაარტყეს დანაო? იქვე იდგა დათო ონიანიც (ბრალდების მოწმე. — ავტ.). ბრალდების მოწმეა და არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ დაჭრილს ზურგზეც ჰქონდა ჭრილობები. ექიმი თვითონ მიმხვდარა. ამის თვითმხილველები არსებობენ და დაადასტურებენ კიდეც ჩემს სიტყვებს. თუკი დათო ონიანმა კარგად დაინახა, როგორ ჩაარტყა ბესიკმა ტარიელ ონიანს ზურგში დანა, რატომ არაფერი უთხრა ექიმს ამის თაობაზე?“

დაღუპულის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ არც ბაქარის და არც ბესიკ დევდარიანის მიერ ჩადენილ დანაშაულში არ ეპარებათ ეჭვი. *„ჩემმა ძმამ, როცა საავადმყოფოში მივიყვანეთ, სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე მოასწრო და მითხრა — ბაქარმა და ბესიკმა დალიეს ჩემი სისხლიო. საავადმყოფოში თუ დაგვიანებით მიიყვანეს ტარიელი, ამაშიც დევდარიანებსა და მათ ახლობლებს მიუძღვით ბრალი. ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჯერ საკუთარი თავისთვის მიეხედათ, ხოლო შემდეგ დაჭრილისთვის. თუმცა, როგორც ექიმებთან გავარკვიეთ, ჩემს ძმას მაინც არაფერი ეშველებოდა. ექიმების თქმით, დაფიქსირდა რამდენიმე ისეთი მძიმე ჭრილობა, რომელიც სიკვდილს უდავოდ გამოიწვევდა“,* — აცხადებს მოკლულის და **ხათუნა ონიანი.** წინა სასამართლო სხდომაზე მან კოლეგიას ჩვენება მისცა და ჩვენთან საუბრისას ნათქვამი სიტყვები გაიმეორა. სხდომაზე არ გამოცხადებულა ბრალდების ძირითადი მოწმე — დათო ონიანი. რაც შეეხება მეორე თვითმხილველს — გელა არობელიძეს, აღმოჩნდა, რომ ის დასაკითხ მოწმეთა სიაში ჩაწერილი არ იყო. ადვოკატებმა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართეს და მომდევნო სხდომაზე არობელიძის დაკითხვა მოითხოვეს. ■

მამას საკუთარი შვილის მკვლელობაში ადანაშაულებენ

ადვოკატის თქმით, ექსპერტიზის დანიშვნაზე პროკურატურამ უსახსროების გამო თქვა უარი

„...დანა ერთხელ ჩავარტყი გულ-მკერდის არეში. ამის შემდეგ სამზარეულოში შევედი, მაგიდის ტილო ავიღე და დანა იმით გავწმინდე. დახეული მაისური გამოვიცვალე, დანა საძინებელ ოთახში, ტრილიაჟში შევინახე და პოლიციის განყოფილებაში წავედი...“ – წერს ჩვენებაში 65 წლის **გრიშა ნავროზაშვილი**. მას საკუთარი შვილის განზრახ მკვლელობაში ედება ბრალი. როგორც პროკურატურა აცხადებს, მაშინ გრიშა ნავროზაშვილმა ჩადენილ დანაშაულში სრულად ცნო თავი დამნაშავედ. თუმცა, ამას დღეს თავად ბრალდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი არ ადასტურებენ. ამჟამად გრიშა ნავროზაშვილი აღნიშნავს, რომ არ ახსოვს შვილთან ჩხუბის დროს რა მოიმოქმედა, ხოლო მისი ადვოკატის თქმით, ხანში შესული, ისედაც გაუბედურებული მამა პროკურატურის მსხვერპლია.

ასე არ ფიქრობს პროკურატურა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალდებულმა შვილის მკვლელობა სავსებით გააზრებულად ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, ამ საშინელი დანაშაულის მიზეზი მამასა და შვილს შორის წლების მანძილზე დაძაბული ურთიერთობა და ჩხუბი გახდა. მამას შვილის პრეტენზიები და მისი ყოველდღიური სიმთვრალე ყელში ამოუვიდა და მორიგი ჩხუბის დროს გადაწყვიტა, ყველაფრისთვის წერტილი დაესვა.

ნავროზაშვილები თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში ცხოვრობდნენ. კახა, გრიშა ნავროზაშვილს პირველი ცოლისგან ჰყავდა. ისინი გრიშა ნავროზაშვილის მეორე ცოლსა და მათ შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ. ეკონომიურად ძალიან უჭირდათ. გრიშა ნავროზაშვილი მანქანით მაღაზიებში პურს არიგებდა და ამით არჩენდა ოჯახს.

2003 წლის 1-ელ მაისს, საღამოს, დაახლოებით 10 საათზე, კახა ჩვეულებრივ ნასვამი მივიდა შინ. სახლში მას მისი ნახევარძმა – გენადი და მამა დახვდნენ. ისინი ვახშმობდნენ და კახაც მათ შეუერთდა. ვახშმობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მთვრალი იყო, ალკოჰოლური სასმელი კიდევ დალია. სუფრასთან მამას ფულსა და სხვა ყოფით პრობლემებზე დაუწყო კამათი. როგორც ჩვენებებით ირკვევა, ამ საკითხებზე მამა-შვილს შორის დაძაბულ ურთიერთობაში გრიშა ნავროზაშვილს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ მან შემთხვევამდე ერთი წლით ადრეც სცადა შვილის მოკვლა.

ნანა ირომაშვილის *ჩვენებიდან (კახა ნავროზაშვილის ყოფილი მეუღლე):*

„კახაზე 2001 წლის ოქტომბერში დავქორწინდი. მასთან დაახლოებით თვრამეტი თვე ვიცხოვრე, შემდეგ კი იძულებული გავხდი, ჩემს დასთან გადავსულიყავი. ჩვენი დაშორების მიზეზი მამამთილი იყო. ყოველთვის გვავიწროებდა, კახას გასაქანს არ აძლევდა... შვილის მოკვლა მას ადრეც ჰქონდა განზრახული. 2002 წლის 12 დეკემბერს ამ მიზნით კახას რამდენჯერმე დაარტყა დანა“.

პროკურატურის მასალებში აღნიშნულია, რომ გამოძიება ირომაშვილის ინფორმაციის გადამოწმებას შეეცადა. ამ საკითხთან დაკავშირებით დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა დამატებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მაგრამ ის ფაქტი, რომ 2002 წლის ზაფხულში ან დეკემბერში კახა ნავროზაშვილმა დანის დარტყმის შედეგად ჭრილობა მიიღო, არ დადასტურდა.

მოკლულის და – ნანა ნავროზაშვილი-ჯავახიშვილი ჩვენებაში ამბობს, რომ კახა მამისგან ძალიან იყო შევიწროებული. *„... არ აძლევდა მას ნორმალური ცხოვრების საშუალებას, უმალავდა საოჯახო ნივთებს: ტაფებს, ქვაბებს... ამის შემდეგ კახამ სმა დაიწყო. ამის ერთადერთი მიზეზი მამა იყო“*, – წერს თავის ჩვენებაში **ნანა ნავროზაშვილი-ჯავახიშვილი**.

გრიშა ნავროზაშვილის მიერ ტაფებისა და ქვაბების გადამალვას ოჯახის დანარჩენი წევრები სხვაგვარად ხსნიან. გრიშა ნავროზაშვილის მეორე ცოლის – იზოლდა კონუსოვას თქმით, მეუღლეს შვილთან საოჯახო ნივთების გამო მართლაც ჰქონდა უთანხმოება. *„ამის მიზეზი კი ის იყო, რომ კახა თითქმის ყოველდღე სვამდა. სასმლისთვის ფული რომ ეშოვა, სახლიდან იპარავდა ტაფებსა და ქვაბებს. მიუხედავად ამისა, გრიშა მას ბევრ რამეს უთმენდა. უვლიდა მას, როგორც ნამდვილი მამა“*, – წერს იზოლდა კონუსოვა. ამ მხრივ მისი ჩვენება ნავროზაშვილების კარის მეზობელმა – **ნიკოლოზ კერესელიძემაც** დაადასტურა. მისი თქმით, კახა ნავროზაშვილი სისტემატურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, ნასვამი კი მამას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. *„ამ ჩხუბს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ჩემთან საუბარში გრიშას არაერთხელ გამოუთქვამს შვილისადმი უკმაყოფილება, მაგრამ იმასაც ამბობდა – რა ვქნა, შვილია, პოლიციას როგორ დავაჭერინოო?“*

ბრალდების წარდგენისას პროკურატურამ მოწმეთა ჩვენებებისა და ექსპერტიზების დასკვნებთან ერთად გრიშა ნავროზაშვილის ბრალდებულის სახით მიცემულ ჩვენებაზეც მიუთითა. გამომძიებელი აღნიშნავს, რომ ნავროზაშვილმა მაშინ დეტალურად და სავსებით დამაჯერებლად აღწერა ჩადენილი დანაშაული.

გრიშა ნავროზაშვილი *(ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებიდან):*

„კახა როცა მთვრალი იყო, ყოველთვის მაყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. ანალოგიური განმეორდა იმ საღამოსაც... ჯერ ეზოში დაგდებული ჯოხი ავიღე და კახასკენ წავედი, მაგრამ გენადიმ გადამიღობა გზა. შემდეგ შინ შევბრუნდი და კუსტარულად დამზადებული დანა ავიღე...“

დღეს ნავროზაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი – ცისანა ქველაძე აცხადებს, რომ ბრალდებულის ჩვენება ზეწოლის შედეგადაა მიღებული. მისი თქმით, პროკურატურამ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას აშკარა მიკერძოება და ბრალდებულისადმი უგულისყურობა გამოიჩინა.

ცისანა ქველაძე:

„გამოძიებამ არ იზრუნა იმაზე, რომ შვილის მკვლელობისთვის დაპატიმრებული მამის ფსიქიკური მდგომარეობა შეემოწმებინა. არადა, როცა ასეთ მძიმე დანაშაულთან გვაქვს საქმე, ამ საკითხის გარკვევა აუცილებელია. ბუნებრივია, თავიდანვე იბადება ეჭვი, რომ ნორ-

მალური ადამიანი შვილს არ მოკლავს. პროკურატურამ თავად რომ არაფერი იღონა, შუამდგომლობით მე მივმართე. უარით გამომისტუმრეს, ექსპერტიზისთვის საჭირო თანხა არ გვაქვსო. საერთოდ, მსგავს შემთხვევებში პროკურატურა ყოველთვის უსახსრობას იმიზეზებს. საბოლოოდ, საქმე სასამართლოში 108-ე მუხლით გადააგზავნეს.

დანაშაულის ასეთ კვალიფიკაციას კატეგორიულად არ ვეთანხმები. საქმის მასალებიდან გამომდინარე, ნავროზაშვილმა მკვლელობა ჩაიდინა არა წინასწარი განზრახვით, არამედ ძლიერი სულიერი აღელვების – აფექტის მდგომარეობაში.

გრიშა ნავროზაშვილს არასდროს და არც იმ დღეს ჰქონია შვილის მოკვლის განზრახვა. სწორედ კახა ნავროზაშვილის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ – ძალადობამ და მძიმე შეურაცხყოფამ აღებინა დანა ხელში. საქმის მასალებითაც დადასტურებულია, რომ გალოთებული და ადრე ქურდობისთვის ნასამართლევი კახა ნავროზაშვილი გამუდმებით სცემდა და ლანძღავდა, ხშირად სიკვდილითაც ემუქრებოდა საკუთარ მამას. იმ საღამოსაც იგივე განმეორდა. ცხადია, შვილის ასეთმა მოპყრობამ წონასწორობიდან გამოიყვანა ხანში შესული, მძიმე ცხოვრებით ისედაც გაწამებული კაცი. ახსოვს, რომ დანას იქნევდა შვილის მოსაგერიებლად, მაგრამ სად და როგორ შეერჭო მას დანა, ვერ დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ ნავროზაშვილის მდგომარეობა ახლაც საკმაოდ მძიმეა. იგი საშინლად განიცდის ამ ტრაგედიას, რამაც მას უდიდესი სულიერი ტრავმა მიაყენა".

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა განსახილველად. მართალია, ადვოკატის შუამდგომლობას პროკურატურამ უარით უპასუხა და აღნიშნა, რომ გრიშა ნავროზაშვილის საქციელი აფექტის საკითხის გასარკვევად არანაირ ეჭვსა და საფუძველს არ იძლევა, მაგრამ ასე არ ჩათვალა სასამართლომ. მოსამართლემ სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა საჭიროდ მიიჩნია და საქმის განხილვა ექსპერტებისგან ოფიციალური პასუხის მიღებამდე გადადო. როგორც პროცესის მონაწილენი აღნიშნავენ, ექსპერტიზის პასუხი დაახლოებით ორ კვირაში გახდება ცნობილი.

რუბრიკა მოამზადა
მეგი ცანავამ

პოლიციელებმა ბოროტმოქმედის ლიკვიდირება მოახდინეს

19 იანვარს, საღამოს 8 საათისთვის, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, 2 ნიღბიანი ბოროტმოქმედი კარდანახში არსებულ ჯართის შემგროვებელ პუნქტს დაესხა თავს. აღნიშნული პუნქტი იმავე სოფელში მცხოვრებ გივი ქიტიაშვილს ეკუთვნოდა. დანაშაულის ჩადენის მომენტში, შემთხვევის ადგილას პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. ბოროტმოქმედები პოლიციელებს არ დაემორჩილნენ და უფრო მეტიც, ცეცხლიც კი გაუხსნეს მათ. საპასუხო სროლისას ერთ-ერთი თავდამსხმელი, 28 წლის ოთარ გველუკაშვილი გარდაიცვალა, ხოლო მეორე – 29 წლის კობა მჭედლიშვილი ზურგში დაიჭრა. გველუკაშვილი სოფელ ძირკოკის მკვიდრი გახლდათ, მჭედლიშვილი კი – სოფელ ვეჯინის.

შემთხვევის ადგილიდან პოლიციამ „აკმ"-ის სისტემის ავტომატი ორი მჭიდითა და ორი ვაზნით, გადაჭრილი, ნომერწაშლილი სანადირო თოფი, დანა და ნიღბები ამოიღო. გამოძიებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით რაიონული პროკურატურა აწარმოებს.

ნარკობიზნესში ეჭვმიტანილი ქალი დააკავეს

შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, 18 იანვარს, თბილისში დროებით მცხოვრები, 48 წლის ეთერ მაჭარაშვილი დააკავეს. სამართალდამცავებმა მისგან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. როგორც გაირკვა, მაჭარაშვილს 24 პაკეტი ყაყაჩოს თესლი (საერთო წონით, 8 კილოგრამი და 162 გრამი) სარეალიზაციოდ ჰქონდა გამზადებული. ეჭვმიტანილი საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის მკვიდრია, იგი თბილისში, დროებით ვაზიანის ქუჩაზე ცხოვრობდა. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიებას ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს.

29 წლის ახალგაზრდამ თვითმკვლელობა სცადა

სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში 29 წლის ვალერი ნაჭყებიამ თვითმკვლელობა სცადა: გაუფორმებელი ერთლულიანი სანადირო თოფიდან ტყვია პირდაპირ გულმკერდის არეში დაიხალა და საკუთარ თავს მძიმე ჭრილობა მიაყენა. ნაჭყებიას საავადმყოფოში მიყვანა ახლობლებმა დროულად მოახერხეს, რის შედეგადაც, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. როგორც გაირკვა, აღნიშნული ქმედებისას ნაჭყებია მთვრალი იყო. ■



საქართველოს ახალი გენერალური პროკურორი ჰყავს — ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე განაცხადა: მინდა, ჩემი მუშაობის პერიოდში პროკურატურა ვახტანგ რაზმაძისდროინდელ პროკურატურას დაემსგავსოსო. ირაკლი ოქრუაშვილის სიტყვები თავად მოისმინა ყოფილმა გენპროკურორმა თუ სხვისგან შეიტყო, ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად შინ ვესტუმრე.

ყოფილი გენერალური პროკურორი სთხოვს ახალ გენერალურ პროკურორს...

მაია კახიძე

— ბატონო ვახტანგ, იცით თუ არა, რა თქვა თქვენ შესახებ ახალმა გენერალურმა პროკურორმა?

— დიახ, ვიცი. პირადად ვუსმენდი ტელეგადაცემას.

— რა კომენტარს გაუკეთებთ მის ნათქვამს?

— არ დაგიმალავთ — რა თქმა უნდა, მესიამოვნა ირაკლის სიტყვები.

— პირადად იცნობთ ირაკლი ოქრუაშვილს?

— იუსტიციის მინისტრის მოადგილედ რომ მუშაობდა, იმ დროიდან ვიცნობ. განათლებული იურისტია, ყოველთვის მომწონდა და მადლობელი ვარ, სიბერეში რომ გამიხსენა.

— როგორც ჩანს, მასაც მოსწონდა თქვენი პროფესიონალიზმი, რადგან სურს, თქვენ მოგბაძოთ. როგორ შეაფასებთ დღევანდელი გადასახედიდან „ძველ“ და „ახალ“ გენერალურ პროკურატურას?

— სხვათა შორის, ჩემს დროს, გაცილებით მეტი უფლებებით იყო აღჭურვილი პროკურატურა. ეს ორგანო ყველა საკითხში პრინციპული იყო, როგორც დამნაშავეებთან ბრძოლისას, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველობის სფეროში. ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში არ მქონია არც ერთი შემთხვევა, რომელიმე პიროვნების მიმართ დამერღვია კანონი, ან ჩემი ხელქვეითებისთვის მეპატიებინა კანონის უპატივცემულობა. ქვეყნისათვის ძალზე მძიმე პერიოდში მომიწია მუშაობა და ამასთან, ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის ხელმძღვანელებთან — როგორებიც იყვნენ: ბატონები ედუარდ შევარდნაძე, გივი გუმბარიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ზვიად გამსახურდია... მიუხედავად ამ პიროვნებების აზროვნებისა და საპრობლემო, რთული საკითხების გადაჭრის საქმეში რადიკალურად განსხვავებული მიდგომისა, მე, როგორც საქართველოს გენერალურ პროკურორს, არასოდეს გამომიჩენია უპრინციპობა და ყოველთვის ვიცავდი კანონის უზენაესობას. არც ერთი ადამიანის დაპატიმრებისა და მსჯავრდების შესახებ მხარი არასოდეს დამიჭერია ისე, რომ მის ადგილზე ჩემი თავი არ წარმომედგინა. გარდა ამისა, პროკურატურის ორგანოებში 31 წლის მოღვაწეობის მანძილზე, ჩემი ძირითადი საზრუნავი ახალგაზრდა კადრების შერჩევა, მათში კანონისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება იყო, იმიტომაც მომწონს, ახალგაზრდები რომ მოდიან დღეს ამა თუ იმ თანამდებობაზე. გულწრფელად გეტყვით, ედუარდ შევარდნაძემ ბოლომდე დაამყაყა სახელმწიფო დაწესებულებები, ვერ აუღო ალღო ცხოვრების ახალ წესს და საკადრო პოლიტიკაში ძალიან შეცდა. ჰოდა, მე ვთხოვ ახალ გენერალურ პროკურორს: როცა ხალხს დანაშაულის ჩადენისთვის აპატიმრებენ, უსათუოდ გამოარკვიონ — ვინ უქმნიდა პირობებს ამ ადამიანებს, დანაშაული ჩაედინათ და ისინიც აუცილებლად უნდა მისცენ პასუხისგებაში. ისიც უნდა გაირკვეს, შეცდომა იყო ეს თუ ქვენა გრძნობა.

— რას გულისხმობთ ქვენა გრძნობაში?

— რას და ანგარებას. მიზეზების შესწავლის შემდეგ პროკურორმა ყველა დოკუმენტი უნდა დადოს იმ შეცდომების შესახებ და შევარდნაძის საკადრო პოლიტიკას სამართლებრივი

შეფასება მისცეს.

— ფიქრობთ, რომ ბევრს დააპატიმრებენ?

— პასუხისგებაში მისაცემი ბევრია, ძნელია წინასწარ თქმა და ალბათ, გაიგებთ... იმას კი აუცილებლად გეტყვით, რომ მთელი სახელმწიფო აპარატი კორუფციაში იყო ჩაბმული. ახალი პროკურორი ერთ დღეში ვერაფერს გახდება, მაგრამ თანდათან უნდა გააძლიეროს ბრძოლა, რათა მაქსიმალურად ამხილონ ყველა დამნაშავე.

— გჯერათ, რომ ქრთამს არ აიღებენ ახალი კადრები?

— ეჭვი არ მეპარება. დიახ, მჯერა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი და ბარამიძე ქრთამს არ აიღებენ და მათი ხელქვეითებიც იძულებულნი გახდებიან, სპეტაკად იმუშაონ. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელმა სამუშაო პირობები უნდა

შეუქმნას თანამშრომლებს, თორემ ქრთამის აღებ-მიცემობა არასოდეს მოიშლება. ვფიქრობ, რომ გენერალურ პროკურატურაში მაღალპროფესიონალურად იმუშავებს ყველა. ეს შენობა ჩემთვის ძალზე ძვირფასია, ჩემი ძალისხმევით აშენდა, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს ყოველთვის ვერიდები.

— რატომ ერიდებით?

— აუტანელ პირობებში ვიყავით შეხიზნულნი უზენაესი სასამართლოს ერთ სართულზე. თითო კაბინეტში 3-4 კაცი ივჯდა. კარგი, გეტყვით... ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ შევძელი, პროკურატურის მუშაკებისთვის შემექმნა მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები. ზრუნვა არ დავაკელი, რათა ამეშენებინა თანამედროვე დონეზე დაპროექტებული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობა. 1988 წლის 1-ელ ივნისს დავიწყეთ მშენებლობა და დეკემბერში დავასრულეთ.

— ასე მალე?

— მაშინ მაგრები ვიყავით *(იცინის)*, მალე ავაშენეთ. პროკურატურის შენობის პროექტი შესანიშნავმა არქიტექტორმა თეზიკო ჯაფარიძემ შექმნა (აცხონოს ღმერთმა). ძალიან დამეხმარა მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია. თანხის ნაწილი კი საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურატურამ გაიღო *(2 მილიონი მანეთი. — ავტ.)*, მაგრამ როცა ლენტი გაჭრეს, მოსკოვში გახლდით, ოპერაცია გავიკეთე და გული დამწყდა, ამ მნიშვნელოვან დღეს თბილისში რომ არ ვიყავი. გადასვლის დროს არ ვიყავი, თორემ მშენებლები ბოლო წუთამდე არ მიმიტოვებია.

— ბარემ ისიც მითხარით, საპრეზიდენტო არჩევნებზე მიბრძანდით?

— რასაკვირველია. დიდი იმედით შევყურებ მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებას. სხვათა შორის, 2000 წლის იანვარში, გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი, სადაც მიხეილ სააკაშვილის პირად თვისებებს მივეცი შეფასება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა წინასწარმეტყველებამ გაამართლა.

— ბატონო ვახტანგ, ირაკლი ოქრუაშვილი არ შეგხმიანებიათ?

— არა. თუ მომმართავს რჩევისთვის, მზად ვარ, ოღონდ კი პროკურატურას დაუბრუნდეს ძველი სახელი და ავტორიტეტი... ■

კანონიერი ქურდები

კანონიერი ქურდები, ქურდული გაგება და კანონები ყოველთვის საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. თბილისს ბევრი კანონიერი ქურდი ახსოვს. ზოგიერთი მათგანის შესახებ ხალხმა ლეგენდებიც კი შექმნა. მაგრამ 90-იანი წლებიდან მათ მიმართ კანონი ულმობელი გახდა. ბევრი ქურდი მანქანაში ჩაცხრილეს, ბევრიც „ლაზარეთში“ „გარდაიცვალა“. ქურდებს შორისაც გაჩნდა დაპირისპირება და მოხდა სისხლიანი გარჩევები. დაქირავებულმა მკვლელებმა არაერთი ქურდი გაისტუმრეს იმ ქვეყნად. მათ შორის იყვნენ ძმები ამირან და ოთარ კვანტრიშვილები, ნოდარ მუმლაძე, ვალერი ჯანაშია, ამირან ჩიხლაძე, პაატა ჩლაიძე და სხვები. გაურკვეველ ვითარებაში ბევრი სხვა კანონიერი ქურდიც დაიღუპა.

ბოლო წლებში შეიცვალა ქურდული სამყარო. ქურდები, რომელთა შემოსავლის ერთადერთი წყარო ქურდობა იყო, „კრიშებად“ გადაიქცნენ, სასახლეები აიშენეს და ძვირად ღირებული ავტომანქანები შეიძინეს. უწინ ყველაფერი სხვაგვარად იყო...

მოგვითხრობს კანონიერი ქურდი პეშო — მან ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, სამაგიეროდ, ბევრი საინტერესო რამ გვიამბო ქურდული კანონების შესახებ.

ლელა ჭანკოტაძე

— სამწუხაროდ, კანონიერი ქურდების წრეში აფერისტები და მკვლელებიც გაერევნენ, რადგან ქურდის წოდების ფულით ყიდვა გახდა შესაძლებელი. ახლა საკმარისია, „ობშიაკის“ ფონდში 5.000-50.000 დოლარი შეიტანონ და „ზაკონიკები“ ხდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ციხეში არც მჯდარან. არადა, უწინ „კორონოვანიე“ („მონათვლა“) საკმაოდ რთულად ტარდებოდა. ამიტომაც გვყავდნენ მაგარი ქურდები: ჩერმენი, ბადრი ზუგდიდელი, იპო, კიჭია, პრინცი და სხვები.

— როგორ ხდებოდა „მონათვლა“?

— „კორონოვანიე“ ქურდულ უფლებამოსილებას ანიჭებდა მას, ვინც საკუთარ თავს ქურდად წამოაყენებდა. „მონათვლას“ სულ მცირე, ორი კანონიერი ქურდი მაინც უნდა დასწრებოდა. ისინი გაიხსენებდნენ, თუ რითი იყო ეს კაცი ქურდულ სამყაროში ცნობილი, როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამოაზრეთა შორის, განსჯიდნენ კანდიდატის კრიმინალურ გზას და დამსახურებებს, მაგრამ ყველაზე მთავარი იმის გარკვევა გახლდათ, შეიმჩნეოდა თუ არა კანდიდატი სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირში და უმუშავია თუ არა სახელმწიფო დაწესებულებებში. თუ კანდიდატი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, გადააჭდობდნენ მაჯებს და წარმოთქვამდნენ ერთგულების ფიცს. ამის მერე, მონათლული იღებდა „კლიჩკას“. ახალი ქურდის შესახებ ცნობები სპეციალური ქურდული „ფოსტით“ ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. ამ დღიდან, ქურდი აბსოლუტური ავტორიტეტით

სარგებლობდა დამნაშავეთა სამყაროში... კანონიერი ქურდი უნდა იყოს უშიშარი, საკუთარ თავში დარწმუნებული, მკაცრი, ანგარიშიანი! მუდმივად უნდა ფლობდეს ინფორმაციას ირგვლივმყოფთა შესახებ, რათა არ დაკარგოს კონტროლი მოვლენებზე, რომელიც დამნაშავეთა საყაროში ხდება.

— რა ელის ქურდს, თუ ის ქურდულ კანონებს დაარღვევს?

— ცნობილი ფაქტია და ძალიან გახმაურებული იყო შემთხვევა, რომელიც მალახოვის ტყეში (მოსკოვთან ახლოს) მოხდა, სადაც „სხოდკა“ (კანონიერი ქურდების სასამართლო) მოეწყო. ნაქურდლის მითვისების გამო, „ჭაღარა“ გაასამართლეს. მას სიკვდილი მიუსაჯეს, მოაწოდეს პარაბელუმი, „ჭაღარამ“ საფეთქელში დაიხალა ტყვია... ახლა, ფულის ნაწილის მითვისებისთვის ასე მკაცრად აღარ სჯიან... ქურდული სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველთვის საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ასეთია ქურდული მორალი. სიკვდილით ისჯებოდა ნებისმიერი ქურდი, ვინც ზიანს მიაყენებდა „ქურდულ იდეებს“. თუმცა, ქურდებს მიაჩნდათ, რომ სიკვდილზე მკაცრი დანაშაულიც არსებობდა. ეს „იყო „ყურის ძირში გარტყმა“... თუ ქურდულ „ობშიაკში“ აფათურებდა ხელს ან სხვა ქურდების სამართლიან შენიშვნებს არ გაითვალისწინებდა, ის ქურდის ტიტულს დაკარგავდა. ეს უსასტიკესი სასჯელი იყო. მახსოვს ერთხელ, ზონაში ქურდი, მეტსახელად „ქართველი“, „სხოდკაზე“ ნასვამი მოვიდა და ამის გამო „დაბალ კატეგორიაზე“ გადავიყვანეთ. „ქართველი“ სისასტიკით გამოირჩეოდა, ამიტომ მისი „გაფუჭება“ ბევრს გაუხარდა. როგორც კი ყოფილი ქურდი უფლებააყრილი დაინახეს, ყველამ თავში წამორტყმა დაუწყო... მეორე დღეს, „ქართველი“ კამერაში მკვდარი იპოვეს: მან თავი ჩამოიხრჩო... ხშირად გამოიყენებოდა გასილაქება. როცა ქურდი „ჩაიჭრებოდა“, მას ყველას თანდასწრებით სილას გაუწავდნენ. ცხადია, მძიმე სასჯელს იმსახურებდა ისეთი გამოუსწორებელი დანაშაული, როგორიც იყო ვთქვათ, კომუნისტურ პარტიაში შესვლა ან ვინმეს „ჩაშვება“. ძალიან სამართლიანი იყო ქურდული „სხოდკა“. ვერდიქტი ყოველთვის სამართლიანი გამოგვქონდა. ამიტომაც კრიმინალისტებიც კი ერთხმად აღიარებდნენ „სხოდკის“ ობიექტურობას: ქურდს სასტიკად ეკრძალებოდა, საკუთარი თავი „ზეკებისთვის“ (პატიმრებისთვის) თვითონ წარედგინა — ის უნდა ეცნთ მისი საქციელით, თავშეკავების უნარით, დუმილით, ლაპარაკის მანერით. სანამ ქურდი „ზონაში“ შევიდოდა, ამას სამართალდამცავებზე ადრე, „ზეკები“ იგებდნენ და ამ წუთისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ: გამოუყოფდნენ საუკეთესო საწოლს, ტუმბოს, წინასწარ ადგენდნენ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ საწოლის ამლაგებელი, მექისე და დალაქი... მახსოვს, „ზონაზე“ კანონიერი ქურდების „გატეხვა“ გადაწყვიტეს. ერთ კამერაში მხოლოდ კანონიერი ქურდები შეგვიშვეს. ერთად მოვხვდით მე, კოსანბაი (ალფატ კოსანბაევი), „ოსი“ (ვიტალი კოზირევი), თენგიზი (თენგიზ კუჩუბერია), მორიაკი (იური კუზმინი), ილეცი (პეტრე ილკოვი) და ჟმეკი (ევგენი გრიგორიევი). შვიდი დღე-ღამის მანძილზე, ჯოჯოხეთს გმირულად გავუძელით — არც საჭმლის დამრიგებელი გვყავდა და არც „პარაშის“ გამტანი. ჩვენც არც ვჭამდით და არც ვხმაურობდით. ჟმეკი ნერვიულობდა. ნათელი იყო, რომელიმე ჩვენგანი ბოლოს „გატყდებოდა“ და „მუჟიკობას“ იკისრებდა. არადა, ძლიერი ქურდები ვისხედით, არც ერთის გაფუჭება არ იქნებოდა გამართლებული. მერვე დღეს, ჟმეკმა ზონას შიმშილობისკენ მოუწოდა. ათასობით პატიმარმა „ბალანდაზე“ (საჭმელი) უარი განაცხადა. ეს „ბუნტის“ ნიშანი იყო. ამიტომ სასწრაფოდ შემოგვისახლეს „მუჟიკები“...

კრიმინალურ ისტორიაში კანონიერ ქურდებთან დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო ამბავია აღწერილი. მათ შორისაა ერთ დაკრძალვასთან დაკავშირებული შემთხვევა. 70-იანი წლების ბოლოს, გარდაიცვალა გრიჟა. პანაშვიდზე უამრავმა ქურდმა მოიყარა თავი. ბევრი სახელგანთქმული ავტორიტეტი ჩამოვიდა რუსეთიდან. ვერავინ მალავდა გაოცებას გრიჟას სახლ-კარის გამო: აღმოჩნდა, რომ ის ფუფუნებაში ცხოვრობდა. ამ სიმდიდრის დანახვაზე, „მეთვალყურე“ ახმეტი მოიღუშა და ბრძანა — ორკესტრი, რომელიც სამგლოვიარო მუსიკას უკრავდა, გაჩუმებულიყო. ყველა გაისუსა. ახმეტი ყვავილებში ჩაფლულ კუბოს მიუახლოვდა, გარდაცვლილ ქურდს ხელი ყურში წაავლო და წამოსწია, თან ყველას გასაგონად ჩასძახა: „ქურდები ასე არ ცხოვრობენ!“ პანაშვიდი, ახმეტის მსგავსად, მთელმა ქურდულმა სამყარომ დატოვა. ასე რომ, გრიჟა სიკვდილის შემდეგ გარიყეს ქურდული სამყაროდან.

როდის გაჩნდა ტერმინი — „კანონიერი ქურდი“ და როგორ ებრძოდა მათ საბჭოთა მილიცია? ამის შესახებ გვესაუბრება ბატონი რომან გვენცაძე, რომელიც წლების მანძილზე, როგორც ოპერმუშაკი და როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დაუღალავად ებრძოდა ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს.

რომან გვენცაძე:

— კანონიერი ქურდები რუსეთში, რევოლუციის შემდეგ გაჩნდნენ და მოგვიანებით, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას მოედვნენ. ჩვენში მათ ე.წ. „რამკიანი“ ქურდები და გიმელები ერქვათ. კანონიერი ქურდები საზღვარგარეთის ქვეყნებში არ არსებობდნენ. იქ მაფიოზების კლანები მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ. ქურდებს ჰქონდათ სიტყვიერი შეთანხმება — დაუწერელი კანონი, რომლის თანახმად, ყველაფერი, რაც ქურდს ტანზე ეცვა, ნაქურდალი უნდა ყოფილიყო; ერთ წელზე მეტხანს თავისუფლებაზე ყოფნის უფლება არ ჰქონდა; თუ უფრო მეტხანს დარჩებოდა ციხის მიღმა, ქურდულ სამყაროში ჩნდებოდა ეჭვი — ხომ არ იყო მოსყიდული ან მილიციასთან „შეკრული“. გავრცელდა ფრაზა: ციხე ქურდისააო, რაც სიმართლე გახლდათ. ეს მაშინდელ კომუნისტურ მთავრობასაც აძლევდა ხელს, რადგან ციხეში ქურდები მართავდნენ პროცესებს და იმაზეც ზრუნავდნენ, რომ პატიმრებს წესრიგი არ დაერღვიათ, ან ერთმანეთი არ დაეხოცათ, ან არ დაეჭრათ... ხრუშჩოვის მმართველობის დროს, ქურდების მიმართ დიდი რეპრესიები დაიწყო. ისინი ძალიან შეავიწროეს.

— ეი. მართალია აზრი, თითქოს კანონიერი ქურდები სტალინის პოლიტიკის ნაყოფი იყო?

— ფაქტია, რომ იმ პერიოდში შეიქმნა კანონიერი ქურდების ინსტიტუტი. ამბობენ, თითქოს მათ პატიმრების დასამუშავებლად იყენებდნენ. ციხეში ასეთი წესი არსებობდა: როგორც მრევლი მიდის აღსარებაზე მღვდელთან, ისე მიდიოდა პატიმარი აღსარებაზე ქურდთან. ტყუილის თქმის უფლება მას არ ჰქონდა. თუ ქურდი ადმინისტრაციასთან იყო „შეკრული“, ამ აღსარებას საიდუმლოდ არ შეინახავდა და ასე იხსნებოდა საქმეები... ოცდათხუთმეტი წელი ვიმუშავე ოპერატიულ მუშაკად. დიდი კავშირები მქონდა დამნაშავეთა სამყაროსთან. სხვანაირად ოპერატიული მუშაკი ვერ იმუშავებს. მე და ჩემი კოლეგები ვებრძოდით ქურდულ გაგებას, ტრადიციებს და ვიყავით მოუსყიდავები. კანონის ჩარჩოებში ვმოქმედებდით, თუმცა, გამონაკლისიც ხდებოდა. როცა ქურდს ვერ იჭერდნენ, ჩაუგდებდნენ იარაღს ან ნარკოტიკებს. მაგრამ ამას ხელისუფლება ებრძოდა. ბევ-

ციხიდან რომ გათავისუფლდა, საკუთარი ნებით გააკეთა „ატაშოლი“

რი ოპერატიული მუშაკი ამის გამო სამსახურიდან დაითხოვეს, ზოგი დააპატიმრეს კიდეც. როცა თბილისის სისხლის სამართლის სამმეხრო განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ ქურდული ტრადიციები საშუალო სკოლებში გავრცელდა. 70-იან წლებში, ცენტრალური რაიონების (ვაკე, საბურთალო, კალინინის – ახლანდელი მთაწმინდის რაიონი) სკოლებში ქურდული ტრადიციები შემოიღეს. IX-X კლასელს წამოაყენებდნენ „ავტორიტეტად“ და მას „პარლამენტის დირექტორს“ არქმევდნენ. მათ „კაბინეტები“ საპირფარეშოებში ჰქონდათ მოწყობილი – იქ იკრიბებოდნენ და საქმეებს არჩევდნენ. „პარლამენტის დირექტორებს“ ისეთი დიდი სახელი ჰქონდათ, რომ მათ მიერ კედლებზე გაკეთებულ წარწერებს ვერავინ წაშლიდა – მასწავლებელი და სკოლის დირექტორიც კი. „პარლამენტის დირექტორი“ სკოლას დაამთავრებდა თუ არა, ახალ „დირექტორს“ წამოაყენებდნენ... ყოველივე ამან იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება დავიწყეთ. სკოლაში საქმის გარჩევები აიკრძალა... თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქურდულ სამყაროს უმნიშვნელო გამართლება ჰქონდა: კონფლიქტები იარაღის გამოყენებით არ გვარდებოდა, მკვლელობა, დაჭრა, სროლა გამორიცხული იყო.

— შეგიძლიათ, გაიხსენოთ კანონიერი ქურდები, რომლებსაც წლების განმავლობაში ებრძოდით?

– მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო ავტორიტეტი ირაკლი იშხნელი. მას ბოლოს, 25 წელი ჰქონდა მისჯილი. თხუთმეტი წელი რომ დარჩა მოსახდელი, უთხრეს: თქვი – ქურდი არა ვარ, „პადპისკა“ (ხელწერილი, რომელშიც ქურდი წერდა, რომ ქურდი აღარ იყო) მოგვეცი და დარჩენილ წლებს ჩამოგაჭრითო. ამაზე არ წავიდა. სასჯელი ბოლომდე მოიხადა. რომ გამოვიდა, ქურდები შეკრიბა და ქურდობაზე უარი საკუთარი ნებით თქვა. თუმცა ქურდებს ამის უფლება არა აქვთ: ქურდი თუ გახდები, სიკვდილამდე ქურდად უნდა დარჩე, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს – მაგალითად, ჯაბა იოსელიანი. ის ძალზე ახალგაზრდა გახდა ქურდი. ქურდულ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ბოლოს, რუსეთში დაიჭირეს მისი თანამონაწილეები და დახვრიტეს, მას კი 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ციხიდან რომ გათავისუფლდა, საკუთარი ნებით გააკეთა „ატაშოლი“. შემდეგ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მაგრამ ბოლომდე ავტორიტეტად დარჩა და დიდ პატივსაც სცემდნენ... მახსოვს, უჩა ბოჭორიშვილი, რომელსაც პოლიტექნიკური ინსტიტუტი „ხუთებზე“ ჰქონდა დამთავრებული. ის გიმელი გახლდათ. დიდი ძალა ჰქონდათ ჯემალ-არსენა მიქელაძესა და ანზორ აღაიანს. ცნობილი ავტორიტეტი იყო ნალბო – ნალბანდიანი. მის მსგავს ქურდებს „თეშელნიკებს“ ეძახდნენ. ნალბოს მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. თუ „თეშელნიკები“ საქართველოში შემოიპარებოდნენ ვინმეს გასაქურდად ან სათამაშოდ, მილიციას შეეძლო, გაუფრთხილებლად ესროლა მათთვის. ასე მოკლეს ნალბო. მილიციის სამმართველოს წინ კედელზე მიაყუდეს. ქვემოთ ჯოხები შეუყუდეს, რომ არ წაქცეულიყო და ასე ჰყავდათ, სანამ გვამი არ აყროლდა... მე იმ პერიოდს მოვესწარი, როცა ქურდს „სველი საქმის“ ჩადენის უფლება არ ჰქონდა. „სველი საქმე“ კაცის მოკვლას ერქვა. არსებობდა კატეგორიები ქურდებს შორის: მაგალითად, ჯიბის ქურდი ბინაში საძარცვავად არ შევიდოდა. ამიტომ, როცა დანაშაული მოხდებოდა, „პოჩერკით“ ვცნობდით, ვისი ჩადენილი იყო. ამით მუშაობა გვიადვილდებოდა. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, გვქონდა ყველა მათგანის კარტოთეკული აღრიცხვა, ყველანაირ მონაცემს ვფლობდით. ზოგს ხალი ჰქონდა, ზოგს „ტატუირება“...

— რომელიმე კანონიერი ქურდის მიმართ სიმპათია თუ გაგჩენიათ?

– იყო ასეთი კანონიერი ქურდი – პაატა ჩლაიძე. პიატიგორსკში სროლა მოგვიხდა. ჩვენ ორნი ვიყავით, ისინი – სამნი. ერთი გაგვექცა, მეორე ჩაგვბარდა, პაატამ კი თავი დაიჭრა. საავადმყოფოში მოვათავსეთ. მისთვის გადასასხმელად სისხლი არ ჰქონდათ. ხელში მაკვდებოდა 20 წლის, ლამაზი, ტანადი ქართველი ბიჭი. მის მიმართ სიმპათიით განვეწყვე. ღირსეული მოწინააღმდეგე ყოველთვის მომწონდა, ამიტომ პაატას სისხლი მე მივეცი. გადარჩა. მერე შვილი ეყოლა. თითქოს მისი საქმეები უკეთესად წავიდა. კეთილშობილი ადამიანი იყო. ქველმოქმედება და ნარკოლოგიური კლინიკის გაკეთება უნდოდა, მაგრამ მოკლეს. მისი მკვლელობის საქმე დღემდე გაუხსნელია... სიმპათია გამიჩნდა კიდევ ერთი ქურდის მიმართ, რომლის გვარსაც არ დავასახელებ. ის დღესაც ცოცხალია. ბინის ქურდობისთვის ავიყვანეთ, როგორც ეჭვმიტანილი. გვითხრა: ხელი არ დამაკაროთ, როგორც არ უნდა მაწამოთ, მაინც გავუძლებ, მაგრამ თუ ქურდობას დამიმტკიცებთ, ყველა დანაშაულს ვაღიარებ, რაც ჩამიდენიაო. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთ დანაშაულს აღიარებდა თუ ორმოცდაათს – მაინც 5 წელს მიუსჯიდნენ, – ჩვენ კი ბევრ საქმეს გავხსნიდით. ამიტომ მივიღეთ მისი ულტიმატუმი. ისე ვიმუშავეთ, რომ დღე და ღამე არ გვეძინა: სამხილებს ვაგროვებდით. დანაშაული დავუმტკიცეთ. პირობა შეასრულა. დაჯდა და ყველა ქურდობა აღიარა. ასე რომ, ჩვენ შორისაც იყო დაუწერელი კანონები. ღირსებას არასდროს ვუკარგავდით და ყველას ადამიანურად ვეპყრობოდით.

— რამდენად შედეგიანი იყო ბრძოლა ქურდების წინააღმდეგ?

– 80-იან წლებში, ექვსი თვის მანძილზე, ორმოცდაათი ქურდი დავიჭირეთ. სწორედ მაშინ ავიყვანეთ ორგანიზებული ბანდა, რომელსაც 20 ადამიანი ჰყავდა გატაცებული. გამოსასყიდად 80, 100, 150 ათას მანეთს ითხოვდნენ. მაშინ ეს დიდი ფული იყო. გატაცებულებს ტყეში ხეზე კიდებდნენ და ქვემოდან ცეცხლს უნთებდნენ. საშინლად ეპყრობოდნენ. ბოლოს, რუსთავში უნივერმაღის თუ გასტრონომის დირექტორი გაიტაცეს. ბევრი უძილო ღამის შემდეგ 22 კაცი დავაპატიმრეთ. აქედან რვა კანონიერი ქურდი იყო. დაახლოებით ათი დასაჭერი დაგვრჩა. თითოეულს 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იმ პერიოდში მსგავსი დანაშაული აღარავის ჩაუდენია. სხვათა შორის, ქართველები ძალიან მაღალ დონეზე ვიდექით, კრიმინალებთან ბრძოლის თვალსაზრისით. მახსოვს, ჩიკაგოს პოლიციის უფროსი გილი (რეიგანის დაცვის ყოფილი უფროსი) იყო ჩამოსული. გაოცებულმა გვითხრა: ოპერატიული მუშაობის ასეთი დონე ჩვენთან არ არისო... ახლა იმ დონეზე აღარ ვდგავართ. თითო-ოროლა ძლიერი ოპერმუშაკია ორგანოებში დარჩენილი. უწინ, გუნდური „თამაშები“ არ იყო – პროფესიონალებს ახალი ხელმძღვანელი იტოვებდა. ოპერატიული მუშაკი რომ გაიზარდოს, სულ მცირე, ხუთი წელი უნდა. დღევანდელმა კრიმინალურმა სამყარომ ოპერატიულ შემადგენლობას განათლებით, ტექნიკითა და ცხოვრების დონითაც გაუსწრო. არადა ოპერატიულ-

მა მუშაკმა დამნაშავეს ჭკუითა და განათლების დონით უნდა აჯობოს. გია ბარამიძე ძალიან მომწონს, სუფთა კაცია. თუ ვინმეზე ითქმის — სუფთაააო, — ასეთი პირველ რიგში, გია ბარამიძეა. ვეთანხმები იმას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი სამოქალაქო პირი უნდა იყოს, მაგრამ მოადგილეები პროფესიონალები უნდა ჰყავდეს. მახსოვს, ვარლამ შადური იყო მინისტრის პირველი მოადგილე. მან ბევრი მინისტრი გამოიცვალა. ცვლილება მას არ შეხებია. ბევრი თაობა აღზარდა. მისგან მეც ბევრი რამ ვისწავლე. მინისტრის მოადგილე ცოცხალი ენციკლოპედია უნდა იყოს და მის თავში კადრების შესახებ მთელი ინფორმაცია უნდა ინახებოდეს, სხვანაირად საქმე არ გაკეთდება. გია ბარამიძეს ბრძოლისუნარიანობა არ აკლია. შეიძლება მას არ ვახსოვარ, მაგრამ მე მახსოვს, როგორი თავგანწირვით იბრძოდა აფხაზეთის ომში წინა ხაზზე. მიუხედავად ამისა, პროფესიონალი მოადგილეების გარეშე ვერაფერს გახდება.

— კონკრეტულად რა შეიძლება გააკეთოს ახალმა მინისტრმა კანონიერი ქურდების წინააღმდეგ საბრძოლველად და რამდენად შედეგიანი იქნება ბრძოლა ახლა, როცა ქურდების უმეტესობას „კრიშა“ ჰყავს ან პირიქით — თავად უწევს „კრიშობას“ ბიზნესმენს?

— დანაშაულთან საბრძოლველად ყველაზე გამართლებულია დანაშაულის პროფილაქტიკა. თუ კანონიერი ქურდების სისტემატურ დაპატიმრებას მიჰყოფენ ხელს, ეს მათ დააშინებს... უწინ, ქურდები საქართველოდან გარბოდნენ. ისეთივე მდგომარეობა უნდა შეეუქმნათ ახლაც. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის გზით. ქურდის დასაჭერად, მისთვის იარაღის ან ნარკოტიკის ჩადება გამართლებული არ არის... უწინ, გვქონდა ბანკი, სადაც მოპარული ნივთები ინახებოდა. ასეთი ბანკები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით არსებობდა... ასევე გვქონდა საინფორმაციო ბანკი. აუცილებელია, სრული ინფორმაცია გქონდეს იმაზე, ვისაც ებრძვი. ასეთ შემთხვევაში, როცა დანაშაული მოხდება, საინფორმაციო ბანკის მეშვეობით, მაშინვე მიხვდები, თუ ვის ხელწერას ემთხვევა ნამოქმედარი და დაადგენ, ვისი ჩადენილია იგი. ქურდების წინააღმდეგ ბრძოლა რთულია, მაგრამ შედეგის მიღწევა შესაძლებელია, თუ ამის ნება არსებობს...

როგორ აპირებს შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონიერ ქურდებთან ბრძოლას? ამის შესახებ მინისტრის მოადგილეს, ბატონ ***რუბენ ასანიძეს*** *ვკითხეთ:*

— „კანონიერი ქურდი“ ცოტა პირობითი ცნებაა. ვჯობს, მათ დამნაშავეთა სამყაროს ლიდერები ვუწოდოთ. ზოგი იბრალებს კანონიერ ქურდობას, ზოგი მართლა ე.წ. კანონიერი ქურდია, უმეტესობა არც ერთია და არც მეორე, მაგრამ იმდენად ლიდერობს დამნაშავეთა სამყაროში, რომ უმძიმეს ამინდს ქმნის... მათ მიმართ ადრეც ვებულობდით ზომებს, რის შედეგადაც ისინი დანაშაულებრივ საქმიანობაში უნდა გვემხილებინა და ახლაც ვაგრძელებთ ბრძოლას. ძალზე აქტიურ ფაზას ვიწყებთ და ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწევთ. ოპერატიული სამსახურები მთლიანად არიან ჩაბმულნი ამ ბრძოლაში. მოთხოვნები წავუყენეთ ადგილობრივ დანაყოფებს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნაა — სადაც ე.წ. კანონიერი ქურდი, დამნაშავეთა სამყაროს ლიდერი გამოჩნდება, იმ რეგიონის პოლიციის უფროსი თანამდებობას დაკარგავს...

— ეი. მიგაჩნიათ, რომ ამა თუ იმ უბანში ან ქალაქში კანონიერი ქურდის არსებობა, იმ რაიონის პოლიციის სისუსტეზე მეტყველებს?

— რა თქმა უნდა, ასე ვფიქრობთ ჩვენც და ხალხიც. სადაც ზის დამნაშავეთა სამყაროს ლიდერი, რომელიც აცხადებს, რომ ის ქურდია და მან უნდა მართოს ბიზნესი და დაამყაროს წესრიგი, იქ პოლიცია სუსტია. ასეთი პოლიცია არავის სჭირდება.

— თუ იცით, სულ რამდენი კანონიერი ქურდია დღეს საქართველოში?

— ცხადია, აღრიცხული გვყავს ბევრი ასეთი დამნაშავე. ასეთი მონაცემები ზუსტი და სრულყოფილი არ შეიძლება იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება გამოჩნდეს ამ „ტიტულის“ ისეთი მსურველი, რომელიც მის მიღებას მოახერხებს. დღეისათვის აღრიცხული გვყავს დამნაშავეთა სამყაროს 300-ზე მეტი ლიდერი. ბევრი მათგანი საზღვარგარეთაა წასული, ბევრს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. ზოგი უკვე სასჯელს იხდის. მაგრამ მათ მიმართ გარკვეულ ოპერატიულ-პროფილაქტიკურ მუშაობას მაინც ვაწარმოებთ, რათა ვიცოდეთ მათი გეგმები, მიზნები, კავშირები, დანაშაულებრივი ზრახვები. გვაქვს დიდი საინფორმაციო ბანკი, რომელშიც ინახება მონაცემები თითოეულის შესახებ.

— წინა ხელისუფლების დროს, ხშირად გაიგონებდით, რომ ქურდები ბიზნესმენებსა თუ პოლიტიკოსებს ლობირებენ. რამდენად ახლოსაა ეს სიმართლესთან და როგორ აპირებთ გავლენიან ბოროტმოქმედებთან ბრძოლას?

— რომ ვთქვა — არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქურდები ბიზნესმენს ან თანამდებობის პირს ლობირებდნენ-მეთქი, — არავინ დამიჯერებს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა თანამდებობის პირები და პოლიტიკოსები ლობირებენ ქურდებს. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ამ დღეებში გამოაქვეყნა წერილი, სადაც ნათქვამია, თითქოს მე ვლობირებ ქურდებს; დაასახელა ვიღაც ასანიძე და გვიშიანი. ეს არ არის კარგი საქციელი. არ შეიძლება, ჩემი თანამდებობის კაცი ვინმეს ლობირებდეს, მით უმეტეს — ქურდსა და ბანდიტს... თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა განვაცხადო, რომ პოლიცია არავის არ უნდა მოერიდოს გვარისა და სახელის გამო და თუკი აქვს ინფორმაცია, რომ რომელიმე თანამდებობის პირი დამნაშავეს მფარველობს, ეს უნდა გაარკვიოს და თუ სიმართლე აღმოჩნდება, ამხილოს მაღალჩინოსანი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ პოლიციის ცალკეული მუშაკი, ზოგიერთი თანამდებობის პირი მართლაც, ლობირებს დამნაშავეთა სამყაროს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად ვამხელთ მათ.

— შინაგან საქმეთა მინისტრი სამოქალაქო პირია და ბევრ ძველ კადრს შეიძლება არც იცნობდეს. თუ აპირებთ იმ პროფესიონალების დაბრუნებას, რომლებიც ადრე ჩამოსცილდნენ სისტემას?

— რამდენიმე უკვე დავაბრუნეთ, რამდენიმეს მომავალში დავაბრუნებთ. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი მინისტრი სამოქალაქო პირია და თან ახალი კადრია ამ სისტემაში — გეტყვით, რომ ის ძალიან კარგად ერკვევა საკანონმდებლო და ფინანსურ საკითხებში, რაც მომავალში, საშუალებას მოგვცემს, უკეთ წარვმართოთ მთელი სამინისტროს საქმიანობა.

— ეი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში საქართველო კანონიერი ქურდებისგან გათავისუფლდება?

— ვეცდებით, ახლო მომავალში, თითოეული მათგანი ვამხილოთ დანაშაულებრივ საქმიანობაში. ■

ლევან ცაგურია პირველი და ერთადერთი სპორტსმენია მთელ ევროპაში, რომელმაც პროფესიონალურ სუმოში დაიმკვიდრა ადგილი, შემდეგ კი სუმოს ელიტაში მოხვდა და უძლიერესთა შორის პირველობისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ლევანი 22 წლისაა. მისი მშობლები და ძმა თბილისში ცხოვრობენ და იაპონელ ჟურნალისტებს ხშირად მასპინძლობენ. ქალბატონი ციცო და ბატონი მერაბი წლების წინ, როცა სვანეთის მთებით გადმოდიოდნენ აფხაზეთიდან, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი შვილი მთელ მსოფლიოს აალაპარაკებდა. ახლა მათი ბინა სავსეა იაპონური ჟურნალ-გაზეთებით, რომელიც აჭრელებულია ლევანის ფოტოსურათებით...

იაპონელ სუმოისტთა ელიტაში უფროსი

22 წლის ქართველი მოჭიდავე

ლელა ჭანკოტაძე

მერაბ ცაგურია:

– ლევანი ბავშვობიდან ჭიდაობდა. მაშინ სოხუმში ვცხოვრობდით. მერე ომი დაიწყო. თბილისში გადმოვედით და ვარჯიშიც აქ გაგრძელა. მე, როგორც ყოფილი მოჭიდავე ვგრძნობდი, რომ სახელს გაითქვამდა და მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა – ცხადია, დიდი შრომის შემდეგ. ლევანს მუდამ წონის პრობლემა ჰქონდა: თავისუფალ ჭიდაობაში ზღვარი, 120 კგ გახდა, ლევანი ყოველთვის მეტს იწონიდა. ბავშვობიდანვე დიდი იყო, ჭამაც უყვარდა და ღამღამობით მაცივარში „დაძვრებოდა“. ახლა ის 157 კგ-ს იწონის, სიმაღლით 193 სმ გახლავთ. ამ სპორტში უფრო მძიმეწონიანები არიან – მაგალითად, 234 კგ-იანი სუმოისტი ჰყავთ. მანამდე გადიან შეჯიბრებებზე, სანამ ამის სურვილი აქვთ. უმეტესად, ტრამვის გამო ტოვებენ ხოლმე სპორტს. სანამ ფორმაში არიან, მანამდე იაპონელები ხელისგულზე ატარებენ და ყველანაირად უზრუნველყოფენ. ლევანს აქვს პერსპექტივა, რომ იაპონიაში დარჩეს. სუმოს პროფესიონალები მხოლოდ იაპონიაში ცხოვრობენ. იქ სულ 53 კლუბია. ყველა მათგანი ტოკიოშია განთავსებული. ლევანსაც შეუძლია, იქ პროფესიონალების კლუბი გახსნას.

ლევანს (შუაში) ყოველ ინტერვიუში ეკითხებიან ბავშვობისა და სოხუმის შესახებ

— რამდენი ხანია, რაც ლევანი იაპონიაში წავიდა?

ქალბატონი ციცო:

– 2001 წლის 28 იანვარს წავიდა. ქართველმა სუმოისტმა ლევან ებანოიძემ (მსოფლიო ჩემპიონი მოყვარულებში) შესთავაზა: იაპონელები ჩამოდიან, მოდი და მონაწილეობა მიიღე შეჯიბრში. ლევანი მივიდა. იაპონელებს მოეწონათ და უთხრეს: შეგიძლია, შენი თავი სუმოში გამოსცადო. შემდეგ ლევან ებანოიძე იაპონიაში წავიდა. მოყვარულებს შეჯიბრი ჰქონდათ. ჩვენი ლევანის ფოტოებიც წაიღო. სულ მალე, სუმოს ფედერაციაში იაპონიიდან ლევანის სახელზე მოწვევა მოვიდა. სანამ წასვლა არ გადაწყვიტა, ჩვენთვის არაფერი გაუმხელია. ბოლოს კი გვითხრა: უნდა წავიდეო. მამამისი წინააღმდეგი იყო – უნდოდა, ლევანს ჭიდაობა აქ გაეგრძელებინა. მე კი ლევანის მხარეზე დავდექი. ახლა, ამიტომაც განვიცდი უფრო მეტად... ბოლოს, მამამისიც დაეთანხმა. დავაფინანსეთ და წავიდა. თვითმფრინავის ბილეთი 1.600 დოლარი ღირდა, ამიტომ ჩვენ ვერ წავყევით. დღევანდელი დღესავ-

ით მახსოვს, როგორ მიდიოდა. არ ვიცოდი, სად ვუშვებდი. ვენიდან ჩვიდმეტი საათი იფრინა. ტოკიოში ჩაფრინდა. შაბათ-კვირა დაემთხვა. ამ დღეებში კლუბი დაკეტილია. თურმე, კლუბში ფაქსიც არ მიულიათ და ამიტომ, არავინ დახვდა. აქედან როცა მიდიოდა, ერთმა ნაცნობმა თავის შვილთან ამანათი გაატანა. ის ბიჭი აეროპორტში დახვდა. იმან დაურეკა კლუბის პრეზიდენტს და შეატყობინა: თქვენი მოწვევით ჩამოსულია საქართველოდან ახალგაზრდა ყმაწვილი. ამის შემდეგ მივიდნენ სუმოისტები და წაიყვანეს. იმ წუთიდან, ლევანი სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა. როგორც კი ჩავიდა ტოკიოში, მეორე დღესვე საჩვენებელ ორთაბრძოლაში მიაღებინეს მონაწილეობა. პირველ დღეებში წელის ტრავმა მიიღო. ძალიან ვინერვიულეთ.

ბატონი მერაბი:

— ძალიან ვნერვიულობდი, რომ მიდიოდა. იაპონია ხომ ძალიან შორს არის, იქ სულ სხვა კულტურა და წეს-ჩვეულებებია. ვარჯიშიც მძიმე და აუტანელია. სანამ არ დაეცემიან, მანამდე ვარჯიშობენ. თუ კაცი ფეხზე დგას, ვარჯიშს ვერ მიატოვებს. ცხადია, სისტემატურად სამედიცინო შემოწმებას გადიან. ხარივით ჯანმრთელი უნდა იყოს, რომ სუმოში ივარჯიშოს. როგორც სპორტსმენმა, ვიცი, რომ იაპონიაში ჩვენი სპორტსმენები ვერ ძლებენ. პირველი ათი დღე ყველას ძალიან უჭირს, გიორგი კანდელაკი ამას ინტერვიუებში ხშირად აღნიშნავს. ლევანი გამონაკლისი აღმოჩნდა. მან ჩასვლისთანავე ხერხემლის ტრავმა მიიღო. ძალიან განვიცდიდით, მაგრამ მალე მორჩა. „ჩხუბის“ დროს ტრავმას ხშირად იღებენ. როცა მესამიდან მეორე ჯგუფში გადავიდა, გადამწყვეტი ბრძოლა ჰქონდა და ტრავმაც მაშინ მიიღო, ორი ბრძოლიდან ერთი მაინც უნდა მოეგო, მან კი ორივე მოიგო. არადა, ბრძოლა ძალიან რთულია. თავებით ეჯახებიან ერთმანეთს შეტაკების დროს (ამას დოქიო ჰქვია). მეტოქეს ხელით რომ შეეხო, ან მუხლით, წაგებას ჩაგითვლიან. ამიტომ ბრძოლა ზოგჯერ წამიერია. თან, იმდენ ენერგიას ხარჯავენ, რომ სხვა ჭიდაობაში სპორტსმენმა შეიძლება, ერთი საათის განმავლობაში არ დახარჯოს.

— რასთან შეგუება გაუჭირდა ლევანს იაპონიაში ყველაზე მეტად?

ქალბატონი ციცო:

— მისთვის იქ ყველაფერი უცხოა. ყოველდღე 5 საათზე დგება. კლუბში ცხოვრობს. დაბალი ფენის სუმოისტები საჭმელს თვითონ იმზადებენ. თავიდან



ახლა, ორი კაცი ემსახურება

ლევანიც ამ ფენას მიეკუთვნებოდა, მაგრამ ახლა, ორი კაცი ემსახურება. სადმე თუ მიდის, უკან მიჰყვებიან, რომ მისი ჩანთები ატარონ და მოემსახურონ. საჭმელსაც ისინი უმზადებენ. ლევანი, ფიზიკურადაც ძლიერია და სულიერადაც. იაპონელი ჟურნალისტები მეკითხებიან ხოლმე: სულიერადაც ძლიერი ბიჭია და საიდან ასეთი სიძლიერეო? ჩვენ აფხაზეთიდან დევნილები ვართ. ცხადია, ბევრის გადატანა მოგვიხდა. ამიტომაც არის, რომ ლევანი თუმცა ჯერ პატარაა, უკვე დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. თანაც, ბავშვობიდან მტკიცე ხასიათი ჰქონდა. თუ რამეს დაისახავდა მიზნად, აუცილებლად მიაღწევდა.

ბატონი მერაბი:

— იაპონური ჟურნალ-გაზეთები ხშირად აშუქებენ აფხაზეთის ამბებს. ლევანს ყოველ ინტერვიუში ეკითხებიან ბავშვობისა და სოხუმის შესახებ. ჩვენთან იაპონელები იყვნენ ჩამოსულები. ინტერვიუები ჩაწერეს. ერთ-ერთ ინტერვიუში ლევანის მეგობარმა კორესპონდენტს უთხრა: ლევანი თბილისში კი არა — პირდაპირ სოხუმში უნდა დაბრუნდესო... ლევანი ძალიან განიცდის სოხუმის დაკარგვას. ღმერთმა ქნას, იქ დაბრუნება გვეღირსოს!..

— რა ითვლება სუმოში ყველაზე მაღალ საფეხურად? რა არის ლევანის, როგორც სპორტსმენის მიზანი?

ქალბატონი ციცო:

— ყველაზე მაღალი რანგი არის იოკუძუნობა. იოკუძუნა უძლიერესთა შორის უძლიერესია. ლევანს ახლა ფეხის ტრავმა აქვს. ჩვენ ინტერნეტით ვეცნობით ხოლმე სიახლეებს მის შესახებ. იქ ეწერა — ბოლო შეჯიბრზე ფეხი იტკინა და დარბაზი კოჭლობით დატოვაო. ამ ტრავმის ძალიან ეშინია. ძალიან რთული სისტემაა სუმოში. ტრავმის გამო თუ შეჯიბრი გააცდინა, ყველაფერს დაკარგავს, რასაც მიაღწია და დაბალ საფეხურზე ჩამოვა. ასე რომ, ბევრი სანერვიულო გვაქვს. ჩემთვის ლევანი ჯერ ისევ ბავშვია. მან კი უკვე ძალიან ბევრი გადაიტანა. მისთვის არც საკვებთან შეგუება აღმოჩნდა იოლი — იქ ხომ ცოცხალი ხორცი და თევზი დელიკატესად ითვლება და ისიც ვალდებულია, ეს ყველაფერი ჭამოს. თავიდან, დიდი ბარიერი იქნებოდა ენის არცოდნაც. ახლა წერენ, რომ იაპონურად კარგად ლაპარაკობს, არადა, ერთი სიტყვაც არ იცოდა. ვერ წარმომიდგენია, პირველი სამი თვის მანძილზე, როცა იაპონური არ ესმოდა, როგორ იგებდა, რას ეუბნებოდნენ... სუმო თავისუფალი ჭიდაობისგან ძალიან განსხვავდება.

— როცა ლევანი იაპონიაში მიდიოდა, რას ფიქრობდით? ასეთი დიდი წარმატების იმედი თუ გქონდათ?

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუმოისტებს შორის ასაკით ლევანი (მარცხნივ) ყველაზე პატარაა

— მეტს მოველოდი, მაგრამ მოულოდნელი იყო ის, რომ ორწელიწად-ნახევარში, ამდენს მიაღწევდა. იგივე აზრი აქვთ თავად იაპონელებსაც. სუმოში სულ ექვსსაფეხურიანი სისტემაა. მეექვსედან მესამის ჩათვლით 800 მონაწილეა. ლევანმა ძალიან იოლად გაუსწრო ყველას. რეიტინგით ყველაზე მაღლა დადგა და მალე, მეორე საფეხურზე ავიდა, სადაც 28 ძლიერი სპორტსმენი ასპარეზობს და პირველ საფეხურზე ასასვლელად იბრძვის. ლევანმა ესეც სწრაფად მოახერხა და უძლიერესებში გადავიდა. ყოველ ორ თვეში, თხუთმეტი შეხვედრა იმართება, რომელთაგან რვა მაინც უნდა მოიგოს. ეს უკვე დიდ წარმატებად ითვლება. ლევანმა კი მეორე საფეხურზე ამაზე გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწია. თანაც, ოთხივე განვლილი საფეხურის ჩემპიონობა მოიპოვა. ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ყველაზე მაღალი, რასაც ლევანმა უნდა მიაღწიოს, არის იოკუძუნა. მანამდე რამდენიმე ეტაპი აქვს გასავლელი: კომოსუმი, სეკივაკე და ოზეკი. ახლა ლევანს მეხუთე წოდება აქვს და უნდა იბრძოლოს მეოთხე წოდებისთვის — კომოსუმისთვის.

— რა შანსი აქვს ლევანს, რომ მიიღოს პირველი წოდება — იოკუძუნა?

ბატონი მერაბი:

— თავად იაპონელები არ უარყოფენ, რომ ლევანი იოკუძუნა გახდება. საამისოდ საჭიროა, ზედიზედ ორ შეჯიბრში გახდეს ჩემპიონი. შემდეგ სუმოს ფედერაცია და ასოციაცია გადაწყვეტს, მისცემენ თუ არა პირველ წოდებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუმოისტებს შორის ასაკით ლევანი ყველაზე პატარაა...

— ბევრი უცხოელი ვარჯიშობს სუმოს კლუბებში?

ქალბატონი ციცო:

— ლევანის კლუბში მხოლოდ ის არის უცხოელი. მთელ ტოკიოში კი, მე მგონი, ცამეტი უცხოელი სუმოისტია, მათ შორის — ორი ძმა რუსეთიდან, რომელიც ლევანის შემდეგ, ჩავიდა იაპონიაში.

ბატონი მერაბი:

— ძმები ბარაზოვებიდან ერთ-ერთი უკვე მეორე ჯგუფში გადავიდა. ის პირველი წარმომადგენელია რუსეთიდან, რომელიც ელიტაში შევიდა. ამიტომ მის შესახებ ყველა რუსული ტელეარხი გამუდმებით აკეთებს გადაცემებს. ლევანი კი პირველი ევროპელია, რომელიც ელიტაში მოხვდა, თანაც — პირველ საფეხურზე. მის შესახებ იაპონური პრესა და ტელევიზია სისტემატურად გადასცემს ახალ-ახალ ინფორმაციას.

— თქვენი მეორე ვაჟი არ აპირებს იაპონიაში წასვლას?

— ლევანისგან ვიცი, თუ რა ძნელი ასატანია სუმოში ვარჯიში, ამიტომ, მირჩევნია, გიორგი აქ დარჩეს და ისევ თავისუფალ ჭიდაობაში განაგრძოს ვარჯიში. მაგრამ თუ წონის პრობლემა მასაც შეექმნება, მეტი გზა არ გვექნება. ჯერ 17 წლისაა და წონას ინარჩუნებს.

— როგორც იაპონური ჟურნალ-გაზეთებიდან ჩანს, ლევანი იქ ძალიან პოპულარულია. პირველად როდის დაწერეს მის შესახებ?

— დიახ. კორესპონდენტებისგან სულ შეწუხებულია. ყველგან დაჰყვებიან და უყურადღებოდ წუთით არ ტოვებენ. ამის გამო ცოტათი გაღიზიანებულია. ელიტაში სულ 70 სუმოისტია. ისინი საოცრად პოპულარულები არიან არა მარტო იაპონიაში, არამედ აზიასა და მთელ ამერიკაშიც. როცა ლევანი ტოკიოში წავიდა, ქართული ჟურნალ-გაზეთები წერდნენ, რომ ის პირველი იყო, ვინც პროფესიონალურ სუმოში მოხვდა. იმასაც წერდნენ — ეს ისეთი შემოსავლიანი სპორტია, რომ საქართველოს ბიუჯეტს ეშველებაო... ახლახან ჩვენთან იაპონელი კორესპონდენტები იყვნენ. რამდენჯერმე, იქაურ ტელევიზიაში პირდაპირი ჩართვა გვქონდა. სულ ახლახან თხუთმეტკაციანი დელეგაცია გვესტუმრა. გვთხოვენ: ჩამოდით, დაათვალიერეთ იაპონიაო. ცხადია, კარგი იქნება. განსაკუთრებით ლევანის ორთაბრძოლის ნახვა გვინდა. მას ხომ მართლაც საოცარი მიღწევები აქვს. იაპონურ ჟურნალებში გამუდმებით ქვეყნდება რეიტინგები. თუ მათ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ოთხი ოზეკიდან თითოეულს 1000-დან 1400-მდე ბრძოლა ჩაუტარებია. ლევანი კი ჯერ მხოლოდ 120 შეჯიბრში გამოსულა. წარმოიდგინეთ, რამდენად ძნელია ელიტაში მოხვედრა! ლევანს ამდენი ბრძოლა არ დასჭირვებია, მაგრამ როგორც კი ბრძოლას გამოეთიშება (ძირითადად, ეს ტრავმის გამო შეიძლება მოხდეს) ქვედა საფეხურზე ჩამოსვლა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს.

— რომელიმე სხვა სუმოისტს თუ გაუვლია საფეხურები ისე სწრაფად, როგორც ეს ლევანმა მოახერხა?

— სუმოს ისტორია 1500 წელს ითვლის მთელი ისტორიის მანძილზე, ლევანი მერვეა, ვინც საფეხურები ასე მოკლე ხანში გაიარა... ახლა ელიტაშია და იქ უკვე რეიტინგების სხვა სისტემაა.

— რამდენი იოკუძუნა ჰყავს იაპონიას?

— მხოლოდ ერთი მოქმედი იოკუძუნა ჰყავს.

— ლევანის უახლოესი გეგმების შესახებ თუ იცით რამე?

— ლევანი უძლიერესთა შორის დებიუტანტია და სულ მალე, ამ დონეზე პირველი ბრძოლები აქვს ჩასატარებელი. სულ თხუთმეტი შეხვედრა ექნება. აქედან 7-8 ბრძოლა თუ მოიგო, ეს დიდი მიღწევა იქნება. მაგრამ თუ ვერ იასპარეზა და შეჯიბრი გამოტოვა, რაც შეიძლება, ფეხის ტრავმის გამო მოხდეს, მაშინ მეორე საფეხურზე დაბრუნდება. სუმოისტი ყოველ წუთას, ფორმაში უნდა იყოს, იმიტომ, რომ მთელი წელი დაძაბული აქვს. მხოლოდ შეჯიბრის შემდეგ ეკუთვნის ერთკვირიანი დასვენება. ■

სუმოისტი ყოველ წუთას, ფორმაში უნდა იყოს

ავთო მარგველაშვილი

„კომერციული" ქელეხი

წინაპართა მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების თანახმად, ქორწილი გაცილებით მხიარული სუფრების კატეგორიას განეკუთვნება, ვიდრე ქელეხი. თუმცა, გარდაცვლილის ასაკს გააჩნია, თორემ შეიძლება, ქელეხიც არანაკლებ მხიარულად ჩატარდეს. რატომაც არა? ელექტრონული მუსიკა თუ არა, დოლი, აკორდეონი და კლარნეტი იქაც უკრავს, ღვინო იქაც ისმევა; ერთია, რომ სუფრაა ქორწილში გაცილებით მრავალფეროვანი.

როგორც ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვს და ქელეხიც ერთი უპირატესობით გამოირჩევა, რომელიც გაჭირვებულმა ხალხმა მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც უპენსიობას, უხელფასობასა და სიღატაკეს გაუგო გემო: ეს ის ხარჯია, რომელიც ქორწილის შემთხვევაში 4-5-ჯერ მეტს აღწევს. შემოსული თანხა კი, რომლითაც მეზობელ-ნათესავი ეხმარება ოჯახს, ორივე შემთხვევაში ერთნაირია. ასე რომ, ქელეხი კომერციულად მომგებიან რიტუალად იქცა...

— გული მეწვის ამ ბავშვის საცოდაობით! უფულობას რა ვუთხარი, თორემ ასეთი ნიჭიერი გოგო, როგორ დავტოვო უმაღლესი განათლების გარეშე?! — ამოიხვნეშა საძილედ გამზადებულმა კუკურიმ და საწოლში გვერდი იცვალა.

— ავალ, მოხუცებს დავხედავ — თქვა ცოლმა და ჭერს ახედა, რომლის მაღლა ღრმად მოხუცებული დედამთილ-მამამთილის საძინებელი იყო განთავსებული.

ნაზიკოს ცუდ რძლობას ვერავინ დასწამებდა და არც დედამთილ-მამამთილი შეხვედრია ურიგო, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და თუ რომელიმე მათგანი „გულზე ხელს დაიკრეფდა", ქალიშვილის სასწავლებელი ფულიც გაჩნდებოდა ოჯახში. ჰოდა, სწორედ რომ „ღმერთმა გადმოხედა" იმ ღამეს ნაზიკოს: — ოთახის კარი რომ შეაღო, ოთხმოცს გადაცილებული დედამთილი სულგაყრილი დახვდა.

ნაზიკომ ისეთი ტირილი იცოდა, რომ მეზობელ სოფლებშიც კი ნათხოვრობდნენ ხანდახან და საკუთარი დედამთილის შეცხადებას დაიზარებდა? ჩართო „სირენა" და ათ წუთში მთელი სოფელი შეყარა.

ატყდა მზადება, დაინიშნა „თავიკაცი" და მისი მოადგილე „თავიქალი", შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, ჩამოიწერა ქელეხის ხარჯი, დასაპატიჟებელი ხალხის სიაც შედგა და უხეშად გადაანგარიშების შედეგად ნაზიკო მიხვდა, რომ 1.000-1.500 ლარი მაინც დარჩებოდა მოგება.

— მადლიანი ქალი იყო დედაშენი — ჩასჩურჩულა ქმარს — სიკვდილითაც სამსახური გაუწია შვილიშვილს და მის უმაღლეს განათლებაზე იზრუნა...

ამ სიტყვების გამგონე ქმარმა ცრემლი მოიწმინდა და გაიხსენა, რომ შემოდგომზე ბიჭს ჯარი უწევდა.

— იქნება, ინსტიტუტში შესატან თანხას ორი კაპიკიც გადარჩეს და ბიჭი 6 თვით მაინც ჩამოვტოვოთ ჯარიდან — საიდუმლო გაანდო ცოლს.

— მეიცა, კაცო, მანამდე კიდო იზამს ღმერთი რაღაცას — უპასუხა ცოლმა და თვალი ისევ საძინებელი ოთახისაკენ გააპარა, სადაც 90 წელს მიტანებული მამამთილი, რამდენიმე თვე იყო, უგონოდ იწვა — ჯარიდანაც დავტოვებთ და „გპი"-ში მაინც მოვაწყობთ...

საუბარი უცებ შეწყვიტეს, რადგან მათ „თავიკაცი" მოუახლოვდა.

— მესმის, ძნელია ახლა თქვენთვის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი აქვს: რაიმე სურათი უნდა მოძებნოთ გასადიდებლად.

— რა გითხრა, ჩემო კოწია, იცი?! — ცრემლად დაიღვარა კუკური — ეგერაა ალბომი და ამოარჩიე შენი გემოვნებით. მე ახლა მაგის თავი მაქვს?!

— ვიცი, ძმაო, ვიცი, მეც შარშან არ გადევიტანე ასეთი ამბავი?! (კოწიას ერთადერთი ქალიშვილი თბილისში მოეწყო სამედიცინოზე).

კოწიამ ფრთხილად შეაღო მოხუცების საძინებლის კარი და ალობმის ძებნა დაიწყო. სწორედ ამ დროს გაიგონა, როგორ ამოიკვნესა მოხუცმა კაცმა და სუნთქვა შეწყვიტა. შეშინებულმა კოწიამ პირზეც დაადო ყური და პულსიც მოუსინჯა, მაგრამ უშედეგოდ.

— აუჰ! არ არიან რომეო და ჯულიეტასავით?! — აღმოხდა „თავიკაცს".

ამ ხმაზე ნაზიკო და კუკურიც შემოვარდნენ ოთახში და კოწიას შვლის ნუკრის თვალებით შეაჩერდნენ.

— რა მოხდა, კოწია, აღარ იტყვი?!

— რავა მთლად დაობლდი, ბიჭო! — მკვდრის ფერი დაედო მეზობელს.

რძალმა მამამთილს გადახედა და მიხვდა, რომ რაღაცას თუ არ მოიფიქრებდა, ბიჭს ჯარში უკრავდნენ თავს. ქალი ეშმაკზე ადრეა დაბადებულიო და ნაზიკომაც იპოვე გამოსავალი:

— კოწია, ბიძაშვილად გვეკუთვნი და არ დაგვღუპო, შენი ჭირიმე! — დაიწყო ქალმა — არავის უთხრა ეს ამბავი, თორემ ორივეს ერთად დასაფლავება მოგვიწევს.

— მერე რა?! მაგი გაუჭირდებათ ჩვენი უბნის ბიჭებს?! ორ სამარეს კი არა, მთლად გადათხრიან მთელ სასაფლაოს.

— მაცადე, კაცო! — გაუწყრა ნაზიკო ქმარს — სად ერთ ქელეხში შემოსული თანხა და სად ორში?! გავაჩეროთ ეს საცოდავი ერთი კვირა, მაინც სიცივეებია და დედაშენს რომ დავმარხავთ, მეორე დღეს გამოვაჩინოთ. რავა, ბიჭს უსწავლელს მიტოვებ, რომ შენსავით ზილოს სოფლის ტალახი?!

ბევრი იკამათეს, იმსჯელეს და ბოლოს, მაინც ქალის აზრს დაყაბულდნენ. არც კოწია წასულა მაინცდამაინც წინააღმდეგი, ბოლოს და ბოლოს, ორი

ქელეხის თამადობა მოუწევდა... ხარჯის კიდევ უფრო შესამცირებლად გადაწყვიტეს, სურათი ბარემ ორივესი გაედიდებინათ და „სასახლეც“ ორი შეეკვეთათ — „ოპტავიო“ ფასი ხომ გაცილებით დაბალია...

მოკლედ, ყველაფერი მოგვარდა: „ზაპასნიო“ კუბო სარდაფში გადამალეს, გადიდებულმა სურათმა კი ოთახის კედელზე დაიკავა საპატიო ადგილი...

— ეს რა გიქნიათ, თქვე ულმერთოებო, — შეიცხადა სამძიმარზე შემოსულმა უშანგიმ — ცოცხალი კაცის სურათი გაადიდეთ?!

— არც მაგ საცოდავს უწერია დიდი დღე. მისი ნება იყო ასეთი — მიატირა რძალმა.

— დიდი დღე თუ არ უწერია, გავაჩეროთ ეს ქალი კიდევ რამდენიმე დღით და ბარემ... ჭირისუფალიც ცოდვა ხართ, დეიხოცებით ტირილით — კეთილი რჩევა მისცა მეზობელმა. თუმცა, ჭირისუფლებზე უფრო, საკუთარი ჯიბე შეიცოდა.

უშანგის მეზობლებიც დაეთანხმნენ, რადგან სხვებსაც არ ახარებდათ ერთ ოჯახში ორჯერ ფულის მიტანა და თითქოს ნამეტანი შესტკიოდათ გული, ხარჯშიც ერთიანად გამოხვალთო, კუკურის ურჩევდნენ.

— რას ამბობთ, ხალხო, იქნება, არ კვდება ჯერ ჩემი მამამთილი და ძალით ხომ არ მოვკლავ, რომ ნაკლები ხარჯი გავიღო?! — დასჭექა ნაზიკომ და ყველანი გააჩუმა.

მიაბარეს ქალი მიწას, მეზობლებმაც თავი არ შეირცხვინეს — გასაღები ფული გაიღეს და კუკურის ჭურის ღვინით გადამთვრალებმა ძილს მისცეს თავი. რა იცოდნენ, რომ მამლის ყივილის ნაცვლად, ისევ ნაზიკოს კივილით მოუწევდათ ადრიანად გაღვიძება.

P.S. ბებიასა და ბაბუას ცალ-ცალკე დასაფლავების წყალობით, დღეს ორივე შვილიშვილი სტუდენტია.

■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია ინტიმი (18 წლიდან)

☎822 009 005
ზარი ფასიანია

„მას ქალუაძს, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე“

რა ელოდებათ 2004 წელს მაია ჯაბუას, ზურა ხაჩიძეს, მერაბ სეფაშვილს, ეკა კვალიაშვილს, კახა ცისკარიძეს, მამუკა ონაშვილსა და ლელა წურწუმიას? როგორი იქნება მათთვის მაიმუნის წელიწადი? წარმატება მეტი ექნებათ თუ სიძნელე? ამის შესახებ, დაპირებისამებრ, ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა გვესაუბრება.

ლელა ჭანკოტაძე

„მაია ჯაბუას ვურჩევ, თავი შეიკავოს აზარტული თამაშებისგან“

— წარმატებები და წარუმატებლობა ამ წელს, მაიას თანაბრად ელის, ამიტომ ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, თუ როგორი იქნება მისთვის მაიმუნის წელიწადი. სიძნელეც ბევრი ექნება და სიხარულიც. მაგრამ ვურჩევ, სიფრთხილე გამოიჩინოს ადამიანებთან ურთიერთობისას, რადგან ამ მხრივ, სირთულეებს ვერ ასცდება. განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდება პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

— წლის რომელი ნახევარი იქნება მისთვის შედარებით რთული?

— მისთვის დაძაბული, მაისი-ივნისი იქნება. წლის ბოლოსაც შეხვდება უსიამოვნებები. წლის სხვა პერიოდები კი, შედარებით მშვიდად ჩაივლის. ვურჩევ, თავი შეიკავოს კაპიტალდაბანდებებისა და აზარტული თამაშებისგან. რამდენიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაც მოუწევს. მოსალოდნელია კონფლიქტები სამსახურში. თუმცა, საერთო ჯამში, ეს წელი მაინც ნორმალურად ჩაივლის.

„ზურა ხაჩიძე ქალებს აფრთხობს და აშინებს“

— ზურა ხაჩიძის ფოტო მეუბნება, რომ უნდა გესაუბროთ ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც საშინლად აღიზიანებს საკუთარი ინტიმური ცხოვრების აფიშირება. არადა, მისი ინტიმური სამყარო ძალზე საინტერესოა. მას შეუძლია, იყოს ალერსიანი, ვნებიანი საყვარელიც და ამავე დროს — უხეში, ცივი მამაკაციც, რომელიც ქალებს აფრთხობს და აშინებს. მას

ძალუძს, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე, მაგრამ იოლად გააფუჭებს ურთიერთობას, თუკი ის მისთვის ძვირფასი არ არის. ძლიერი მამაკაცია, პატიოსანი ადამიანია. მას ყველაფერი უყვარს, რაც გართობასთანაა დაკავშირებული. ხალხმრავალ ადგილებში თავს კარგად გრძნობს. ცხელსისხლიანია, იოლად კარგავს მოთმინებას და ყველას ვურჩევდი, არ ენახათ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ზურა...

— ეი. საკმაოდ კარგად შენიღბულია — საკუთარი ინტიმური სამყაროს დაფარვა ძალუძს...

— ვნებააშლილი, ის უკიდურესობაში ვარდება ხოლმე, როცა ვინმეს დაპყრობა სურს. ზურას დაუოკებელი ლტოლვა მასზე ასაკოვანი ქალებისკენ იმითია გამოწვეული, რომ სიყვარულში გამარჯვება განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მისთვის სექსუალური პარტნიორი მხოლოდ სამი თვის მანძილზეა საოცნებო, შემდეგ ურთიერთობა აუცილებელ საჭიროებამდე დაჰყავს.

— მისი უარყოფითი მხარე რა არის?

— ეგოისტია. მხოლოდ საკუთარი თავისა და პირადი წარმატებისთვის იღვწის. ცვალებადი ხასიათი აქვს. იოლად იღლება.

— რა ელოდება?

— ძალიან მნიშვნელოვანი წელი დაუდგა. შეუძლია, ეს წელი დაუვიწყარი გახდეს მისთვის. ვურჩევ, დაოჯახდეს, რაც ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის. სხვათა შორის, ძნელი სათქმელია, როგორი მეოჯახე იქნება, რადგან ოჯახური კერა მას სულს უხუთავს. ის მოითხოვს, რომ ოჯახში ცენტრალური ფიგურა იყოს, ყველა მას მოემსახუროს და მისი ინტერესები გაითვალისწინოს. სხვა შემთხვევაში, ოჯახიდან უკანმოუხედავად გაიქცევა.

— ვისზე შეაჩერებს ზურა არჩევანს?

— ქალწულზე, რომლისთვისაც ის პირველი მამაკაცი იქნება. თუმცა, რამდენიმე წლის მანძილზე, ისევ უცოლოდ ივლის, ოღონდ — არა კენტად...

— როგორი მეგობარია?

— არაჩვეულებრივი. სამეგობროდ კარგი ყმაწვილია. ნებისმიერი სიძნელის გადალახვისას, ახლობელს შეუძლია, მას დახმარება სთხოვოს — ის მუდამ მზადაა თავისი მეგობრების დასახმარებლად.

„მერაბ სეფაშვილს შორეული მოგზაურობა მოუწევს“

— მერაბ სეფაშვილს წინსვლა ელის. ის საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად ჩაებმება. ბევრ საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებს. მისი კარიერა აღმასვლით წავა, მაგრამ წელს, უფრო მეტად გააქტიურდებიან ის ადამიანები, რომლებიც მისთვის ზიანის მიყენებას ცდილობენ. წელს მერაბი თავის მტრებზე სუსტი იქნება... მას საცხოვრებელი ბინის გამოცვლა ელის, შორეული მოგზაურობაც მოუწევს. მისი მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება. რაც მთავარია, მოგვარდება პრობლემა, რომელიც მისი ერთ-ერთი ახლობლის ჯანმრთელობასთან იქნება დაკავშირებული. დიდი დანაკარგიც არ ასცდება, მაგრამ ეს წელი მაინც წარმატებული აღმოჩნდება მისთვის.

„ეკა კვალიაშვილს დიდი შენაძენი ელის“

— ეკა კვალიაშვილს კონფლიქტებით სავსე წელი ელოდება. ეიფორიული დღეები ელის. ბევრი ვნებათაღელვა და ჭარბი ემოციები გადაღლის კიდეც. შეიძლება, იავადმყოფოს ან რომელიმე ახლობლის ავადმყოფობით ძალიან შეწუხდეს. დიდი შენაძენი ექნება — ისეთი, რომელიც 2004 წელს, სხვა წლებისგან გამოარჩევს და მისთვის დაუვიწყარს გახდის. მოსალოდნელია მატერიალური წინსვლაც, მაგრამ ეს წელი მისთვის მაინც დამღლელი და ქაოსური აღმოჩნდება. ამიტომ ყველაზე დიდი ყურადღება ურთიერთობების მოწესრიგებას უნდა დაუთმოს. მისთვის შედარებით მშვიდი და ინერტული, სავსე მთვარის დღეები იქნება.

„კახა ცისკარიძე პოპულარობის ზენიტს მიაღწევს“

— კახასთვის ძალზე აქტიური წელი დადგა. ის პოპულარობის ზენიტს მიაღწევს. ყველაფერი გამოუვა, რასაც კი ხელს მოჰკიდებს; ყველაფერში გაუმართლებს. წელს ფორტუნა მის მხარეზეა. შეუძლია, რისკზეც წავიდეს და ყველაფერი სასწორზე შეაგდოს. მისთვის განსაკუთრებით წარმატებული, წლის მეორე ნახევარი აღმოჩნდება. მისთვის ახალი იდეების და ამ იდეების განხორციელების ხანა დგება.

— პირად ცხოვრებაზეც იგივე ითქმის?

— დიახ. წლევანდელი წელი ნამდვილად იღბლიანი აღმოჩნდება კახასთვის. შეუძლია, ყველაზე დიდი ოცნებებიც რეალობად აქციოს. ბევრი გასტროლი და მოგზაურობა ელის. უმნიშვნელო უსიამოვნებები და ბევრი სიხარული მისთვის ამ წელს დაუვიწყარს გახდის. ფინანსური პრობლემები წარსულში დარჩება.

■



„ოთხვა კაცვა

ოთახში აღვამიანისხვლა ფრაზი ვვეპოფანა...“

„ნინო მ-ს. ნინო, მართლა მრცხვენია, რომ მოგატყუე, — ცოლი არ მყავს-მეთქი. ნუ დამემდურები, ხომ იცი, რომ უზომოდ მიყვარხარ. რა მნიშვნელობა აქვს, ცოლიანი ვარ თუ უცოლო? ხომ კარგად გრძნობდი თავს ჩემ გვერდით? მიყვარხარ და მენატრები. შენი „გაბერილი“, — ეს გახლავათ „მესიჯი“, რომელიც „გზის“ წინა ნომრის „გზავნილებში“ გამოვაქვეყნეთ. *ამ კვირაში, ამ „მესიჯის“ პასუხი ნინოსგან მოვიდა:*

„დათო, „გზის“ მეშვეობით მეკითხებები და თან არ მიმხელ, რომ შენ ხარ? მომწონს! ვფიქრობ, ცოლიანობა ადამიანურ ურთიერთობებს ხელს არ უშლის, მაგრამ თუ პირობას დაარღვევ და მაწყენინებ, უფრო დიდ „მწვერვალზე“ — მე-16 სართულზე აგიყვან და იქიდან უკოცნელს ჩამოგიყვან. მეც მენატრები. ისე, ხუმრობა-ხუმრობაში ჭკვიანი ბავშვები იბადებიან... „შიშველი, „სტრანნი“ ფერია, ნინო“. *აი, ასე ურთიერთობენ წყვილები ჩვენ მეშვეობით. იმედი ვიქონიოთ, რომ მათ ურთიერთობაში ყველაფერი რიგზე იქნება და დღევანდელ „გზავნილებს“ მივხედოთ.*

მარი ჯაფარიძე

ალბათ გახსოვთ — თემა, რომელსაც ამჯერად „გზავნილებს“ ვუთმობთ, ასე განვსაზღვრეთ — როგორ ვასიამოვნე საყვარელ ადამიანს. როგორც ჩანს, ჩვენი მკითხველების ფანტაზიას საზღვარი არა აქვს: ამაში თავად დარწმუნდებით, როდესაც მათ მიერ გამოგზავნილ „მესიჯებს“ გაეცნობით.

„ჰოლანდიის უმდიდრეს ადამიანზე ვთხოვდები...“

„მე სოფო ვარ, 25 წლის ძალიან მიყვარს ინტერნეტში „მოგზაურობა“ და განსაკუთრებით, უცხო ადამიანებთან კონტაქტი, მიწერ-მოწერა. ამ გზით ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. რაც შეეხება სიურპრიზს, თვით ცხოვრებამ ძალიან საინტერესო და სასიამოვნო სიურპრიზი მომიწყო და სწორედ ამის შესახებ მინდა, გიამბოთ. ორი წლის წინ, ჩემს საიტზე საინტერესო წერილი მივიღე. ავტორი ჰოლანდიელი, 34 წლის მეთი გახლდათ. ჩვენი ურთიერთობა კარგა ხანს გაგრძელდა, ფოტოებიც გავუგზავნეთ ერთმანეთს. სიმპათიური, კარგი აღნაგობის მამაკაცი აღმოჩნდა. როგორც თვითონ მითხრა, ერთ-ერთი ფირმის კონსულტანტ-მენეჯერად მუშაობდა. მის მიმართ სერიოზული გრძნობა გამიჩნდა. არც თვითონ იყო გულგრილი. ღამეებს ვათენებდით ხოლმე ერთმანეთთან საუბარში. ხშირად ტელეფონით მირეკავდა და მკითხულობდა. მე უცხო ენების ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული და ინგლისურად თავისუფლად ვსაუბრობდით. ძალზე რომანტიკული პიროვნებაა მეთი. ერთხელ კარზე დამიკაკუნეს და მისი სახელით უზარმაზარი, ჰოლანდიური ყვავილების თაიგული გადმომცეს. ხშირად ვიღებდი მისგან საჩუქრებს, სუნამოებს, ტანისამოსს. მერე მთხოვდა, მისი ნაჩუქარი კაბით, მისივე გამოგზავნილ თაიგულთან სურათი გადამეღო და მისთვის გამეგზავნა. ფულითაც ხშირად მასაჩუქრებდა. მეუბნებოდა: მართალია, სულ სამი ათასი დოლარი მაქვს ყოველთვიური შემოსავალი, მაგრამ მინდა, რომ გასიამოვნოო, — და თვეში ხან 500, 800, 1.000 დოლარსაც კი მიგზავნიდა. 2003 წლის აგვისტოში, გვიან ღამით შინ, ოჯახის წევრებთან ერთად ვიყავი. კარზე დააკაკუნეს. კარი დედამ გააღო და რამდენიმე წუთის შემდეგ, სავარძელში, მჯდომს, თავზე ჩემი მეთი წამომადგა. კინაღამ ჭკუიდან გადავედი სიხარულით. ცოტა ხანს შინ ვისაუბრეთ, შემდეგ სასეირნოდ დამპატიჟა. ტაქსით მთელი თბილისი მოვიარეთ. მეუბნებოდა — მაინტერესებს, როგორია ის ქალაქი, სადაც შენ ცხოვრობო. შემდეგ ღამის ბარში დამპატიჟა და მითხრა: ნება მომეცი, შენს მშობლებს შენი ხელი ვთხოვოო. არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. შინ მიმაცილა, თვითონ ღამის გასათევად სასტუმროში წავიდა და მეორე დღეს კვლავ გვესტუმრა. დედაჩემს ყვავილები მიართვა და ჩემი ხელი ოფიციალურად სთხოვა. მოკლედ, გადაწყდა, რომ მე მეთის ცოლი გავხდებოდი, ის სამშობლოში დაბრუნდებოდა და რამდენიმე თვეში მეც მასთან წავიდოდი. მეთი თბილისში ერთი თვე დარჩა. ჩემზე ბედნიერი ადამიანი ქვეყნად არ მეგულებოდა. წასვლისას, აეროპორტში გამიმხილა, რომ თურმე, ჰოლანდიაში, მილიონერებს შორის მე-5 ადგილზე ყოფილა და ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება. თბილისში კი, საკუთარი თვითმფრინავით იყო ჩამოსული. კინაღამ გულის შეტევა დამემართა... თბილისში ყველა საბუთი და საქმე მოვაწესრიგე და თვითმფრინავზე ბილეთიც დავჯავშნული მაქვს. 30 იანვარს მასთან მივფრინავ... მინდოდა, ჩემი ბედნიერების შესახებ მეამბნა თქვენთვის. „გზა“ ჩემთვის იქაც უსაყვარლეს ჟურნალად დარჩება (ოჯახის წევრები შემპირდნენ, რომ ყველა ნომერს გამომიგზავნიან). ყველას გეფერებით. უზომოდ მომენატრები, საქართველოვ!“

ვფიქრობ, ვერავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ ძალზე სასიამოვნოა, როდესაც ვინმე სიურპრიზს მოგიწყობს და გასიამოვნებს, მაგრამ არანაკლებ კარგი შეგრძნება გეუფლება ადამიანს, როცა სიურპრიზის ავტორი თავად ხარ და საყ-

ვარელ ადამიანს სიამოვნებას ანიჭებ.

„სასიმამრო სულ თვალებში შემომციცინებდა...“

„ერთი გოგონა მიყვარდა თავდავიწყებით. მაშინ 22 წლის ვიყავი. აღარ ვიცოდი, რით მომეგო მისი გული. ვიცოდი, რომ დედამისს დიდი გავლენა ჰქონდა მაიკოზე. ჰოდა, გადავწყვიტე, სასიდედროდან „მეჩალიჩა“. ავდექი და ჯერ დაბადების დღე მივულოცე „მაგარი“ თაიგულით. ქალბატონი ნათელა გადაირია – ეს რა „მაგარი“ ბიჭი ყოფილაო! მერე, სარვამარტოდ სურვილი ავუსრულე – პუდელის ლეკვი მივუყვანე. კიდევ ერთი პლუსი ჩავიწერე ჩემს „სჩოტში“... ხან ნაყინს მივართმევდი და ხან მარწყვს. მოკლედ, სასიდედრო უკვე „ჩემიანი“ გახდა, მაგრამ მაიკოს გული ვერაფრით მოვიგე. არ გეგონოთ, ის უყურადღებოდ მყავდა, ვიდრე ნათელას „ვახვევდი“, მაგრამ არა და არ გამიხსნა გულის კარი. ერთ დღეს, სასიდედრო შეუძლოდ შეიქნა და საავადმყოფოში გავაქანე, დავახვიე ექიმები, ფულს ყველგან მე ვიხდიდი. ყველა მადლობას მეუბნებოდა. სასიმამრო ხომ სულ თვალებში შემომციცინებდა... ბოლოს და ბოლოს, ისე მოხდა, რომ სასიდედრომ თავისი ხელით ჩამისვა მანქანაში მაიკო და შინ გამატანა... დღეს ბედნიერად ვცხოვრობთ. ამის შემდეგ ნამდვილად მჯერა, რომ „Когда ей будет приятно и мне тоже будет приятно...“

ასეთ სასიძოზე უარს აბა ვინ იტყოდა, მაგრამ სამწუხაროდ, რესპონდენტი არ გვიმხელს – მას შემდეგ, რაც მაიკო „დაისაკუთრა“, ისევ თუ ცდილობს, სიდედრს ასიამოვნოს... შემდეგი ამბავი რძალ-დედამთილის ურთიერთობას ეხება.

„ახლა შვილად უნდა მაღიარო...“

„საკმაოდ ადრეულ ასაკში გავთხოვდი – 16 წლის ვიყავი. ჩემი მეუღლე კი, 18 წლის იყო და ბუნებრივია, ახალგაზრდა დედამთილ-მამამთილი მყავდა. დედამთილი სულ 37 წლის, ლამაზი, სიცოცხლით სავსე და თბილი ქალი გახლდათ. პირველი დღეებიდანვე შემიყვარდა. ისე მეფერებოდა ხოლმე, როგორც საკუთარ შვილს. ჩემს მეუღლეს ხშირად უწევდა სხვა ქალაქში წასვლა (ქუთაისში სწავლობდა) და როდესაც ის შინ არ იყო, დედამთილთან მეძინა ხოლმე. მამამთილი ხუმრობით ამბობდა – ამ გოგომ ცოლი წამართვაო... ეს ხუმრობით, თორემ, სულაც არ ედარდებოდა. წარმოსადეგი მამაკაცი გახლდათ, მატერიალურად საკმაოდ ძლიერი და გართობასა და დროს ტარებას არ იკლებდა. ვგრძნობდი, რომ ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნება სხვა ქალის გამო ხდებოდა ხოლმე, თუმცა, ჩემი თანდასწრებით ამაზე არასოდეს ულაპარაკიათ... 5 წელი შვილი არ მყავდა. მე ძალიან ვნერვიულობდი, ნინო (დედამთილი) კი, სულ მამშვიდებდა: რა გეჩქარება? შვილს ყოველთვის მოესწრება, ეცადე, ქმარს მეტი ყურადღება დაუთმო. ერთ დღეს, ბესოს (ქმარს) და მამამისს ერთმანეთში უკმაყოფილება მოუვიდათ. მიზეზი კი ის იყო, რომ მამა ვიღაც ქალთან დადიოდა, ღამებს იქ ათენებდა და მალე ალბათ ოჯახსაც დაანგრევდა. ამ დროს, ჩემი დედამთილი ანტალიაში ჰყავდა დასასვენებლად გაგზავნილი. ჩემი მამამთილის მობილური „დავიმარტოხელე“, „მესიჯები“ ვნახე და იმ ქალის ნომერი ამოვიწერე. შემდეგ, ჩემი ქმრის მეშვეობით, მისი ვინაობა დავადგინე, გავიკითხ-გამოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ არცთუ ისე სუფთა წარსული ჰქონია. ისიც კი მითხრეს – ამბობენ, ახალგაზრდობაში, ბავშვიც კი გაუშვილაო. არ ვიცოდი, ის ბავშვი გოგო იყო თუ ბიჭი, მაგრამ მაინც გავრისკე: ამ ქალს დავურეკე და ვუთხარი – შენი შვილი ვარ და ძალიან მინდა, გნახო-მეთქი. ენა დაება... თურმე, ქმარი ჰყოლია და შეეშინდა, მის ყურამდე არ მისულიყო ეს ამბავი. გამომკითხა – საიდან, როგორ მომაგენიო? – მეც ვუთხარი – გოჩამ (მამამთილმა) შემთხვევით შეიტყო, რომ გოგონა გაგიშვილებია, კვალს მიჰყვა და ჩემამდე მოვიდა-მეთქი, თან დავაყოლე – ახლა შვილად უნდა მაღიარო და შენთან უნდა ვიცხოვრო-მეთქი. – მოვიფიქრებო, – მიპასუხა... იმ დღიდან, ჩემს მამამთილს მასთან პრობლემები შეექმნა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ერთ საღამოს გავიგონე, გოჩა ტელეფონით გაცხარებული ლაპარაკობდა და გინებით იკლებდა მთელ სახლს. მეორე დღეს მითხრა: ნინოსთან მივდივარ ანტალიაში, ხომ არ წამოხვალო? გავყევი. მთელი ორი კვირა ერთად ვიყავით. ცოლ-ქმარი ისე ჭუკჭუკებდა და ეფერებოდა ერთმანეთს, თითქოს ახალდაქორწინებულები იყვნენ... იმის შემდეგ, 5 წელი გავიდა და ჩემმა დედამთილმა მხოლოდ ახლა შეიტყო ეს ამბავი. ძალიან ნასიამოვნები დარჩა. ჩემი მადლიერია და მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების სიის თავში ვარ მოქცეული“.

შვილები მშობლებს ბევრ სასიამოვნო თუ უსიამოვნო სიურპრიზს ვუწყობთ ხოლმე, მაგრამ ის, რასაც 20 წლის ნინო გვიამბობს, მართლაც იშვიათი შემთხვევაა.

„ჭირი იქა, ლხინი აქა...“

„დედაჩემს ისეთი სასიამოვნო სიურპრიზი მოვუწყვე, ბევრს არც დაესიზმრება. ვეცდები, თანამიმდევრულად გიამბოთ ყველაფერი.

დედისერთა ვარ. მამა არ მახსოვს და არც ვიცი, ვინ არის. როგორც დედა მეუბნებოდა ხოლმე, ის მფრინავი იყო, თვითმფრინავი აუფეთქდა და დაიღუპა. თქვენც ხვდებით, რომ მოგონილი ამბავია, მაგრამ არასოდეს ჩავძიებივარ, რომ სიმართლე დამედგინა. ასე გამზარდა მარტომ, წვალებწვალებით, მაგრამ უმამობა არასოდეს მიგრძნია. სამი წლის წინ, გავიცანი ამირანი. ერთმანეთი შეგვიყვარდა. დედაჩემმაც იცოდა და მისმა ოჯახმაც, რომ ვხვდებოდით. სტუმრადაც მივდიოდი მასთან და სარძლოსაც მეძახდნენ. ერთხელ, სამამამთილოს დაბადების დღეზე გახლდით მიპატიჟებული. დედა არ წამოვიდა და შინ დარჩა. სუფრასთან საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი. ერთი კაცი ისე დაჟინებით მიყურებდა, რომ ძალზე უხერხულად ვგრძნობდი თავს. ცოტა ხნის შემდეგ, გვერდით მომიჯდა და მკითხა: დედაშენს ნატო ხომ არ ჰქვიაო? – კი-მეთქი, – დავუქნიე თავი. შუბლზე მაკოცა: ასეც ვიცოდი – მისი ზუსტი ასლი ხარო. შემდეგ მიამბო, რომ თურმე, ახალგაზრდობაში დედაჩემი ჰყვარებია, დედაც არ ყოფილა მისდამი გულგრილი და ერთად ცხოვრებასაც გეგმავდნენ, რომ ერთ დღეს, ვიღაცას დედა მოუტაცებია და მათი სიყვარული დაუნგრევია... ბოლოს, იმ კაცმა მითხრა: თვალებში რომ შემოგხედე, გავშეშდი – მეგონა, ნატო მიყურებდაო... იმ საღამოს, შინ დაბრუნებული, დედას ლოგინში ჩავუწექი და ვთხოვე, მოეყოლა ახალგაზრდობის ამბები. დაწვრილებით მიამბო მისი და სოსოს (წვეულებაზე გაცნობილი მამაკაცის) სიყვარულის ამბავი. მამაჩემს მოუტაცებია, ერთად სულ ერთი თვე უცხოვრიათ, შემდეგ დედაჩემი მშობლებთან, სოფელში გაქცეულა. როდესაც შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო, ურჩევდნენ, თავიდან მოვეშორებინე, მაგრამ იქიდანაც გამოქცეულა და ისევ თბილისში დაბრუნებულა. სამსახური უშოვია, გამაჩინა და ასე, წვალებით გამზარდა. გული მომიკვდა, როდესაც მითხრა – სოსო რომ დავკარგე, მეგონა, ცხოვრება დამთავრდა, მაგრამ შენ რომ გაჩნდი, ყველაფერი ხელახლა დავიწყეო... გადავწყვიტე, სოსო მომეძებნა და გამეგო, ცოლი ჰყავდა თუ არა. აღმოჩნდა, რომ თვითონაც უკითხავს ჩვენი ტელეფონის ნომერი, მაგრამ მე დავასწარი – დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. შევხვდით. ბევრი ვისაუბრეთ. გაირკვა, რომ ცოლი მოუყვანია, მაგრამ ათი წლის წინ, ის ქალი გარდაცვლილა და შვილიც არ დარჩენია... მოვილაპარაკეთ, რომ დედას სიურპრიზს მოვუწყობდით. ერთ თვეში ნატოს დაბადების დღე მოდიოდა. სოსოს ეჩქარებოდა მისი ნახვა, მაგრამ ვაიძულე, მოეთმინა. დაბადების დღის სუფრა რესტორანში შევუკვეთეთ. სოსომ

ფულიც მომცა ახალი ტანისამოსის შესაძენად. დედაჩემი ისე გამოვაწყვე, რომ ლამის იყო, ღმერთქალს დაემსგავსა. საიდან მოიტანე რესტორნის ან ტანისამოსის ფულიო? – რომ მეკითხებოდა, – ამირანს (ჩემს შეყვარებულს) „ვაბრალებდი“ (ისიც საქმის კურსში იყო და გვგულშემატკივრობდა)... რესტორანში სულ ოცი კაცი გვყავდა დაპატიჟებული, მათ შორის, დედაჩემის ახალგაზრდობის მეგობრები, ვინც მისი სიყვარულის შესახებ ყველაფერი იცოდა. უკვე ერთი საათის მისულები ვიყავით, იუბილარის სადღეგრძელოც შესმული გვქონდა, რომ კარი გაიღო და... მე სუნთქვა შემეკრა, რადგან ჩვენი „სცენარის“ მიხედვით, სოსო უნდა შემოსულიყო, მაგრამ გაოცებისგან პირი ღია დამრჩა: ოთხმა კაცმა ოთახში ადამიანისხელა, 5-სართულიანი ტორტი შემოიტანა, რომელზეც უამრავი სანთელი ენთო. ტორტი იატაკზე დადგეს, რადგან ზომის გამო, სხვაგან მისი მოთავსება შეუძლებელი იყო. ოფიციანტები გავიდნენ, კარში კი, უზარმაზარი თაიგულით ხელში, სოსო იდგა და იღიმებოდა. დედაჩემს კინაღამ გული წაუვიდა. მისი მეგობრები ხომ მთლად გადაირივნენ... კარგი იქნებოდა, თუ ამ ამბავს ასე დავასრულებდი: „ჭირი იქა, ლხინი აქა“ – რადგან დღეს ისინი ცოლ-ქმარნი არიან და სულ მალე, მეც გავთხოვდები – ამირანის მეუღლე გავხდები...“

როგორც იტყვიან – ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება... ახლა კი ვნახოთ, თუ რას გვწერენ მკითხველები მოკლე „მესიჯებში“.

„ერთხელ ჩემს შეყვარებულს უნდა შევხვედროდი და მისთვის ტელეფონის საყიდლად უნდა წავსულიყავით, მაგრამ ეთომ მოსვლა ვერ მოახერხა. მეორე დღეს, მე თვითონ ვუყიდე და ისე ესიამოვნა, რომ ცუდად გახდა...“

„ჩემო ბექუ, დიდი ცდის მიუხედავად, ვერ შევძელი, მესიამოვნებინა შენთვის. უბრალოდ, შენ ბევრი არაფერი შეგძლებია. იმიჯს კი მაგარს იქმნი, მაგრამ მერე მემალები...“

„ჩემს მეუღლეს ერთხელ მაგრად ვასიამოვნე – დაბადების დღეზე ბოლო მოდელის BMW ვაჩუქე. თ. მ.“

„მახსოვს, ახალგაზრდობაში მაგრად ვასიამოვნე ჩემს ლექტორს – გამოცდა „ხუთიანზე“ ჩავაბარე... მას კი ეგონა, გონებაჩლუნგი ვიყავი. დიტო, 40 წლის“.

„სიამოვნება ის არის, ვინმე რომ სანუკვარ სურვილს შეგისრულებს. ჰოდა, ჩემს ცოლს ველოსიპედი ვუყიდე: მეგონა, სულ ამაზე ოცნებობდა, მან კი... ეჰ!“

„ჩემო „გვრიტო“. ვიცი, ამ „მესიჯს“ რომ წაიკითხავ, ძალიან გესიამოვნება. სალო, უზომოდ მიყვარხარ! დედაშენს რას უყურებ?! მოდი, გავიპაროთ. თუ ჩემი არ გახდები, დედას გეფიცები, თავს მოვიკლავ!..“

„ნინიკო, ჩემო სიცოცხლევ! ორივეს საკუთარი ოჯახი გვაქვს. ამის გამო ჩვენი დიდი სიყვარულის ამბავი ვერავისთვის გამიმხელია. „გზავნილების“ საშუალებით კი მინდა, მთელი ქვეყნის გასაგონად გითხრა: უსაშველოდ მიყვარხარ. ნინოობას გილოცავ, საყვარელო! ოჯახების წინაშე ჩადენილი დანაშაული კი, ღმერთმა გვაპატიოს. შენი „ბაჭია“.

დღევანდელი „გზავნილები“ აქ დავამთავროთ. დასასრულ, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს მკითხველებს იმისათვის, რომ გვეხმიანებიან. მომდევნო „გზავნილების“ თემა იქნება – ანგარებიანი სიყვარული და ქორწინება. გვიამბეთ თქვენი და თქვენი ახლობლების ანგარებიან სიყვარულზე... გამოცდილებას – დადებითსაც და უარყოფითსაც – უმეტეს შემთხვევაში, სარგებლობა მოაქვს ადამიანებისთვის; გაუზიარეთ თქვენი ტკბილი თუ მწარე გამოცდილება ჩვენს მკითხველებს... გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

პასტერის ქ. №2–ში მდემარე ქალთა და მამაკაცთა პრესტიჟული
სალონი „არმანი“ გთავაზობთ მრავალფერიან, მაღალხარისხიან
და ფასიმით ხელმისაწვდომ მომსახურებას.

რა გამოგვარჩევს სხვა სალონებისაგან?

– ჩვენთან მუშაობენ თმის უმაღლესი კატეგორიის ქალისა და მამაკაცის სტილისტები, რომლებიც ინდივიდუალურად შეგირჩევენ ყოველდღიურ თუ სადღესასწაულო ვარცხნილობებს.

– ექიმი-კოსმეტოლოგი, მანიკიურის, პედიკიურის სპეციალისტები მუშაობენ მხოლოდ და მხოლოდ სტერილური იარაღებით, რომელიც თანამედროვე, კვარცის ბურთულებიან სტერილიზატორებში 5-15 წამის განმავლობაში სტერილდება 280°C-ზე.

სალონში 3 უახლესი ტიპის სტერილიზატორია!

– სახის გაწმენდის 10-საფეხურიანი სისტემა ხორციელდება ექიმ-კოსმეტოლოგის მიერ ფრანგული, უახლესი ტიპის აპარატ – **„Michelle“**-ის, **„faberlic“**-ის და **„oriflame“**-ის ფირმის კოსმეტიკური საშუალებებით.

– სხეულის ნებისმიერი უბნიდან არასასურველი თმის მყისიერი მოცილება ხდება სხვადასხვა ფირმის სპეციალური ბიოეპილაციის („ლიპუჩკა“) საშუალებით სტერილურ პირობებში.

– სალონში წარმატებულად მუშაობს ფსიქოლოგი-ფსიქოთერაპევტი, მასაჟის, ტრენაჟორის კაბინეტები.

მომტანდით, ჯმაყოფილი დატჩომით!

სალონი „არმანი“ – თქვენი სილამაზის
და მომსიმეულოების გარანტია!

მის: პასტერის ქ. №2 (რკინიგზელთა სახლის წინ)
☎ **96-48-53** **8(99) 53-66-09**

ანსამბლი „ნეკრესი“ ულიალის ცის ქვეშ

„გზის“ მკითხველებს უთუოდ ემახსოვრებათ ჩვენი ნებაყოფლობითი კორესპონდენტის, ამჟამად საბერძნეთში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი ქალბატონის — ლიგია მუშკუდიანის რამდენიმე კორესპონდენცია, რომელიც შარშან, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, ათენში ჩამოყალიბებულ ქართული კულტურის ცენტრსა და იქ ჩასულ ქართველ შემოქმედთა გასტროლებზე მოგვითხრობდა. ამ დღეებში, ლიგიასგან კიდევ ერთი ქართული მხატვრული კოლექტივის გასტროლების ამსახველი წერილი და ფოტოსურათები მივიღეთ.

ლიგია მუშკუდიანი

დიდი ხნის წინათ, ტყუილად ხომ არ უთხრა გამოჩენილმა გერმანელმა რეჟისორმა ჰერმან ვედეკინდმა მაშინდელ ახალციხელ მთავარეპისკოპოსს (ამჟამად მიტროპოლიტ) სერგის: „ქართველ ერს დიდი პოტენციალი და ენერგია აქვს, რომელიც შესანიშნავად ჩანს თქვენს ცეკვებსა და საგალობლებში. ვფიქრობ, რომ სწორედ მათი საშუალებითაც დამყარდება მშვიდობა ქვეყნად, რადგან სწორედ ასეთი ჰანგები განაწყობს ადამიანებს მშვიდობისათვის“.

ამჟამად კი, ჩვენი სტუმარი გახლდათ ქართული საეკლესიო საგალობლების, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ნეკრესი“, რომელიც 2000 წელს ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტის, მეუფე სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევითა და ლაგოდეხის ღვთისმშობლის ტაძრის დეკანოზ თეოდორეს ძალისხმევით ჩამოყალიბდა და რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც ქალბატონი ნინო მესხიშვილი გახლავთ. ამ მოკლე ხანში, ანსამბლმა „ნეკრესმ“ წარმატებით იმოგზაურა საფრანგეთში, კერძოდ — ლიონის მხარეში, კახეთის კულტურის დღეების ფესტივალზე, რომელიც 2002 წლის 22 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე გაგრძელდა, წლეულს კი, საბერძნეთს ესტუმრა. მას მასპინძლობა გაუწია და დააფინანსა სულიწმიდის (პარაკლიტონის) სახელობის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ტიმოთემ და ათენის ქართულმა ინსტიტუტმა (დირექტორი — ბატონი ავთანდილ მიქაბერიძე). ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები მამა ტიმოთემ საქართველოში, კერძოდ, ნეკრესის ეპარქიაში სტუმრობისას მოისმინა. საბერძნეთში ჩასულებს კი, მონასტრის წინამძღვარმა პირველი შეხვედრა კონცერტის წინადღეს მოუწყო.

წერილის ავტორი ავთანდილ მიქაბერიძესა (მარცხნივ) და ანზორ ერქომაიშვილთან ერთად, „რუსთაველის“ შარშანდელი გასტროლების დროს

პირველი კონცერტი და მათი ახალჩაწერილი კომპაქტდისკის პრეზენტაცია ათენის მერიის კულტურის ცენტრში გაიმართა, სადაც შეიკრიბნენ ბერძენი მეცნიერები, მწერლები, ბიზნესმენები — ყველა, ვისაც ქართული კულტურა უყვარს და რაღა თქმა უნდა, აქ მცხოვრები ქართველები, რომლებიც ბოლო დროს, ძალიან გაგვანებივრეს ქართული ხალხური ცეკვებითა და სიმღერებით: ჟურნალ „გზის“ მკითხველებს ალბათ გახსოვთ, რომ რამდენიმე ხნის წინ, ათენში იმყოფებოდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“, რომლისგანაც მიღებული შთაბეჭდილებებიც ჯერ კიდევ არ გაგვნელებია...

საბერძნეთში სტუმრობისას, „ნეკრესის“ წევრებმა თითქმის ყველა წმინდა ადგილი მოილოცეს: იყვნენ კუნძულ ანდროსზე, სადაც ნახეს სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც მირონი სდის (საოცარი ფაქტის მომსწრენი გახდნენ იქ მყოფი დამთვალიერებლები და ტურისტები — ანსამბლის წევრთა გალობისას, მირონის დენა კიდევ უფრო გაძლიერდა); აკროპოლზე, წმინდა ნექტარიოსის მონასტერში, აგრეთვე წმინდა იოანე როუზისა და წმინდა ლუკას მონასტერში. ჯვართამაღლებას, სწორედ ამ მონასტერში გაიმართა წირვა სამ ენაზე — ბერძნულად, რუსულად და ქართულად. საგალობლების უმეტესობა კი, ანსამბლის მონაწილეებმა შეასრულეს. ხოლო დღის ბოლოს, ათენის გარეუბან მენილში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის საძირკველი აკურთხეს. „პანაგია შუმელა“ — ასე ჰქვია პონტოელთა სათაყვანებელ ღვთისმშობლის ხატს; ივი პონტოში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) იყო დაბრძანებული; 20-იანი წლების დასაწყისში კი, ხატი ბერძნებმა თავიანთ ქვეყანაში წააბრძანეს და დღეს ადგილი, სადაც ხატია დასვენებული, უწმინდეს ადგილად ითვლება. სწორედ აქ მოხდა ახალი ტაძრის კურთხევა. შემდეგ, აქვე გაიმართა კონცერტი, რომელიც მერიის მიერ საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე მოეწყო. კიდევ ერთი კონცერტი ჩატარდა სულიწმიდის მონასტრის ახლოს, ვოროპოსში. ბოლო, დასკვნითი კონცერტი კი, კვლავ ათენში გაიმართა.

ამ კონცერტების ინიციატორი, ქართულ ინსტიტუტთან ერთად, საბერძნეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზვიად ჭუმბურიძეც გახლდათ.

მე კი ისღა დამრჩენია, ყველა აქაური ქართველის სახელით წარმატებები ვუსურვო ანსამბლ „ნეკრესს“ და დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ასეთი ლამაზი დღეებისათვის.

ათენი
2003 წლის დეკემბერი

სოფო გვალია უკვე წლებია, რაც ნინო ბურჯანაძის თანაშემწედ მუშაობს — მას მასმედიასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა აკისრია. სოფო პროფესიით მხატვარია და როგორც თავად ამბობს, სრულიად აპოლიტიკური ადამიანი იყო მანამდე, სანამ ქალბატონ ნინოს გაიცნობდა და მის გვერდით დადგებოდა.

ჩვა ნელი ნინო ბურჯანაძის გვერდით

ემა ტუხიაშვილი

— სოფო, როგორც ვიცი, სამხატვრო აკადემია გაქვთ დამთავრებული. პოლიტიკაში როგორ მოხვდით?

— უნდა გითხრათ, რომ ახლაც მიკვირს, როგორ აღმოვჩნდი დიდ პოლიტიკაში. თავდაპირველად, ვმუშაობდი კომპიუტერულ ვიდეოსტუდიაში „მწვანე კონცხი", რომლის ბაზაზეც მოგვიანებით ტელეკომპანია „მეცხრე არხი" ჩამოყალიბდა. ვამზადებდი სიუჟეტებს კულტურის სფეროში, მაგრამ ამ სტუდიაში მუშაობას თავი მანამდე დავანებე, სანამ „მეცხრე არხი" ეთერში გავიდოდა. ამის შემდეგ მუშაობა პარლამენტის პრესცენტრში დავიწყე. მოგვიანებით კი, როდესაც ქალბატონი ნინო პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს, მის თანაშემწედ დავინიშნე, მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში.

— მანამდე თუ გქონიათ ურთიერთობა ქალბატონ ნინოსთან?

— თქვენ წარმოიდგინეთ, მანამდე პირადად არც შევხვედრივარ. როდესაც გავიცანი, აღმოჩნდა, რომ სრულიად სხვანაირი ადამიანია, ვიდრე მე წარმომედგინა: ძალიან თბილი, ქალური და უშუალო.

— ალბათ ძალიან მომთხოვნია, ქალბატონი ნინო...

— პირველ რიგში, ქალბატონი ნინო საკუთარი თავის მიმართ არის მომთხოვნი და მისთვის არანაირი შეღავათი არ არსებობს, აქედან გამომდინარე კი, ჩვენგანაც მაქსიმუმს მოითხოვს. ჩვენც ვცდილობთ, რომ როგორმე მაინც ავუწყოთ მას ნაბიჯები, თუმცა ეს ძალიან ძნელია, რადგან ის კოლოსალური შესაძლებლობების ადამიანია. ერთხელ მაღალი სიცხე მქონდა და ისე ვახლდი ქალბატონ ნინოს საქმიან შეხვედრაზე. რა სახე გაქვსო? — მკითხა. როდესაც ჩემი ავადმყოფობის ამბავი ვუთხარი, მშვიდად მომიგო: ნუ გეშინია, არ მოკვდებიო...

— რამდენად გიჭირთ ურთიერთობების დარეგულირება ქალბატონ ნინოსა და მასმედიას შორის?

— იმის გათვალისწინებით, რომ ქალბატონი ნინო ცნობს თავისუფალ პრესას, პრობლემები თითქმის არ გვექმნება. ბევრი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, ვისაც ხშირად თავისი უფროსის ნათქვამის კორექტირება ან პრესისა თუ ტელევიზიის წინაშე ბოდიშის მოხდა უწევს, მე ასეთი რამ არასოდეს მემუქრება...

— სოფო, უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ თქვენი საქმიანობის სპეციფიკას, კიდევ რა მოგეთხოვებათ, როგორც ნინო ბურჯანაძის თანაშემწეს?

— ვკითხულობ პრესას, ვუყურებ საინფორმაციო ტელეგადაცემებს და საქმის კურსში ვაყენებ ქალბატონ ნინოს. საერთოდ მოითხოვს, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ვიცოდე და არაფერი გამომრჩეს. სულ მეუბნება, რომ სტატიის კითხვა სათაურიდან უნდა დავიწყო და დავამთავრო იმით, თუ სად დაიბეჭდა. ხშირად მსაყვედურობს, რომ სტატიებს ბოლომდე არ ვკითხულობ, ან რამე ინფორმაცია გამომრჩა, ვთქვათ, კულტურის სფეროდან.

— ალბათ უამრავი ჟურნალისტი გამოთქვამს მასთან შეხვედრის სურვილს. თუ გაიხსენებთ რეკორდულ მაჩვენებელს — რამდენმა ჟურნალისტმა მოგმართათ ერთი დღის განმავლობაში?

— ეს იყო 22 ნოემბერს — პარლამენტის შენობაში შესვლის დღეს, როდესაც 24 განაცხადი მხოლოდ უცხოური მასმედიის წარმომადგენლებისგან მქონდა მიღებული. თანაც, ეს იყო ისეთი უმსხვილესი გამოცემები და ტელეარხები, როგორებიცაა: „სი-ენ-ენი", „ბი-ბი-სი", „ვაშინგტონ პოსტი", „ფაინენშლ თაიმსი", „თაიმი" და ა.შ. აღარ ვლაპარაკობ ქართულ მასმედიაზე. არ იყო დარჩენილი არც ერთი გაზეთი თუ ტელეარხი, ვისაც ქალბატონ ნინოსთან შეხვედრის სურვილი არ ჰქონდა. იმ დღეს კინაღამ ფსიქიატრიულში მოვხვდი.

— ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაში ქალბატონ ნინოზე სტატია წავიკითხე, სადაც მას უწოდებდნენ ქალბატონს, რომელსაც საბუთებთან ერთად სძინავს. მართლა ასეა საქმე?

— მინდა გითხრათ, რომ როდესაც ქალბატონი ნინო საბუთებთან მუშაობს, არასოდეს არ სძინავს. ბევრჯერ მინახავს, როგორ გაუთენებია რამდენიმე ღამე

| ავეჯი | | |

მუშაობაში, მაგრამ ამის შემდეგაც, აბსოლუტურად ცივი გონებით უაზროვნია.

— „ხავერდოვანი რევოლუციის“ პერიოდში მის გვერდით იყავით. არ გაგიძნელდათ ამ ყველაფრის გადატანა?

— სამი კვირის განმავლობაში, ქალბატონი ნინო პარლამენტის შენობაში ცხოვრობდა. ჩვენ — მისი გარემოცვა ვენაცვლებოდით ერთმანეთს, ის კი შინ წასვლაზე სასტიკ უარს ამბობდა. მისი მეუღლე და შვილები მის მოსანახულებლად აქ მოდიოდნენ. დედას მონატრებულმა მისმა უმცროსმა შვილმა — რეზიკომ ასეთი წერილი გამოუგზავნა ქალბატონ ნინოს: „კმარა, დედა, კმარა! უფლება მომეცი, რომ დაგელოდო!..“ კიდევ ერთ დეტალს გავიხსენებ მიტინგების პერიოდიდან. ქალბატონი ნინო თავის სამუშაო ოთახში იმყოფებოდა, როდესაც გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. თხელ პიჯაკზე მანტო მოიხურა და მომიტინგეებთან ჩავიდა. გახსოვთ ალბათ, ის ცივი წვიმიანი დღეები — სწორედ ასეთი ამინდი იყო მაშინაც. ჰოდა, სამი საათის განმავლობაში, ასე თხლად ჩაცმული იდგა ქალბატონი ნინო ხალხის გვერდით და ვერანაირი ძალით ვერ ამოგვყავდა. შემთხვევით მის ხელზე ხელი მომიხვდა და მივხვდი, რომ ქალი აბსოლუტურად გაყინულიყო. მდივანს დავურეკე, რომ მისთვის ჩაი ან ყავა მოემზადებინა და ჩამოვუტანე ქალბატონ ნინოს. მე იქ დღე დამადგა — მტერს არ ვუსურვებ! ეს როგორ გამიბედე და როგორ მაკადრეო?! — მითხრა. ბოლოს ვეხვეწებოდი: კი, ბატონო, ნუ დალევთ, მაგრამ იქნებ, ამ ცხელი ფინჯნით ხელები მაინც გაითბოთ-მეთქი.

— ხშირად გსაყვედურობთ?

— საყვედურების თქმა არ უყვარს, ძალზე ტაქტიანი ადამიანია. უკვე წლებია, მასთან ვმუშაობ, ამიტომ ვხვდები, როდის აღიბეჭდება მის სახეზე უკმაყოფილება. ოღონდაც მისი ასეთი სახე არ დავინახო და ყველა ღონეს ვხმარობ, საქმის კარგად გასაკეთებლად. თუ მაინც ვერ მოხერხდა, მიჩნდება სურვილი, რომ უბრალოდ, გავქრე... მისთვის არა აქვს მნიშვნელობა მიზეზს — თუ რატომ ვერ მოხერხდა რაღაცის შესრულება. როდესაც ქალბატონი ნინო ამბობს — ესა და ეს უნდა გაკეთდესო, — ე.ი. ასეა საჭირო...

ახლა, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, რომელიც ქალბატონმა ნინომ დღემდე არ იცის

— არაოფიციალური ურთიერთობა თუ გქონიათ ქალბატონ ნინოსთან? როგორია ის სუფრასთან, მეგობრების წრეში, შინ?..

— არაჩვეულებრივი მოსაუბრეა, ხშირად იხსენებს მის თავს გადამხდარ ამბებს. ძალიან კარგად უკრავს და მღერის, თამაშობს ჩოგბურთს, საკმაოდ კარგად ცურავს და სრიალებს თხილამურებზე. მშვენივრად ართმევს თავს საოჯახო საქმეებს. გამისინჯავს მისი გამომცხვარი ძალიან გემრიელი ნამცხვარი. სახლი ყოველთვის აბსოლუტურ წესრიგში აქვს — არადა, შინამოსამსახურე ოჯახში არ ჰყავთ...

— გარეგნობასთან, ჩაცმის სტილთან დაკავშირებით თუ ჰყავს ქალბატონ ნინოს მრჩეველი?

— საკუთარი თავის სტილისტი თვითონაა. მაგრამ ახლა, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, რომელიც ქალბატონმა ნინომ დღემდე არ იცის: ორი წლის წინ, სანქტ-პეტერბურგში ვიმყოფებით საქმიანი ვიზიტით და დამქანცველი შეხვედრების შემდეგ, ქალბატონმა ნინომ მთხოვა, მისთვის ადგილი დამეჯავშნა სილამაზის სალონში, რათა ვარცხნილობა მოეწესრიგებინა. მაშინ მას შედარებით გრძელი თმა ჰქონდა და შემოკლებას არც აპირებდა. მისგან მალულად მოველაპარაკე სტილისტს, რომ მოკლე ვარცხნილობა გაეკეთებინა... მართალია, როდესაც საკუთარი თავი სარკეში პირველად დაინახა, აღშფოთდა და მეც ყველაფერი ოსტატს გადავაბრალე, მაგრამ შემდეგ ეს ვარცხნილობა ძალიან მოეწონა.

— ხშირად გიწევთ ქალბატონ ნინოსთან ერთად ქალაქისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა. კურიოზები თუ გადაგახდენიათ?

— რამდენიმე წლის წინ, პარლამენტის თავმჯდომარის რანგში ქალბატონი ნინო ბათუმს ეწვია. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მისი საუბარი ასლან აბაშიძესთან შვიდი-რვა საათი გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში, მისი თანმხლები პირები გარეთ ვიცდიდით. ამ შეხვედრის გარდა, პროგრამით გათვალისწინებული იყო პორტისა და სხვა ობიექტების ნახვა. ამ შეხვედრაზე ვიმყოფებით სამი ქალბატონი — ქალბატონი ნინო, მე და მისი სამდივნოს უფროსი თეა თუთბერაშვილი. ამ დროს, თეას აცვია ახალი ფეხსაცმელი და საშინელ დისკომფორტს განიცდის, მეც მაღალ ქუსლებზე ვდგავარ. დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი გუბეზე გადახტომას ცდილობდა, უნებლიეთ ფეხზე დამახტა და კინაღამ დამაკოჭლა. მერე იახტიდან გადმოსვლის დროს, ქალბატონმა ნინომ ფეხი იღრძო... მოკლედ, ბათუმში მამაკაცების ამხელა ამალასთან ერთად სულ სამი ქალი დავდიოდით და სამივე ვკოჭლობდით. ერთხელ, საჩხერეში ვიმყოფებით სამხედრო ნაწილის მოსანახულებლად და ერთ-ერთმა ფოტოკორესპონდენტმა გვითხრა — იქნებ, ქალბატონ ნინოს სთხოვოთ, სამხედროებთან ერთად სურათი გადაიღოსო. ქალბატონ ნინოს ვუთხარით — ჯარისკაცებმა გვთხოვეს, თქვენთან ერთად სურათის გადაღება-თქო. ქალბატონი ნინო მათკენ გაემართა და მოულოდნელობისგან, დაბნეული ჯარისკაცები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ... ქალბატონი ნინო გაოცებული დარჩა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. საბოლოოდ, ამ სურათზე აღბეჭდილნი არიან ნინო ბურჯანაძე და გაოცებული ჯარისკაცები...

■

| ...ეტია | ძალიან თხელი | | |

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲜᲘᲜᲝᲝᲑᲐ

27 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია, მოციქულთა სწორის — წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. ეს არის დღე, ქართველთა განმანათლებლის — წმინდა ნინოს გარდაცვალებისა. ნინოობა აღინიშნება პირველ იანვისსაც. ეს დღესასწაული დადგენილია საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლასთან დაკავშირებით.

საქართველოში ქრისტიანობა წმინდა ნინოს ღვაწლით დამკვიდრდა, ამიტომაც იწოდება იგი ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად. წმინდა ნინო ქართველთა ყველაზე დიდი წმინდანია. როგორც აღვნიშნეთ, მან აღასრულა უდიდესი მისია საქართველოს გაქრისტიანებისა, რომელიც ღვთისმშობელს ხვდა წილად. ღვთისმშობლის შთაგონებით, წმინდა ნინო გახდა საქართველოსთვის ღვთისმშობლის მონაცვლე.

ნინო კაპადოკიელი იყო ნათესავი ქრისტეს დიდებული მოწამის — გიორგი კაპადოკიელისა. მისი მშობლები ღვთისმოსავი ადამიანები იყვნენ. როდესაც წმინდა ნინო თოთხმეტი წლის გახდა, მშობლებმა მთელი ქონება გაყიდეს და უპოვართ დაურიგეს, თვითონ კი, იერუსალიმის პატრიარქის — იუვენალის კურთხევით, ერთმანეთს დასცილდნენ და იერუსალიმში წავიდნენ. მამა — ზაბულონი „უდაბნოში განვიდა“, ღმერთს შეუდგა და მსახურებდა; დედა — სუსანა, თავისი სურვილით ემსახურებოდა დაუძლურებულ დედებს და ღვთის სათნო ცხოვრებით აღესრულა; ხოლო წმინდა ნინო პატრიარქმა (წმ. ნინო იყო დისწული პატრიარქისა), ერთ-ერთ ღვთისმოსავ დედაკაცს მიაბარა, რომლისგანაც იგი ყოველდღიურად იღრმავებდა ცოდნას ქრისტიანობის შესახებ. წმინდა ნინო ხშირად განმარტოებით ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე.

ერთ დღეს, როდესაც წმინდა ნინო, ღვთისმშობლის ხატის წინაშე იდგა, მას ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ ქართველთა ქვეყანაში წასულიყო და ჭეშმარიტება უშიშრად და სიმხნევით ექადაგა. ვენახის რტოსგან ჯვარი შექმნა, ნინოს ხელში მისცა და უთხრა: „ამით ნიშნითა სძლო ყოველთა მანქანებათა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგებაი შენი და თანაშემწე გეყო და არა დაგიტევო შენ“. წმინდა ნინომ, ვაზის რტოსგან შექმნილი ჯვარი საკუთარი თმით შეკრა და საქართველოში გამოსამგზავრებლად განემზადა...

ღვთის დახმარებით, წმინდა ნინომ უვნებლად მოაღწია საქართველოში. საქართველოში ის ზაფხულში შემოვიდა, ჯავახეთის მთებით გადმოვიდა და ფარავნის ტბასთან შეჩერდა, სადაც ორი დღე შეისვენა. როდესაც წმინდა ნინოს მიეძინა, ძილში გამოეცხადა ბრწყინვალებით მოსილი კაცი — უფლის ანგელოზი, დაბეჭდილი წიგნი გადასცა და უთხრა, რომ იგი მცხეთის წარმართთა მეფისთვის გადაეცა, სადაც დაწერილი იყო „ათი სიტყვანი“. ეს „ათი სიტყვა“ ათ მცნებას შეიცავდა და ერთგვარად ემსგავსებოდა იმ ფაქტს, როცა ღმერთმა მოსეს გადასცა ქვის ორ ფილაზე დაწერილი ათი მცნება, ოღონდ, ნინოსეული „ათი სიტყვა“ შინაარსით სხვაგვარი იყო. იგი ემყარებოდა „ახალ აღთქმას“. წიგნი ეწერა რომაულად და ბეჭედი იყო იესუსი. ამიტომ გამოსახავენ წმინდა ნინოს, ჯვრით და გრაგნილით ხელში, რომელიც წარმოადგენს დიდი საიდუმლოების შემცველ წიგნს.

წმიდა ნინო ფარავნის ტბიდან მცხეთას წამოვიდა. მცხეთაში ჩასული წმინდა ქალწული, სამეფო ბაღის მცველმა ცოლ-ქმარმა შეიფარა. ნინოს ლოცვით მათ შვილი მიემადლათ. ცოლ-ქმარმა ირწმუნა ქრისტეს მოძღვრება და ფარულად წმინდა ნინოს დაემოწაფა. ნინომ ასევე დაიმოწაფა დედოფლის ერთ-ერთი წარჩინებული მხევალი — სიდონია და კიდევ შვიდი დედა.

მაყვლოვანში ყოფნისას, წმინდა ნინომ მრავალი სასწაული აღასრულა. ნინოს ლოცვის ძალაში ნანა დედოფალიც დარწმუნდა. იგი ბოროტი სენისგან წმინდა ნინოს ლოცვამ განკურნა. ნანა დედოფალმა მას, კურნების საფასურად ოქრო-ვერცხლი შესთავაზა, მაგრამ ნეტარმა ნინომ უარი განუცხადა და ურჩია, საღვთო სწავლებას გასცნობოდა. ნინოს მოძღვრების მოსმენის შემდეგ, დედოფალმა ყოველივე მირიან მეფეს უამბო. მეფემ დედოფალზე აღსრულებული საკვირველება შეაქო, მაგრამ წმინდა ნინოს სურვილზე — ქრისტიანული ტაძრის აგებაზე, უარი განაცხადა.

მცირე ხნის შემდეგ, თხოთის მთაზე ნადირობისას, მოულოდნელად ჩამობნელდა და მეფემ გზის გაგრძელება ვერ შეძლო. სიბნელე მხოლოდ მას შემდეგ გაიფანტა, როდესაც მირიან მეფემ შემწედ წმინდა ნინოსგან ქადაგებულ ღმერთს უხმო. მეფემ მადლობა შესწირა ჭეშმარიტ ღმერთს და ქალაქისკენ გამოემართა. მირიან მეფე მაშინვე წმინდა ნინოსკენ გაეშურა, მის წინ ჭეშმარიტება ხმამაღლა აღიარა და სთხოვა, ეკლესიის სახე ეჩვენებინა, რათა ღვთის სადიდებლად ქრისტიანული ტაძრები აეგო...

მალე მირიან მეფე და ნანა დედოფალი ანტიოქიელმა პატრიარქმა — ევსტათიმ, ქრისტიანული წესით მონათლა. მათთან ერთად მოინათლა უამრავი წარმართი... ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, წმინდა ნინომ ქად-

აგება ერწო-თიანეთში და კახეთში გააგრძელა... როდესაც წმიდა ნინომ, ქადაგება სრულყო და თავისი ღვაწლი აღასრულა, დაბა ბოდბეში, ხორციელი სნეულებით დაუძლურებულს, სულიწმიდისგან ეუწყა, რომ უფალთან შესახვედრად განმზადებულიყო. მან კეთილმორწმუნე მეფეს წერილით შეატყობინა, რომ მის მიერ ნაქადაგებ მხარეებში ყველამ ირწმუნა ჭეშმარიტება და წმინდა სამების სახელით მონათლა იქაურები. ამასთანავე წმინდა ნინო მირიან მეფეს მართლმადიდებლობის მტკიცედ დაცვისკენ მოუწოდებდა, თან საუკუნო საგზლის მისაღებად, მასთან მამამთავრის გაგზავნას სთხოვდა.

მეფე მთავარეპისკოპოს იოანესთან, ნანა დედოფალსა და ამალასთან ერთად, ბოდბეში გაემგზავრა. იოანე მთავარეპისკოპოსმა საიდუმლო ჟამის წირვა აღასრულა და წმინდა ნინო, იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცს აზიარა: „რომელი იგი წარიღო საგზლად საუკუნოდ და შეჰვედრა სული თვისი ხელთა ღმრთისათა“.

წმინდა ნინოს ღვაწლით შემოსილი გვამი, პატივითა და დიდებით დაკრძალეს ბოდბეში. ეს მოხდა წმინდა ნინოს, ქართლში შემოსვლიდან ოცდამეთხუთმეტე, ხოლო ქრისტეს შობიდან — 356-ე წელს.

ჯვართა აღმართვა

საქართველოში ქრისტიანობის აღიარების შემდეგ, წმინდა ადგილებზე უნდა აღემართათ ჯვრები: მცხეთაში, უჯარმას და თხოთის მთაზე. „მირიან მეფის წიგნში“ ვკითხულობთ: „ოდეს მაუწყა ჩვენ წმინდამან ნინომ აღმართებად ჯუარი, წარვავლინენ ხურონი და ეძებდეს ხესა, ვიდრემდის პოვეს მარტოდ მდგომი კლდესა ზედა, რომელსა არა მიახლებული იყო ხელი კაცისაი“.

ასეთი ხე მართლაც აღმოაჩინეს, მოკვეთეს და ეკლესიასთან დადეს დიდი ხნით; მერე კი მისგან ჯვრები დაამზადეს და აღმართეს.

უმთავრესი ჯვრის — მცხეთის ჯვრის აღმართვისას, წმინდა ნინო ასულა მთაზე. იქვე ყოფილან მეფე და დიდებულნი, მთავარეპისკოპოსნი და სამღვდელონი. წმინდა ნინოს ჯვარი გადაუსახავს იქაურობისთვის და აღუმართავთ ძლევით შემოსილი ჯვარი. ამის შემდეგ ჯვრები თხოთის მთაზე და უჯარმაშიც აღუმართავთ. ■

გრიგოლ ტატიშვილი — „ქართული ანბანის თაიგულის“ შემქმნელი

უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ალბათ, ახსოვთ ულამაზესი ილუსტრაციებითა და მოჩუქურთმებული ასოებით დასტამბული „დედაენა“, „ბუნების კარი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ვეფხისტყაოსანი“... ამ გამოცემების ავტორი, გრავიორ-ქსილოგრაფი, გრაფიკოს-მხატვარი და მწერალი გრიგოლ ტატიშვილი გახლავთ. სწორედ მან ჩაუყარა ქართული წიგნის გრაფიკას საფუძველი, განსაკუთრებით კი, საშრიფტო ხელოვნებას, ორნამენტულ გრაფიკას, საყმაწვილო ლიტერატურის შექმნასა და მის მხატვრულ გამოცემას. 1885 წელს, გრიგოლ ტატიშვილმა პირველი დასურათებული საბავშვო წიგნი გამოსცა — „შალვას თავგადასავალი“. შემდეგ — „ხუმარა სპილოები“, „სამი ცელქი“, „ცვარი“...

თბილისში, გრიგოლ ტატიშვილის ერთადერთ შთამომავალს მივაკვლიეთ. ქალბატონი თინა ტატიშვილი მარტოხელა ადამიანია, პაპის მსგავსად, ისიც კარგა ხანს მუშაობდა გამომცემლობაში. ახლა კი, მხოლოდ მოგონებებით ცხოვრობს.

გრიგოლ ტატიშვილი მეუღლესთან, ელისაბედ ღომაძესთან ერთად

მაია კახიძე

— ქალბატონო თინა, გვიამბეთ თქვენი წინაპარის შესახებ.

— პაპაჩემი 12-13 წლის ბიჭი იყო, თბილისში რომ ჩამოვიდა. ბავშვობის წლები გორში გაატარა. ჩემი წინაპრები გორიდან იყვნენ. დიდი პაპა, პავლე პატარაობიდანვე გორელმა მდიდრებმა — ზუბალაშვილებმა გაზარდეს. პეტერბურგშიც თან წაიყვანეს და მზარეულობა შეასწავლეს. პავლე ტატიშვილი დიდხანს ცხოვრობდა რუსეთის სამეფო ქალაქში, მაგრამ, როდესაც მისი პატრონი გარდაიცვალა, სამშობლოში დაბრუნდა. გორში ცოლად შეირთო ელისაბედ მცურავიშვილი. ჩემი დიდი ბებია განთქმული მკერავი იყო, ქართული ლიტერატურის მოყვარული და „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე. პავლეს და ელისაბედს 6 შვილი შეეძინათ, ოთხი ქალი და ორი ვაჟი — პაპაჩემი გრიგოლი და მისი ძმა — დიმიტრი. დიმიტრიც ცნობილი მბეჭდავი გახდა და ჯაბადარის სტამბაში მუხლჩაუხრელად მუშაობდა. პაპაჩემის უფროსი და — თამარი, სილამაზით განთქმული ყოფილა, მაგრამ 18 წლისა მოულოდნელად გარდაცვლილა. თავზარი დასცემიათ მშობლებს და ჩემს დიდ ბაბუას დარდისაგან სმა დაუწყია. შემდეგ კი, სულაც თბილისში გადახვეწილა. ელისაბედი კერვით არჩენდა შვილებს. უქმროდ დარჩენილმა ქალმა 12 წლის გიგო (ასე ეძახდნენ ბაბუაჩემს გრიგოლს) სასწავლებლიდან გამოიყვანა და თბილისში გაგზავნა მამის მოსაძებნად. გიგომ მამა იპოვა (მზარეულად მუშაობდა ერთ-ერთი მდიდარი ქართველის ოჯახში). შვილის დანახვაზე მამა აცრემლებულა, გაჰყოლია გორში, აუყრია ოჯახი და თბილისში გადმოსახლებულა. ხელმოკლეობის გამო, გიგოს სწავლა ვერ-არ გაუგრძელებია და მაშინდელ ქარვასლაში შეგირდად მიუბარებიათ ვაჭრისთვის. იმ ქარვასლაში 1851 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვის განკარგულებით, საძირკველი ჩაეყარა ოპერას. ოპერაში კი ხშირად იმართებოდა იტალიელი მომღერლების სპექტაკლები. პაპა ვაჭრობაზე მეტად თეატრით დაინტერესებულა. ისე შეჰყვარებიათ იტალიელ არტისტებს ვერცხლისწყალივით მოძრავი ბიჭი, რომ კლარნეტზე დაკვრა შეუსწავლებიათ. ერთხანობას მათ ორკესტრშიც უკრავდა. შეუსწავლია დეკორატორობა, პიროტექნიკა, მაგრამ განსაკუთრებით გრავიორული ხელოვნებით (ქსილოგრაფიით) დაინტერესებულა. დაუდგრომელ გიგოს იტალიელებმა მეტსახელად ფიგარო შეარქვეს და ეს სახელი სიკვდილამდე შერჩა. არც თვითონ თაკილობდა ამ სახელს და თავის პირველ ნამუშევრებზე სახელისა და გვარის ინიციალების ნაცვლად ფიგაროს აწერდა. სანამ პაპაჩემი ცნობილი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. კუტკალიას ყურები ფეხებზე აქვს.
2. ნამგალი მესოპოტამიაში გამოიგონეს.
3. დორლეაკი კატრინ დენევის ნამდვილი გვარია.

4. მზის ლაქების ფართობი 10000 კვადრატული კილომეტრია.
5. საქართველოში თელეთის ქედზე ტიტები ველური სახით იზრდება.
6. ხელით გასინჯვის მეთოდს საექიმო პრაქტიკაში პალპაცია ეწოდება.
7. მამონტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 11000 წლის წინ გადაშენდნენ.
8. აცრები ყვავილის წინააღმდეგ პირველად, თურქეთსა და ჩინეთში შემოიღეს.
9. „იცხოვრე სწრაფად, მოკვდი ახალგაზრდა“, – ასეთი იყო პანკების დევიზი.
10. მიჰრაბის ნიშა ყველა მეჩეთში მექის მხარეს მიმართულ კედელშია მოთავსებული.
11. ბიუროკრატიის ძალმომრეობის გამო, ინდოეთს „ლიცენზიების იმპერიას“ უწოდებენ.
12. ევროპული სამზარეულოს იმ კერძებს, რომელშიც კიბორჩხალები ან ომარები შედის, „ა ლა კარდინალს“ ეძახიან.
13. „ნა კოსტიახ“ – ასე ეძახდნენ თვითნაკეთ გრამფირფიტებს, რომელსაც საბჭოთა მელომანები რენტგენის სურათებისგან ამზადებდნენ.
14. ძველ რომში მამაკაცებისთვის თავის დაბურვა მსხვერპლშეწირვის, გლოვის, მგზავრობის, ავადმყოფობისა და გასამართლების დროს იყო ნებადართული.
15. ერიხ ფრომი თავის ნაშრომში – „ფსიქოანალიზი და რელიგია“ – ოთხ მითურ პერსონაჟს – ოიდიპოსს, აბრაამს, ფაუსტსა და ოდისევსს მარადიულ მწირებად მოიხსენიებს.
16. ევროპელებს პირველად, 1260 წელს მარკო პოლომ ამცნო, რომ შეიძლებოდა საწვავად, ნახშირისა და ნავთობის გამოყენება.
17. „საკუთარი ახირებები საკუთარი ჯიბის შესაძლებლობებს უნდა შევუსაბამოთ“, – ამბობდა ბენჯამინ ფრანკლინი.
18. „ლიტერატურის ეს სახეობა, ბადის გარეშე ჩოგბურთის თამაშს ჰგავს“, – ამბობდა თეთრი ლექსების შესახებ ინგლისელი პოეტი იუსტენ ოდენი.



ადამიანი გახდებოდა, მრავალი ხელობა გამოიცვალა. ადვილი არ იყო დაბალი წრიდან გამოსული ახალგაზრდისთვის ლუკმპურის მოპოვება. ბევრჯერ გაუცრუვდა იმედი, მაგრამ მუდამ ახერხებდა ფეხზე დადგომას და აგრძელებდა ბრძოლას. ვამყობ, რომ ბაბუაჩემი ილია ჭავჭავაძესთან, ივანე მაჩაბელთან და იმ დროის გამოჩენილ მწერლებთან მეგობრობდა.

— შემდეგ გააგრძელა სწავლა?

– მას სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ თანდაყოლილი ნიჭით დაჯილდოებულმა დიდი სიყვარული გამოიჩინა გრავიორული ხელოვნებისადმი და კარგად დაეუფლა ძნელ ქსილოგრაფიულ ტექნიკას. 1869 წელს საგრავიორო ფირმა დააარსა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მის შემოქმედებას და საზოგადო მოღვაწეობის ფართო გზაზე გამოსვლას. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიასა და კანცელარიაში იკრიბებოდნენ ყოველდღე აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი, გრიგოლ ტატიშვილი... ბაბუაჩემი, თურმე, მუდამ იაკობ გოგებაშვილის გვერდით ივჯდა. ახალი „დედაენის“ დასაბეჭდად ემზადებოდნენ და პაპაჩემმა „დედაენაში“ დასაბეჭდი სურათები ხეზე ამოჭრა. შემდგომ კი, ყოველ წელიწადს ახალ-ახალ სურათებს უმატებდა. მაშინ იაკობ გოგებაშვილი უტატიშვილოდ და გიგო ტატიშვილი უგოგებაშვილოდ ვერავის წარმოედგინა. იაკობ გოგებაშვილს, როგორც „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნების გამომცემელს, დღითი დღე ემატებოდა სამუშაო. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ილიამ, აკაკიმ, რაფიელ ერისთავმა და სხვა დიდებულმა მწერლებმა თავიანთი ნაწარმოებების ტომებად გამოცემა გადაწყვიტეს. შესაბამისად, ბაბუაჩემსაც ძალიან ბევრი სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი. „ვეფხისტყაოსნისთვის“ (გ. ქართველიშვილის გამოცემა) ხომ საგულდაგულოდ მოემზადა, კლასიკურად გაფორმა და გასაოცარი სილამაზის ჩუქურთმებით დაამშვენა. პაპაჩემი სიღარიბეში გაიზარდა, ბევრი რამ აკლდა მათ ოჯახს, მაგრამ როდესაც ცნობილი მხატვარი გახდა, სულ იმის ცდაში იყო, თავისი ნამუშევრებით სიხარული მიენიჭებინა ადამიანებისთვის. „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმება მისი გრაფიკული შემოქმედების მწვერვალი იყო.

— ხეზე აკეთებდა გრავიურასო და იქნებ დააკონკრეტოთ, რომელ ხეს იყენებდა?

– ყველაზე ხშირად ბზას. სოხუმიდანაც ჩამოჰქონდათ მისთვის ბზა. დაახერხვინა თურმე და გამოზოგვით იყენებდა, როგორც საუკეთესო მასალას. იცით, ჩემი აზრით, საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ქართული წიგნი და მისი ხელოვნების ისტორია. აი, პაპაჩემის შემოქმედების შესახებაც ბევრი რამ არ არის ცნობილი. ძირითად მასალას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცული გრიგოლ ტატიშვილის არქივი, სადაც მხოლოდ ნაწილია შესული მისი შემოქმედების, ესკიზების, ანაბეჭდებისა და ქსილოგრაფიული დაფების სახით. პაპაჩემი საოფიციო შრიფტზეც მუშაობდა, როგორც ხეზე ამოჭრილზე, ისე ლითონზე ჩამოსხმულზე. როდესაც იტალიელებთან მეგობრობდა, ქართული თეატრის ფუნქციის დამზადებაზე მუშაობა ვერ კიდევ მაშინ დაიწყო. ქართული შრიფტის სახეობებიც თანდათან განავითარა. მან შექმნა სხვადასხვა ზომის, მოხაზულობის და სახის ასოები, როგორც მხატვრული, ისე პოლიგრაფიული. მის მიერ შექმნილი პოლიგრაფიული შრიფტების ერთ ნაწილს დღესაც იყენებენ. მანვე შექმნა თხელი შრიფტიც – ე.წ. „ჩონჩხი“, მთავრული და ნუსხური. ეს ლითოგრაფიული შრიფტი იმდენად პრაქტიკული და ეკონომიური აღმოჩნდა, რომ XX საუკუნეში, ლითონზეც ჩამოასხმევინეს გამომცემლებმა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისთვის. რაც შეეხება ორნამენტებს, მართლაც უნიკალური ორნამენტები შექმნა, რომლის ანალოგიც არ არსებობს. ასევე ღია ბარათების გასაოცარი კომპოზიციებიც შექმნა. სხვათა შორის, პაპის არქივში სამი მხატვრული ალბომიცაა: პირველი – „კანვაზე საკერი ასოები“, რომელიც ქარგვისთვის იყო გამიზნული, მეორე – „ქართული ანბანის თაიგული“ და მესამე – „ჩართული ანბანი“. პირველი ორი ანბანის გამოცემას იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მეფის რუსეთის პოლიტიკის გამო, ქართულ ოჯახებში ქართულად აღარ ლაპარაკობდნენ. ჰოდა, ენის შესანარჩუნებლად ქართველ ქალებს მიაწოდა ამოსაქარგად გამოსადეგი ქართული მხატვრული ასოების ნიმუშები. ასოები ყვავილების თაიგულში იყო ჩასმული. „ჩართულ ანბანზე“ კი 11 წელი იმუშავა. ამდენი ხნის ნაშრომისთვის აღებული თანხა ქალთა ქართული სკოლის დაარსების საქმეს შესწირა (სკოლა ეკატერინე გაბაშვილმა დააარსა).

— საინტერესოა, რა ღირდა

მისი ნამუშევარი?

— ძალზე მცირე იყო მისი შემოსავალი. მაგალითად, ქსილოგრაფიულ სამუშაოებში შემკვეთისაგან იღებდა 65 კაპიკს. მაშინ დუიმს ეძახდნენ და კვ დუიმი ღირდა 65 კაპიკი. ბაბუა დღეში 3-4 დუიმს ამზადებდა. გამოდის, რომ მისი ყოველდღიური შემოსავალი 3 მანეთს არ აღემატებოდა.

— **ქალბატონო თინა, პაპათქვენი თბილისის რომელ უბანში ცხოვრობდა?**

— მაშინდელ თბილისში ამ დასახლებას ურიათ უბანს ეძახდნენ. ციციშვილის სახლში ცხოვრობდა. ამავე სახლში შეკედლებული იყო ახალგაზრდა ქვრივი ელისაბედ ლომაძე. მას კარგი ხმა ჰქონდა და ციციშვილების დახმარებით თარზე დაკვრაც ისწავლა. შემდეგ განახლებულ ქართულ თეატრში მეთარე ქალი დასჭირვებიათ და ბაბუას ელისაბედი მიუყვანია. მას თურმე ისე მოსწონებია მსახიობობა, რომ სცენისმოყვარე მსახიობი გახდა. მერე პაპა და ელისაბედი უფრო დაახლოვდნენ და ბოლოს დაქორწინდნენ. მათ პურმარილიან ოჯახში ხშირად იკრიბებოდა ინტელიგენცია. პაპის განუყრელი მეგობრები იყვნენ: ვასო აბაშიძე, ალექსანდრე ყაზბეგი, შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა... იმედით აღსავსენი ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე ბაასობდნენ. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ვასო აბაშიძეს გაზეთის გამოცემის იდეა დაებადა და ბაბუასთან ერთად გამოსცა გაზეთი „თეატრი“. სხვადასხვა გაზეთში იბეჭდებოდა მისი გრავიურები, წერილები და გარეკანის სათაურსაც ხომ პაპაჩემი ხატავდა. იმ პერიოდში „ყარამანიანის“ ილუსტრაციებიც შექმნა; დაასურათა და გამოსცა ანდერსენის „გედები“... ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა. სხვადასხვა დროს რედაქტორობდა გაზეთ „მიწას“, კოტე მესხის გაზეთს — „ხმას“, სამხატვრო გაზეთს — „ფასკუნჯს“... იმ დროისათვის საკმაოდ მწვავე სტატიებს წერდა. იცით, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება გადაწყდა და მაშინდელმა კომისიამ მიიწვია, თავიდან უარი განაცხადა. მას არც სათანადო ბინა ჰქონდა და არც სამუშაოს შესასრულებელი მასალა. კომისიის თავმჯდომარემ — ილია ჭავჭავაძემ ბინის საკითხი მოუგვარა. უსასყიდლოდ დაუთმეს ქართული ბანკის შენობაში ოთხი ოთახი, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელმა — ქართველიშვილმა, მატერიალურად უზრუნველყო. იმ ბინაში 11 წელიწადი იცხოვრა. კარგა ხნის ფიქრისა და ილიას ჩაგონებით გადაწყვიტა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეულად შესამკობად სრულიად ახალი რამ უნდა გაეკეთებინა. ასეთი „მორთულობა“ მხოლოდ მონუმენტური არქიტექტურის ძეგლებში შეეძლო ენახა. ბაბუამ უზარმაზარი კედლებიდან, გუმბათებიდან და თაღებიდან გადმოხატა ის, რაც საუკუნეთა მანძილზე შექმნა ქართულმა მხატვრულმა გენიამ. მან მთელი საქართველო შემოიარა, ურთულესი გზა გაიარა, მაგრამ შორეული წარსულის გრეხილები, წნულები თუ ხლართები ხესთან, ქვასთან და ლითონთან ერთად, შემდგომ ქაღალდის ფურცელსაც შეუთვისა და ქართული ჩუქურთმა კედლებიდან ქართულ წიგნში ხელახლა გააცოცხლა.

— **მაგრამ როდესაც ცინკოგრაფია გაჩნდა, რას აკეთებდა, მაინც გააგრძელა მუშაობა სტამბაში?**

— მან ცინკოგრაფიის გაჩენისთანავე იგრძნო, რა თქმა უნდა, ამ სიახლის უპირატესობა და შეუდგა კიდეც მის ათვისებას. ახლა არ ვიცი, მაგრამ თავის დროზე შენახული იყო მის მიერ შექმნილი პირველი ცინკოგრაფიული კლიშეები. თუმცა, ეს საქმე უსახსრობის გამო ვერ მიიყვანა ბოლომდე. სხვათა შორის, დიდი ღვაწლი მიუძღვის იმდროინდელი სომხური ჟურნალების — „არბიუსისა“ და „თარაზის“ დასურათებაშიც. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისთვის კი, პარიზის მსოფლიო გამოფენაზე სიგელითა და დიდი ვერცხლის მედლით დააჯილდოეს.

— **როდის გარდაიცვალა გრიგოლ ტატიშვილი?**

— 1911 წლის 29 ივლისს. მანამდე კი, პაპაჩემის ბედნიერ ოჯახს უბედურება დაატყდა თავს: ბებია ელისაბედი მოულოდნელად გარდაიცვალა და ბაბუა ორი პატარა შვილით დარჩა. ძალიან გაუჭირდა ერთდროულად მუშაობა და შვილების მოვლა და მეორედ დაქორწინდა. ცოლად შეირთო უშვილო ქალი, მინადორა გულისაშვილი. მამაჩემი მინადორამ გაზარდა. ძალიან კეთილი ქალი იყოო, — მამა მუდამ ემადლიერებოდა... პაპაჩემი დიდ გაჭირვებაში გარდაიცვალა. ხანდაზმულ კაცს მუშაობა აღარ შეეძლო. ნახევარსაუკუნოვანმა მძიმე შრომამ მისი ჯანმრთელობა ძალიან შეარყია. მერე მხედველობამაც უღალატა. დასნეულებულმა ვეღარც მხატვრობა შეძლო და ვეღარც გრავიორობა. სხვა საქმე მოძებნა ლუკმაპურის საშოვნელად — ქართულ თეატრში მოლარედ მოეწყო. ისევ იმ თეატრში დაბრუნდა, საიდანაც დაადგა ცხოვრების რთულ გზას, მაგრამ ფიგარო, ფიგარო აღარ იყო. მალე დამბლა დაეცა და, ფაქტობრივად, მივიწყებული გარდაიცვალა. გრიგოლ ტატიშვილი წმ. ნინოს სასაფლაოზე იმ ადამიანის გვერდით დაკრძალეს (გ. ქართველიშვილის), რომელმაც თავისი ქონება „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას მოახმარა.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

19. ფედერიკო ფელინის მოგზაურობა არ უყვარდა. რომს მხოლოდ მაშინ ტოვებდა, როდესაც რაიმე ჯილდოს მისაღებად საზღვარგარეთ იყო მიწვეული.

20. რუსეთიდან გაქცევის შემდეგ, ნაპოლეონი მდინარე ნემანზე ადგილობრივმა გლეხმა გადაიყვანა. „ბევრი დეზერტირი გადავიდა ამ მდინარეზე?“ — ჰკითხა მან გლეხს. — „არა, თქვენ პირველი ხართ“, — უპასუხა გლეხმა.

21. აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს, 1862 წლის 9 მარტს, მოხდა საზღვაო ბრძოლა სამხრეთელების ხომალდ „მერიმაკსა“ და ჩრდილოეთელების „მონიტორს“ შორის. ეს იყო პირველი ისტორიული ბრძოლა ორ ჯავშნოსან ხომალდს შორის.

22. XX საუკუნის დასაწყისში, მოსკოვის პირველი კინოთეატრების მაყურებლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ ქალბატონების გამო, რომელთა უზარმაზარი შლაპები ეკრანს ფარავდა. იმისათვის, რომ ქალები აეძულებინათ, ქუდები მოეხადათ, კინოთეატრების მესვეურებმა დარბაზები ქალთა და მამაკაცთა მხარეებად გაყვეს.

23. საბერძნეთის ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე ცუდი მსროლელი მშვილდისრით სროლაში ვარჯიშობდა და მისი ისრები გამვლელებს ხვდებოდა. საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ბრძენი დიოგენე პირდაპირ სამიზნესთან მოკალათდა.

24. „ბატონო დავით, სად გადის თქვენი წიგნების გმირთა სულიერი ზღვარი?“ — ჰკითხა ერთმა ჟურნალისტმა დათო ტურაშვილს. დათო დაფიქრდა (ასეთი კითხვის შემდეგ, დაფიქრდები, აბა რა!) და — იგოეთის ტეკთანო, — უპასუხა.

25. როგორც კამერ-იუნკერს, პუშკინს ხშირად უხდებოდა მაღალჩინოსან პირებთან სტუმრობა. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, მასპინძელი დივანზე წამოწოლილი დახვდა და პოეტს რაიმე ექსპრომტის შეთხზვა სთხოვა. პუშკინს დიდხანს არ უფიქრია: „დეტი ნა პოლუ, უმნი ნა დივანე“. ეს რა ექსპრომტიაო? — მხრები აიჩჩა მაღალჩინოსანმა, მაგრამ როცა აზრს ჩასწვდა, პუშკინი გარეთ გააბრძანეს: ამ ფრაზის წაკითხვა ასეც შეიძლება — „დეტინა პოლუუმნი ნა დივანე“...

■

ორნი ბედნიერების მწვერვალზე

ანდრეი და კრისტენი ფოტოკამერის წინ გაშიშვლდნენ

საზოგადოება და მასმედია ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენს ფეხბურთის ვარსკვლავთა პირადი ცხოვრების მიმართ. ამ მხრივ გამონაკლისი არც „მილანის“ ფორვარდი ანდრეი შევჩენკოა, მით უმეტეს, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც იგი მშვენიერ ტოპ-მოდელ კრისტენ პაზიკთან მეგობრობს. ამას წინათ, პოპულარულმა წყვილმა ძალზე დამაინტრიგებელი ნაბიჯი გადადგა. ანდრეი და კრისტენი იტალიური ჟურნალის — GQ-სთვის ინტერვიუს ჩაწერისას, მისი ფოტოკორესპონდენტის წინაშე გაშიშვლდნენ... გთავაზობთ ამ ინტერვიუს, მცირედი შემოკლებით.

— თქვენ მდიდრები, ცნობილები და ლამაზები ბრძანდებით. ამავე დროს, ძალზე დაკავებული ადამიანებიც ხართ. როდისღა ახერხებთ ხოლმე ერთმანეთთან ურთიერთობას?

ანდრეი შევჩენკო:

— რაც მართალია, მართალია — ურთიერთობას კი ვახერხებთ, მაგრამ დიდი გაჭირვებით. რას წარმოადგენს ჩემი ცხოვრება? თამაში, მოგზაურობა, შეკრებები და ვარჯიშები. ჩვენ ერთად იშვიათად ვართ, ამიტომაც ვცდილობთ, თითოეული თავისუფალი წუთით ვისარგებლოთ. ხანდახან ერთმანეთს სასტუმროში ან რომელიმე რესტორანში ვხვდებით...

კრისტენ პაზიკი:

— ანდრეი, ჩვენ მხოლოდ რესტორნებში როდი ვხვდებით ერთმანეთს!..

— კრისტენ, ოდესმე ანდრეის მატჩს დასწრებიხარ?

— არასოდეს. რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომელიმე სუპერმატჩს — მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფინალს, რომელსაც დავესწარი.

— პირველ რიგში, რა მიგაქვთ თქვენ-თქვენი პროფესიის სამსხვერპლოზე?

ანდრეი:

— დრო.

კრისტენი:

— რა თქმა უნდა, დრო! კარგი იქნებოდა, რომ დღე-ღამეში 48 საათი ყოფილიყო...

— რას წარმოადგენს თქვენი სიყვარული? ეს ურთიერთობა თითოეული თქვენგანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია თუ ადრე, უფრო დიდი სიყვარულიც გწვევიათ?

ანდრეი:

— ეს მართლაც, ჩემი ყველაზე დიდი სიყვარულია, რომელსაც ვერც ერთ ადრინდელ სასიყვარულო ამბავს ვერ შევადარებ.

კრისტენი:

— წარსულზე საუბარი არ მსურს. მე აწმყოთი ვცხოვრობ. ეს ჩემი ანდრეია...

— თქვენ შორის პირველმა ვინ იაქტიურა?

კრისტენი:

— მე. ერთხელ, არმანის ერთ-ერთ საღამოზე, ანდრეის თამაშის გამო კომპლიმენტი ვუთხარი — მე ხომ „მილანის“ ქომაგი ვარ!

— შემდეგ რა მოხდა?

ანდრეი:

— ამას მოჰყვა გაუთავებელი, უთვალავი სატელეფონო საუბარი. აი, ამ საოცრებით — მობილური ტელეფონით — ავაწყვეთ ჩვენი ურთიერთობა.

— ამ შეკითხვას უტაქტობად ნუ ჩამომართმევთ: არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლება, თქვენს ურთიერთობას წერტილი დაესვას?

კრისტენი:

— არა, ჩვენს რომანს მხოლოდ ერთადერთი დასასრული ექნება... მიუხედავად ამ გაუთავებელი მოგზაურობისა, რის გამოც დიდხანს ერთად ყოფნის საშუალება არ გვეძლევა...

ანდრეი:

— მეც იმავეს ვიტყოდი.

— გაქვთ თუ არა საყვარელი ქალაქი, სადაც ერთად ყოფილხართ ან ცალ-ცალკე ჩასულხართ? საინტერესოა, თუნდაც ათი წლის შემდეგ, სად ისურვებდით ერთად ცხოვრებას?

ანდრეი:

— ლონდონში, ნიუ-იორკში, პარიზში. შეგვეძლო, იმავე მილანში დავრჩენილიყავით, თუმცა, მთელი მსოფლიოს გარშემო ხეტიალიც არ იქნებოდა ურიგო.

კრისტენი:

— არა, ანდრეი, ჩემთვის მხოლოდ ერთი ქალაქი არსებობს — პარიზი.

— ანდრეი, ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავი, ახლა რა პროფესიის კაცი იქნებოდი?

— გაუგებარი შეკითხვაა. ასე მგონია, ფეხბურთი გენებში მაქვს. მე კი არ ამირჩე-

ვია ეს პროფესია, მან „თავად მომძებნა“...

— უკვე ზედიზედ მესამედ დაგასახელეს უკრაინის საუკეთესო მოთამაშედ. ალბათ ამის გამო ძალიან გახარებული ხარ...

— სიმართლე გითხრათ, არც ისე. ამგვარ ტიტულებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მოპოვება ჩემთვის თვითმიზანი არ არის. უბრალოდ, ფეხბურთის თამაში და „მილანთან“ ერთად დიდი გამარჯვებების მიღწევა მსურს.

— მაინც რას უნდა ნიშნავდეს „მილანი“ და საერთოდ, იტალიური ფეხბურთი, უკრაინაში გაზრდილი კაცისთვის?

— ეს ოცნებაა!.. პირველად მაშინ ჩამოვედი მილანში, როდესაც 12 წლის ვიყავი. იმ პერიოდზე არაჩვეულებრივი მოგონებები დამრჩა, რომელსაც ემოციური დატვირთვით მხოლოდ „სან-სიროზე“ მიღწეულ პირველ გამარჯვებას თუ შევადარებდი. იტალიაში ყველაზე ლამაზ და რაც მთავარია, მსოფლიოში ყველაზე რთულ ფეხბურთს თამაშობენ.

— ანდრეი, კრისტენ, მეგობრებო, თქვენს პროფესიას, ახდენილ ოცნებებთან ერთად, იმედგაცრუებაც ხომ თან ახლავს?

ანდრეი:

— საერთოდ, ბუნებით ოპტიმისტი ვარ. ყველაფერი ხდება — ტრავმები, ჩავარდნები, წარუმატებელი მატჩები, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, რომ მხოლოდ კარგზე ვიფიქრო. დამარცხებული არასოდეს ვარ და ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი.

კრისტენი:

— ალბათ დამოუკიდებლად ცხოვრება საკმაოდ გვიან დავიწყე, ამიტომ ჩემთვის ყველაზე უსიამოვნო ის გახლდათ, რომ ჩემ გვერდით არ იყვნენ ახლობლები.

— ანდრეი, ოდესმე, პაემნის გამო მატჩი ან ვარჯიში თუ გაგიცდენია?

— არასოდეს. შეიძლება, ასეთი რამ, სიყვარულის გულისთვის, მომავალში მოხდეს...

კრისტენი:

— მე — კი. ანდრეი, შენი გულისთვის ჩემი საქმეები — დეფილეები, ჩვენებები, გადაღებები — არაერთხელ გადამიდვია.

— მართლა ბევრი რამ გაქვთ საერთო?

ანდრეი:

— ორივენი პროფესიონალები ვართ, გაბედულად ვკისრულობთ პასუხისმგებლობას და ჩვენი საქმისთვის ძალას, ენერგიასა და ემოციას არ ვიშურებთ.

კრისტენი:

— გეთანხმები. აბსოლუტურად გეთანხმები: ორივეს გვაერთიანებს ემოციურობა.

— კრისტენ, ახალგაზრდობაში იმაზე

თუ გიოცნებია, რომ შენი მეგობარი ბიჭი სპორტსმენი ყოფილიყო? იქნებ, პირიქით — მომხიბვლელ ფეხბურთელთან შეხვედრა გაკრთობდა კიდეც?

— მე „სპორტულ“ ოჯახში ვიზრდებოდი — მამაჩემი კალათბურთის მწვრთნელია. ასე რომ, პირდაპირ ვიტყვი — სპორტის სიყვარული ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი. ჩემი გული კი, ფეხბურთს ეკუთვნის!

— შევჩენკო დიდი უკრაინელი პოეტის გვარიც ხომ არის? ასეთ დამთხვევას რაიმე მნიშვნელობას თუ ანიჭებთ?

ანდრეი:

— შევჩენკო ჩემი საყვარელი პოეტია...

— მისი შემოქმედებიდან რაიმეს ხომ არ წაგვიკითხავდით?

— არა. პოეზია განმარტოებაში მეხმარება და ყოველთვის თან მახლავს, როდესაც ცუდ გუნებაზე ვარ. ამჟამად ლექსის წაკითხვა არ შემიძლია.

— უტაქტო წინადადებით თუ მოუმართავთ ოდესმე თქვენთვის?

კრისტენი:

— მოდის სამყაროში უხერხულ სიტუაციებს ვერსად გაექცევი. თუმცა, იგივე ნებისმიერ სხვა სფეროზეც შეიძლება ითქვას. ცუდი ვითარებიდან თავის დაღწევას ყოველთვის ვახერხებდი.

ანდრეი:

— ამგვარ გარემოებაში არასოდეს აღმოვჩენილვარ. ალბათ იმიტომ, რომ თავად გავურბივარ მსგავს სიტუაციებს.

— ქუჩაში პირველად, რომელ თქვენგანს ცნობენ ხოლმე?

კრისტენი:

— ოჰ, ეს რა შეკითხვაა? რა თქმა უნდა ანდრეის!..

— რას შეცვლიდით, ცხოვრება თავიდან რომ დაგეწყოთ?

ანდრეი:

— ყველაფერს ისევე დავტოვებდი, როგორც არის.

კრისტენი:

— მეც. არაფერს ვნანობ. ბოლოს და ბოლოს, შეცდომებზე ხომ, ჭკუას სწავლობენ?!

— როგორი მოგონებები გაკავშირებთ იმ საღამოსთან, როდესაც ერთმანეთს პირველად აკოცეთ?

ანდრეი:

— ძალიან ვღელავდით და ამ მომენტს დიდხანს ველოდით. თუმცა, ეს ყველაფერი ამად ღირდა...

კრისტენი:

— დიდი ხნის ურთიერთობის შემდეგ, ეს ძვირფასი მომენტიც დაგვიდგა, რომელსაც ლამაზ ზღაპარს შევადარებდი.

— რა არის მთავარი — კარიერა თუ სიყვარული?

ანდრეი:

— შეკითხვა ვერ გავიგე: სიყვარული და კარიერა ცხოვრების ორი მხარეა — რატომ უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი?!

კრისტენი:

— კარიერა!.. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ვხუმრობ — სიყვარული!..

— ალბათ ქორწინებაზე გიფიქრიათ, არა?

ანდრეი:

— No comment. ეს მეტისმეტად პირადული საკითხია. როდესაც დავქორწინდებით, ამის შესახებ ძალიან ცოტა ადამიანი შეიტყობს.

— და მაინც — სტილისტი ვინ იქნება?

კრისტენი:

— რა თქმა უნდა, არმანი!

— სამომავლოდ კიდევ რა გეგმები გაქვთ?

კრისტენი:

— მსახიობობაზე ვოცნებობ. მეჩვენება, რომ ეს ჩემი პროფესიაა. ბევრი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ სწორი არჩევანის გაკეთება ჯერჯერობით მიჭირს. რომ არ დავითარსო, სამჯერ დავაკაკუნებ...

ანდრეი:

— დავაკაკუნოთ, დავაკაკუნოთ! დაე, ჩემ მიერ დარტყმული ბურთი ყოველთვის არხევდეს კარის ბადეს!..

■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

„ნომერი 10: სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის“

ბუენოს-აირესში დიეგო მარადონასადმი მიძღვნილი მიუზიკლის პრემიერა გაიმართა. სპექტაკლი – „ნომერი 10: სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის“ – ფეხბურთის ვარსკვლავის ბავშვობაზე, თავბრუდამხვევ სპორტულ კარიერასა და პირად ცხოვრებაზე მოუთხრობს მნახველს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დონ დიეგო მიუზიკლში ანგელოზის საბურველშია გახვეული. სხვათა შორის, წარმოდგენის პირველი მნახველი კმაყოფილი დარჩა.

დიეგო მარადონა მეორე არგენტინელი აღმოჩნდა, რომელსაც მიუზიკლი მიუძღვნეს. პირველი, დიქტატორ ხუან პერონის მეუღლე, ევა გახლდათ. მისი ცხოვრება მუსიკალური სპექტაკლის – „ევიტას“ მეშვეობით, ცნობილმა კომპოზიტორმა, როკოპერის – „იესო ქრისტე – სუპერვარსკვლავი“ – ავტორმა, ენდრიუ ლოიდ ვებერმა აღწერა.

მარადონას შესახებ დადგმული შოუ, თითქოს 80 წელს მიტანებული ყოფილი ფეხბურთელის მოგონებებზეა აგებული. მიუზიკლში აღწერილია არა მარტო ის, თუ როგორ იპყრობდა დიეგო ყველაზე მაღალ საფეხბურთო მწვერვალებს, არამედ მისი პირადი ცხოვრების ურთულესი პერიოდებიც. არგენტინელი სუპერვარსკვლავის როლს სამი მსახიობი ასრულებს. ისინი მარადონას ბავშვობის, ახალგაზრდობისა და მოხუცებულობის ასაკში წარმოადგენენ. „მათ დიეგო მარადონას ცხოვრება ზღაპრად, ხოლო თავად იგი – ანგელოზად გადაიქცეს“, – უთქვამს პრემიერის შემდეგ ყვითელი პრესის ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდა არგენტინის ნაკრების ყოფილი ლიდერის პირად ცხოვრებას... აღსანიშნავია, რომ მიუზიკლში ბევრი ფაქტი გაზვიადებული ან გამოგონილია. მაგალითად, ერთ-ერთ სცენაში მარადონას ჩე გევარას აჩრდილი გამოეცხადება, რომელიც ფეხბურთელს ჭეშმარიტების გზაზე დადგომისკენ მოუწოდებს.

თავად მარადონა, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, კუბაში ცხოვრობდა და ნარკომანიისგან განკურნების სპეციალურ კურსს იტარებდა, პრემიერას არ დასწრებია. მიუხედავად ამისა, მიუზიკლის შემქმნელები აცხადებენ, რომ დონ დიეგო „ლიბრეტოს განხილვაში მონაწილეობდა, რის გამოც, ამონაგები თანხიდან პროცენტებსაც კი მიიღებს“. სხვათა შორის, მარადონას სპექტაკლში მონაწილეობის თეორიული შანსიც შეიძლება მიეცეს, მით უმეტეს, რომ შოუბიზნესში მუშაობის გამოცდილება მას უკვე აქვს: როგორც ცნობილია, შარშანწინ, ფეხბურთის სუპერვარსკვლავმა თავისი პირველი მუსიკალური დისკი გამოუშვა, რომლის ჰიტადაც სიმღერა – „ღმერთის ხელი“ იქცა.



ციკლერის მომახიბლავი ცოლი და 3 შვილი

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და „ბავარიის“ ფორვარდი, ალექსანდრ ციკლერი 2003 წლის ზაფხულში მიღებული სერიოზული ტრავმის შემდეგ სულ ცოტა ხნის წინ შეუდგა ვარჯიშს. იგი გერმანიის ექვსგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია. მისი მეუღლე კატია ციკლერი კი სამი შვილის დედაა. ელეგანტურად და მძვინვარედ – ასეთია კატიას ცხოვრებისეული კრედო. ვიდრე ამ ფოტოს გადაუღებდნენ, იგი დიდხანს ფიქრობდა, თუ რა ჩაეცვა, რათა სურათში გამოწვევად გამოსულიყო. „მსურს, რომ ქმარს ყოველთვის მოვწონდე. ფეხბურთელის გარშემო მუდმივად უამრავი ფანი გოგონა ტრიალებს, რომელიც არაფერს მოერიდება. ეს მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ყველაზე კარგი თავდაცვა, შეტევაა. მეც ყოველთვის სწორედ ამ ხერხს მივმართავ“, – ამბობს ალექსანდრ ციკლერის 28 წლის ცოლი. კატიასა და ალექსანდრს ერთმანეთი 1999 წელს მიუნხენში გაუცნიათ. „შემდგომში ალექსანდრმა გამიმხილა, რომ დანახვისთანავე შეეყვარდი. მან საღამოზე დამპატიჟა, რომელიც კრისტიან ციგეს „მილანში“ გადასვლასთან დაკავშირებით იყო მოწყობილი. იქ ჩვენ დიდხანს, გულახდილად ვისაუბრეთ. შემდეგაც საათობით ვლაპარაკობდით ხოლმე ტელეფონზე, თუმცა შეხვედრები მოგვიანებით დავიწყეთ. მე მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი. მამაჩემი საკმაოდ მკაცრია, მაგრამ იგი ალექსანდრს ხანდახან ჩვენთან ღამის გასათევად დარჩენის უფლებასაც აძლევდა, ოღონდ, მას ყოველთვის ჩემი ძმის ოთახში ეძინა. თუმცა, სანამ ის დასაძინებლად წავიდოდა, ჩვენ ხვევნა-კოცნით ვიყავით გართულნი. ალბათ მას შემდეგ იმ ღამით ვერც მოისვენებდა... მოხარული ვარ, რომ ჩემი მეუღლე გუნდს დაუბრუნდა. ბოლოს და ბოლოს, მან კვლავ გააგრძელა საყვარელი საქმიანობა – მას ხომ ფეხბურთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია“, – ამბობს კატია, რომელიც ალექსანდრზე 2001 წლის ზაფხულში დაქორწინდა. შემდეგ კი, ლუსიანი, ლაურინი და კატარინა ერთიმეორის მიყოლებით მოევლინნენ ქვეყანას.

პერენი მწვრთნელობას გამოემშვიდობა

„მარსელის“ მთავარი მწვრთნელი, ალენ პერენი გუნდის არადამაკმაყოფილებელი თამაშის გამო თანამდებობიდან გადააყენეს. პერენის მოვალეობას ჯერჯერობით „მარსელის“ ყოფილი მოთამაშე, ხოსე ანიგო შეასრულებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ანიგო ადრე, „მარსელის“ ახალგაზრდული აკადემიის კლუბის მთავარი მწვრთნელი იყო.

რავანელი სამშობლოში დაბრუნდა

ცნობილი იტალიელი ფორვარდი, ფაბრიციო რავანელი საშობლოში დაბრუნდა, სადაც იგი „პერუჯის“ ღირსებას დაიცავს. ორიოდე დღის წინ, 35 წლის ჭაღარა თავდამსხმელმა ექვსი თვით გააფორმა კლუბთან კონტრაქტი. როგორც ცნობილია, მიმდინარე სეზონში „პერუჯა“ არცთუ ისე წარმატებულად ასპარეზობს, რის გამოც გუნდის მესვეურებმა თავდასხმის ხაზის გაძლიერება გადაწყვიტეს, რავანელის კი, სწორედ იმ ფეხბურთელად მიიჩნევენ, რომელიც არასახარბიელო ვითარების გამოსწორებას შეძლებს. ზამთრის სატრანსფერო სეზონის გახსნამდე ფაბრიციო შოტლანდიური „დანდის“ ღირსებას იცავდა და ეს კლუბი მან ხელმძღვანელობასთან ფინანსურ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო დატოვა. თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე რავანელი „პერუჯის“ (იმ პერიოდში გუნდი მესამე დივიზიონში ასპარეზობდა), „იუვენტუსის“ (ტურინულ გრანდთან ერთად სკუდეტოსა და ჩემპიონთა თასს დაეუფლა), „მიდლსბროს“, „მარსელის“, „ლაციოს“, „დერბისა“ და „დანდის“ ღირსებას იცავდა. „პერუჯაში“ დაბრუნებული მოხეტიალე ფორვარდი გუნდს არა მარტო იტალიის სერია A-ში ასპარეზობისას, არამედ უეფას თასის გათამაშებაშიც დაეხმარება.

„მანჩესტერელები“ ავტოკატასტროფაში მოყვნენ

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი ავტოკატასტროფაში მოყვა. მათგან ერთ-ერთი – ფილ მაჩში ექიმების თქმით, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ამ ფაქტის გამო უკვე გადაიდო „მანჩესტერის“ რეზერვისტთა შეხვედრა „ბირმინგემთან“. ფილ მაჩშმა, რომელიც ავარიის შემდეგ, საათზე მეტი ხნის მანძილზე მწყობრიდან გამოსულ ავტომობილში იმყოფებოდა, სერიოზული ტრავმები მიიღო. იგი საავადმყოფოში მოათავსეს. რაც შეეხება მის მეგობარ კოლუმ ფლენეგელს, იგი ფაქტობრივად არ დაშავებულა. საგულისხმოა, რომ „მანჩესტერის“ ახალგაზრდული გუნდის კიდევ ერთი წარმომადგენელი, 21 წლის თავდამსხმელი ჯიმი დევისი ავტოკატასტროფამ შარშანწინ იმსხვერპლა.

ბლატერმა ფეხბურთელი გოგონების გაშიშვლება მოინდომა

ფიფას პრეზიდენტს, ზეპ ბლატერს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უცნაური წამოწყებებით, ქალთა ფეხბურთისათვის უფრო მეტი მიმზიდველობის მინიჭება გადაუწყვეტია. გაზეთ SonntagsBlick-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ფეხბურთელ გოგონათა ფორმა უნდა განსხვავდებოდეს მამაკაცი კოლეგების ფორმისაგან. – „მაგალითად, ქალებმა შეიძლება ტანზე შემოტმასნილი შორტით ითამაშონ“, – ამბობს საკუთარი იდეით აღფრთოვანებული ბლატერი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამის წყალობით ქალთა ფეხბურთი კიდევ უფრო პოპულარული გახდება. სხვათა შორის, აშშ-ში 1999 წელს გამართულმა ქალ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატმა სახელი იმით გაითქვა, რომ მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა, ბრენდი ჩენსტეინმა, ფინალურ მატჩში ჩინეთის ნაკრების კარში გოლის გატანის შემდეგ, არც აცია, არც აცხელა და მაისური გაიძრო... „შეხედეთ, ფრენბურთში ხომ ქალებსა და მამაცაცებს სხვადასხვანაირი ფორმა აცვიათ. ფეხბურთს კი დღეს მართლაც, მომხიბვლელი გოგონები თამაშობენ...“ – ამბობს ბლატერი, რომლის ინიციატივაც მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდათ თავად ფეხბურთელ ქალბატონებს. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ პუბლიკის სიმპათია თამაშით უნდა მოიპოვონ და არა ტანისამოსით. „მან თვითონაც კი არ უწყის, რას ამბობს“, – განაცხადა ინგლისის ნაკრებისა და „ჩარლტონის“ გოლკიპერმა,პლინ კოუელმა, რომელმაც ბლატერს „ტიპური მამაკაცი“ უწოდა. „თუ მაყურებლები მატჩებზე მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ მოდელების ყურებით დატკბნენ, მაშინ უმჯობესია, Playboy შეიძინონ“, – დასძინა შვეიცარიის ნაკრების კაპიტანმა, ევილინ ციმერმანმა. ასევე ფიქრობს ნორვეგიის ნაკრების წარმომადგენელი, სოლვეიგ გულმბრანდსენიც: „ბიკინით ხალხში გამოჩენის სურვილი რომ მქონოდა, პლაჟის ფრენბურთს ვითამაშებდი“. გარდა ამისა, ფეხბურთელი გოგონები მიიჩნევენ, რომ ბლატერის ინიციატივა პრაქტიკულობასაც მოკლებულია, „არ შეიძლება ჩვენი შედარება ფრენბურთელებთან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შორტში თამაში უბრალოდ, მოუხერხებელია“, – არ ცხრება ციმერმანი. „როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ ეს? შემოტმასნილი შორტით 10 წლის წინ მამაკაცებიც და ქალებიც თამაშობდნენ და ეს მაინცდამაინც მიმზიდველი სანახაობა არ ყოფილა“, – გაკვირვებას ვერ ფარავს „ფულჰემ ლეიდიზის“ მწვრთნელი, მერიან სპეიისი, რომლის აზრითაც, ბლატერის ინიციატივა საგულისხმოა, მაგრამ თავად ფეხბურთელი გოგონები ამ წამოწყებას ჯერჯერობით არცთუ ისე დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან.

მოამგადა
ალექსი რეხვიაშვილმა



თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,3)

მეათეკლასელ გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ, ცხრა აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით საბოლოოდ თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედად რჩებიან. ერთადერთი ქალიშვილის უბედურებით გამწარებული ცოლ-ქმარი შვილიშვილებს ცივ ნიავს არ აკარებს, მაგრამ გვანცას ხიფათს მაინც ვერ აარიდებს. ერთ დღეს, გვანცა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს, მხატვარ ირაკლი იაშვილს გაიცნობს და უმალვე მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გამოუცდელ გოგონას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს...

მომხდარით თავგზააბნეული გვანცა თბილისიდან კარგა ხნით საერთოდ მიდის. უკან დაბრუნებული კი, შემთხვევით გადაეყრება ირაკლის. მათი შეხვედრის თვითმხილველი აღმოჩნდება ლუკაც, რომელიც მაშინვე მიხვდება, რომ ქალვაჟს შორის რაღაც სერიოზული ხდება. იმავე საღამოს, გვანცას ჯერ ირაკლი დაურეკავს და ყველაფრის გარკვევას შეეცდება, შემდეგ — ლუკა. განრისხებული გვანცა, ორივეს კივილით მოიშორებს...

ლუკა ირაკლიზე იეჭვიანებს და მასთან საქმის გასარკვევად მივა. შემდეგ, გვანცას დაგეესლავს — ირაკლის ქალი თუ იყავი, დროზე ვერ მითხარიო?!. წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსული გვანცა ირაკლის შინ მიუვარდება და სკანდალის მოწყობას დაუპირებს. ირაკლი კი მშვიდად გამოუცხადებს — შენს ცოლად შერთვას ვაპირებო. ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება...

ანთაძეები დაფეთებულები წამოცვივდნენ ფეხზე. ლამარა მაშინვე, მძინარე მიშიკოს ეცა და თან, ქმარს უკივლა:

— არიქა, გვანცაც გააღვიძე, მიწისძვრაა!

— მიწისძვრაზე უარესია, — ხელი უმწეოდ ჩაიქნია ამირანმა. — მაინც დაიწყეს, ხომ, ამ ეშმაკის კერძებმა?!.

გვანცას ტკბილად ეძინა — არაფერი გაუგონია. ამირანი მას მხარზე ფრთხილად შეეხო:

— გვანცა, ბაბუ, გაიღვიძე, დაიწყო!

— რა დაიწყო?.. აღარ იტყვი, კაცო? — თავზე წამოადგა მათ ლამარა, რომელსაც ხელში მძინარე მიშიკო აეტატებინა.

— ომი დაიწყო, ომი! — როგორც იქნა, ამოთქვა ამირანმა. — ეგენი სკამებისთვის ერთმანეთს დაერივნენ და ჯოხი ჩვენნაირ უბედურებზე გადატყდება. მთავრობის სასახლიდან ხელის გაწვდენაზე ვართ. ერთი ჭურვი და ჩვენი სახლისგან არაფერი დარჩება...

— რას ამბობ, კაცო?!

— შეიცხადა ლამარამ.

— ჩვენ რას გვერჩიან?!

— და თან მიშიკო გულში ისე ჩაიკრა, თითქოს ვინმე წართმევას უპირებდა.

ამასობაში, გვანცა საბოლოოდ გამოფხიზლდა და შიშით გაფართოებული თვალებით მიაშტერდა ბაბუას.

— კარგი ახლა, კი ნუ გაგიჟდებით, — დაუყვავა ამირანმა ცოლსა და შვილიშვილს. — იქნებ, მთლად არ წაიწყმიდონ სული და გაჩერდნენ...

პირველი შოკის გადავლის შემდეგ, ამირანი ეზოში ჩავიდა და გარეთ გამოფენილ ახმაურებულ მეზობლებს შეუერთდა. ლამარამ კი, რის ვაი-ვაგლახით გამოღვიძებულ მიშიკოს სასწრაფოდ ჩააცვა და გვანცასაც დაუტატანა:

— შენ რაღას წევხარ?! ადექი, დროზე ჩაიცვი და გავეცალოთ აქაურობას!

— კი, მაგრამ სად უნდა წავიდეთ? — მოიბუზა გვანცა.

— ჯანდაბაში და დოზანაში მაგათი თავი! არ ვიცი, სად უნდა წავიდეთ... — სკამზე უმწეოდ ჩამოჯდა ლამარა. — ნეტავ, ეს ბაბუაშენი სადღა ეშმაკებშია?.. მიდი, ბებო, — მიუბრუნდა ის შემდეგ მიშიკოს, — შეუწექი გვანცას, არ გამიცივდე.

მიშიკო მაშინვე გვანცასთან გაჩნდა და გულში ჩაეკრა. ამასობაში, ამირანიც მობრუნდა შინ. მის დანახვაზე ლამარა ისევ აქაქანდა:

— რა ვქნათ, კაცო?! ასე გულხელდაკრეფილები როდემდე ვისხდეთ?!. მართლა საკუთარ სახლში ხომ არ ამოვახოცვინებთ თავს?!

— დამშვიდდი, ლამარიკო! მგონი, არც ასე ცუდადაა საქმე: ერთი ოცი წუთია, რაც სროლა აღარ ისმის. უბნის ბიჭებმა თქვეს, მთავრობის სასახლესთან ავირბენთ და გავიგებთ, რა ხდებაო...

— მეტი რაღა უნდა გაიგონ? — თავისას არ იშლიდა ლამარა. — თავი ფრონტის წინა ხაზზე მგონია!..

— ნეტავ, შენ ან ფრონტისა რა იცი და ან მისი წინა ხაზისა?.. — ცოლის „კომპეტენტურ აზრზე“ სევდიანად გაეღიმა ამირანს.

— შენ ხომ მთლად სამხედრო აკადემია გაქვს დამთავრებული, აი!.. კინოში მაინც ხომ მინახავს, ომში რა საშინელებებიც ხდება?!

— ეს ისეთი ომი არ იქნება...

— კი. უარესი იქნება!.. აბა, რა!.. ქართველებმა ხომ ყველაფერი განსაკუთრებული უნდა მოვიგონოთ...

ამირანმა აქოთქოთებული ლამარა ოდნავ დააწყნარა, შემდეგ ისიც და გვანცაც მკაცრად გააფრთხილა — შინიდან ფეხი არ მოიცვალოთო! — და ისევ ეზოში ჩავიდა. ლამარამ კიდევ ერთი ამოიოხრა და მიშიკო ისევ დასაძინებლად გაიყვანა. აქამდე ლოგინში შიშით მოკუნტული გვანცა კი, მაშინვე ფეხზე წამოხტა, ჩაიცვა და ლუკას დაურეკა. ლუკამ ყურმილი სწრაფად აიღო:

— გისმენთ! — გაისმა ყურმილში მისი მშვიდი ხმა.

— ლუკა, მე ვარ... — დაიწყო გვანცამ.

— გისმენ, რა მოხდა? — კვლავ მშვიდად განაგრძო ლუკამ.

— ომი რომ დაიწყო, გაიგე?

— ეგ ომი კარგა ხნით ადრე დაიწყო...

— შენ რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე?

— როგორ თუ რას?.. აბა, ასე ვისხდეთ სახლებში?!

— გარეთ თუ გავალთ, ამით რაღა შეიცვლება?! ვინმემ ომის დაწყება გვკითხა, რომ მისი დამთავრება გვკითხოს?

— შენ ვის მხარეზე ხარ?

— მე ჩემი თავის მხარეზე ვარ...

— ჩვენთან არ გამოხვალ?

— არ ვიცი, ვნახოთ... ჯერ ბებიაჩემი და ჩემი ძმა მყავს მისახედი: იქნებ, ცოტა ფული ვიშოვო და ორივე, სოფელში გავუშვა...

— სად უნდა იშოვო?.. ჩვენთან გამოდი და მე მოგცემ...

— ფული შენ საიდან?

— ბაბუაჩემს გამოვართმევ.

— არა, გმადლობ. ბაბუაშენისთვის ჯერ ძველი ვალიც არ დამიბრუნებია... — იუარა ლუკამ და სასწრაფოდ დაემშვიდობა.

გვანცამ ლუკას შემდეგ ირაკლის ნომერი აკრიბა, მაგრამ მის ზარს არავინ გამოხმაურებია...

მოგვიანებით, ირაკლიმ თავად დარეკა. ყურმილი გვანცამ აიღო.

— ხომ მშვიდობაა? — მაშინვე საქმეზე გადავიდა ირაკლი.

— არ ვიცი... — ირაკლის ხმის გაგონებაზე, უცბად გული ამოუჯდა გვანცას.

— რა არ იცი? — ხმას აუწია ირაკლიმ. — ხომ ცოცხლები ხართ?

— ცოცხლები კი ვართ, მაგრამ...

— აბა, მეტი მშვიდობა კაი ხანს აღარ იქნება... იცოდე, გარეთ ფეხი არ გამოადგა! არ დაიწყო შენებური ხეტიალი! თუ თქვენკენ მოვხვდი, იქნებ, კიდეც შემოგირბინო!

— არა, არ მოხვიდე! — შეიცხადა გვანცამ.

— კარგი, როგორც შენ გინდა. ოღონდ, კიდევ გაფრთხილებ — გარეთ არ გამოხვიდე!

— შენ სად მიდიხარ?

— ერთი-ორი საათი მეც შინ ვიქნები, მერე საქმეზე უნდა გავიდე... კარგი, აბა, ჭკუით იყავი!..

— მართლა — შენ ვის მხარეზე ხარ? — გაახსენდა უცბად გვანცას.

— მე სიმართლის მხარეზე ვარ, მაგრამ ახლა მტყუან-მართლის გარკვევის დრო არ არის!.. მორჩი, რა, ტიტინს! ბიჭებმა უნდა დამირეკონ. დროებით!

სანამ გვანცა კიდევ რამის კითხვას მოასწრებდა, ყურმილში წყვეტილი ზუმერის ხმა გაისმა. გვანცამ ყურმილი დადო და ბებია-ბაბუის საძინებელში შეიხედა. ლამარა მიშიკოს მისწოლოდა და ორივეს ტკბილად ეძინა. გვანცა ფეხაკრეფით გამობრუნდა, საკიდრიდან პალტო ჩამოხსნა და შემოსასვლელი კარი ფრთხილად გაიხურა...

როგორც კი ირაკლის სახლს მიაუხლოვდა, გვანცამ, ჩვეულებისამებრ, აქეთ-იქით ქურდულად გაიხედ-გამოიხედა და სადარბაზოში სწრაფად შევიდა. კიბეც სწრაფად აირბინა და კარზე ნერვიულად დააკაკუნა. ცოტა ხანში, კარს უკან ვიღაცის ფეხის ხმა გაისმა. გვანცას გული ამოვარდნაზე ჰქონდა, თავი კი დამნაშავესავით დაეხარა. კარი ნელ-ნელა გაიღო. გვანცას მაინც არ აუწევია თავი და სულგანაბული ელოდებოდა, როდის გაიგონებდა ირაკლის ყვირილს...

— ვინ გნებავთ, გოგონი? — მოისმა უცბად მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

შემკრთალმა გვანცამ თავი ნელ-ნელა ასწია და კარში მდგარი, საოცრად ლამაზი ახალგაზრდა კაცი დაინახა. „მოდების ჟურნალიდან გადმოსულს არ ჰგავს?..“ — გაიფიქრა გოგონამ და ენის ბორძიკით დაიწყო:

— მ-მე... ირაკლისთან... ირაკლი იაშვილი მინდოდა... სახლშია?

— გიორგი, შემოუშვი! ვინ არის? — მოისმა უცბად ირაკლის ხმა და მალე ისიც კართან გაჩნდა, გვანცას დანახვაზე, გიორგი უცერემონიოდ გვერდზე გასწია და დაუპატიჟებელ სტუმარს დაუტატანა:

— შენ აქ რა გინდა?!. შინიდან ფეხი არ მოიცვალო-მეთქი, — ხომ გაგაფრთხილე?!

— გამაფრთხილე... — ხმადაბლა უპასუხა გვანცამ და თან იგრძნო, რომ გიორგის თვალს ვეღარ სწყვეტდა.

— მერე?.. — გიორგისადმი გვანცას ინტერესი უმალ დააფიქსირა ირაკლიმ. — მაშ, რაღა მოგარბენინებდა?!. იქნებ, ბრმა ტყვიამ ეგ ლამაზი, მაგრამ ცარიელი თავი გაგიხვრიტოს?!.

— კარგი, რა, იკა, რა მოგდის? — გააჩერა ირაკლი გიორგიმ. — გოგონამ ლამისაა, მართლა ტყვიების წვიმაში იარა, რომ შენამდე მოელწია, შენ კიდევ...

— ტყვიების წვიმაში, არა, კიდევ ის... — ისევ აბურტყუნდა ირაკლი.

— მართალი ხარ — რუსთაველს ახლოსაც კი არ გავკარებივარ — სულ შემოვლითი გზებით ვიარე... — გული მოეცა გვანცას.

— შემოდი, შემოდი... — გააწყვეტინა ირაკლიმ. — ჯერ შენთვის არ მცალია, მერე მოგივლი.

გიორგი და ირაკლი განზე გადგნენ და გვანცა შეუშვეს. მათ გარდა, ოთახში გვანცას, კიდევ სამი ახალგაზრდა დახვდა. ისინი სასწრაფოდ ფეხზე წამოდგნენ. გვანცამ მათ შორის კახა იცნო. კახამაც უმალ ახლობელივით გადაკოცნა:

— როგორა ხარ, რძალო?.. გადაგვადებინეს, ხომ, ქორწილი ამ ოხრებმა?

— კახა, მორჩი, რა! — შეუღრინა ირაკლიმ.

— რაო, რაო — ქორწილიო? — კახას ნათქვამი მაშინვე აიტაცა გიორგიმ. — მერედა, მე რატომ არაფერი ვიცი?!

— ეგ შენს ძმას ჰკითხე. მეც რომ შემთხვევით არ გამეგო, გგონია, მეტყოდა?!. — დაიწყო ისევ კახამ.

როგორც იქნა, გვანცა მიხვდა, რომ გიორგი ირაკლის ერთ-ერთი ნახევარძმა იყო. „ნეტავ, მეორე რომელიღაა?“ — ორ უცნობ ახალგაზრდას თვალი ინტერესით შეავლო გვანცამ.

— ეგრე ნუ გვიყურებ, თორემ, ირაკლი ისეთი ეჭვიანია, თავებს უცბად დაგვაყრევინებს, — იხუმრა ერთ-ერთმა და შემდეგ, მოწიწებით დაუკრა თავი: — თქვენი მონა-მორჩილი აკაკი წერეთელი...

— ვი-ინ? — კინაღამ სიცილი წასკდა გვანცას.

— ა, ბატონო, კიდევ ერთი ადამიანი გავამხიარულე... — მოჩვენებითად ამოიოხრა აკაკიმ. — ბებიაჩემს რა ვუთხ-

არი, ამ სახელის დარქმევისთვის!..

— სხვა გზა არ არის — გვარი უნდა გამოიცვალო, — მაშინვე „წამოეშველა“ მას მეორე ახალგაზრდა და გვანცას ხელზე ეამბორა: — ლაშა, გენაცვალე...

— თქვენც ირაკლის ძმა ხართ? — მაშინვე ჰკითხა გვანცამ.

— ჩვენ აქ ყველანი ირაკლის ძმები ვართ, — გაეღიმა ლაშას, — ოღონდ, მე ლაშა რჩეულიშვილი კი არა, ლაშა იმერლიშვილი ვარ...

— კარგი, ხომ მორჩით ერთმანეთის გაცნობას, — საუბარში ჩაერია ირაკლი. — ახლა დავიშალოთ და ჩვენ-ჩვენს საქმეებს მივხედოთ. გიო, შენ რას იზამ?.. — მიუბრუნდა ის შემდეგ ძმას. — ამაღამ ჩემთან ხომ არ დარჩები?

— არა, იკა, — იუარა გიორგიმ, — ბიჭები ამაღამვე უნდა ვნახო...

— ლაშას არ ნახავ?

— აქეთ მნახოს... — სხვებთან ერთად წასასვლელად მოემზადა გიორგიც და თან, შინაურულად ჩაუკრა გვანცას თვალი: — ძალიან მიხარია შენი გაცნობა, რძალო...

როგორც კი ბიჭები წავიდნენ, ირაკლი გვანცას ეცა:

— ასეთი უკუღმართი მაინც რამ გაგაჩინა?! რომ მეთქვა, სასწრაფოდ ჩემთან გაჩნდი-მეთქი, ხომ ვიცი, შინიდან ფეხს არაფრით მოიცვლიდი...

— რა ვქნა? — ეშმაკურად გაეღიმა გვანცას. — ბებიაჩემის თქმისა არ იყოს, ეგეთი უჯიშო ვარ...

— ბებიაშენი ბრძენი ქალი ყოფილა, მაგრამ მე როგორ მოვიქცე? დაგსაჯო და ლოგინში ჩაგიკოტრიალო თუ შინ ხელკავით მიგაცილო?

— შენ როგორც გინდა...

— რა თქვი? — გაოცდა ირაკლი.

— შენ როგორც გინდა-მეთქი, — გაიმეორა გვანცამ და ირაკლის მაშინვე გულში ჩაეკრა. — უშენოდ ძალიან შემეშინდა...

— ახლა აღარ გეშინია? — თავზე ხელი ნაზად გადაუსვა ირაკლიმ.

— ახლა — აღარ... — უფრო გამეტებით ჩაეკრა მას გვანცა და გაინაბა.

— ეი, გოგონი, შენ მართლა ხომ არ შეგიყვარდი? — უცბად ხელში აიტაცა გვანცა ირაკლიმ, ჰაერში რამდენჯერმე დაატრიალა და ძირს მერეღა დასვა.

— მართლა, — ახლა ირაკლის მხარქვეშ შერგო თავი ყურებამდე გაწითლებულმა გვანცამ.

ცოტა ხანს ასე ჩახუტებულები იდგნენ. შემდეგ ირაკლიმ გვანცას ხელი მაინც უშვა, ოთახში გაიარ-გამოიარა და თან, ხელები დაბნეულმა გაშალა:

— სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი — ქვეყანა იქცევა, რუსთაველზე ჩემი ძმაკაცები ერთმანეთს ხოცავენ, მე კიდევ, ვიღაც ჩერჩეტ გოგოს სიყვარულს ვუხსნი...

— ჯერ ერთი, შენ კი არა — მე გიხსნი სიყვარულს... — შეუსწორა გვანცამ. — და მეორეც — ჩერჩეტი სულაც არა ვარ...

— აბა, ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?!. — ხელი ჩაიქნია ირაკლიმ. — კარგი, მოვრჩეთ ამ სისულელეს, წამო, სახლამდე მიგაცილებ, — საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა ირაკლიმ.

— ისე, ძალიან ლამაზი ძმა გყოლია... — დაიწყო უცბად გვანცამ.

— გიორგი? — სახე მაშინვე უჩვეულოდ გაუნათდა ირაკლის. — ჰო, ნამდვილი მზეჭაბუკია... იცი, რამდენჯერმე მინდოდა დამეხატა, მაგრამ არაფრით გამიჩერდა: ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა არ შემიძლიაო...

— არა უშავს, კიდევ მოასწრებ... — დაამშვიდა გვანცამ.

— შეიძლება... — სევდიანად ჩაილაპარაკა ირაკლიმ. — მაგრამ გული რაღაც, ძალიან ცუდს მიგრძნობს...

უცბად ტელეფონი აწკრიალდა. ირაკლი მაშინვე ყურმილს დასწვდა:

— გამარჯობათ, ბატონო ამირან... დიახ, დიახ, ამჯერად ნამდვილად ჩემთან არის... ახლავე დაგალაპარაკებთ...

გვანცამ ყურმილი გამოართვა ირაკლის, ერთი-ორჯერ ნერვიულად ჩაახველა და მერეღა უპასუხა:

— ჰო, ბაბუ, მე ვარ... ნუ ნერვიულობ, ახლავე მოვდივარ...

ირაკლიმ გვანცა სადარბაზომდე მიაცილა და მკაცრად გააფრთხილა — ჩემთან მოსული აღარ გნახოო! გვანცამ თავი რამდენჯერმე მორჩილად დაუქნია და კიბეზე კისრისტეხით აირბინა. კარი ამირანმა გაუღო:

— გვანცა, ბაბუ, მართლა ხომ არ გადაირიე?! — დაიწყო მან მაშინვე. — სად დადიხარ? ვისთან?.. ასე სიტყვის უთქმელად გაპარვა იქნებოდა?!. ბებიაშენმა კინაღამ ინფარქტი მიიღო...

— აბა, რა მექნა?! — ხელები გაშალა გვანცამ. — შენ სადღაც გაქრი, ბებოს კიდევ, ისე ტკბილად ეძინა, რომ შემეცოდა და ვეღარ გავაღვიძე...

— შეცოდება შენ და ჯანდაბის ცეცხლი! — მოისმა შუა ოთახიდან ლამარას კივილი. — ამირან, თვალით აღარ დამანახვო ეგ უსინდისო, თორემ, ჩემი ხელით დავახრჩობ, იცოდე!

ამირანმა მაშინვე თავისი ოთახისკენ უბიძგა გვანცას. ოთახში შესულმა გოგონამ პალტო საწოლზე მიაგდო და თავადაც მოწყვეტით დაჯდა. ამირანი კი შორიახლოს მდგარ სავარძელში ჩაეშვა და ხმადაბლა დაიწყო:

— გამაგებინე, ბაბუ, რა ხდება შენს თავს? ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, ეს ირაკლი და რა უნდა?

— იმას — არაფერი, მე მინდა... — თავი ჩაქინდრა გვანცამ.

— შე-ენ?

— ჰო... მე... მე მიყვარს...

— გიყვარს?.. — თვალები გაუფართოვდა ამირანს. — გვანცა, შვილო, გესმის რას ამბობ? — ეგ კაცი ხომ, მამაშენზე ერთი-ორი წლით უმცროსი თუ იქნება...

— ვიცი.

— მერე?

— მაინც მიყვარს.

— თვითონ?.. თვითონ რას ფიქრობს?.. — ხმა ძლივსღა დაიმორჩილა ამირანმა. — იმასაც უყვარხარ?

— ალბათ.

— ღმერთო, ეს რა მესმის?! შენ გარდა, ქალი ვერ ნახა მაგ... — სათქმელი აღარ დაასრულა აღშფოთებულმა ამირანმა.

— რამდენიც გინდა... სულ იმას მეუბნება — ქალები არ მაკლიაო...

— აბა, შენ რაღას გერჩის ეგ ღვთის პირიდან გადავარდნილი?! — ჩურჩულზე გადავიდა ამირანი, თან, კარს ხელი ჰკრა და ფრთხილად მიხურა. — ლამარამ არაფერი გაიგონოს, თორემ, საწყალ ქალს მართლა გული გაუსკდება... გვანცა, ბაბუ, — უცბად თავადაც გულზე იტაცა ხელი ამირანმა. — არ მითხრა, ახლა, რომ თქვენ შორის უკვე...

— არა, არა! — სასწრაფოდ იუარა გვანცამ.

— მადლობა ღმერთს! — ოდნავ შვებით ამოისუნთქა ამირანმა და აკანკალებული ხელები თმაზე რამდენჯერმე ნერვიულად გადაისვა. — ისე, მაინც მეგონა — ლუკას რაღაც ეჩვენება, ბავშვურად ეჭვიანობს-მეთქი, — აქ კიდევ, ხედავ, უკვე რეები ხდება?!. ყველაფერში მართალი არ ყოფილა, რაც მითხრა?!.

— მაინც რა გითხრა? — გაღიზიანდა გვანცა.

— კარგი, ახლა, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს... — ხელი სინანულით ჩაიქნია ამირანმა და ოთახიდან გავიდა...

შინ გამოკეტილმა გვანცამ ერთი დღე ძლივს გაძლო. მეორე დღეს, სადილად შემოსწრებულ მეზობელთან ლაპარაკში გართულ ბებია-ბაბუას ოსტატურად დაუსხლტა და მალე, ისევ ირაკლის სახლთან გაჩნდა. კარი ამჯერად თვითონ ირაკლიმ გაუღო.

— შენღა მაკლდი... — ბრაზიანად ჩაილაპარაკა მან და მაშინვე ოთახში შებრუნდა, თუმცა, კარი ღია დატოვა.

— გიორგის ხომ არაფერი დაემართა?.. — ფრთხილად იკითხა გვანცამ.

აქამდე ზურგით მდგარი ირაკლი უცბად მკვეთრად შემობრუნდა და გვანცას თვალი თვალში ბოროტად გაუყარა:

— როგორ მიხვდი? გულთმისნობა დაიწყე?

— აბა, ამის მიხვედრას რა გულთმისნობა უნდა?!. გიორგი და ლაშა სხვადასხვა მხარეს დადგნენ, ხომ?

— ნეტავ, მარტო ეგ ექნათ... — ლამაზი თითებით საფეთქლები უხეშად მოისრისა ირაკლიმ. — ერთმანეთს უკვე სასიკვდილოდაც აღარ ინდობენ. გიორგი მთავრობის სასახლიდან ისვრის, ლაშა

გვანცამ კარი ფრთხილად მიხურა და სანახევროდ ჩაბნელებულ და გაბოლილ ოთახში შეიხედა. ირაკლი ტახტზე გაშხლართულიყო და სიგარეტს გამეტებით ეაჩებოდა. გვანცა მას ფეხაკრეფით მიუახლოვდა და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით წინ დაუდგა. ირაკლიმ გვანცას ერთი-ორჯერ გაბოროტებული მზერა კიდევ ესროლა და შემდეგ ჰკითხა:

— ხომ გითხარი, გარეთ ფეხი აღარ გამოადგა-მეთქი?!

— მითხარი... — ხმადაბლა უპასუხა გვანცამ.

— ხომ გითხარი — ჩემთან მოსული აღარ გნახო-მეთქი?!

— მითხარი...

— მერე?.. — უცბად გიჟივით ფეხზე წამოხტა ირაკლი, გვანცას მხრებში ხელები ჩაავლო და მთელი ძალით შეანჯღრია. — რაღა ეშმაკი მოგარბენინებდა?!

გვანცამ ჯერ თავი მორჩილად ჩაქინდრა, შემდეგ თვალი მაინც გაუსწორა ირაკლის და ისევ მშვიდად ჰკითხა:

— რაღაც ცუდი მოხდა, ხომ?

— მოხდა, ჰო, მოხდა! — სასწრაფოდ ხელი უშვა ირაკლიმ, შემდეგ ფანჯარას ეცა და ბოლომდე გადაფარებული ფარდა ისე გამეტებით გადასწია, თითქოს ჩამოგლეჯას უპირებსო. — ყველაფერი ცუდი მოხდა, ამის დედაც!..

კიდევ, გარედან პასუხობს...

— შენ კი, ალბათ... — დაიწყო გვანცამ, მაგრამ ირაკლიმ აღარ აცალა:

— მე კიდევ, შენი სულელური ტიტინის მოსმენის გარდა, არაფერი შემიძლია...

— იქნებ, გიორგის კიდევ ერთხელ დალაპარაკებოდი...

— რაღა მაინცდამაინც გიორგის?

— არა, ალბათ, ლაშასაც... — დაიბნა გვანცა. — უბრალოდ, რატომღაც მგონია, რომ გიორგი უფრო მოგისმენდა და დაგიჯერებდა...

— არც ერთი აღარ მიჯერებს, მაგრამ დღეს საღამოს, გიორგის ნახვას მაინც ვაპირებ.

— მართლა? — თვალები აენთო გვანცას. — მთავრობის სასახლეში უნდა შეხვიდე?

— აბა, ის გარეთ გამომსვლელი აღარაა და... მაგის ძმაკაცები შემპირდნენ, როგორმე შეგიყვანთ და გაჩვენებთო...

— მეც წამოვალ, რა... — ბავშვივით შეეხვეწა უცბად გვანცა.

— გაგიჟდი, გოგო?! — თვალები დაუბრიალა ირაკლიმ. — სად წამოხვალ?!

— ძალიან გეხვეწები!.. — ყელი გამოუწია გვანცამ.

— სულ ტყუილად მეხვეწები, — იმედი საბოლოოდ გადაუწურა ირაკლიმ. — წამო, კიდევ ერთხელ მიგაცილებ სახლამდე და სანამ ეს ყველაფერი არ მორჩება, თვალით აღარ დამენახვო, თორემ, ჩემი ხელით დაგაბამ, იცოდე!

— მივხვდი, რატომაც არ გინდა ჩემი წაყვანა... — დაიწყო უცბად გვანცამ.

— იცი და იცოდე, სულაც არ მაინტერესებს. წავედით! — ისევ თავისაზე იდგა ირაკლი.

— იმიტომ, რომ ეჭვიანობ...

— ვეჭვიანობ? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ირაკლის. — მაინც ვისზე, ტვინიკოსო?

— გიორგიზე... უფრო მეტად კი — ჩემზე: გგონია, გიორგი მომეწონა და იმიტომ მოგდევ მთავრობის სასახლეში.

— აუ, ჩემი!.. — საფეთქლებზე ხელისგულები მთელი ძალით მიიჭირა ირაკლიმ. — ამ გიჟს ცოტა ხანს კიდევ თუ ვუსმინე, თავიც გამისკდება! ვისზე უნდა ვიეჭვიანო, სულელო? გიორგი ხომ, ჩემი ძმაა!

— მერე რა? — შენი ძმაა — ჩემი ხომ არა?! — მოულოდნელად მხიარულად გადაიკისკისა გვანცამ.

— მორჩი სისულელეებს!.. — საბოლოოდ დაიბნა ირაკლი.

გვანცა კი, სასწრაფოდ, კისერზე ჩამოეკიდა:

— თუ გინდა, რომ მართლა მოვრჩე — წამიყვანე!

— ჯანდაბას შენი თავი! — კისერზე შემოჭდობილი ხელები ძალით ჩამოაღებინა გვანცას ირაკლიმ. — ოღონდ იცოდე, გვერდიდან წამითაც არ მომცილდები. მანამდე კი, თქვენებს დაურეკე და უთხარი, არ ინერვიულონ... კაცმა არ იცის, იქიდან უკან როდის გამოვალთ.

— ჩემები უკვე კარგა ხანია, ნერვიულობენ...

— როგორ? ისევ გამოეპარე?!.

— არა, ტაშით გამომაცილეს!..

მთავრობის სასახლეში ძლივს შეღწეულ ირაკლის, გვანცას ხელი საგულდაგულოდ ჰქონდა ჩაბღუჯული და წამითაც აღარ უშვებდა.

— შორიდან ალბათ, იმ მკაცრ მამიკოს ჰგავხარ, რომელსაც დასასჯელად მიჰყავს თავხედი ქალიშვილი... — ჩასჩურჩულა უცბად გვანცამ ირაკლის და მის რეაქციას ეშმაკური ღიმილით დაელოდა. მაგრამ მანამდე, ვიღაც ქოშინით წამოეწია და მხარზე მძიმე ხელი დაადო. დამფრთხალმა გვანცამ მაშინვე უკან მოიხედა და გაშეშდა: მის წინ იარაღასხმული მამამისი იდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კაილი მინოუგი თსოვდება?

ყველამ იცის ერთი სასიამოვნო საქორწინო ტრადიციის შესახებ – დედოფალი სტუმრების მიმართულებით თაიგულს ისვრის, ხოლო ის გოგონა, რომელიც მას დაიჭერს, იმ წელს გათხოვდება. ამჯერად დედოფლის როლში, ნატალი იმბრულია იყო (რომლის ქორწილიც ახალი წლის წინადღეს ავსტრალიაში შედგა), ხოლო ბედნიერი სტუმარი – კაილი მინოუგი აღმოჩნდა.

კაილი და მისი ბოიფრენდი, ფრანგი მსახიობი ოლივიე მარტინესი ქორწილის საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ. თვითმხილველთა თქმით, ნატალის მიერ გადაგდებული თაიგული პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა კაილის, რის შემდეგაც ივი ძალზე გამხიარულდა და გულის სწორთან ერთად შესანიშნავი დრო გაატარა...

წყვილი ავსტრალიაში საახალწლო არდადეგებზე ჩავიდა. შეყვარებულებმა ის ადგილები მოინახულეს, სადაც ტელესერიალი „მეზობლებია“ გადაღებული: თავის დროზე, სწორედ ამ ტელესერიალმა გაუთქვა სახელი კაილი მინოუგს. ■

ბრიტნი სპირსის ყოთილი ქმრის კრიმინალური დოსიე

ბრიტნი სპირსის ქმარი – 22 წლის ჯეისონ ალექსანდერი, რომელთანაც მომღერალი მხოლოდ რამდენიმე საათით იყო დაქორწინებული, კანონდამრღვევი აღმოჩნდა. ჯერ 2002 წლის ოქტომბერში, კოლეჯის საფეხბურთო ვარსკვლავს ჩხუბი მოუხდა ერთ-ერთ ბარში, რისთვისაც 100 დოლარი ჯარიმა უნდა გადაეხადა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. შემდეგ 2003 წლის იანვარში თითქმის ერთი თვის მერე, ისევ ბარში მოუვიდა კონფლიქტები და თუმცა არც ერთი შემთხვევის გამო საქმე თავისუფლების აღკვეთამდე არ მისულა, კანონის უპატივცემულობისთვის სასამართლომ ჩხუბისთავი 120 დოლარით დააჯარიმა. ■

ჯორჯ მაიკლის მორიგი ალბომი გამოდის

ფირფიტა, რომლის სახელწოდებაცაა Patience, მარტში გამოვა. მისი პირველი სიმღერის – Amering რადიოპრემიერა კი თებერვლის დასაწყისში შედგება.

1996 წლის ალბომის – Older – შემდეგ Patience მომღერლის პირველი სოლო ნამუშევარია. 1998 წელს მან საუკეთესო ჰიტების კრებული – Ladies & Gentlemen. გამოუშვა, ხოლო 1999-ში ალბომი – Songs Fromthe last Century.

რაც შეეხება მუსიკოსის მიერ ბოლო წელიწად-ნახევარში გამოშვებულ 2 სიმღერას, სასტიკი კრიტიკის გამო ისინი ბრიტანეთის ეროვნული ჰიტაღლუმის სამეულში ვერ მოხვდა. შევა თუ არა ეს სიმღერები ახალ ალბომში, ჯერჯერობით უცნობია. ■

რომი უილიამსს მიაჩნია, რომ თულს მედნიერემა არ მოაქვს

„დიდი სიამოვნებით შევწირავდი ას მილიონ დოლარს (დაახლოებით ამ ფასად არის შეფასებული მისი ქონება), რათა ჩვეულებრივი ადამიანივით მეცხოვრა. კვირაში კი 100 გირვანქა სტერლინგით დავკმაყოფილდებოდი (თვეში 700$), – აღიარებს რობი. – ფულს ბედნიერება არ მოაქვს. ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ მილიონები პრობლემების გადაჭრაში ვერ მეხმარება. ალბათ სრულიად უფულო რომ ვიყო, გაცილებით კარგად ვიგრძნობდი თავს“.

როგორც რობიმ აღნიშნა, იგი მილიონებს გაიღებდა იმისთვის, რომ ქუჩაში თავისუფლად გავიდეს და ვერავინ იცნოს... ■

ვუდი ალენს ფილმის გადაღება აღარ სურს

სახელმოხვეჭილმა რეჟისორმა ვუდი ალენმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ სურვილი აქვს ითამაშოს ფილმში, რომელიც 1972 წელს otel Rierre-ის გაძარცვის ამბავზე იქნება გადაღებული. იგი სურათის რეჟისორობას არ აპირებს, მაგრამ უკვე უთანხმდება მსახიობ ჯონ კიუზაკსაც, რომ მან პარტნიორობა გაუწიოს. ფილმს საფუძვლად დაედება წიგნის The Man Who Robbed the Rierre-ს სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც ხუთი მძარცველი რამდენიმე მილიონ დოლარსა და სამკაულებს იპარავს. ■

ტომ კრუზმა ჰოლივუდის რეკორდი მოხსნა

ლონდონში ფილმის — „უკანასკნელი სამურაის“ — პრემიერა გაიმართა, რომელშიც მთავარ როლს ტომ კრუზი ასრულებს. აღსანიშნავია, რომ მსახიობი თავის თაყვანისმცემლებს საათ-ნახევრის განმავლობაში (ეს ჰოლივუდისთვის რეკორდია) ურიგებდა ავტოგრაფებს.

ფილმი XIX საუკუნის ბოლოს მცხოვრებ ამერიკელ ჯარისკაცზე მოგვითხრობს, რომელიც იაპონიაში ჩადის და იქაურებს სამხედრო საქმეს ასწავლის, მაგრამ გმირი ტყვედ ჩაუვარდება სამურაებს და დროთა განმავლობაში მიხვდება, რომ სწორედ ისინი არიან ჭეშმარიტი მეომრები. ■

სელინ დიონის ვარსკვლავი გაიხსნა

2004 წლის 6 იანვარს, ჰოლივუდის დიდების ხეივანში, მომღერალ სელინ დიონის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. მართალია, ეს ცერემონია შარშან 21 მარტს იყო დაგეგმილი, მაგრამ მაშინ აშშ-მა ერაყში სამხედრო ოპერაციები დაიწყო, რის გამოც მომღერალმა უტაქტობად მიიჩნია ზეიმის მოწყობა.

ცერემონიაზე დიონს მეგობრებმა და ახლობლებმა უსურვეს, რომ მთელი წელი ასეთივე წარმატებული ყოფილიყო: ცერემონიამდე რამდენიმე დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ სელინ დიონს მშობლიურ მხარეში (კანადის პროვინცია კვებეკში) „2003 წლის არტისტის“ წოდება მიანიჭეს. ■

შარლის ტერონი იძულებით გასუქდა

მსახიობმა შარლის ტერონმა ელინ ვურნოსის დრამაში — „ურჩხული“ მეძავი-მკვლელის როლის შესასრულებლად რენე ზელვეგერის მსგავსი გმირობა ჩაიდინა — საგრძნობლად მოიმატა წონაში. ანტიდიეტის შედეგად, რომელშიც მაღალკალორიული პროდუქტები და

აგრეთვე, მრავალჯერადი კვება (ღამის ჩათვლით) შედიოდა, მან 13,5 კგ მოიმატა.

28 წლის მსახიობმა, რომელიც ერთ დროს ფოტომოდელი იყო და ხშირად იცავდა მკაცრ დიეტას, ამგვარი გმირობა შეგნებულად ჩაიდინა. როგორც შარლისი აღნიშნავს, მას იმდენად არ მოსწონს თავისი კარიერა, რომ თუ უახლოეს 10 წელიწადში განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწევს, ის მაინც ექნება სათქმელი — რომ ერთი სერიოზული როლი ვითამაშეო...

უნდა აღინიშნოს, რომ მის თავდადებას ფუჭად არ ჩაუვლია — ტერონი „ოქროს გლობუსის“ ნომინაციაში მოხვდა, რაც ბოლო წლების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, „ოსკარისკენ“ სვლას ნიშნავს. ■

იტალიაში, გასულ წელს, სახელმწიფო ტელეარხზე — „რაი“ — სატირული შოუ-პროგრამის ჩვენების შეწყვეტამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია (ლაპარაკია, მსახიობსა და პოლიტიკურ სატირიკოს საბინა გუძანტის შოუზე). დაგეგმილი ექვსი სერიიდან ეთერში შოუს მხოლოდ ერთი სერია გავიდა. როგორც ჩანს, მისმა ხილვამ ძალზე გააღიზიანა იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი; ამას კი, პროექტის „გაყინვა“ მოჰყვა.

საბინა გუძანტი ცხოვრებაში

„დღეს კომიკოსებს სერიოზულ რამეებზე უწევთ საუბარი...“

berluskonis zewolis gamo, italiis televizias Souze uaris Tqma mouxda

საბინა გუძანტი პრემიერის გრიმით

„დღეს კომიკოსებს სერიოზულ რამეებზე უწევთ საუბარი... თუკი თქვენი პრემიერი ანეკდოტებს თავად ჰყვება, მაშ, რაღა დაგრჩენიათ თქვენ?“ — საბინა გუძანტიმ ეს კითხვა ტელეეკრანიდან დაუსვა მაყურებელს. შოუს წამყვანი შავი მამბასავით იყო გამოწყობილი. ვისაც ნანახი აქვს კვენტინ ტარანტინოს ახალი ფილმი — „მოკალი ბილი“, უმა თურმანის მიერ განსახიერებული საბედისწერო შურისმაძიებელი შავი მამბას პერსონაჟიც უთუოდ ეხსომება.

გუძანტის შავი მამბა ეთერში გასისხლიანებულ ხმალს იქნევდა და მისი თვალით დანახული პრემიერის მიღწევებზე უყვებოდა მაყურებელს. „მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, რომელიც ორგანიზაციამ — „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ — მოამზადა, პრესის თავისუფლებით იტალია 53-ე ადგილზეა, ბენინის, განასა და ბოლივიის შემდეგ, — მოუთხრობდა საბინა ტელემაყურებელს. — განა თქვენ ოდესმე, რამე გსმენიათ ამის შესახებ ახალ ამბებში? არა. თქვენ რომ ამის შესახებ რამე გსმენოდათ, მაშინ 53-ე ადგილზე არ ვიქნებოდით. ხომ ასეა?“

შოუს მეორე ეპიზოდი მედიაჯგუფ — Mediaset-ს ეძღვნებოდა, რომელსაც სათავეში ბერლუსკონი უდგას. მასში „მედიასეტი“ სხვა ტელეკომპანიებთან რეკლამის მოსაპოვებლად აწარმოებდა ომს. შოუში ეს ომი — „მედიასეტმა“ დიდი ძალისხმევის გარეშე მოიგო — ისევე, როგორც ცხოვრებაში.

არც ერთი ე.წ. მწვავე საკითხი გუძანტის უყურადღებოდ არ დაუტოვებია: ის მოსწრებულად შეეხო სკოლის კედლებზე დაკიდებულ კათოლიკური ჯვარცმების ირგვლივ ატეხილ დისკუსიას და არც ისრაელის სახელმწიფოსადმი საერთაშორისო მხარდაჭერის გამოხატვა დავიწყებია. მან RAI-ს ხელმძღვანელობასაც გაჰკრა კლანჭი: მსახიობი რაღაც მომენტში სახელმწიფო ტელეარხის მეთაურის — ლუჩიო ანუნციატის გრიმით წარდგა მაყურებლის წინაშე. თუმცაღა, იმდღევანდელი შოუს მთავარი გმირი მაინც სილვიო ბერლუსკონი გახლდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში საბინა სწორედ მისი გრიმით გამოეცხადა ტელემაყურებელს. მასიურ მაგიდასთან მჯდომი „პრემიერი“ სახელმწიფო ტელევიზიის მუშაკებს მიმართავდა, მის ზურგს უკან კი, ვეებერთელა ოქროსფერი ფარდა ფრიალებდა. „ვინ გითხრათ, რომ ეთერში ამ პროგრამის მეორედ ჩვენების უფლებას მოგცემთ? — ჩვეულებისამებრ, აქტიური ჟესტიკულაციის მოშველიებით კითხულობდა ცრუბერლუსკონი. შოუს მეორე სერიის ჩვენებამდე, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო. ასე რომ, ამის ხელშესაშლელად აუცილებლად მოვიფიქრებთ რამეს“.

გუძანტი არ შემცდარა: შოუს პირველი სერიის დემონსტრირების შემდეგ, „მედიასეტის“ წარმომადგენლებმა მსახიობს ბრალი დასდეს „სიცრუისა და ბინძური ინსინუაციების გავრცელებაში და დასძინეს, რომ ამან კომპანიას ბირჟაზე ზარალი მიაყენა“. შოუს სახელმწიფო ტელეარხზე გამოჩენა, ბერლუკონის მედიაჰოლდინგის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით შეურაცხმყოფლად აღიქვეს, რამეთუ ეს არხი „მედიასეტის“ ძირითად კონკურენტად მიიჩნევა.

ამ ფაქტს, პრემიერთან ახლოს მყოფ პოლიტიკოსთა მხრიდანაც მოჰყვა გამოხმაურება. ისინი საკუთარ შთაბეჭდილებებს ენთუზიაზმით უზიარებდნენ პრესას, და შოუს „ცრუმემარცხენულ პროპაგანდად“ აფასებდნენ. ამასთან მიიჩნევდნენ, რომ გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე მსგავსი პროექტების კეთება დაუშვებელია.

ყოველივე ზემოთქმულს შედეგად მოჰყვა ის, რომ შოუს მეორე სერია ეთერში აღარ გასულა. RAI-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა: „ჩვენ გვემუქრებიან სარ-

ჩელით, რომლის თანხამაც შესაძლოა, რამდენიმე მილიონი ევრო შეადგინოს“: ტელეარხის მესვეურებმა შოუში შემდეგი სერიების ჩვენება მაყურებელს გარკვეული ხნის შემდეგ აღუთქვეს.

შოუს მოწინააღმდეგეთ არც გუძანტი დარჩა ვალში და ჟურნალისტებს განუცხადა: „ეს გახლავთ სერიოზული მაგალითი იმისა, თუ როგორ ირღვევა სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში. შექმნილი სიტუაცია, ჟურნალისტისთვის დღევანდელ ნომერში შეკვეთილ სტატიას შემიძლია შევადარო, რომლის დაბეჭდვასაც მას სამი თვის შემდეგ სთავაზობენ.“

შოუს წინააღმდეგ გაჩაღებული აქტიური კამპანიის მიუხედავად, საბინას ფარ-ხმალი არ დაუყრია – მსახიობმა რომის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზს მიაშურა, რათა მაყურებლის სამსჯავროზე გამოეტანა ის, რისი ტელეეკრანზე ჩვენებაც აუკრძალეს.

„ტელევიზიაში არ გვიშვებენ? მაშინ, ჩვენ თავად მოვაწყობთ შოუს“, – განუცხადა საბინამ მაყურებელს! მათ, ვინც საკონცერტო დარბაზში მოხვედრა ვერ მოახერხა, წარმოდგენა ერთ-ერთი თანამგზავრული არხის წყალობით ნახეს, რომელმაც შოუს პირდაპირი ტრანსლაცია მოაწყო.

გუძანტის მხარი დაუჭირეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა. სახელმწიფო ტელეარხზე შოუს დაბრუნების პეტიციას დაახლოებით ასმა პარლამენტარმა მოაწერა ხელი. მათ გარდა საბინას უამრავი ადამიანი უჭერდა მხარს, მათ შორის – მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, დარიო ფო, აგრეთვე ჟურნალისტთა და შოუმენთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც სწორედ ბერლუსკონის მმართველობის წლებში ჩამოაშორეს ტელეეთერს.

„ჩვენთან ტელევიზიაში, მათ შორის, სახელმწიფო არხზეც, პოლიტიკურ სატირას დიდად არ წყალობენ, – განაცხადა ჟურნალ Famiglia Christiana-ს მთავარი რედაქტორის მოადგილემ, ფულვიო სკალონემ. პრემიერს არ მოსწონს ეს; არ უყვარს არც ის, როცა ტელევიზია პოლიტიკაში ერევა. ხოლო ასეთი რამ თუ მაინც ხდება, პოლიტიკური საკითხი აუცილებლად მის სასარგებლოდ უნდა გაშუქდეს“.

ფულვიო სკალონე ირწმუნება, რომ ეს არ არის ტელევიზიაზე ცენზურის დაწესების მცდელობა; „საქმე ბევრად უფრო უარესადაა, – ამბობს ფულვიო. – ჩემი აზრით, ბერლუსკონიმ იმიტომ კი არ მიიღო არჩევნებში ხმები, რომ მას საკუთარი მასმედია უდიდეს პოლიტიკოსად წარმოაჩენდა, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი ტელეარხების მეშვეობით, მან ცხოვრების ისეთი წესის დამკვიდრება შეძლო, სადაც წარმოდგენილია უამრავი შიშველი ქალი, აგრეთვე ადამიანები, რომლებიც უმარტივეს შეკითხვებზე იძლევიან პასუხებს და ამაში უპრობლემოდ იღებენ სოლიდურ თანხას. ამ ტიპის ტელევიზიაში პოლიტიკურ სატირას ადგილი არა აქვს. ცხოვრების ასეთი წესი ხომ, საკითხის საფუძვლიან გაანალიზებას არ ითვალისწინებს“.

აი, ანეკდოტების, მათ შორის, თავად მასზე შეთხზული ანეკდოტების საწინააღმდეგო, ბერლუსკონის ჯერჯერობით არაფერი აქვს. ანეკდოტების კრებულებს, რომლის მთავარ გმირადაც თავად პრემიერი გვევლინება, ასე ვთქვათ, იტალიელები პირდაპირ იტაცებენ. ბერლუსკონის ანეკდოტებისადმი სიყვარულზე ლეგენდებსაც კი თხზავენ. ამბობენ, რომ ერთხელ საკუთარ თავზე თავადვე მოჰყვა ასეთი ანეკდოტი: „ბერლუსკონი ცოლშვილთან ერთად შვეულმფრენში ზის, რომელიც რომის თავზე მიფრინავს. ქვემოთ, ბერლუსკონის საწინააღმდეგო 30-ათასიანი დემონსტრაცია მიმდინარეობს. „ახლა, გადავაგდებ 100-ევროიან კუპიურას და მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს გავაბედნიერებ“, – ამბობს ბერლუსკონი. „იქნებ, ორი 50-ევროიანი კუპიურა გადაგაგდო და ორი მათგანი გაგებედნიერებინა“, – სთავაზობს ცოლი. „უკეთესი იქნებოდა, 10 10-ევროიანი გადაგეგდო, მაშინ ხომ ათი კაცი გაბედნიერდებოდა“, – ურჩევს შვილი. ამ დროს, შვეულმფრენის პილოტი მობრუნდება და ბერლუსკონის მიმართავს: „ხომ არ ჯობდა, თავად გადამხტარიყავით? ამით ხომ 30-ათასივეს გააბედნიერებდით!“

თუ თავად მასზე შეთხზული ანეკდოტების სიყვარული რეალობაა და არა პრემიერის PR-სამსახურების შემოქმედების ნაყოფი, მაშინ, იტალიაში ტოტალური ცენზურის დამყარებაზე ლაპარაკი, რამდენადმე ნაადრევია...

P.S. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბერლუსკონიმ თვალის უპეების პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ნაოჭები გაისწორა. სხვათა შორის, ამას მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებენ: 67 წლის პრემიერი ცდილობს, რომ თავი არ შეირცხვინოს ამომრჩევლის წინაშე. იმასაც დასძენენ, რომ სათანადო ფორმის შესანარჩუნებლად ბერლუსკონი საკმაოდ მკაცრ დიეტასაც იცავს და ყოველდღე ვარჯიშობს. პრემიერ-მინისტრის არჩევნები იტალიაში ივნისში შედგება.

■

ტესტი ერუდიციაზე

1. ჩერჩილი ამბობდა: „სტალინმა ორი შეცდომა დაუშვა: ევროპას რუსეთი აჩვენა და რუსეთს ...“

ა) საკუთარი ძალა დაანახვა“;
ბ) ევროპა არ აჩვენა“;
გ) – ევროპა“.

2. ვინ იყო მაზოხიზმის ფუძემდებლის ავსტრიელი მწერლის ზახერ-მაზოხის სექსუალური პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაც მან მოგვიანებით აღწერა?

ა) მეუღლე;
ბ) მოსამსახურე;
გ) ავსტრიის მაშინდელი დედოფალი.

3. რა ერქვა ვაჟა ფშაველას ნაწარმოეგის „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟის ალუდა ქეთელაურის ცოლს?

ა) ლელა;
ბ) მზევინარი;
გ) ნინო.

4. ვინ არის ქართული მხატვრული ფილმის „სიყვარული ვენახში“ რეჟისორი?

ა) გიორგი შენგელაია;
ბ) რეზო ესაძე;
გ) ელდარ შენგელაია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჩიკაგოში, ვოვა სტეფანიასთან «შესვედრის» მოლოდინში...

ახლაც ხშირად მეკითხებიან — ამერიკაში ყოფნისას ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდაო? თავდაპირველად, დაუზარებლად ვიხსენებდი ბრუკლინს, ნიუ-იორკს, ჩიკაგოს, თვალუწვდენელ, ლარივით გაჭიმულ მრავალმწკრივიან გზებს, ცათამბჯენებსა და ეგზოტიკურ ღამის ბარებს. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ყველაზე შთამბეჭდავი, მაინც ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა იყო.

ეს ურთიერთობები, ბუნებრივია, დატვირთული იყო როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ემოციებით — მაგრამ უმთავრესი, რაც ამერიკაში ცხოვრების წლებმა შემმატა, გახლდათ ის, რომ ცხოვრებას უკვე სხვა თვალით ვუყურებდი. ამ წლებმა დამარწმუნა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა.

წინამორბედი წერილი ის. „გზა“, №2

აკაკი გეგენავა

მოხუცი ჯო: „ჩემი სიმღერა უკვე ნამღერი მაქვს...“

ავტოსადგომის მეთვალყურე მოხუცი ზანგი ჯო გულღია კაცი აღმოჩნდა. ლესბოსელების გარემოცვიდან თავქუდმოგლეჯით გამოქცეულს, ახლა ისე მინდოდა დალევა, როგორც არასდროს.

მოხუცმა ჯომ ეტყობა, ჩემი „დაწევა“ მოინდომა და, თვალის მოკვრას ძლივს ვასწრებდი, ისე სულმოუთქმელად სვამდა. მე რომ პათოსით წარმოვთქვამდი სადღეგრძელოებს, ის უკვე აღფრთოვანებით მიჩვენებდა ბოლომდე დაცლილ ჭიქას. თან ბარში დალეულმა რამდენიმე კათხა ლუდმაც თავისი ქნა. ასე რომ, ერთბაშად გავმხიარულდი.

— ბიძია ჯო, ეტყობა, ძალიან „გწყურებიათ“, ახალი ბოთლის მოტანა მომიწევს!.. — ვთქვი და ბარში წასასვლელად წამოვდექი, რადგანაც ვისკის ბოთლი უკვე იცლებოდა.

— შენ რატომ? მე აქ რას ვაკეთებ? ვისკის მე მოვიტან! შენ მხოლოდ სადღეგრძელოები თქვი, კარგად გამოგდის — მხარზე ხელი დამკრა დარაჯმა.

— შენ რატომ არ ამბობ სადღეგრძელოს, ბიძია ჯო? არ გიყვარს? — ვკითხე.

— მე ერთი უბრალო ზანგი ვარ, ბევრი არ მომეთხოვება. თანაც ჩემი ცხოვრების სიმღერა უკვე ნამღერია... ახალი სიმღერა და ახალი სადღეგრძელო თქვენი საქმეა — ახალგაზრდების... — სევდიანად თქვა მან და გაცებულმა შევამჩნიე, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა.

— აბა, ეგეთები არ იყოს, ბიძია ჯო! მე აქ იმიტომ მოვედი, რომ გავხალისებულიყავით, თქვენ კიდევ...

— ეჰ, მაინც მომიწია სადღეგრძელოს თქმა... მოდი, ცხოვრებას გაუმარჯოს, რომელიც მიუხედავად ბევრი ტკივილისა, მაინც ასეთი კარგია!.. მომავალ თვეში 75-ისა გავხდები, მაგრამ კიდევ მინდა სიცოცხლე... — მოხუცი გაჩერდა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ სულმოუთქმელად გადაკრა ვისკი.

უხერხული სიტუაცია შეიქმნა. მე მოლხენას ვაპირებდი, მოხუცი დარაჯი კი საოცრად დარდიანი იყო. ვიფიქრე, სიტუაციას განვმუხტავ-მეთქი და შვილების სადღეგრძელო წამოვიწყე:

— ბიძია ჯო, მოდი, ამ ჭიქით შვილებს დაგილოცავთ, ალბათ შვილიშვილებიც გეყოლებათ... ადამიანი ხომ შვილებისა და შვილიშვილებისთვის ცოცხლობს. აი, მე ოკეანის გაღმიდან ჩამოვედი ამერიკაში და იცით, რატომ? ჩემმა პატარამ რომ ჩემზე უკეთ იცხოვროს, ჩემსავით რომ არ გაუჭირდეს. — მეგონა, ამ სიტყვებით მოხუცს გულს ავუჩვილებდი, თანაც უცებ ისე მომაწვა შვილის ნახვის სურვილი, რომ ღამის მეც ავტირებულიყავი... მაგრამ ჯოს სახეზე ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია... ვიფიქრე, ალბათ ინგლისურად სწორად ვერ გამოვთქვი, რასაც ახლა ვფიქრობდი-მეთქი... ჯო გაქვავებული იჯდა და სადღაც, თითქოს უსასრულობაში იყურებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შემომხედა, ჭიქა აიღო და ჩუმად, ძლივს გასაგონად დაიწყო:

— აკაკი, შენს შვილს დავლოცავ, ჩემები კი... დალოცვას არ იმსახურებენ...

უხერხულობისგან აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. საუბარი ისევ მოხუცმა ზანგმა განაგრძო:

— ექვსი შვილი მყავს — ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მთელი ცხოვრება ვმუშაობდი, ღამე ჩემთვის არ იყო და უქმე დღე... ზოგჯერ შინ თვეობით ვერ მივდიოდი. ყველაფერ ამას ჩემი შვილებისთვის ვაკეთებდი... ამ ათი წლის წინ მეუღლე გარდამეცვალა. შვილები უკვე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. დავრჩი მარტო. ვიფიქრე — ახლა მაინც გამოიხედავენ ჩემკენ-მეთქი. ერთი, დედის დასაფლავებაზე მოვიდნენ და მორჩა! წელიწადში ერთხელაც არ გამიხსენებენ. ბოლოს, ამ ორი წლის წინ მომიკითხა უმცროსმა ვაჟმა, ათიოდე წუთით შემოიარა და წავიდა. ქალიშვილები ხანდახან თუ დამირეკავენ და ეგ არის. ახლა, გეკითხები, უცხოელო — ეს არის ცხოვრება? არა! მე შვილები არა მყავს!..

შემეცოდა მოხუცი და მინდოდა, რამე სანუგეშო მეთქვა მისთვის, მაგრამ ძალზე ბანალურად გამომივიდა:

— სულ ასე ხომ არ იქნება?! მიხვდებიან შეცდომას და აუცილებლად მოვლენ...

— რას მოვლენ? აღარც ვახსოვარ! როცა მათ მამის გვერდით უნდოდათ ყოფნა, მე დღე და ღამე სამუშაოზე ვიყავი, მთელი ცხოვრება ფულის შოვნას შევალიე, რომ შვილებისთვის განათლება მიმეცა და ჩემსავით შავი საქმე არ ეკეთებინათ. ეს კი შევძელი, სამაგიეროდ, სითბო და სიყვარული დავაკელი შვილებს. ჰოდა, ახლა ჩემთან რაღა უნდათ? — ფული მე აღარა მაქვს, ჩემი სიყვარული კიდევ, მათ არაფერში სჭირდებათ... ჰოდა, ვზივარ ამ ჯიხურში და ველოდები, როდის მომაკითხავს სიკვდილის ანგელოზი...

მოხუცი ზანგი მძიმედ წამოდგა,



სათვალე გაისწორა, ცარიელ ბოთლს შეავლო თვალი, – ახალს მოვიტანო, – ჩაილაპარაკა და გავიდა...

რეკეტიორები და... ვოვა სტეფანია

ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მოხუცი ჯოს საყარაულო ჯიხურში ათლეტური აღნაგობის ორი ახალგაზრდა ზანგი შემოვიდა. არც კარზე დაუკაკუნებიათ და არც მომსალმებიან.

უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მაშინვე მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. ბრუკლინის ქუჩებში ზანგებთან ურთიერთობამ და ციხეში გატარებულმა თვეებმა საიმისო გამოცდილება კი შემძინა, რომ ერთი დანახვისთანავე მივმხდარიყავი, რა კატეგორიის ხალხთან მქონდა საქმე. ამჟამადაც არ შევმცდარვარ: ჩემ წინ რეკეტიორები იდგნენ. სწორედ მათთვის გამომართვა მოხუცმა დარაჯმა „არაოფიციალური“ გადასახადი.

– ის ბებერი სად არის? – გამოცრა ერთ-ერთმა.

– მაღაზიაში გავიდა და მალე მოვა... – მოჩვენებითი სიმშვიდით ვუპასუხე.

– დროს ატარებთ, არა? – უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა პირველმა მათგანმა, შემდეგ უცერემონიოდ აიღო ლუდის ბოთლი და მიიყუდა. მეორე, ბუტერბროდს დასწვდა...

ამასობაში ჯოც შემოვიდა. ორი ბოთლი ვისკი, ლუდი, „კოკა-კოლა“ და რამდენიმე პაკეტი დაახვავა მაგიდაზე.

– ბაბუა ჯოს გაუმარჯოს! დაბადების დღე ხომ არა გაქვს? – თითქმის ერთხმად წამოიძახეს რეკეტიორებმა.

– გამარჯობა! – უხალისოდ უპასუხა ჯომ.

– მოხუცო, სასწრაფოდ გვჭირდება ფული, ბოსი გველოდება! – პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ ახალმოსულები.

ჯო მეორე ოთახში გავიდა და ფული გამოიტანა. თვალის დახამხამებაში გადათვალეს...

– ეს არ გვეყოფა, ცოტა კიდევ დაამატე!.. – უხეშად უბრძანეს.

– იმას გაძლევთ, რაც გუშინ შემოვიდა, მეტი არ შემიძლია! – მშვიდად უპასუხა ჯომ.

– როგორ? იმ ტრაილერის მძღოლმა არ გადაიხადა? მე თვითონ ვნახე, გუშინ რომ დააყენეს! – თქვა ერთმა და ფანჯრიდან ჩემს ტრაილერზე მიუთითა.

– მას არ ეკუთვნის გადახდა! – ჯომ ჩემკენ გამოიხედა. გაოცებისგან ფერი დაკარგე: მე ხომ გუშინვე გადავუხადე მოხუცს დამატებით 40 დოლარი! ვერ გავიგე, რაში დასჭირდა დარაჯს ტყუილის თქმა.

– ...ტრაილერი ამ კაცისაა, ის კი ჩემი მეგობარია! – დასძინა პაუზის შემდეგ ჯომ.

– შენი ტრაილერია? – აი, ჩემთვისაც მოიცალეს... ისე ვიყავი გაოგნებული, რომ ხმა ვერ ამოვიღე.

– რას იზამ, მეგობრებს ჩვენც ვცემთ პატივს... – უხალისოდ თქვა ერთ-ერთმა და ამხანაგს ანიშნა – წავიდეთო. თან გვითხრეს, ნახევარ საათში გამოგივლითო...

– გაგიკვირდა, არა, სიმართლე რომ არ ვთქვი? ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ და ზედმეტი რატომ უნდა გადაიხადო... – მითხრა ჯომ და გადახდილი ფული უკან დამიბრუნა.

– აკაკი, რასაც ახლა ეს ბიჭები აკეთებენ, ჩემთვის განვლილი ეტაპია. მაგათ ასაკში ჩემი მომრევი არავინ მეგონა... ოღონდ, მათგან განსხვავებით, ნარკოტიკისგან თავი შორს მეჭირა. თუ ასე გაგრძელეს, წასულია ამათი საქმე...

– მერე, ბიძია ჯო, დაუჯექი ერთხელ და კაცურად ელაპარაკე, აუხსენი, რომ ნარკოტიკზე დიდი მტერი არაფერი შეიძლება იყოს.

– ვინ გიჯერებს? ერთხელაც იქნება, ცხვირს წაიმტვრევენ და მერე მიხვდებიან, რასაც შვრებოდნენ... ჯანდაბას მაგათი თავი! მოდი, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ, – თქვა ჯომ და ჭიქები ვისკით შეავსო.

ხასიათი გამომიკეთდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო? – რეკეტიორებთან შეხლა-შემოხლასაც გადავურჩი და „ქეიფიც“ განვაგრძე!.. მაგრამ ვინ გაცალა მოლხენა?! – ოციოდე წუთში, ერთ-ერთი რეკეტიორი, რომელსაც ჯიმი ერქვა, ისე წამოგვადგა თავზე ლაპარაკში გართულებს, რომ ვერც კი გავიგეთ.

– შენ ეტყობა,მართლა კარგი ტიპი ყოფილხარ. რაც მოხუც ჯოს ვიცნობ, არ მახსოვს, ასე ადვილად ვინმეს დაახლოებოდა... – „შემაქო“ ჯიმმ.

– მოდი, ჩვენთან დაჯექი, შენც დალიე...

ჯიმმ იუარა – ვისკი არ მინდა, სამაგიეროდ, მოგვიანებით შენს მეგობარს უკეთეს გასართობს შევთავაზებო, – „დაამშვიდა“ მოხუცი დარაჯი. მაშინვე მივხდი, რას გულისხმობდა უკვე ხელიდან წასული ნარკომანი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ჯომაც წაუყრუა.

როცა ჯიმმ გაიგო, რომ საქართველოდან ვიყავი, მრავლისმეტყველად გადმომხედა.

– სტეფას ქვეყნიდან ყოფილხარ!..

– ვისი ქვეყნიდან?! – ვერ მივხვდი.

– კალათბურთელი რომ არის, ნიუჯერსის გუნდში თამაშობს, კარგი გამთამაშებელია!.. – შინაურულად ამიხსნა ჯიმმ.

– ეგ კი ნამდვილად არ ვიცოდი... – გულახდილად წამოვიძახე. ხუმრობა ხომ არ იყო? – თურმე, ქართველი კალათბურთელი ვოვა სტეფანია NBA-ში თამაშობდა და მე ეს არც ვიცოდი. რა თქმა უნდა, სიამაყით აღვივსე. ჯიმმ მითხრა – ხვალ „ნიუ-ჯერსი“ და „ჩიკაგო ბულზი“ ერთმანეთს ჩიკაგოში ხვდებიან და თუ გინდა, ამ მატჩის ნახვაც შეგიძლიაო... გამიხარდა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მეორე დღეს, საკალათბურთო მატჩის სანახავად კი არა, დიდი ხნის უნახავ მეგობართან შესახვედრად უნდა წავსულიყავი...

P.S. აკაკი გეგენავას მოგონებების ამსახველ მორიგ წერილს „გზის“ №6-ში შემოგთავაზებთ. ■

ბრიტანული ცენტრი
აცხადებს მსმენელთა მიღებას

სადაც მსურველებს მაღალ დონეზე შეასწავლიან ინგლისურ ენას. სკოლაში გამოყენებულია დაჩქარებული სწავლების უნიკალური მეთოდი „**Callan Method** English in a quarter of time" (ინგლისური მეოთხედ დროში).

სწავლების სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, გაკვეთილის მსვლელობისას მსმენელებს ეძლევათ განუწყვეტლივ მეტყველების საშუალება, რაც გაცილებით უფრო მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდის სწავლების პროცესს. სკოლა განკუთვნილია ნებისმიერი მომზადების დონისა და ასაკის პირთათვის და თითქმის არ ითვალისწინებს საშინაო დავალებას. პირველი ერთი კვირა უფასოა.

დაგვიკავშირდით და თავად დარწმუნდებით ამაში.

მის: ჭავჭავაძის 70 ☎ 22-62-95

Kia Picanto კონკურენტებს დაბალი ფასით ებრძვის

კორეელი ავტომწარმოებლები ცდილობენ, გაიმაგრონ პოზიციები სუპერკომპაქტური საქალაქო ავტომანქანების სეგმენტში, სადაც დღემდე, ევროპელები და იაპონელები დომინირებენ. Hyundai Getz-ის წარმატებული დებიუტის შემდეგ (ის კარგად იყიდება აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში), კომპაქტური მანქანის საკუთარი ვარიანტი კომპანია „კიამაც“ შეიმუშავა. 5-კარიანი Kia Picanto-ს სიგრძე 3,5 მ-ია. მანქანა 5 კაცისთვისაა გათვალისწინებული. ის ევროპული დიზაინით გამოირჩევა: „პიკანტოს“ ცხვირი ბევრი რამით ჰგავს იტალიურ Lancia Ypsilon-ს, ოპტიკა Ford Fusion-ისას მოგაგონებთ, ზომები კი, Fiat Panda II-ის პარამეტრებს უახლოვდება. კორეული „ნამცეცა“ აღჭურვილია 4-ცილინდრიანი, ერთლიტრიანი, 62 ცხ.ძ-ის მქონე ბენზინის ძრავათი; მას 1,1 ლ-იანი, 64 ცხ.ძ-იანი აგრეგატიც შეიძლება ჩაუდგან.

ახალი „კიის“ გაყიდვა წლევანდელ აპრილშია დაგეგმილი. ევროპელ ექსპერტთა ვარაუდით, მისი საბაზო ვერსიის ფასი 8.000 ევროს არ უნდა აღემატებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ Picanto სერიოზულ კონკურენციას გაუწევს სხვა სუპერკომპაქტურ ავტომანქანებს, მით უმეტეს, რომ ის 5-კარიანია: მარკეტოლოგების მტკიცე რწმენით, სწორედ ამ კონსტრუქციას ეკუთვნის მომავალი. მათი პროგნოზებით, თუ 2002 წელს, აღნიშნულ სეგმენტში ასეთი მანქანები სულ 22,3%-ს შეადგენდა, წლეულს მოსალოდნელია, რომ ეს ციფრი 75%-მდე გაიზრდება. ■

ხელმისაწვდომი სპორტული Suzuki

იაპონურმა კომპანია „სუძუკიმ“ მოდელის – Igნის – სპორტული მოდიფიკაცია გამოუშვა. სერიულმა მანქანამ გარეგნული სახეცვლილება განიცადა: უფრო მასიური გახდა ბამპერები, სახურავზე გაჩნდა სპოილერი, ფრთებს კი, დეკორატიული ელემენტები დაემატა. ავტომობილს დინამიკურობას მატებს აგრეთვე 15-დუიმიანი, ჩამოსხმული საბორბლე დისკები. სპორტული მანქანისთვის დამახასიათებელი დეტალები გაჩნდა სალონშიც: თეთრი ხელსაწყოები, რომლიდანაც თხევადკრისტალური ლურჯი შუქი მოეფინება, Recaro-ს ფირმის სპორტული სავარძლები, ტყავით გაწყობილი საჭე და გადაცემათა გადართვის ბერკეტი.

მანქანა 4-ცილინდრიანი, 1,5 ლ მოცულობის, 109 ცხ.ძ-იანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 8,9 წმ-ში განავითარებს. Ignis Sport-ის კომპლექტაციაში შედის: კონდიციონერი, დისტანციური მართვით აღჭურვილი ცენტრალური საკეტი, ელექტროამძრავითა და გამთბობლით აღჭურვილი გვერდითი სარკეები, ელექტროამწიანი მინები და ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები. გარდა ამისა, მანქანა აღიჭურვება მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და უსაფრთხოების ბალიშებით. Suzuki Ignis Sport-ს ევროპელებს 14.990 ევროდ შესთავაზებენ, რაც ჩამოთვლილი კომპლექტაციის გათვალისწინებით, სავსებით კონკურენტუნარიან ფასადაა მიჩნეული. ■

VW Polo-ს საბოლოო „გაეზრდა“

გერმანული კონცერნი Volkswagen კომპაქტური მოდელის – Polo-ს სედანისძარიანი ვარიანტის წარმოებას შეუდგა. ჰეჩბეკთან შედარებით, მანქანა 28 სმ-ით „გაიზარდა“ და ახლა მისი სიგრძე 4,18 მ-ს შეადგენს. საგრძნობლად გადიდდა საბარგულიც: თუ ჰეჩბეკის საბარგულის მოცულობა 270 ლ-ს შეადგენდა, სედანისა 432 ლ-ს აღწევს. ამავე დროს, მანქანას მისთვის დამახასიათებელი ფუნქციურობაც არ დაუკარგავს: უკანა სავარძელი მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება დაიკეცოს, რის შედეგადაც სატვირთო დანაყოფი 1127 ლ-მდე გაიზრდება.

სედანი, მომხმარებლის სურვილისამებრ, ოთხ ძრავას შორის ერთ-ერთით შეიძლება აღიჭურვოს. ორ ბენზინის ძრავას ერთი და იგივე სამუშაო მოცულობა – 1,4 ლ აქვს; პირველი 75 ცხ.ძ-ს, ხოლო მეორე – 100 ცხ.ძ-ს ავითარებს; სამცილინდრიანი, ტურბოდაბერვიანი დიზელის აგრეგატი – 75 ცხ.ძ-ს; შედარებით ძველია 1,9 ლ მოცულობის დიზელის ძრავა, რომლის სიმძლავრე 64 ცხ.ძ-ს შეადგენს.

„პოლოს“ სედანის საბაზო კომპლექტაციაში შედის: ცენტრალური საკეტი, მინის ელექტროამწეები, რეგულირებადი საჭის ღერძი და საჭის ელექტროჰიდრავლიკური გამაძლიერებელი. ავტომწარმოებლებმა მგზავრების უსაფრთხოებაზეც სათანადოდ იზრუნეს: მანქანა აღჭურვილია მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშებით. აი, სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემა ESP კი, მხოლოდ 100 ცხ.ძ-იან ვერსიას ახლავს – სხვა ვერსიებს მას მხოლოდ ოპციის სახით დაურთავენ. მომხმარებელს შეეძლება აგრეთვე, ავტომატურ გადაცემათა კოლოფიც შეუკვეთოს მწარმოებელს. გერმანიაში სედანი – VW Polo Limousine (ასეთია აღნიშნული მოდიფიკაციის სრული დასახელება) სულ ცოტა, 13.595 ევრო ღირს, რაც 1.350 ევროთი აღემატება ყველაზე ხელმისაწვდომი „პოლოს“ ჰეჩბეკის ფასს. ■

„ამ ფილმში ჩემთვის ბევრი რამ შოკის მომგვრელიც კი იყო...“

სარა ჯესიკა პარკერმა ადრეულ ასაკშივე გადაწყვიტა, ცხოვრება სამსახიობო კარიერისთვის მიეძღვნა. მართალია, სარას მშობლებს უნდოდათ, გოგონას სწავლა-განათლების მიღება გაეგრძელებინა, მაგრამ სარას გადაწყვეტილება ურყევი იყო. როგორც დამწყებ მსახიობთა უმეტესობას, თავდაპირველად მასაც სატელევიზიო სერიალებითა და დიდ კინოში მცირე როლებით დაკმაყოფილება უწევდა.

სარა ჯესიკა პარკერი 1965 წლის 25 მარტს დაიბადა, ნელსონვილში (ოჰაიოს შტატი). მისი მშობლები სტივენ პარკერი და ბარბარა ფორსტი მალე გაიყარნენ. ქალბატონ ბარბარას დიდხანს არ უდარდია, ახალი მეგობარი გაიჩინა და კიდევ ერთხელ (უკვე მესამედ) მოირგო ქორწინების ბეჭედი, რომელიც პოლ ფორსტმა მიართვა. ამგვარად, სარა თავის დაიკოსა და ორ ძმასთან ერთად მამინაცვლის ოჯახში აღმოჩნდა. პოლ ფორსტს საკუთარი ოთხი შვილი ჰყავდა. ასე რომ, სარა საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახში გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მომავალ ვარსკვლავს სათანადო ყურადღება და მზრუნველობა არ მოჰკლებია. მშობლებმა შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სარა პროფესიონალი მსახიობი გამხდარიყო.

ბავშვობაში სარა სიმღერითა და ბალეტით იყო გატაცებული. დაამთავრა ნიუ-იორკის ამერიკის საბალეტო თეატრთან არსებული პროფესიონალური საბავშვო სკოლა. 1976 წელს კი, ნორჩმა შემსრულებელმა თავისი პირველი როლი მიიღო ბროდვეის დადგმაში — „უცოდველნი“ (ამ სპექტაკლში მისი უფროსი ძმა ტიმოთიც მონაწილეობდა). მალე პატარა სარა მიიწვიეს ცნობილ მიუზიკლში — „მუსიკის ჰანგები“, რასაც კიდევ ბევრი როლი მოჰყვა, მაგრამ სცენა მას უკვე ეპატარავებოდა.

შოუბიზნესის ელიტის ყურადღების მიპყრობა სარა ჯესიკამ მხოლოდ თავისი გახმაურებული რომანებით შეძლო. მომხიბვლელმა ქალბატონმა რამდენიმე წელი გაატარა რობერტ დაუნი უმცროსთან, რომლის ადგილი შემდეგ, ნიკოლას კეიჯმა და ჯონ კენედი-უმცროსმა დაიკავეს.

კენედების სახელოვანი ოჯახის წარმომადგენელთან ურთიერთობის შემდეგ, მსახიობმა თავისი ცხოვრების მთავარი მამაკაცი — მეთიუ ბროდერიკი გაიცნო. ამ დროს, მისი კარიერა დუნედ, ყოველგვარი განსაკუთრებული წარმატების გარეშე მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მსახიობმა მაინც შეძლო კრიტიკოსთა სიმპათიის მოხვეჭა, რამაც სანატრელი როლებიც მოუტანა. მაგრამ ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ეს მისი უჩვეულო გარეგნობისა და მამაკაცებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭის წყალობით მოხდა. მას პარტნიორობას უწევდნენ: სტივ მარტინი, ბრიუს უილისი, ნიკოლას კეიჯი, ედ ვუდი.

1995 წელს, ვუდი ალენის შემოქმედებით აღფრთოვანებულმა სარამ დიდი სიამოვნებით ითამაშა სატელევიზიო ფილმში, სადაც მთავარი როლი მისმა კერპმა შეასრულა. 1996 წელი კი ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. ჰოლივუდმა სარა ერთბაშად რამდენიმე მსხვილბიუჯეტიან ფილმში სათამაშოდ მიიწვია, მათ შორის იყო: „პირველ ცოლთა კლუბი“, „უკიდურესი ზომები“ და „მარსი უტევს“. პარალელურად, მსახიობი აქტიურ თეატრალურ მოღვაწეობას განაგრძობდა და რამდენიმე პრესტიჟული ჯილდოს (მათ შორის იყო პრემია „ტონი“ მიუზიკლისთვის — „ერთხელ ლეიბზე“) მოპოვებაც შეძლო. ერთხელ კი, ყველასთვის მოულოდნელად, სცენაზე ძაღლიც კი განასახიერა. მაგრამ მისი ვარსკვლავად აღიარება ტელესერიალის — „სექსი დიდ ქალაქში“ — წყალობით მოხდა. ნიუ-იორკის შუაგულში მცხოვრები, ძლიერი და დამოუკიდებელი ქალის როლმა პარკერს უდიდესი პოპულარობა მოუტანა. გარდა ამისა, „ოქროს გლობუსისა“ და „ემის“ ნომინანტობაც რამდენჯერმე არგუნა.

თავისი გმირის მსგავსად, სარაც ნიუ-იორკში ცხოვრობს, მასავით ლამაზი, ფუმფულა თმა და უძირო ცისფერი თვალები აქვს. თუმცა, პარკერი საკმაოდ კონსერვატიული შეხედულებების ადამიანია. ერთხელ მისმა პარტნიორმა უილიამ მეისიმ სინანულით აღნიშნა: „საოცარი იმედგაცრუება დამეუფლა, როცა გადაღებისას, სარამ სასტიკი უარი განაცხადა ჩემთან ერთად ინტიმურ სცენაში მონაწილეობაზე. შემდგომ გავოცდი, როცა იგი ისეთ სერიალში ვიხილე, როგორიცაა „სექსი დიდ ქალაქში“. დამიჯერეთ, ცხოვრებაში სარა ძალზე მორცხვი და მოკრძალებული ადამიანია...“

აღსანიშნავია, რომ სერიალის შემქმნელს, დარენ სტარს თავიდანვე განსაზღვრული ჰქონდა, თუ ვის უნდა შეესრულებინა მთავარი როლი და ისეთი უმნიშვნელო წინააღმდეგობა, როგორიც მორცხვობაა, ხელს არ შეუშლიდა ჩანაფიქრის განხორციელებაში. „სცენარის წერისას, ამ როლში სწორედ სარა წარმომედგინა. პროექტში მისი მონაწილეობა ჩემი დაჟინებული მოთხოვნა იყო. მას სწორედ ის თვისებები აქვს, რომელიც ასე იზიდავს ქალებს და აშინებს მამაკაცებს. მის გმირს ნებისმიერი სიგიჟის ჩადენა შეუძლია, მაგრამ იგი მაინც ძალიან საყვარელია“, — ამბობს დარენ სტარი.

„არა, კერი საერთოდ არ მგავს, — აღნიშნავს პარკერი, — მაშინაც კი, როცა მართო ვყოფილვარ, მსგავსი არაფერი ჩამიდენია. გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ფილმში ჩემთვის ბევრი რამ შოკის მომგვრელიც კი იყო“. მაშინ, როცა მისი გმირი სიამოვნებით ნებივრობს მანჰეტენის წვეულებებზე, სარა ჯესიკა შინ ყოფნას ამჯობინებს.

1997 წლის 19 მაისს, სარა ჯესიკა პარკერმა და მეთიუ ბროდერიკმა თავიანთი ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს. 2002 წლის 28 ოქტომბერს კი, 37 წლის სარას პატარა დევიდ პერკინსონ ბროდერიკი შეეძინა. „ძალიან ბედნიერები ვართ — დევიდი ხომ ჩვენი ნაატრი შვილია!“ — განაცხადა მეთიუ ბროდერიკმა. სხვათა შორის, სარამ და მეთიუმ, სანამ ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიური მომზადება გაიარეს. გარდა ამისა, მომავალმა მშობლებმა ბავშვისთვის წინასწარ საგანგებოდ მოამზადეს ორი ოთახი.

ამჟამად სარა აქტიურ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევა, მუშაობს იუნისეფში და ჰოლივუდის ქალთა პოლიტიკური კომიტეტის წევრიც არის. ■

ბოსტნეულის მეჯის, ისტორიის და თვისებები

ისევე როგორც ყველაფერს დედამიწის ზურგზე, მცენარეებსაც თავისი ისტორია აქვს. დიასახლისებს ალბათ დაინტერესებთ დამატებითი ინფორმაცია იმ ბოსტნეულის შესახებ, რომელთანაც სამზარეულოში ტრიალისას, ყოველდღიურად უწევთ შეხება. დავიწყოთ კომბოსტოთი.

კომბოსტო

სახელწოდება „კომბოსტო“ ლათინურიდან მომდინარეობს და „თავს“ ნიშნავს.

ძველი ეგვიპტელები ამ მცენარეს საკვებად უძველესი დროიდან იყენებდნენ და ის მათ მენიუში დესერტის სახით შედიოდა.

ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა წერდა: კომბოსტო ბოსტნეულია, რომელიც მხნეობას მატებს ადამიანს და ხელს უწყობს მხიარული, მშვიდი განწყობის შექმნას.

ძველ დროში ამ მცენარეს სასწაულებრივ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ და თითქმის ყველა დაავადებას კომბოსტოთი მკურნალობდნენ.

ძველ რომში ექიმები ურჩევდნენ მშობლებს, რაც შეიძლება მეტი კომბოსტო მიეცათ პატარებისთვის, რათა ისინი ძლიერები და ჯანმრთელები გაზრდილიყვნენ. ახლა აღარავის მიაჩნია კომბოსტო „ყოვლისშემძლე მკურნალად“, მაგრამ ვერც იმას უარყოფენ, რომ თავისი თვისებებით ის მართლაც გამორჩეულია. ამ მცენარის წვენი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. C ვიტამინი შენარჩუნებულია კომბოსტოს მწნილშიც.

კომბოსტო ფართოდაა გავრცელებული სამხრეთსა თუ შორეულ ჩრდილოეთში. ეს მცენარე საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია და პოლარულ სარტყელშიც კი ხარობს, მაგ. კოლის ნახევარკუნძულზე. მის სამშობლოდ კი ესპანეთია მიჩნეული. სწორედ აქედან გავრცელდა ის საბერძნეთში, ეგვიპტესა და რომში.

დღესდღეობით კომბოსტოს მრავალი სახეობა არსებობს. სხვადასხვა ფორმისა და ფერის კომბოსტო წელიწადის სხვადასხვა დროს შემოდის.

ხახვი

ხახვი მეტად თავისებური მცენარეა. მისი ბოლქვი დაფარულია ოქროსფერი, გამჭვირვალე, მკვრივი აპკით. ამ ბოლქვს ქურუმები თვალსაჩინოებისთვისაც იყენებდნენ. მათი წარმოდგენით, სამყარო რამდენიმე სფეროსაგან შედგებოდა. სწავლულნი თავიანთ მოწაფეებს სამყაროს აგებულებაზე რომ ესაუბრებოდნენ, ბოლქვს განივად ჭრიდნენ და მას სამყაროს აგებულების პრინციპს ადარებდნენ. შუა საუკუნეებში ხახვს სასწაულებრივ ძალასაც მიაწერდნენ. უძველესი ხალხის რწმენით ხახვს შეეძლო მეომრები აფთის, ისრისა და მახვილისაგან დაეცვა, ამიტომაც ჯავშანასხმული რაინდი თილისმად ყოველთვის ხახვს ატარებდა.

ველური ხახვი თითქმის ყველგან ხარობს. გვხვდება მინდვრადაც და ტყეშიც. ამ მცენარის კულტურული ჯიში დასავლეთ აზიიდან გავრცელდა. უძველესი დროიდან მოჰყავთ იგი ჩინეთში, ინდოეთსა და ეგვიპტეში. როგორც კომბოსტო, ხახვიც სამკურნალო მცენარედ ითვლებოდა. შუა საუკუნეებში ექიმები ირწმუნებოდნენ, რომ ხახვის სუნიც კი იცავს ადამიანს დაავადებისაგან. საბჭოთა მეცნიერმა ტოკინმა დაადგინა, რომ აქროლადი ნივთიერებებით, რომელსაც ხახვი გამოყოფს, ჩირქისა და ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიები იხოცება. აგრეთვე მოქმედებს ის უმარტივეს ცხოველებზე ამებაზე, ინფუზორიასა და თაგვზეც კი.

საკმარისია 3 წუთის განმავლობაში ღეჭოთ ხახვი, რომ პირის ღრუ ყოველგვარი ბაქტერიისაგან გაათავისუფლოთ.

ხახვი შეიცავს 6% შაქარს. მოშუშული ხახვი ტკბილია და მოვარდისფრო. ეს ფერისცვალება იმის გამო ხდება, რომ მოშუშვისას გარკვეული ნივთიერებები ორთქლდება, შაქარი კი წვის შედეგად ვარდისფერს იღებს.

მწვანილი

კამას, ნიახურსა და ოხრახუშს უძველესი დროიდან იცნობს ადამიანი, მაგრამ შორეულ წარსულში მას კერძების შესანელებლად არ იყენებდნენ.

ოხრახუში ძველ ეგვიპტეში, შემდეგ კი ძველ საბერძნეთში მწუხარების სიმბოლოდ ითვლებოდა. ოხრახუშის ფოთლებით მოწნულ გვირგვინს ადამიანი გლოვის ნიშნად ატარებდა. კერძის შესაკმაზად ოხრახუშის გამოყენება შუა საუკუნეებიდან დაიწყეს.

ნიახურის ფოთლებით ძველი ბერძნები სადღესასწაულო დღეებში ოთახებს რთავდნენ, სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთაც ასევე ნიახურის ფოთლებით მოწნულ გვირგვინს ადგამდნენ. ძველად ადამიანი ნიახურს სამკურნალოდ იყენებდა. მისი ძირების ნახარში მოყინულობის უებარი წამალი იყო. ნიახურის თესლისაგან მიღებული ზეთი კი საჭმლის მონელებას უწყობდა ხელს.

შორეულ წარსულში კამა ულამაზეს მცენარედ იყო მიჩნეული. კამის ნაზი ფოთლებით თაიგულს ალამაზებდნენ, სურნელოვან მცენარედ თვლიდნენ და ვარდს ადარებდნენ. ორი ათასი წლის მანძილზე ადამიანმა გემოვნება შეიცვალა და ეს მცენარეები, ადრე თაიგულებსა და გვირგვინებს რომ ამშვენებდა, ახლა საკაზმად გამოიყენება.

კიტრი

უკვე ექვსი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანი კიტრს საკვებად იყენებს. მისი სამშობლოა ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი.

ინდოეთში ველური კიტრი ტყეში იზრდება და ლიანების მსგავსად ხეზეა შემოხვეული. ჩინეთსა და იაპონიაში მიწათმოქმედნი კიტრის სამ მოსავალს იღებენ, აქ კიტრის ნაყოფი 1,5 მ სიგრძისა იზრდება. ევროპაში ამგვარი ჩინური ჯიშის კიტრი მხოლოდ სათბურებში მოჰყავთ.

ერთხელ, როცა კიტრი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა თურმე, იგი თურქეთის მბრძანებელს მაჰმედ მეორეს საჩუქრად მიართვეს. სასახლეში ერთი კიტრი სადღაც გაქრა. მრისხანე და შეუბრალებელმა სულთანმა სასტიკი ბრძანება გასცა, კარისკაცთათვის მუცლები გაეკვეთათ და დაედვინათ, ვინ შეჭამა ის ერთი კიტრი.

პომიდორი

პომიდორის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. იგი შორეულ წარსულში ტროპიკული მცენარე იყო და ხარობდა

პერუს, ჩილესა და მექსიკის ტერიტორიაზე. შემდეგ ევროპაშიც შემოვიდა. თუმცა, იქ მხოლოდ დეკორატიულ მცენარედ ითვლებოდა. მისი ნაყოფი შხამიანი ეგონათ და საკვებად არ იყენებდნენ. ასი წლის წინ კი პომიდორი ფანჯრის რაფაზე სხვა ოთახის ყვავილებს შორის იდგა. თვით სიტყვა „პომიდორი“ იტალიური წარმომავლობისაა და „ოქროს ვაშლს“ ნიშნავს, ძველმექსიკურად კი მას „ტომატი“ ჰქვია.

ჩვეულებრივ, პომიდვრის ნაყოფი წითელია, მაგრამ არსებობს ყვითელი და იისფერი ჯიშებიც. პომიდვრის მწიფე ნაყოფი უხვად შეიცავს C ვიტამინს.

სტაფილო

თითქმის ყველა მცენარეზე არსებობს გადმოცემა, თქმულება, ზღაპარი, მართალი და ტყუილი. შუა საუკუნეებში სტაფილოზეც ყოფილა ასეთი თქმულება გავრცელებული: თუ საღამოს ტყეში სტაფილოთი სავსე თასს მიიტან და დატოვებ, დილით სტაფილოს ნაცვლად ოქროს ზოდები დაგხვდებაო. თურმე ნუ იტყვით და, ზღაპრული ტყის კაცუნებს – გნომებს ძალიან უყვართ სტაფილო, ისინი ღამით გამოდიან ტყეში, პოულობენ ძღვენს, სიამოვნებით მიირთმევენ უგემრიელეს სტაფილოს და სანაცვლოდ თასს ოქროს ზოდებით ავსებენ. უკვე ოთხი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანი სტაფილოს საკვებად იყენებს. არსებობს ამ მცენარის სხვადასხვა ფორმის, გემოსა და ფერის ჯიში. ამ მცენარის ძირი მოვარდისფრო, თეთრ-ყვითელი ან იისფერია. არის სტაფილოს ჯიში, რომელსაც კაროტელი ჰქვია და სტაფილოს უმსხვილესი ჯიში, რომლის ნაყოფის სიგრძე 1 მ აღწევს. იგი ჩინეთსა და იაპონიაში ხარობს. ნიადაგს კი სტაფილოს ამ სახეობისათვის 1,5 მ სიღრმეზე ამუშავებენ.

■

როგორ მოვუვლოთ ტუჯის ნაწარმს

ტყავის ჩემოდნები, ჩანთები, პალტოები კარგად იწმინდება საპნიანი წყლით, რომელსაც დამატებული აქვს ნიშადურის სპირტი (1 ს/კ 1 ლ საპნიან წყალში). ტყავის ნაწარმი თავდაპირველ სახეს დიდხანს შეინარჩუნებს, თუ ნიშადურისსპირტიანი წყლით გაწმენდთ (1 ს/კ 1 ლ წყალში), ხოლო შემდეგ წაუსვამთ გლიცერინიან, ქაფურის ზეთიან ან ვაზელინიან ნაჭერს.

ფეხსაცმლიდან, ჩანთებიდან და ტყავის სხვა ნაწარმიდან მელნის ლაქას ადვილად მოაცილებთ, თუ ლაქას სუფრის მარილის სქელ ფენას მოაყრით, ოდნავ დანამავთ და ამ მდგომარეობაში 2 დღის განმავლობაში დატოვებთ. შემდეგ კარგად დაფერთხეთ, გაწმინდეთ სკიპიდარში დასველებული ნაჭრით და შალის ქსოვილით გააპრიალეთ.

ხელოვნური ტყავის ნაკეთობები ჯერ ძმრით გაზავებული თბილი წყლით გაწმინდეთ, შემდეგ კი რბილი ნაჭრით კარგად გაამშრალეთ.

ლაკის ფეხსაცმელი ჯერ გაჭრილი ხახვით გაწმინდეთ, შემდეგ კი რბილი, მშრალი ქსოვილით გააპრიალეთ.

ლაკის ტყავი ელასტიკურობას დიდხანს შეინარჩუნებს, თუ პერიოდულად წაუსვამთ 1 კვერცხის გულის, 3 ს/კ სკიპიდრის და 1 ჩ/კ მცენარეული ზეთისაგან მომზადებულ ნარევს.

ტყავის ნაკეთობას ბზინვარება მოემატება, თუ მას წაუსვამთ ჯერ ვაზელინის თხელ ფენას, შემდეგ კვერცხის ცილას და კარგად გააპრიალებთ.

რბილი ტყავისაგან დამზადებული ხელთათმანები ბზინვარებას არ დაკარგავს, თუ დროდადრო ტალკის თხელ ფენას წაუსვამთ.

გაუხეშებული ტყავის ნაწარმი დაამუშავეთ აბუსალათინის ზეთით ან საპნიანი წყლით, რომელსაც დამატებული აქვს რამდენიმე წვეთი მზესუმზირის ზეთი. გამოყენებამდე ხსნარი ადუღეთ და გააცივეთ.

■

როგორ ამოვიუვნოთ ჟანგი და ოჯის ლაქა?

ჟანგს ნებისმიერი ქსოვილიდან ამოიყვანთ, თუ მას მარლაში ან ფილტრის ქაღალდში გახვეულ ლიმონის ნაჭერს, ზემოდან კი ცხელ უთოს დაადებთ. უთოს ტემპერატურა უნდა შეესაბამებოდეს ქსოვილის სახეობას. შეიძლება გამოიყენოთ სხვა მეთოდიც: დალაქავებული ადგილი 3-5 წუთით მოათავსეთ 80-90 გრადუსამდე შემთბარ ძმრის ხსნარში (2 ს/კ 1 ჭიქა წყალში), შემდეგ კი გარეცხეთ თბილი წყლით, რომელსაც დამატებული აქვს 1 ს/კ 10%-იანი ნიშადურის სპირტი 2 ლ წყალში.

ჟანგის ლაქების თეთრი ნატურალური ქსოვილიდან მოცილება 2%-იანი მარილმჟავას ხსნარით შეიძლება. ჭუჭყიანი ადგილი უნდა მოათავსოთ ამ ხსნარში ლაქის სრულ გაქრობამდე, შემდეგ კი კარგად გარეცხოთ 1 ლ წყალში, რომელსაც დამატებული ექნება 3 ს/კ ნიშადურის სპირტი.

თეთრი ფერის ტანსაცმლიდან, მაგიდის გადასაფარებლიდან და ლოგინის თეთრეულიდან ჟანგს მოაცილებთ, თუ ლაქას დაასველებთ ლიმონმჟავას კონცენტრირებული ხსნარით და შემდეგ თხელ ფენად მოაყრით სუფრის მარილს, ასე დატოვებთ 1 დღე-ღამის განმავლობაში, მერე კი გარეცხავთ.

დაობებული ქსოვილი დაამუშავეთ ახალი პომიდვრის წვენით. რამდენიმე საათის შემდეგ კი გაავლეთ წყალში. ასევე შეიძლება ობის მოცილება წყალბადის პეროქსიდით, თუ მას მცირე რაოდენობით ძმარს შეურევთ.

თუ გინდათ ქაღალდს ან წიგნს მოაცილოთ ობი, ის უნდა დაამუშაოთ 2-პროცენტიან ფორმალინში დასველებული ტამპონით ან მოაყაროთ მას ტალკი და ზემოდან სიმძიმე დაადოთ. რამდენიმე საათის შემდეგ გაწმინდეთ რბილი ჩვრით.

■

ჭაბორჟნილი ადამიანების მოსწრებული ჭაბონათქვამები

შური

ერთმა უნიჭო და შურიანმა მუსიკოსმა გაიგო, ახალგაზრდა სებასტიან ბახი ორგანზე შესანიშნავად უკრავსო და შურით განაცხადა:

— განსაკუთრებული არა არის რა. საჭიროა მხოლოდ სათანადო ნოტების შერჩევა, მათი სწორი თანამიმდევრობის დაცვა და მუსიკა თავისთავად წარმოიშობა.

იმედის გაცრუება

— საინტერესოა, სიყვარულში ბედმა გაგიღიმათ თუ არა? — ჰკითხა ნაცნობმა ქალმა მარკ ტვენს.

— არა, ჩემო კარგო, — მიუგო მან, — ერთადერთი ქალი მიყვარდა და ისიც გათხოვდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ქალმა, — ვის გაჰყვა?

— მე! — თქვა მწერალმა.

ორაზროვანი კეთილგონიერება

ფრანგი მწერალი ფრანსუა მარი ვოლტერი ოცი წლისა იყო, როცა მაშინდელ რეგენტ ფილიპე ორლეანელსა და მის ქალიშვილზე სატირული ლექსები დაწერა. რეგენტმა იგი ერთი წლით ბასტილიაში გამოამწყვდია.

გათავისუფლების შემდეგ, ვოლტერი რეგენტს წარუდგინეს.

— მომავალში კეთილგონიერება გამოიჩინეთ, — უთხრა მან მწერალს, — და მე თქვენზე ვიზრუნებ.

ვოლტერმა თაყვანი სცა და მოახსენა:

— თქვენი მეფური უდიდებულესობისაგან დიდად დავალებული ვარ. ოღონდ ნება მიბოძეთ, მომავალში ჩემს ბინასა და სასმელ-საჭმელზე თავად ვიზრუნო.

გამოცდის წინ

— რას წვალობ? — არიგებდა სტუდენტი-კომპოზიტორი თავისივე სპეციალობის ამხანაგს, — აიღე შენი პედაგოგის პრელუდია, თავიდან ბოლომდე უკულმა გადაწერე, მორჩა და გათავდა!

— ვცადე, — ამოიოხრა სტუდენტმა, — შუბერტის ვალსები გამოდის...

ანექდოტები

***

დილით ორი მამაკაცი ხვდება ერთმანეთს:

— წუხელ ნამდვილი კოშმარი მესიზმრა. ვითომ პამელა ანდერსონი, დემი მური, ჯულია რობერტსი და ჩემი ცოლი ერთმანეთს ჩემს თავს ექიშპებოდნენ.

— მერე, ეგ რა კოშმარია, უნდა გიხაროდეს.

— კოშმარია, აბა რა, სამივეს ჩემმა ცოლმა აჯობა.

***

საავადმყოფოში დეპუტატმა მიიღო დეპეშა კოლეგებისაგან. „გისურვებთ სწრაფად გამოჯანმრთელებას 125 ხმით 64-ის წინააღმდეგ“.

***

— საბრალო მათხოვარო, აჰა შენ დოლარი, ოღონდ არ დალიო.

— არა, როგორ გეკადრებათ, მე ამ დოლარით ლოთებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრს ავაშენებ.

***

ქალი ექიმს შესჩივის:

— რა ვქნა, ექიმო, კაცი მინდა...

— ქმარი ხომ გყავთ?

— მყავს, მაგრამ მაინც მინდა.

— მაშინ საყვარელი გაიჩინეთ.

— საყვარელიც მყავს, მაგრამ არ მყოფნის.

— თქვენ ავადმყოფი ყოფილხართ.

— ჰოდა, ცნობა მომეცით, რომ ავადმყოფი ვარ, თორემ მეზობლები ბოზს მეძახიან!

***

იგორ კიო მეგობარს უყვება:

— ერთხელ მე სენსაციური ნომერი გავაკეთე და ჩემი მეუღლე შუაში გავჭერი — ახლა განქორწინებულები ვართ.

— მეუღლე სად ცხოვრობს?

— პარიზსა და ლონდონში.

***

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— იცით, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი?

— პირველი და მეორე არ ვიცი. თუ გნებავთ, მოგიყვებით, როგორ გაჩნდა მესამე ადამიანი.

***

პოლიციის უფროსი ახალგაზრდა თანამშრომელს ეკითხება:

— თქვენ თუ იცით, რა არის ტყუილის დეტექტორი?

— დიახ, სერ, ორი წელია ერთ-ერთი მათგანი ცოლად მყავს.

***

— ქალიშვილო, შეიძლება ფინჯან ყავაზე დაგპატიჟოთ?

— შეიძლება, ოღონდ, საწოლში სიგარეტს ნუ მოსწევთ!

***

— აბრამ, იცი, შენი მეზობლები რას ლაპარაკობენ შენზე, როცა შინ არა ხარ?

— ოჰ, როცა შინ არა ვარ, თუ გინდა, მცემონ კიდეც.

***

პლაჟზე წამოწოლილია ქალი და მზეს ეფიცხება, გამოიარა ორმა მამაკაცმა და ქალი რომ დაინახეს, ჩაილაპარაკეს:

— მთელი დღეა ვკითხულობთ, ვისია ეს ქალი და ხმას არავის იღებს. არადა, ხელი რომ წაუცდეს კაცს, იმდენი პატრონი გამოუჩნდება...

როგორ დავლიოთ წამალი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

წამლის დალევა არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით გეჩვენებათ. სანამ პრეპარატის დალევას გადაწყვეტთ, გულდასმით გაეცანით მის ინსტრუქციას – ყველა წამალს თავისი უკუჩვენება და მიღების წესი აქვს.

ბევრ წამალს (მაგალითად, ტკივილგამაყუჩებლებსა და არტერიული წნევის დამწევ აბებს) ორგანიზმი უკეთ შეითვისებს, თუ დაამტვრევთ ან დაღეჭავთ და ისე გადაყლაპავთ.

მაგალითად:

- კორინფარის ეფექტი, ასე უფრო სწრაფად ვლინდება;
- დიაზოლინის (ანტიალერგიული პრეპარატის) დრაჟე კი, უკეთესია, მოწუწნოთ;
- ასპირინი, უმჯობესია, წყალში გაიხსნას;
- გააქტიურებული ნახშირი კი უნდა დაფხვნათ და ისე მიიღოთ;
- კაფსულის ან გრანულის ფორმის მქონე წამალი მთლიანად, დაუნაწევრებლად უნდა დაილიოს.

წამლის მიღების დრო

საფაღარათო საშუალებები (მაგალითად, სენადე) ჯობს, ძილის წინ ან საუზმემდე ნახევარი საათით ადრე მიიღოთ;

წყლულის საწინააღმდეგო პრეპარატები (გასტროფარმი) – ჭამამდე 30 წუთით ადრე;

დიარეის (კუჭის აშლის) საწინააღმდეგო წამლები და ანტაციდები (ალმაგელი) – ან ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ან 1,5-2 საათის შემდეგ;

ტკივილგამაყუჩებლები – მხოლოდ ჭამის შემდეგ;

ანტიბიოტიკების მიღების დრო ჭამაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მენიუდან მჟავე პროდუქტები და რკინით მდიდარი საკვები (ძროხის ხორცი და ვაშლი) უნდა ამოიღოთ;

საგულე საშუალებები (კორდარონი, ვერაპამილი) ჭამამდე დალიეთ;

ასპირინის მიღების საუკეთესო დრო, 18-დან 19 საათამდეა – დღის ამ მონაკვეთში იგი ყველაზე უკეთ აფერხებს თრომბის წარმოქმნასა და ღამით წნევის მატებას.

რით დავლიოთ წამალი?

საუკეთესო საშუალება წყალია. აბს უნდა მიაყოლოთ არა ერთი ყლუპი, არამედ 100 გ-მდე წყალი. ჩაის, წვენებისა და სხვა სითხეების წამალთან ურთიერთქმედებას შეიძლება, გაუთვალისწინებელი ქიმიური რეაქციები მოჰყვეს.

პრეპარატებს, რომელიც კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს (მაგალითად, ინდომეტაცინი, იბუპროფენი, ასპირინი), რძე მიაყოლეთ.

ციტრამონის მიღება რეკომენდებულია ტუტე ხსნარით (ბორჯომით). იგივე ითქმის სტრეპტოციდზე. ოღონდ, ამ პრეპარატის მიღების პერიოდში, რაციონიდან გამორიცხეთ გოგირდის (კვერცხი) და ფილიუმის მჟავის (პარკოსნები, ტომატი, ღვიძლი) შემცველი პროდუქტი.

ერთად თუ ცალ-ცალკე?

არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ რამდენიმე წამალი ერთდროულად – მათ შორის შუალედი 10 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

წყლულისა და გასტრიტის საწინააღმდეგო პრეპარატები ცუდად შეიწოვება, როცა მათ ანტიბიოტიკებთან ერთად იღებენ. არც ანტიბიოტიკები გარგებთ, თუ მათ კალციუმის, ალუმინისა და რკინის შემცველ პრეპარატებთან ერთად დალევთ. ■

უკმაყოფილო ხართ ხელფასით? – გულის იშემია გემუქრებათ

დიუსელდორფის სამედიცინო სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რათა გაერკვიათ ურთიერთკავშირი საწარმოო სტრესებსა და გულსისხლძარღვთა დაავადებების წარმოშობის რისკს შორის.

გამოკითხვა და სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა 19-დან 70 წლამდე ასაკის ათას მუშას. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ შრომის ანაზღაურებით უკმაყოფილო ადამიანებს გულის იშემიური დაავადების მეტი რისკის ფაქტორი აქვთ.

იარეთ მიტინგებზე

მიტინგებში, დემონსტრაციებსა და სხვა საპროტესტო აქციებში მონაწილეობა თურმე ჯანმრთელობისათვის ძალზე სასარგებლოა. ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანებს, რომლებიც სისტემატურად გამოხატავენ პროტესტს, სტრესის შემდგომი ფსიქიკური აშლილობები უფრო იშვიათად აღენიშნებათ. ფსიქოლოგებს ამ ფაქტიდან რაიმე სერიოზული დასკვნა ვერ გამოაქვთ. ■

რეფლუქს-ეზოფაგიტი

რეფლუქს-ეზოფაგიტი საყლაპავის საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. რეფლუქსის დროს, კუჭის (იშვიათად – ნაწლავების) შიგთავსი კვლავ საყლაპავში აიტყორცნება, ზემოქმედებს მის ლორწოვან გარსზე, იწვევს დაზიანებასა და ანთებით ცვლილებებს. რეფლუქსის მიზეზია საყლაპავი მილის კუჭთან შეერთების ადგილას არსებული სფინქტერის (მომჭერი კუნთის) ფუნქციის მოშლა. იგი ვეღარ აკავებს კუჭის შიგთავსს, უშვებს საყლაპავისკენ, რაც საბოლოოდ, გაღიზიანებულ ლორწოვანაზე ეროზიების, წყლულებისა და ნაწიბურების გაჩენას იწვევს.

„ჩამკეტი“ სფინქტერის ფუნქციის მოშლა მისი ტონუსის დაქვეითებით – მოდუნებით – ვლინდება. მოდუნებას, თავის მხრივ, განაპირობებს:

- კუჭში წნევის მომატება სიმსუქნის, ორსულობის დროს, მოჭერილი ტანსაცმლის, ქამრების გამოყენებისას;
- ჭამის შემდეგ კუჭის შიგთავსის რაოდენობის მატება (კუჭის წვენის ჭარბად გამოყოფა);
- ხანგრძლივად წოლა (ავადმყოფობისას), ალკოჰოლის ჭარბად მიღება, სიგარეტის მოწევა;
- ზოგიერთი მედიკამენტი – მაგალითად, ანტიქოლინერგული პრეპარატები, ნიტრატები, ქალის სასქესო ჰორმონები;
- ზოგიერთი პათოლოგია – მაგალითად, მიოპათიები, სკლეროდერმია;
- ქირურგიული მანიპულაციები საყლაპავსა და კუჭზე.

რეფლუქს-ეზოფაგიტის მთავარი ნიშანი გულძმარვაა (თუმცა ზოგჯერ პათოლოგია ყოველგვარი ჩივილის გარეშე მიმდინარეობს). სხვა ნიშნებს შორის აღსანიშნავია ბოყინი, მტკივნეული, გაძნელებული ყლაპვა. წარმოქმნილი წყლულიდან ხშირად, დიდი რაოდენობით სისხლი ჟონავს, რაც საბოლოოდ, ანემიის (სისხლნაკლულობის) ჩამოყალიბებას იწვევს.

თუკი რეფლუქსი ძლიერადაა გამოხატული, ადამიანს ხმა ეხლიჩება, კუჭის შიგთავსი კიდევ უფრო შორს – ფილტვებისკენ გადაისროლება, რაც მეტად საშიშია: შეიძლება განვითარდეს ასპირაციული პნევმონია, ბრონქული ასთმის შეტევა და ფილტვის სხვა მძიმე პათოლოგიები.

რეფლუქს-ეზოფაგიტის დიაგნოზს ჩივილებისა და ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე სვამენ. ხშირად დამატებით მიმართავენ რენტგენოლოგიურ კვლევას, სხვადასხვა ტესტს, რადიოიზოტოპიურ გამოკვლევას, თუმცა ყველაზე პოპულარული მაინც ენდოსკოპიური გამოკვლევაა.

პათოლოგიის უმნიშვნელო ნიშნების გაჩენისთანავე, ადამიანმა უნდა შეწყვიტოს სფინქტერის მომადუნებელი პრეპარატების მიღება, კვების რაციონიდან უნდა ამოიღოს ცხიმიანი პროდუქტები, შოკოლადი, ყავა. უარი თქვას ალკოჰოლსა და სიგარეტზე, ხოლო ვახშამი დაძინებამდე 3 საათით ადრე მიირთვას. სამკურნალოდ ინიშნება ციმიტიდინი, რანიტიდინი, ცერუკალი და სხვა პრეპარატები.

ფიტოთერაპია ეზოფაგიტის დროს

- 2 ს/კ დაქუცმაცებული ასისთავა ადუღეთ ნელ ცეცხლზე 15 წთ და გადაწურეთ; მიიღეთ 1/2 ან 1/3 ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.
- 1 წილ ალოეს ფესვებს დაასხით 20 წილი ანადუღარი ცივი წყალი და დააყენეთ 3 სთ, შემდეგ გადაწურეთ; მიიღეთ 1 ს/კ ყოველ 2 სთ-ში ერთხელ. ■

მეცნიერები ალერგიის წამალს ეძებენ

მთელი მსოფლიოს მეცნიერები ცდილობენ, შექმნან პრეპარატი, რომელიც ადამიანს ალერგიული დაავადებებისგან დაიცავს (ამ დაავადებათა რაოდენობა შემაშფოთებლად იზრდება). ლონდონის გულისა და ფილტვების დაავადებათა ინსტიტუტის მეცნიერებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს: მათ შექმნეს ამ ჯგუფის ყველაზე სახიფათო დაავადების – ბრონქული ასთმის ვაქცინა.

ბრონქული ასთმა ის დაავადებაა, რომლის დროსაც ორგანიზმი შეცვლილი რეაქციით პასუხობს ალერგენის (სხვადასხვა ბუნებრივი თუ სინთეტიკური ნივთიერების) მოქმედებას – მაგალითად, ბავშვებს ხშირად უვითარდებათ შინაური ცხოველების ბეწვზე.

მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც დოქტორი დაგლას რობინსონი ხელმძღვანელობს, რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა, რათა შეექმნა ვაქცინა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად აღკვეთდა კატის ბეწვზე ალერგიულ რეაქციას.

ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ მიღებული ვაქცინა ალერგიული რეაქციების სიძლიერეს საშუალოდ ორჯერ ამცირებდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი – სავსებით ახშობდა.

პირველი ანტიალერგიული ვაქცინა ხსნის გზას საიმისოდ, რომ შემუშავდეს მკურნალობის სპეციალური კურსი, რომელიც ადამიანს დიდი ხნით – დაახლოებით 4 წლით გაათავისუფლებს უსიამოვნო სიმპტომებისაგან.

ამასთან ერთად, მეცნიერები მუშაობდნენ წამალზეც, რომელიც ამცირებს იმუნური სისტემის მგრძნობელობას ალერგიული რეაქციის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორის მიმართ. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ოდესმე მთლიანად „გამორთავენ“ ორგანიზმის ალერგიულ რეაქციას.

დედებმა ქალიშვილებთან უნდა იმეგობრონ

ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თუ დედასა და ქალიშვილს მეგობრული ურთიერთობა აქვთ, გოგონები ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყებას ერიდებიან. დედის გავლენა გოგონაზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს თავად დედებს ჰგონიათ. ვაჟებზე მამის გავლენა და მეგობრების რჩევები უფრო მოქმედებს, ვიდრე დედის მზრუნველობა. ■

დავძლიოთ სტრესი



ტერმინი „სტრესი“ ინგლისური წარმოშობისაა და „დაძაბულობას“ ნიშნავს. სტრესი ორგანიზმის დამცავი ძალების ერთობლიობაა, რომელიც ფიზიკური თუ ფსიქიკური სტრესული ფაქტორების პასუხად აქტიურდება. სტრესული ფაქტორების ზემოქმედებით, ორგანიზმი სტრესის ჰორმონს — ადრენალინს გამოიმუშავებს. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება: მეტისმეტი ფიზიკური დატვირთვა, ძლიერი ემოცია, კონფლიქტი, ძილის უკმარისობა, ავადმყოფობა; სასიამოვნო განცდებიც კი, რომელსაც იწვევს ისეთი სასიხარულო მოვლენები, როგორიცაა: ქორწინება, შვილის დაბადება, დიდი ფულადი მოგება, სტრესულ ფაქტორთა რიგს მიეკუთვნება.

ყოველ ჩვენგანს აქვს სტრესების ოპტიმალური ზღვარი, რომელსაც ემოციური მდგრადობა, ცხოვრებისეული გამოცდილება და მემკვიდრეობა განსაზღვრავს, მაგრამ ადამიანთა ზოგადი რეაქცია სტრეს-ფაქტორებზე ასეთი გახლავთ: თავდაპირველად დგება ე.წ. შოკის ფაზა — ადამიანი უნდა გაერკვეს იმაში, თუ რა ხდება მის თავს ან რამდენად საშიშია ეს, შეიმუშაოს სტრატეგია, მოიკრიბოს ძალა; მეორეა წინააღმდეგობის ფაზა — ამ დროს ორგანიზმი საბრძოლველად ძალებს იკრებს და მისი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობებიც საგრძნობლად იზრდება; ამ პერიოდის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, მაგრამ ყველაზე ამტანებსაც კი, ადრე თუ გვიან დაუდგებათ მესამე — გამოფიტვის ფაზა, როცა თვითშეგრძნება და შრომის უნარი უფრო და უფრო ქვეითდება; საბოლოოდ კი, ყოველივე ეს უამრავი დაავადების, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა და ინფექციური სნეულებების, ენდოკრინული, საჭმლის მომნელებელი, შარდ-სასქესო, ნერვული სისტემების პათოლოგიების განვითარებას უწყობს ხელს და არცთუ ისე იშვიათად, პოტენციის დაქვეითებასაც კი იწვევს.

როგორ გავუმკლავდეთ სტრესს

რა თქმა უნდა, არსებობს არაერთი ფარმაკოლოგიური საშუალება, მაგრამ მასთან ბრძოლა სხვაგვარადაც შეიძლება:

- სვით მეტი სითხე, რადგან სტრესის დროს, ორგანიზმს გამოშრობაც ემუქრება; ყველაფერს ხილის (განსაკუთრებით — მომჟავო ხილის) წვენი აჯობებს;
- სტრესის დროს, გული ჩვეულებრივზე მეტად იტვირთება, ამიტომ გირჩევთ, დაიცვათ დიეტა: მიიღეთ ნაკლები ცხიმები (ხორცი, კარაქი, არაჟანი), მეტი ბოსტნეული და ხილი. შაქარი და მარილი კი — რაც შეიძლება ცოტა; მიიღეთ B ჯგუფის ვიტამინები და აკონტროლეთ წონა;
- სტრესის ნეგატიურ ზეგავლენას ამცირებს სპორტი — მაგალითად, სპორტული სიარული; ამის წყალობით ორგანიზმში ენდორფინების დონე მოიმატებს და გუნებაც გამოგიკეთდებათ;
- გამოხატეთ ემოციები — იტირეთ, იყვირეთ — მათი შეკავება ზრდის ორგანიზმის შინაგან დაძაბულობას.

ნეგატიური ფაქტორები რომ ვერ მოგერიოთ

- მისდიეთ სპორტს, ივარჯიშეთ, იარეთ სპორტულ დარბაზებში;
- ხშირად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე;
- ღრმად ისუნთქეთ (ჩასუნთქვა — 6-8 თვლაზე, ამოსუნთქვა — 8-12-ზე);
- ცუდი არ იქნება, თუ ქალაქგარეთ გახვალთ; სახლს რომ მოშორდებით, გუნებაც გამოგიკეთდებათ;
- თუ ცუდად გძინავთ, სტრესის დროს ნამდვილი უძილობა დაგეწყებათ; ასე რომ, უმჯობესია, ამ პრობლემას დროულად მიხედოთ;
- ბევრი იმაზე მეტს ეჭიდება, ვიდრე შეუძლია; თუ შეატყვეთ, რომ ის, რასაც აკეთებთ, თქვენს ძალებს აღემატება, დამუხრუჭეთ — ჯობს, ცოტა გააკეთოთ და კარგად, ვიდრე ბევრი და ცუდად, მერე კი დარდს გადაჰყვეთ;
- ნუ მიაცივდებით საკუთარ პრობლემებს; იქნებ, თქვენს ახლობლებსაც უჭირთ რამე და თქვენი დახმარება ესაჭიროებათ? ამოუდექით მხარში მათ, ვინც თქვენზე ცუდადაა და საკუთარი განსაცდელი უიმედოდ აღარ მოგეჩვენებათ.

გახსოვდეთ, რომ სტრესს ყველაზე უკეთ ის უძლებს, ვინც ოპტიმისტურად უყურებს მოვლენებს, მედგრად ხვდება უსიამოვნებებს და შესწევს უნარი, პატივი სცეს საკუთარ თავსაც და სხვებსაც... ■

ბჟენები ტოქსიკური ყოფილა

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა ამალგამური კბილის ბჟენები, რომელიც ვერცხლისა და ვერცხლისწყლის შენაერთებისგან შედგება, ორგანიზმის ქრონიკული მოწამვლის მიზეზი გახდეს?

გამოიკვლიეს 18 ადამიანი, რომელთაგან თითოეულს მინიმუმ 5 ამალგამური ბჟენი ჰქონდა და დაადგინეს, რომ ასეთი ბჟენებიდან ვერცხლისწყალი ნამდვილად ხვდება ორგანიზმში, ის შარდში თითქმის ყველა საცდელ პირს აღმოაჩნდა. ამასთან, ამ ადამიანებს აღმოაჩნდათ ვერცხლისწყლის მიკროდოზებით ქრონიკული მოწამვლის სიმპტომები: მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა და აზროვნების უნარის დაქვეითება.

ქრომოსომული იდენტიფიკაცია

ევროპისა და აშშ-ის მცხოვრებნი ვალდებულნი იქნებიან, თავიანთი გენეტიკური ინფორმაცია მიაწოდონ ერთიან საერთაშორისო ინფორმაციულ ცენტრს, რომელიც დამნაშავეობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შეიქმნა.

საუბარია არა დნმ-ის სრულ გაშიფვრაზე, არამედ მხოლოდ ე.წ. „ანაბეჭდებზე“ — ქრომოსომების პირობით „ფოტოსურათებზე“. „ანაბეჭდები“ სამეცნიერო ინფორმაციას არ შეიცავს (შესაბამისად, ადამიანის თავისუფლების ხელყოფა არ მოხდება), მაგრამ მისი მეშვეობით პიროვნების ზუსტი იდენტიფიცირება შეიძლება. ■

კვირის (26 იანვარი-1 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: კვირის დასაწყისში კონფლიქტია მოსალოდნელი. თუ კრიტიკული შენიშვნებისგან თავს არ შეიკავებთ, უსიამოვნო საუბარი საყვარელ ადამიანთანაც არ აგცდებათ. მნიშვნელოვანი საქმის წამოწყების შემთხვევაში კი, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა იყოთ.

მამაკაცი: ნუ შეუშინდებით ისეთ პროექტთან შეჭიდებას, რომლითაც თქვენი ხელმძღვანელები ჯერჯერობით დიდად აღფრთოვანებულნი არ არიან.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: გირჩევთ, გამოიჩინოთ მეტი დამოუკიდებლობა და წინდახედულება. ნუ მისცემთ სხვებს უფლებას, უმიზეზოდ გაგაკრიტიკონ ან უსაფუძვლო მოთხოვნები წამოგიყენონ. იოლად ნუ ენდობით უცხო ადამიანებს.

მამაკაცი: ამ კვირაში, დიდი სიფრთხილე გმართებთ, რადგან პირადმა პრობლემებმა შესაძლოა, თქვენს სამსახურებრივ მდგომარეობაზე მოახდინოს გავლენა. ეცადეთ, უკეთ წარმოაჩინოთ თქვენი ღირსებები.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: შესაძლოა, ფინანსური პრობლემები შეგექმნათ, თუმცა, გაჭირვება დიდხანს არ გაგრძელდება. მომდევნო კვირაში, სასიამოვნო სიახლე გელით. მანამდე კი, მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ გარეგნობას.

მამაკაცი: ამ კვირაში აქტიურობა უნდა გამოიჩინოთ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეები ელის ხელოვნებით გატაცებულ ადამიანებს. ყურადღებით მოუსმინეთ მათ, ვინც თქვენ მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: გამოიჩინეთ მეტი სითბო და გულისხმიერება ახლობლების, განსაკუთრებით – საყვარელი ადამიანის მიმართ. ამ კვირაში ზუსტად იმას მიიღებთ, რასაც თავად გასცემთ.

მამაკაცი: არ ინერვიულოთ, თუ სასიყვარულო ფრონტზე საქმე ისე არ მიდის, როგორც თქვენ გინდათ. კვირის დასაწყისშივე გადადგით პირველი ნაბიჯი შერიგებისკენ და ყველაფერი მოგვარდება.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: გადამეტებული ეჭვიანობის გამო შეიძლება, სამუდამოდ დაკარგოთ საყვარელი ადამიანი. მეტი ნდობა გამოიჩინეთ მის მიმართ, ეცადეთ, მშვიდად მიიღოთ ნებისმიერი სიახლე და დარწმუნდებით, რომ ყველა პრობლემის გადაჭრაა შესაძლებელი.

მამაკაცი: დიდი ხნის მოუგვარებელ პრობლემებს სწორედ ამ კვირაში გადაჭრით. თუ დეპრესია მოგეძალათ, მეგობრებს მიაშურეთ – მათთან ურთიერთობა გაგახალისებთ და მელანქოლიური განწყობაც უკვალოდ გაქრება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში, ძალზე მარტივად აგვარებთ ერთი შეხედვით, რთულ საქმეებს. დროებით გადადეთ პირად საკითხებზე ზრუნვა. თუ ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ, კარგად დაფიქრდით და ნაჩქარევად უარს ნუ იტყვით.

მამაკაცი: უცხო ადამიანებს რატომღაც იოლად უგვარებთ პრობლემებს, ახლობლებს კი არა. დაფიქრდით – ნუთუ მართლა იმდენად დატვირთული ხართ, რომ მათთვის ვერ იცლით?

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ნუ გაიტანთ ოჯახიდან თანხას: თუ ამ კვირაში მომჭირნეობას გამოიჩენთ, ეს სასიკეთოდ იმოქმედებს თქვენს მომავალზე. სამაგიეროდ, წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. არავითარ შემთხვევაში უარი არ თქვათ ქალაქგარეთ მიპატიჟებაზე.

მამაკაცი: ურთიერთობის ხელოვნება – აი, რაზე უნდა გადაიტანოთ ახლა აქცენტი. თუ სწორ პოზიციას აირჩევთ, სულ მალე, შესანიშნავ კარიერას შეიქმნით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს, ჩაებით საქმეში – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საქმე თავიდან არც ისე მიმზიდველი მოგეჩვენებათ. თავი შეიკავეთ კოლეგების საჯარო შეფასებისაგან.

მამაკაცი: გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ. გაითვალისწინეთ, რომ ამ კვირაში, თქვენ გარშემო ბევრი შურიანი ადამიანი იტრიალებს და მათ რჩევები არაფერში გამოგადგებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: შეიძლება, სოლიდურ ქონებას დაეპატრონოთ. ასე რომ, თამამად მიაშურეთ კაზინოს ან ლატარიაში სცადეთ ბედი – წინ იღბლიანი კვირა გელით.

მამაკაცი: თქვენს პირად ცხოვრებაში დაძაბული პერიოდია. თუ ახალგაცნობილ გოგონასთან მსუბუქი ფლირტის დროს სიფრთხილეს არ გამოიჩენთ, დიდ სკანდალში გაეხვევით. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჯობს, საღამოები მყუდრო გარემოში გაატაროთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: სასიამოვნო სიურპრიზი გელით. ოჯახისთვის ვერ იცლით, სამაგიეროდ, საზოგადოებრივ ასპარეზზე ბრწყინავთ. აქტიურად ჩაებით საქმიან დისკუსიებში და ნურც იმას შეუშინდებით, თუ მოკამათეებს შორის ერთადერთი მანდილოსანი იქნებით.

მამაკაცი: ამ კვირაში, ოჯახის წევრებისა და ხელმძღვანელებისგანაც ზუსტად იმას მიიღებთ, რასაც იმსახურებთ. თუ კვირის ბოლოს უკმაყოფილო იქნებით, მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: გაუფრთხილდით ფინანსებს. ნუ გაასესხებთ დიდ თანხას. დროის უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. საჭიროა, იმიჯის შეცვლაზეც იფიქროთ.

მამაკაცი: ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა სახარბიელო პერსპექტივას გისახავთ. აქტიურად იმოქმედეთ. შემოიკრიბეთ ნიჭიერი ახალგაზრდები და ახალი გეგმების ხორცშესხმას შეუდექით.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: მთელი კვირის განმავლობაში, მხიარული განწყობილება გექნებათ და სასიამოვნო დროს გაატარებთ. გაითვალისწინეთ ერთი რჩევა: ნუ მისცემთ თქვენს რჩეულს ეჭვიანობის საფუძველს.

მამაკაცი: ტყუილად ფიქრობთ, რომ ოჯახის წევრებს თქვენი არ ესმით. ამ კვირაში, ახლობლებისგან იმაზე მეტ გულისხმიერებასა და სითბოს მოითხოვთ, ვიდრე იმსახურებთ. თუმცა, თუ ამას თქვენი ახლობლები არ აპროტესტებენ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

სიყვარულის ღმერთი, მგრამ არა ამური
სასეირო ამბავი, შემთხვევა
ჭლა ღმერთის სახელზე ფუძული ტაძარი
ხალხური თქმულება სამყაროს შექმნაზე
მდინარე შოლოხოვის რომანეპოპეაში
ფრანგი მომღერალი და მსახიობი ... მონტანი
42,195 კმ
ცხვრის ლორწოვანი გარსის ანთება
შესაძლო შედეგი სპორტში
ქართული პურის საცხობი
საცხოვრებლად მოწყობილი ავტობუსი
ნოტი
იტალიური ავტომობილი
თ. მანი „... და მისი ძმანი“
ესპანელი მომღერლები და-შვილი
ბილიარდის ჯოხი
„ნაკრები“ (ბერძნული)
არისტოტელეს განთქმული მოსწავლე
ამატის ინსტრუმენტი
ევროპარლამენტარი ინასტია ონაკოში
მდინარე აფრიკაში
საყოველთაო ლოცვა
ფიგაროს პროფესია
ბრაზილიური ყავა
პატარა რესტორანი
ფრჩხილზე წასასმელი
ქართველი წმინდანი
ქართული წარმართული ასხიობი
ვულკანი სიცილიაზე
ეგვანმძღვარი
სხვადასხვა ფერადი ჯვრასმული
მარქსის მშობლიური ქალაქი
ქალაქი, ყოფილი წულუკიძე
ტბა ეთიოპიაში
ჩინური ლექსის სახეობა
ცხენშებმული ვაგონი რელსზე
სწრაფის ანტიპოდი
წიგნთა წიგნი
ყვავილი
შეარალებული კონფლიქტი
გალილეის მიერ აღმოჩენილი თანრგზავი

შეადგინა
რამაზ ალანიამ

49-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა; 4-ა.

დაამკვიდრებს თუ არა „ახალ მოდას“ სოფო გელოვანი?

სალომე შოშიტაშვილი

კლიპის პრეზენტაციაზე, ქართული შოუბიზნესისთვის უჩვეულო შემთხვევა მოხდა: ჩვენების შემდეგ, ახალგაზრდა მომღერალმა ცოცხლად შეასრულა იგივე სიმღერა და სამართლიანად დაიმსახურა აპლოდისმენტები. თუმცა, ზოგმა ირონიულად შენიშნა: ეს ალბათ, „ახალი მოდის“ დამკვიდრების ერთგვარი ცდა არისო... ბუნებრივი იქნება, ვიკითხოთ — რატომაც არა?! ფონოგრამებითა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობებით განებივრებულ მომღერალთა უმეტესობას ხომ, ბოლო დროს, ცოცხალი შესრულება გულზე არ ეხატება — არადა, მაყურებელს მოენატრა ცოცხალ სიმღერასთან შეხვედრა. სწორედ ამის საშუალება მისცა სოფო გელოვანმა მისი პირველი კლიპის პრეზენტაციაზე მისულთ.

კლიპის წარდგენისას, მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილმა აღნიშნა: „საოცარია, რომ 19 წლის ასაკში, სოფოს შეუძლია, დაიკვეხნოს არა ხმაურიანი და სკანდალური შემოქმედებით, არამედ სერიოზული მიღწევებითა და გამარჯვებებით. მისი წარმატებები 1999 წელს მოსკოვის სატელევიზიო პროგრამის — „Утренная звезда“ — კონკურსში გამარჯვებით დაიწყო; მომდევნო წელს, ერევნის საერთაშორისო კონკურსზე („დო-რე-მი“) გავიდა პირველ ადგილზე; შარშან სანქტ-პეტერბურგის სიმღერის ფესტივალის გრან-პრი მიიღო; ვიტებსკში კი, კიდევ ერთი ცნობილი კონკურსის — „Славянский базар“ — დიპლომანტი გახდა“.

— სოფო, რას იტყვი შენი პირველი კლიპის შესახებ? „ხორუმი“ მაყურებელს მოეწონა.

— ჩემთვის მთავარია, მაყურებელი და მსმენელი იყოს კმაყოფილი...

— ამბობენ, რომ ზაზა ორაშვილი მკაცრი რეჟისორია. შენ არ გაგჭირვებია მასთან მუშაობა?

— არა, ძალიან სასიამოვნოა ზაზასნაირ ნიჭიერ რეჟისორთან მუშაობა. ის მკაცრი სულაც არ არის — უბრალოდ, ძალიან მომთხოვნია და კმაყოფილი ვარ, რომ საბოლოოდ, ასეთი კარგი კლიპი გამოგვივიდა.

ზაზა ორაშვილი:

— ლილიკო ნემსაძის სიმღერებზე არაერთი კლიპი გადამიღია, მაგრამ მათ შორის, „ხორუმი“ გამორჩეულია. მოხარული ვარ, რომ სოფოსნაირი ნიჭიერი მომღერალი ჩემი კლიპით უნდა გახდეს პოპულარული და ეს რომ ასე იქნება, დარწმუნებული ვარ.

ლილიკო ნემსაძე:

— თამამად ვიტყვი, რომ სოფო უნაკლოდ მღერის და მასთან მუშაობა ძალიან ადვილია. ეს მისი პირველი კლიპია და უკვე ამხელა მოწონება დაიმსახურა.

— სოფო, კლიპში სატრფოც გყავს...

— ჩემი სატრფოს როლს ჩემი ძმაკაცი — დათო ჯაბიძე ასრულებს.

— ცხოვრებაშიც ცხენოსნობითაა გატაცებული?

— არა, რას ამბობ?! დათო მგონი, პირველად, ამ კლიპის გადაღებისას დაჯდა ცხენზე. თუმცა, კარგად გამოუვიდა. ის საგურამოელი ბიჭი კი, რომელიც დათოსა და მის მეგობრებს ჯირითს ასწავლიდა, ერთ-ერთი ტრიუკის შესრულებისას მიწაზე დავარდნილი აღმოჩნდა... ერთხელ, ცხენები ისე გადაღალეს, რომ ორი გაექცათ და ბოლოს, ძლივს იპოვეს.

— სად მიმდინარეობდა გადაღებები?

— საგურამოში, მუზეუმში „ღია ცის ქვეშ“, კოჯორსა და ქოროღლის ციხის მიდამოებში.

— საზაფხულო კაბაში ჩაცმულს, არ გციოდა?

— მზიანი ამინდები კი იყო, მაგრამ მაინც ყინავდა. ნაბადმოსხმულმა დათომ რომ თქვა — შემცივდაო, — მივხვდი, რომ მეც გაოშილი ვიყავი.

— სოფო, სად სწავლობ?

— ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში. ასე რომ, სწავლით მართლაც დატვირთული ვარ...

— „ხორუმი“ ანსამბლ „ფესვებთან“ ერთად გაქვს ჩაწერილი. თანამშრომლობის გააგრძელებას თუ აპირებთ?

— „ფესვებთან“ ერთად კიდევ ერთი სიმღერა ჩავწერე, ისიც — ხალხურ მოტივებზეა დაწერილი. ახლა კი, ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ბიჭებთან ერთად ვაპირებ, ვიმღერო.

— კიდევ რა გეგმები გაქვს?

— ვფიქრობ, რომ სერიოზული გეგმები მაქვს. აჭარაში საგასტროლოდ წასვლას ვგეგმავ; მანამდე, ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლშიც ვიმღერებ და ქალთა კოლონიაშიც...

— შენს გარეგნობაზე ვინ იზრუნა?

— კაბა, სპეციალურად „ხორუმისთვის“, ავთო ცქვიტინიძემ შეიკერა. ბელორუსიაში ყველას ძალიან მოეწონა — ხალხური და თანამედროვე სტილის სინთეზია! ■

კომპოზიტორ იგორ სარუხანოვთან ერთად

ვინ ხართ — რომანტიკოსი თუ რეალისტი?

რომანტიკოსები და რეალისტები ცხოვრებას აბსოლუტურად განსხვავებულად აღიქვამენ. რა უფრო მეტია თქვენში — რომანტიზმი თუ ფხიზელი თვალი?.. ამაში დასარწმუნებლად, ტესტის შეკითხვებს სწრაფად უნდა უპასუხოთ!



1) როგორ მოიქცევით, თუ შვებულების დროს, ისეთ მხარეში გამგზავრების შანსი მოგეცემათ, სადაც არასდროს ყოფილხართ?

ა) გაემგზავრებით ტურისტულ ჯგუფთან ერთად — 1;

ბ) მარტო მოგზაურობას ამჯობინებთ — 5;

2) რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომ ოჯახის წევრებს ახსოვდეთ დღესასწაულები და თქვენი დაბადების დღე?

ა) ძალიან მნიშვნელოვანია — 5;

ბ) თუ ვინმეს თქვენი დაბადების დღე დაავიწყდება, ამისთვის არ უსაყვედურებთ — 3;

გ) მნიშვნელობა არა აქვს — 1.

3) ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი ოჯახის წევრები უფრო ხშირად ყურადღებას საკუთარ თავს უთმობენ და არად დაგიდევენ საოჯახო საქმეებს?

ა) დიახ, ხშირად — 5;

ბ) ხანდახან — 3;

გ) არასოდეს — 1.

4) შეგიძლიათ თუ არა, თამამად თქვათ, რომ თქვენს საქმეში კომპეტენტური ხართ?

ა) დიახ — 1;

ბ) არა — 5.

5) ხშირად გეცვლებათ თუ არა გუნება-განწყობილება?

ა) საკმაოდ ხშირად — 5;

ბ) ემოციური ხართ, მაგრამ ხასიათი ხშირად და უმიზეზოდ არ გეცვლებათ — 3;

გ) არა, მშვიდი და გაწონასწორებული ხასიათი გაქვთ — 1.

6) დაფიქრებულხართ თუ არა იმაზე, რომ შეიძლებოდა, თქვენი ცხოვრება სრულიად სხვაგვარად წარმართულიყო?

ა) დიახ, ხშირად — 5;

ბ) ხანდახან — 3;

გ) არასოდეს — 1.

7) გჩვევიათ თუ არა საქმის სახვალიოდ გადადება?

ა) დიახ, ხშირად — 5;

ბ) იშვიათად — 3;

გ) არა, პრობლემებს გადაუდებლად წყვეტთ — 1.

8) გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ თქვენს ცხოვრებაზე გარეშე ძალა ახდენს გავლენას?

ა) გარეშე ძალები შეიძლება არსებობს კიდეც, მაგრამ თქვენს ცხოვრებას, პირველ რიგში, თქვენ თვითონ წარმართავთ — 1;

ბ) უხილავ გარეშე ძალებს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია — 5.

9) გჯერათ თუ არა, რომ სიკეთე ამქვეყნად არ იკარგება, ბოროტება კი, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაისჯება?

ა) დიახ, ამას ეთანხმებით — 5;

ბ) ამის მტკიცება ძნელია, მაგრამ ვარაუდობთ, რომ ასე უნდა იყოს — 3;

გ) გინდათ, რომ გჯეროდეთ, მაგრამ ცხოვრებაში ბევრჯერ დარწმუნებულხართ, რომ საქმე სხვაგვარადაა — 1.

10) გყოფნით თუ არა ხელფასი?

ა) არასოდეს, ძალიან მფლანგველი ხართ — 5;

ბ) ხანდახან ხარჯავთ საჭიროზე მეტს — 3;

გ) გყოფნით, რადგან მომჭირნე ხართ — 1.

11) გიჭირთ თუ არა, პრობლემაზე კონცენტრირება და აზრების მოკრება?

ა) დიახ, ხშირად — 5;

ბ) იშვიათად — 3;

გ) არასოდეს — 1.

დააჯამეთ ქულები

41-55: ნამდვილი რომანტიკოსი ხართ, გიყვართ ღრუბლებში ფრენა. ამაში ცუდი არაფერია. რომანტიკულობა ერთ-ერთი კარგი გამოსავალია ერთფეროვანი და მოსაწყენი ყოველდღიურობისგან თავის დასაღწევად. თქვენი დიდი ღირსება ისაა, რომ არა მარტო რომანტიკულად უცქერით ცხოვრებას, არამედ ცდილობთ კიდეც, იგი ასეთად აქციოთ. მაგრამ სიფრთხილეც არ გაწყენდათ. შეიძლება, თქვენს ოცნებებში ულმობელი რეალობა შემოიჭრას და დეპრესიაში ჩაგაგდოთ — თქვენ ხომ ყველაფერი იოლად გწყინთ!..

27-40: რეალისტ-რომანტიკოსთა რიგს მიეკუთვნებით. მშვენივრად იცით, თუ როგორი დაუნდობელია ცხოვრება, მაგრამ მაინც არ თმობთ თქვენს იდეალებსა და ხშირად ეძლევით ამაღლებულ ემოციას. თქვენნაირი ადამიანი შეუცვლელია მეგობრებისა და ახლობლებისთვის. სამსახურში და შინ, ბავშვებთან და დიდებთან ურთიერთობისას, შემოქმედი ადამიანის თვისებებს იჩენთ და ამით ბევრს ანიჭებთ სიამოვნებას, თანაც ეს თქვენც გსიამოვნებთ.

11-26: მეტისმეტად რაციონალური ადამიანი ხართ, ილუზიების ტყვეობაში არასდროს ვარდებით. პრაგმატიკოსი ხართ და უხერხულობას ამის გამო არასდროს გრძნობთ. ამ ტიპის ადამიანები, როგორც წესი, ძალზე დამოუკიდებლები არიან. იმასაც კარგად აცნობიერებენ, თუ სად გადის მათი შესაძლებლობების ზღვარი. მაგრამ მაქსიმალურად იყენებენ ყველაფერს, რისი ნიჭიცა და უნარიც ღმერთმა უბოძა. ყოველივე ამის გამო, მათი ცხოვრება წარმატებული, თუმცა, ოდნავ მოსაწყენია.

უფლისწული დეკრეტულ შვებულებაში გასვლას აპირებს

იანვრის ბოლოს, ნორვეგიის ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ ჰაკონის ოჯახში ახალი წევრის დაბადებას ელიან. ეს ახლანდელი მეფის – ჰაროლდისთვის პირველი შვილიშვილი იქნება.

ნორვეგიის სამეფო კარი დიდი ლიბერალობით გამოირჩევა. ჰაკონის მეუღლე – მეტე-მარიტ ტიესემი ჩვეულებრივი ოჯახის შვილია. პრინცთან შეუღლებამდე, ის მარტოხელა დედა იყო. წინათ, სრულიად მიუღებელი იქნებოდა, მომავალი მონარქისთვის ასეთი ქალის ცოლად შერთვა. ახლა ეს ამბავი არავის აოცებს – ქვეყნის მოქალაქეთა ყურადღება იმაზე უფრო არის გამახვილებული, გავა თუ არა უფლისწული დეკრეტულ შვებულებაში ბავშვის დაბადების შემდეგ: საქმე ის გახლავთ, რომ ნორვეგიაში ნებისმიერ მამაკაცს, რომლის ცოლიც ბავშვს ელოდება, დეკრეტულის გაფორმების უფლება აქვს. როგორც იუწყებიან, ტახტის მემკვიდრე, კონსტიტუციით განსაზღვრული უფლების სრულად გამოყენებას აპირებს. თუმცა, არსებობს ერთი დამაბრკოლებელი გარემოება – მეფე ჰაროლდი მძიმედაა ავად და ამის გამო, მის ვაჟს რამდენიმე თვის მანძილზე, სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შესრულება მოუწევს. გარდა ამისა, ნორვეგიის გვირგვინის მემკვიდრე ვალდებულია, დაესწროს სამთავრობო კონფერენციებს, რომელიც სწორედ იმ დღეებშია დაგეგმილი, როცა ბავშვი უნდა დაიბადოს. როგორ მოგვარდება ეს წინააღმდეგობა, ჯერჯერობით უცნობია. თავად უფლისწული დუმს, ქვეშევრდომები კი ურჩევენ, რომ აუცილებლად დაესწროს შვილის დაბადებას. ■

„კომენდანტის საათი“ ბავშვებისთვის

გერმანიაში აპირებენ ფედერალური კანონის შემოღებას, რომლის მიხედვითაც, 14 წლამდე ასაკის ბავშვებს, უფროსების გარეშე საღამოს 8 საათის შემდეგ ქუჩაში გასვლა აეკრძალებათ. ამ მოთხოვნით გერმანიის კონსერვატორული პარტიის – ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი ულრიხ ზედერი გამოვიდა. მისი განმარტებით, ეს კანონი ქვეყანაში მოზარდთა დამნაშავეობის მკვეთრად შემცირებას შეუწყობს ხელს. მშობლებს, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ გამოიჩენენ შვილების მიმართ, ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ. გარდა ამისა, მათ სახელმწიფოს მიერ ბავშვებისთვის გამოყოფილ შემწეობათა თანხაც (თითოეულ შვილზე – 150 ევრო) დაექვითებათ. ■

გამეღვიძა ფრანგების საიდუმლო

სპეციალისტებმა ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეს, თუ რატომ არიან ჭამის მოყვარული ფრანგი ქალები ასეთი ტანწერწეტები ამერიკელებთან შედარებით. პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტისა და ერთ-ერთი ფრანგული სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამერიკელებისაგან განსხვავებით, ფრანგები მცირე ულუფებით იკვებებიან. მაგალითად, ფილადელფიის შტატში პიცის ულუფა 25%-ით მეტს იწონის, ვიდრე პარიზში, ხოლო აშშ-ის ჩინურ რესტორნებში – 70%-ით მეტს, ვიდრე საფრანგეთის ანალოგიურ კვების ობიექტებში. ■

პატიმრობა ტუალეტში

ახალი წლის ღამეს, სამხრეთ იორკის მცხოვრებმა, ყოფილმა მეშახტემ პიტერ ფინეგანმა საქველმოქმედო მჯდომარე აქცია წამოიწყო. ბრიტანელის აზრით, ბოლო დროს, ქვეყანაში ობოლი ბავშვებისთვის ძალზე ცოტა თავშესაფარი შენდება. ამ პრობლემისადმი ხელისუფლების ყურადღების მისაპყრობად, მან საკუთარ თავს ნებაყოფლობითი პატიმრობა მიუსაჯა და გადაწყვიტა, 50 დღე მისი სახლის ეზოში მდებარე, ძველ ტუალეტში გაატაროს. უდედმამო ბავშვთა უფლებების დამცველს ძალზე ცუდ პირობებში უწევს ყოფნა: ხის ტუალეტში არ არის გათბობა და ის, კანალიზაციასთანაც არაა დაკავშირებული. თუმცა, თავისივე გამოგონილი წესების მიხედვით, ფინეგანმა თავს უფლება მისცა, დღე-ღამეში 4 საათით დატოვოს საკუთარი „საპატიმრო“.

59 წლის პენსიონერის თქმით, ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მას ბრიტანელი ილუზიონისტის, დევიდ ბლეინის ექსტრავაგანტურმა წამოწყებებმა უბიძგა. მაგალითად, შარშან ოქტომბერში, ბლეინმა 44 დღე, ჰაერში დაკიდებულ, პლასტმასის კაფსულში გაატარა.

კეთილშობილური მიზნის მიუხედავად, ცოლი ფინეგანს, ნამდვილ იდიოტს უწოდებს. ■

გიჟი დიჯეი – ბანკის მძარცველი

გერმანიის ქალაქ ბრემენში დააკავეს მამაკაცი, რომელიც ბანკის გაძარცვას ცდილობდა. პოლიციელების თქმით, მამაკაცმა იქ მყოფთა ყურადღება ჩაცმულობით მიიპყრო – ის გრაფი დრაკულას ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და პირიდან ეშვები ჰქონდა გამოშვერილი... ვაი-მძარცველს დაპატიმრების შემდეგ, სათამაშო პისტოლეტი აღმოაჩნდა. განზრახვის შესასრულებლად, ის დამთვრალა კიდეც. ■

ფოტოკუთხეები

b 13/2
F1224
2004

№2(62) 22.I-4.II 2004

ოჯახის მეუნიკალური

სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თეთრი

მთავარი თემა: არჩერიული ფნევა

დამწვრობა

ბავშვთა ანემიები

პოეროსკლეროზი

თხის რძე – გემრიელი ალტერნატივა

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის